ძვირფასო მკითხველებო,

გარწმუნებთ,რომ აღვწერ რა უჩვეულო მოვლენებს, თავად მე ჩვეულებრივ ადამიანს წარმოვადგენ, ამასთან, ისევე როგორც თქვენ, ვცდილობ გავაცნობიერო ისინი.

მხოლოდ დღევანდელი დღისთვის გახდა ჩემთვის ახლობელი და გასაგები ანასტასიას გამონათქვამი: “ჭეშმარიტებამდე ჩვენ ვერ მივაღწევთ ხოხვით”.

ანასტასიას მტკიცებით, ტექსტში ჩადებულია ასოთა შეთანწყობა და სიტყვათა კომბინაციები, რომლებიც კეთილმყოფელ გავლენას ახდენს ადამიანზე. ამ გავლენის შეგრძნება შეიძლება კითხვის დროს, როცა სმენაზე არ მოქმედებს ხელოვნური საგნებისა და მექანიზმებისაგან გამოცემული ბგერები.

ბუნებრივი ბგერები – ჩიტების გალობა, წვიმის ხმაური, ხეებზე ფოთლების შრიალი – ხელს უწყობს დადებით ზემოქმედებას.

წიგნის გამოსვლის შემდეგ, ანასტასიას
გამონათქვამები ხუთი ათასზე მეტმა მკითხველმა
დაადასტურა თავის წერილებში.

ISBN-978-9941-0-2272-2 UDC(უაკ) 821.161.1-3
ISBN-978-9941-0-2273-9 M-419

ვლადიმირ მეგრე

რუსეთის მოგუგუნე კედრები

წიგნი მეორე

თბილისი

2010

ББК 84.Р7
М41

Авторские права на данную книгу охраняются Законом РФ «Об авторском праве и смеженных правах» от 09.07.93г. №5351-1 в редакции федкрального закона 19.07.95г. №110-фз (ст.48.49) Кодексом РСФСР об административных правонарушениях (ст.1504), а также Уголовным Кодексом РФ(ст.146). Любое использование, воспроизведение материалов и илюстрации из книги возможно лишь с писменного согласия владельцев авторских прав.

МЕГРЕ В.Н.; М41 АНАСТАСИЯ-СПБ: «ИЗДАТЕЛЬСТВО «ДИЛЯ» 2003,-384ст. серия «Звенящие кедры России»
© В.Н.МЕГРЕ, 2000
© «ДИЛЯ» 2000
© Оформление «издательство ДИЛЯ» 2000

ეს წიგნი აგრძელებს თხრობას უჩვეულო ქალზე, წინაპართა ნიჭისა და ცოდნის პირველსაწყისთა ჭეშმარიტებაზე

გამომცემელი: ციური გარუჩავა
რედაქტორი: ლია ლომთაძე
მთარგმნელი: ციური გარუჩავა

კომპიუტერული უზრუნველყოფა: ლია ბერუაშვილი
ლალი ყარყარაშვილი
შორენა ბეწუაშვილი
ლაშა გიგაური

წიგნის სპონსორები: ზაზა ხუბუა
ირინა გოდერძიშვილი

© ქართული თარგმანი “ რუსეთის მოგუგუნე კედრები “

რატომ უნდა წაიკითხოს ქართველმა "ანასტასია"

1. იმიტომ, რომ უძველესი ერია;
2. იმიტომ, რომ ათასწლეულებს ითვლის მისი ყოფა;
3. იმიტომ, რომ უყვარს ლაღი და თავისუფალი ცხოვრება;
4. იმიტომ, რომ ინდივიდია და გამორჩეულობა ახარებს;
5. იმიტომ, რომ უყვარს ოჯახი, შვილები, მეგობრები და სამშობლო;
6. იმიტომ, რომ ანასტასიას ცხოვრების და შეხედულებების გაცნობის შემდეგ, ყოველი ადამიანი ვინც გააცნობიერებს ვლადიმირ მეგრეს მიერ დაწერილი წიგნებიდან გადმოსულ სიბრძნეს - ნებისმიერ ასაკში და უმოკლეს დროში აუცილებლად მოიპოვებს ბედნიერებას პირველ რიგში თავისთვის, შემდეგ კი, ოჯახისათვის, შვილებისათვის და სამშობლოსათვის;
7. ჩემი მიზანი კი, მარტივია: ვთარგმნე იმიტომ, რომ მშობ-ლიურ ენაზე უფრო იოლად და სწრაფად წაიკითხოთ, ხოლო იმ ადამიანებისთვის, ვინც ამ წიგნების გამოსაცემად თქვენდამი დიდი სიყვარულის გამო დაშვრა, ბედნიერების მომტანი იქნება თქვენი სიხარული, რომელიც ამ წიგნის წაკითხვის შემდეგ დაგეუფლებათ.

პატივისცემით,

ციური გარუჩავა
გამომცემელი, მთარგმნელი

23.02.2010

თბილისი, აბანოთუბანი
ტელ: 893 327096
892 220121
E-mail: tsiuri.garuchava@gmail.com
Skype: MEGRELY

სარჩევი

რატომ უნდა წაიკითხოს ქართველმა “ანასტასია” 5
უცხოპლანეტელი ქალი თუ ადამიანი? 7
მანქანა ფულის კეთებისათვის 20
განკურნება ჯოჯოხეთისათვის 24
კონფიდენციალური საუბარი 27
სადა ხარ შენ, მფარველო ანგელოსო? 30
ციცქნა ალუბალი 35
ვინაა დამნაშავე? 40
პასუხი..... 46
მეგარაკეთა დღე და სრულიად დედამიწის დღესასწაული! ... 60
ბარდის მჟღერი მახვილი 67
მკვეთრი შემობრუნება 73
ვინ საზღვრავს მიმართულებას? 76
ფული ნულიდან 77
გამანადგურებელი ძალა 81
მეწარმეები – ჰერბალაიფელები 87
უფასო დასვენება ჰავაიზე 90
გარდაქმნის დასაწყისი 92
რუსეთის მეწარმეთა საზოგადოება 95
თვითმკვლელობისაკენ 98
რუსეთის მოგუგუნე კედრები 101
საიდუმლოს ამოცნობა 118
მამა თეოდორიტი 120
სიყვარულის სივრცე 133
ანასტასიას ბაბუა 138
ანომალიური მოვლენა 148
ილუზორული ადამიანები 158
რატომ ვერავინ ხედავს ღმერთს 161
განთიადი რუსეთში 168
როგორ მივიღოთ სამკურნალო ზეთი კედრისაგან 173
სათაური 178
შენი სიწმინდეები, რუსეთო 185

უცხოპლანეტელი ქალი თუ ადამიანი?

სანამ მოვყვებოდე ანასტასიასთან დაკავშირებულ შემდგომ მოვლენებს, მინდა მადლობა გადავუხადო სასულიერო კონფესიების ყველა ხელმძღვანელს, მეცნიერებს და ჟურნალისტებს, უბრალო მკითხველებს, რომლებმაც გამომიგზავნეს წერილები, სასულიერო ლიტერატურა და კომენტარები პირველ წიგნში ასახული მოვლენების შესახებ. პრესაში მას უწოდებენ "ტაიგის დიასახლისს","ციმბირელ ჯადოქარს","წინასწარმეტყველს", "ღვთიურ გამოვლინებას", "უცხოპლანეტელ ქალს". ამიტომ ერთ-ერთი მოსკოველი ჟურნალისტი ქალის შეკითხვაზე: "შენ ახლა ანასტასია გიყვარს?" – მე ვუპასუხე: "ვერ გავრკვეულვარ ჩემს გრძნობებში"- მეთქი, და მაშინვე გავრცელდა ჭორი, რომ მე სულიერი უმწიფრობის გამო არ ძალმიძს რაიმეს გაგება. მაგრამ აბა, როგორ შეიძლება გიყვარდეს, თუ კი არ გაერკვევი, ვინ გიყვარს? ჯერჯერობით ანასტასიას მიმართ კიდევ არ არსებობს ყველას მიერ ერთიანი განსაზღვრული აზრი. მე, მისი მტკიცებულების საფუძველზე: "მე ადამიანი ვარ, ქალი", ვცდილობდი ჩემი თავი დამერწმუნებინა გამოთქმის ჭეშმარიტებაში, მეპოვა მისი არაჩვეულებრივი უნარის ახსნა. თავიდან ყველაფერი გამოდიოდა.

ვინაა ანასტასია?

ახალგაზრდა ქალი, უსიერ ციმბირულ ტაიგაში განდეგილად დაბადებული და მცხოვრები. მშობლების დაღუპვის შემდეგ ბაბუის და დიდი ბაბუის მიერ აღზრდილი, რომლებიც აგრეთვე, ასევე განდეგილი ცხოვრების წესს ეწევიან.

შეიძლება კი უჩვეულოდ ჩაითვალოს ველურ მხეცთა მისდამი ერთგული დამოკიდებულება?

ამაშიც არაფერი არაჩვეულებრივი არ არის. გლეხურ ეზოგარემოშიც სხვადასხვა ცხოველები მშვიდობიანად თანაცხოვრობენ და პატივისცემით ეპყრობიან თავიანთ პატრონს.

უფრო რთული იყო იმ მექანიზმის განსაზღვრა, რომლის მეშვეობითაც მას შეუძლია სივრცის დიდ მანძილზე ჭვრეტა, ათასწლეულის წინათ მომხდარი მოვლენების დეტალებში ცოდნა, თავისუფლად გარკვევა ჩვენს ახლანდელ ცხოვრებაში. როგორ მუშაობს მისი სხივი, რომელიც კურნავს რა ადამიანებს შორი მანძილიდან, წვდება წარსულის სიღრმეებს და იხედება მომავალში?

ფილოსოფიის პროფესორმა, მეცნიერებათა აკადემიის წევრ – კორესპონდენტმა მაიკ ი.შილინმა თავის ნაწარმოებში, რომელიც მიძღვნილია ანასტასიას გამონათქვამებისა და მოქმედებების ანალიზისადმი, დაწერა: "ანასტასიას შემოქმედებითი პოტენციალი – ეს საყოველთაოა და არა ინდივიდუალური წყალობა ღმრთისა, წყალობა ბუნებისა. ჩვენ, ყველანი ერთად და ყოველი ჩვენთაგანი ცალ-ცალკე, კავშირში ვართ კოსმოსთან.

მომავალი კატასტროფიდან გამოსავალი, როგორც ჩანს, კულტურულ საწყისთა ჰარმონიულ სინთეზშია. ამ ტიპის კულტურათა განვითარებისას ჰარმონიულად სუფთა ბავშვობას იძლევა "ქალური" ტიპის კულტურები. ყველაზე სრულად და ნათლად კულტურების ეს ტიპი გამოიხატა ბუდიზმში და ასევე ჩვენს ანასტასიაშიც. ამიტომაცაა ქვემოთ მოყვანილი ჯაჭვი: ანასტასია=ტარა=ბუდა=მაიტრეია. ანასტასია წარმოადგენს სრულყოფილ ადამიანს, ღვთის დარს".

ეს ასეა თუ არა, ჩემი განსასჯელი არ არის. მხოლოდ გაუგებარია, მაშ, რატომ არ წერს იგი არანაირ სწავლებებს, როგორც მრავალნი გასხივოსნებულნი, ღვთის დარნი, ამის მაგივრად იგი თავისი შეგნებული ოცი წელი მეაგარაკეებითაა დაკავებული.

მიუხედავად ამისა, ვკითხულობდი რა მეცნიერთა გამონათქვამებს, მე შევძელი, გამეკეთებინა დასკვნა, რომ იგი – ვიღაც გიჟი არ არის. იმიტომ რომ მეცნიერებაში არსებობს, უკიდურეს შემთხვევაში, ჰიპოთეზები მაინც, იმის თაობაზე, რასაც იგი ამბობდა. ხოლო ცალკეული მიმართულებებით კი კვლევაძიებებიც ტარდება.

ასე მაგალითად, შეკითხვაზე: “ანასტასია, როგორ იჭერ და აღწერ შენ ათასი წლის წინანდელი სიძველის სხვადასხვა სიტუაციებს და როგორ შეგიძლია წარსულის დიდებული ადამიანების აზრ-ფიქრიც კი დაინახო?” – მან მიპასუხა:

– პირველი აზრი, პირველი სიტყვა, იყო შემოქმედთან. მისი აზრ-ფიქრები ცოცხლობს დღესაც, უხილავად გარს გვეხვევა ჩვენ და ავსებს სამყაროსეულ სივრცეს, აისახება მატერიალურ ცოცხალ ქმნილებებში, რომლებიც შექმნილია მთავარისთვის – ადამიანისთვის! ადამიანი - შემოქმედის პირმშოა. და როგორც ყოველ მშობელს, მას არ შეეძლო, ესურვებინა თავისი ბავშვისთვის იმაზე ნაკლები, ვიდრე თავად ჰქონდა. მან თავის ქმნილებას მისცა ყველაფერი. და უფრო მეტიც! – არჩევანის თავისუფლება. ადამიანს შეუძლია სამყაროს შექმნა და სრულყოფა თავისი აზრ-ფიქრის ძალით. ადამიანის მიერ წარმოქმნილი ნებისმიერი აზრ-ფიქრი “არსაით” არ იკარგება. თუ ნათელია, იგი ავსებს ნათელ სივრცეს და დგება ნათელი ძალების მხარეს, თუ ბნელია – დგება საპირისპირო მხარეს. და დღესაც ნებისმიერ ადამიანს შეუძლია ისარგებლოს შემოქმედისა თუ ადამიანების მიერ ოდესმე წარმოქმნილი ნებისმიერი აზრ-ფიქრით.

– მაშ ყველა ადამიანი რატომ არ სარგებლობს ამით?

– ყველა ადამიანი სარგებლობს, ოღონდ სხვადასხვა დოზით. რომ ისარგებლო, უნდა იფიქრო, ეს კი ყველას არ გამოუდის ყოველდღიურ ამაოებათა გამო.

– ესე იგი, დაფიქრებაა საჭირო – და ყველაფერი გამოვა? და შემოქმედის აზრ-ფიქრების შეცნობაცაა შესაძლებელი?

– შემოქმედის აზრ-ფიქრები რომ შევიცნოთ, უნდა მივაღწიოთ მისთვის ჩვეულ ზრახვათა სიწმინდეს და მისეულ აზრ-ფიქრთა მოძრაობის სიჩქარეს. სხივმოსილი აზრები რომ შევიცნოთ, უნდა გვქონდეს ზრახვათა მათნაირი სიწმინდე და შეგვეძლოს მათნაირი სიჩქარით აზროვნება. თუ რომელიმე ადამიანში გულისთქმათა საკმარისი სიწმინდე არ არის, რათა იურთიერთოს ნათელ ძალთა განზომილებასთან, იმ განზომილებასთან, რომელშიც ნათელი აზრები ცხოვრობენ, მაშინ ადამიანი ამოხაპავს საპირისპიროდან – ბნელი ძალებისგან. შედეგად თვითონაც დაიტანჯება და სხვასაც დატანჯავს.

არ ვიცი, ირიბი თუ პირდაპირი ახსნა გაუკეთა ამ გამონათქვამებს რუსეთის საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა აკადემიის თეორიული და გამოყენებითი ფიზიკის საერთაშორისო ინსტიტუტის დირექტორმა, აკადემიკოსმა ა. ე. აკიმოვმა ჟურნალში "ჩუდესა ი პრიკლუჩენია" სტატიაში "ფიზიკა აღიარებს ზეგონს" იგი წერს: "არსებობდა და არსებობს ბუნების შეცნობის ორი მიმართულება. ერთი წარმოდგენილია დასავლური მეცნიერებით, ანუ ცოდნით, რომელიც მიიღწევა იმ მეთოდოლოგიურ ბაზაზე დაყრდნობით, რომელსაც ფლობს დასავლეთი: მტკიცება, ექსპერიმენტი და ა.შ. მეორე – აღმოსავლური, ესე იგი, ცოდნით, გარედან მიღებულით, ეზოთერული გზით, მედიტაციის მდგომარეობის დროს. ეზოთერულ ცოდნას ვერ მოიპოვებენ, იგი ადამიანს ეძლევა.

ისე გამოვიდა, რომ რომელიღაც ეტაპზე ეს ეზოთერული გზა დაკარგულ იქნა და ჩამოყალიბდა სხვა გზა, ზედმიწევნით რთული და ნელი. უკანასკნელი ათასწლეულის განმავლობაში, მივყვებოდით რა ამ გზას, ჩვენ მივედით იმ ცოდნამდე, რომელიც აღმოსავლეთში სამი ათასი წლის წინ იყო ცნობილი".

მე მაქვს ინტუიციური რწმენა, რომ მართალნი იყვნენ ისინი, რომლებიც ამბობდნენ: მატერია, მთელი სამყაროს ველის დონეზე შემავსებელი, არის რაღაც ურთიერთდამაკავშირებელი სტრუქტურა. თავის წიგნში "ტექნოლოგიათა ჯამი" სტანისლავ ლემმა, თავში – "სამყარო როგორც სუპერ-ეგმ" (ეგმ – ელექტრონულ გამომთვლელი მანქანა) გამოთქვა აზრი, რომ არსებობს, ასე ვთქვათ, გიგანტური გონი-სამყარო, როგორც ეგმ. წარმოიდგინეთ გამოთვლითი მანქანა, რომელიც დაკვირვების ქვეშ მყოფი სამყაროს მოცულობის ტოლია და (მისი რადიუსი დაახლოებით 15 მილიარდი კილომეტრია) გავსებულია ელემენტებით, რომელთა მოცულობა 10^{-33} სმ^3-ია.

და აი, ასეთ გონს, რომლითაც შევსებულია მთლიანი სამყარო, მინიჭებული აქვს შესაძლებლობანი, რომლის არც წარმოდგენა და არც ფანტაზია ჩვენ არ გვაქვს ბოძებული. თუკი გავითვალისწინებთ, რომ ეს გონი სინამდვილეში ელექტრონულ-გამოთვლითი მანქანის პრინციპით კი არ ფუნქციონირებს,

არამედ ტორსიული ველების საფუძველზე, მაშინ ნათელი ხდება: "აბსოლუტის გამოვლინება შელინგში თუ შუნიატში, უძველეს ვედურ ლიტერატურაში – სწორედაც რომ გამოთვლითი მანქანაა. და მის გარდა, სამყაროში მეტი არაფერი არის. ყველაფერი დანარჩენი – აბსოლუტის ესა თუ ის ფორმაა."

სხივზე, რომელიც მანძილზე მოქმედებს, აი რას წერს რუსეთის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, აკადემიკოსი ვლაილ კაზნაჩეევი სტატიაში "ცოცხალი სხივები და ცოცხალი მიწა" (ჟურნალი "ჩუდესა ი პრიკლუჩენია" 03.05.96): "შესაძლოა, ვერნადსკი მართალი იყო, როცა დასვა შეკითხვა: იდეას, აზრ-ფიქრს, როგორ გადაჰყავს პლანეტა დედამიწა მის ახალ ევოლუციურ ფაზაში? როგორ? მხოლოდ შრომის საშუალებით? მხოლოდ აფეთქებების მეშვეობით? მხოლოდ ტექნოგენური მოღვაწეობის გზით? – აი ასე, სწორხაზოვნად, ამის ახსნა არ შეიძლება.

ფაქტები მიუთითებენ იმაზე, რომ ადამიანს, ოპერატორს, შეუძლია შორიდან შეცვალოს ელექტრონული ხელსაწყოების მრავალი მაჩვენებელი. იგი თითქოსდა აგდებს ხელსაწყოთა შკალას, შორი მანძილიდანაც კი. ახლა ჩვენთანნოვოსიბირსკში მიმდინარეობს სამუშაოები შორეული კავშირებისათვის ნორილსკთან, დიკსონთან, სიმფეროპოლთან, ტიუმენის სამკუთხედთან, ამერიკულ ცენტრთან ფლორიდაში და შორეული კავშირი ადამიანთან, ხელსაწყოსთან და ოპერატორთან მყარდება დანამდვილებით და ზუსტად.

ჩვენ ვაწყდებით უცნობ მოვლენას – ცოცხალი ნივთიერებების უზარმაზარ მანძილებზე ურთიერთმოქმე-დებებს".

სამწუხაროდ, სხვა მეცნიერთა ნაშრომებზე სტატიებში ბევრი გაუგებარი ტერმინებია და მითითებები. ყველა მათგანის წაკითხვა და ამასთან გაგებაც, რთულია.

მაგრამ მე მაინც მივხვდი, რომ მეცნიერებისთვის ცნობილია ადამიანის შორ მანძილზე კონტაქტის შესაძლებლობაზე, მეცნიერებისთვის ცნობილია სამყარო-სეული ბანკის მონაცემთა შესახებაც, რომლითაც სარგებლობს ანასტასია. იგი მას უწოდებს ნათელ ძალთა განზომილებას, ანდა განზომილებას,

რომელშიც ცხოვრობენ ადამიანების მიერ ოდესღაც წარმოქმნილი აზრ-ფიქრები. ამაზე თანამედროვე მეცნიერებაც საუბრობს და უწოდებს მას სუპერ-ეგმ-ს.

შემდგომში მომიწია გამეაზრებინა, როგორ მოვახერხე წიგნის დაწერა მე, ვისთვისაც ლიტერატურული ხელობა სრულიად უცხო ხილი იყო და არც შესაბამისი განათლება მქონდა, ხოლო ეს წიგნი კი ადამიანებს აფორიაქებს.

როცა ტაიგაში ვიყავი, ანასტასიამ მითხრა: "მე შენ მწერლად გაქცევ. შენ დაწერ წიგნს და მას წაიკითხავს ბევრი ადამიანი. ის კეთილისმყოფელ ზეგავლენას მოახდენს მკითხველებზე".

აი, ახლა, წიგნი დაწერილია და შესაძლოა იმის ვარაუდიც, რომ ეს მხოლოდ მისი დამსახურებაა. მაგრამ, მაშინ უნდა განისაზღვროს, როგორი სახით ახდენს იგი გავლენას სხვა ადამიანთა შემოქმედებით შესაძლებლობებზე. მაგრამ ჯერჯერობით ამის განსაზღვრა ვერავინ შეძლო.

ამოცანის გასაადვილებლად, რა თქმა უნდა, შეიძლება დავუშვათ, რომ მე, თვითონაც, ცოტათი ნიჭიერიც ვარ და მივიღე რა მისგან საინტერესო ინფორმაცია, გადმოვეცი იგი. მაშინ თითქოს ყველაფერი თავის ადგილზე დგება. ყველაფერს თავისი ახსნა ეძლევა.

შემდგომში საჭირო არ არის, ხარჯო დრო სამეცნიერო და სასულიერო ლიტერატურის კითხვაზე, შეკითხვებით მიმართო სპეციალისტებს. აქ კი ანასტასიამ წარმოგვიდგინა ახალი მოვლენა, რომლის ახსნა ჯერ-ჯერობით ვერც მე და ვერც ვინმე სხვამ ჩემი დამხმარეებიდან ვერ მოვახერხეთ.

თუ გახსოვთ, მე ვწერდი პირველ წიგნში, როგორ მითხრა მან ორი წლის წინ: "მხატვრები დახატავენ სურათებს, პოეტები შექმნიან ლექსებს, ჩემს შესახებ გადაღებული იქნება ფილმი. შენ ამას ყველაფერს თვალს მიადევნებ და გამიხსენებ..."

ანასტასიას ბაბუამ ჩემს შეკითხვაზე: "მას რა, შეუძლია მომავალის წინასწარმეტყველება?" — მიპასუხა: "ვლადიმირ, ანასტასია მომავალს არ წინასწარმეტყველებს, მას აქვს უნარი, ჩამოაყალიბოს და რეალობაში განახორციელოს იგი".

სიტყვებია, ეს მხოლოდ — სიტყვები. განა ცოტა რამეს ვამბობთ ხოლმე ჩვენ? მაშინ ამ სიტყვებსაც არ მივაქციე განსაკუთრებული ყურადღება, ისინი რაღაცნაირ ქარაგმად მივიჩნიე.

იმიტომ რომ შეუძლებელი იყო, დამეშვა, თუ ყოველივე, ანასტასიას მიერ თქმული, რამდენად ზუსტად განხორციელდებოდა. მაგრამ შეუძლებელი ხორციელდება!

ანასტასიას მიერ თქმული რეალობაში იწყებს განხორციელებას.

ჯერ ნაკადად წამოვიდა ლექსები. მათი ნაწილი გამოვაქვეყნე პირველი წიგნის ბოლოში. შემდეგ სხვადასხვა ქალაქებში ხალხმა გახსნა კიდეც "ანასტასიას სახლები". მათგან პირველად, ქალაქ გელენჯიკში, გამოფენილი იყო მოსკოველი მხატვრის ალექსანდრა ვასილის ასულ საენკოს ნახატები. ისინი მიეძღვნა ბუნებას, ანასტასიას.

შევედი იმ სახლში, შევხედე დიდი სურათებით სავსე კედელს... გარემომცველმა სივრცემ თითქოს სახეცვლილება იწყო.

მრავალი სურათიდან თავისი კეთილი თვალებით მიმზერდა ანასტასია. და სიუჟეტები... გესმით, ზოგიერთ სურათზე ასახული იყო სიუჟეტები, ჯერ კიდევ გამოუცემელი მეორე წიგნიდან. მანათობელი სფეროც იყო, რომელიც ხანდახან ანასტასიას გვერდით ჩნდებოდა. შემდგომში მე გავიგე, რომ ეს მხატვარი ხატავს თურმე არა ფუნჯებით, არამედ თითის წვერებით. ამ სურათების უმრავლესობა უკვე გაყიდულია, მაგრამ ჯერჯერობით დატოვებულია გამოფენაზე, რადგან ხალხი მიდის და მიდის მათ სანახავად. მხატვარმა ერთი სურათი მე მაჩუქა. მასზე გამოსახულნი იყვნენ ანასტასიას მშობლები. დედამისის სახისთვის შეუძლებელი იყო მზერა მოგეწყვიტა.

ანასტასიას შესახებ დაიწყო სხვადასხვა სტუდიებიდან წინადადებების მოსვლა კინოფილმის გადაღების თაობაზე და მე ამას, ყველაფერს, ვღებულობდი როგორც ჩვეულებრივ ამბავს.

ვეხებოდი რა ხელებით სურათებს და ლექსებიან თავფურცლებს, ვისმენდი სიმღერებს და ვათვალიერებდი კინოფილმის გადაღებულ კადრებს, ვცდილობდი, როგორმე გამეაზრებინა მომხდარი ამბავი.

და აი, მოსკოვის კვლევითი ცენტრი, აკეთებს დასკვნას, რომელიც ანასტასიასთან დაკავშირებულ მოვლენებს სწავლობდა:

"უდიდესი სასულიერო მოძღვრები, რომლებსაც იცნობს კაცობრიობა რელიგიური სწავლებით, ფილოსოფიური და მეც-

ნიერული კვლევებით, ვერ აღწევენ ანასტასიასეულ გავლენის სიჩქარეს ადამიანურ პოტენციალზე. მათმა სწავლებებმა რეალურ ცხოვრებაში ქმედითი გამოვლინება შეიძინეს წარმოჩენის მომენტიდან მხოლოდ ასეული და ათასეული წლების შემდეგ.

ანასტასია კი სულ რაღაც დღეებსა და თვეებში, დარიგებებისა და სხვადასხვა სასულიერო მოძღვრებების გვერდის ავლით, უხილავი სახით ზემოქმედებს პირდაპირ გრძნობებზე და იწვევს ემოციურ გამოცოცხლებას, შემოქმედებით აღზევებას, რომელიც განხორციელებულია იმ სხვადასხვა ადამიანებთა რეალურ ქმნილებებში, რომლებიც აზრ-ფიქრით შეეხნენ მას. ჩვენ შეგვიძლია ისინი აღვიქვათ მხატვრული ნაწარმოებების სახით, შთაგონებულნი სწრაფვით ნათელისაკენ სიკეთისაკენ".

რისი მეშვეობითაა, რომ ეს მარტოხელა განდეგილი ქალი, იმყოფება რა უსიერ ციმბირულ ტაიგაში, ამავდროულად თითქოს ჩვენი ცხოვრების რეალური სივრცის თავზე დაფარფატებს?

რა საშუალებებით გამოუდის,რომ სხვა ადამიანების ხელებით ის მატერიალიზებულს ხდის ქმნილებებს? ყველანი ისინი არიან ნათელზე, კეთილზე, სამშობლოზე, ბუნებასა და სიყვარულზე.

"იგი სამყაროს სიყვარულის დიადი პოეზიით აპირთავებს. გაზაფხულის წვიმასავით ლექსები და სიმღერები განბანს მთელ ჩვენ დედამიწას მასზე დაგროვილი ჭუჭყისაგან", — თქვა ანასტასიას ბაბუამ.

— კი მაგრამ რა სახით იზამს იგი ამას? — ვეკითხებოდი მე.

ხოლო პასუხი:

— საკუთარი სწრაფვების აღმაფრენის ენერგიით იგი არიგებს შთაგონებასა და გონების განათებას საკუთარი ოცნებების ძალით.

— მის ოცნებაში რა ძალია დაფარული?

— ძალი ადამიან-შემოქმედისა.

— მაგრამ საკუთარი ქმნადობისათვის ადამიანმა უნდა მიიღოს ჯილდო, პატივი, ფული, წოდება. იგი კი სხვებისთვის უანგაროდ იძლევა მათ. რატომ?

— იგი თვითკმარია. საკუთარი დაკმაყოფილება და გულწრფელი სიყვარული, თუნდაც ერთის — უმაღლესი ჯილდოებია მისთვის, — მიპასუხა ანასტასიას ბაბუამ.

მაგრამ ჯერ-ჯერობით ამ პასუხებს, ბოლომდე ვერ ვაცნობიერებ. ვცდილობ გავიაზრო, თუ ვინ არის ანასტასია და ჩამოვყალიბდე მისდამი ჩემს დამოკიდებულებაში, მე ვაგრძელებდი სხვადასხვა შეხედულებების მოსმენას მის შესახებ, სასულიერო ლიტერატურის კითხვას. წელიწადნახევარში შთანვთქე მეტი ლიტერატურა, ვიდრე გავლილი ცხოვრების ყველა წლებში. მერე და რა გამოვიდა აქედან? ჩემთვის მხოლოდ ერთი უეჭველი დასკვნა გავაკეთე: "ზოგიერთი "ჭკვიანური" წიგნები, რომლებსაც პრეტენზია აქვთ ისტორიულ ჭეშმარიტებაზე, სულიერებაზე და გულწრფელობაზე, შეიცავენ თავხედურ სიცრუეს". ამ დასკვნამდე მიმიყვანა სიტუაციამ, რომელიც დაკავშირებული იყო გრიგორი რასპუტინთან.

ანასტასიას შესახებ პირველ წიგნში მოვიყვანე ციტატა ვ. პიკულის ისტორიულ რომან-ქრონიკიდან "უკანასკნელ ზღვართან".

რომანში მოთხრობილია, რომ გაუნათლებელი გლეხი გრიგორი რასპუტინი ციმბირის მიყრუებული სოფლიდან, სადაც ხარობს ციმბირული კედარი, 1907 წელს ჩავიდა რუსეთის იმპერიის დედაქალაქში. მან განაცვიფრა თავისი წინასწარმეტყველებებით იმპერატორის ოჯახი, რომელშიც მიღებულ იქნა. ლოგინში ჩაუწვა ურიცხვი რაოდენობის დიდგვაროვან ქალბატონს. როცა მას კლავდნენ, ყველა განაცვიფრა იმით, რომ მან, დალია რა ჭიქაში ჩაყრილი საწამლავი, შეძლო, ამდგარიყო სუფრიდან და გამოსულიყო სახლის ეზოში. მერე თავადმა იუსუფოვმა წაქცეულ რასპუტინს პისტოლეტიდან პირდაპირ მიჯრით ესროლა, თუმცაღა ტყვიებით დაცხრილული რასპუტინი აგრძელებდა სიცოცხლეს. დაჭრილი სხეული გადააგდეს ხიდიდან წყალში.

იდუმალი და უცნაური გრიგორი რასპუტინი, რომელმაც ყველა გააკვირვა თავისი გამძლეობით, კედრების მხარეში გაიზარდა.

აი, როგორი დასკვნა გამოიტანეს იმდროინდელმა ჟურნალისტებმა მისი გამძლეობის შესახებ: "ორმოცდაათი წლის ასაკში

მას შეეძლო, დაეწყო ორგია შუა დღიდან, გაეგრძელებინა ქეიფი ღამის ოთხ საათამდე; მრუშობისა და ლოთობის შემდეგ მიდიოდა პირდაპირ ეკლესიაში ცისკრის ლოცვაზე, სადაც ფეხზე იდგა რვა საათამდე, შემდეგ სახლში, დალევდა რა ჩაის, გრიშკა, თითქოს არაფერიაო, დღის ორ საათამდე ღებულობდა მომსვლელებს, მერე მოკრებდა ქალბატონებს და მიდიოდა მათთან ერთად აბანოში, აბანოდან მიემგზავრებოდა ქალაქგარეთა რესტორანში, სადაც ისევ თავიდან იმეორებდა წინა ღამეს, – ვერცერთი ნორმალური ადამიანი ვერ შეძლებდა ასეთი რეჟიმის ატანას".

როგორც ბევრ სხვასაც, მეც ჩამომიყალიბდა ამ გამონათქვამების შესატყვისი, გრიგორი რასპუტინის გზააბნეული ცხოვრების გარყვნილი სახე. ბედმა კი, თითქოს განსჯისათვის, სხვა ინფორმაცია შემომიგდო.

აი, რას წერდა გრიგორის შესახებ მამა იოანე: "დღეს მდინარიდან უვნებელი ამოდის ისედაც ვერ ნაპოვნი წმინდა ბერის სხეული. და მისი საიდუმლო ძენი ლოცვით შევლენ კიდობანში".

აბა, ეს რა გამოდის? ერთის მხრივ, მასზე წერენ გარყვნილიაო, მეორეს მხრივ – წმინდა ბერიაო. სად არის სიმართლე? სად არის სიცრუე?

შემდეგ, მოგვიანებით, ხელში მივარდება გრიგორი რასპუტინის ჩანაწერების ტექსტი, რომელიც დაწერილია მისი წმინდა მიწაზე ყოფნის დროს (ის ჩაიტანა პარიზში სსრკ-დან გაქცეულმა ლობაჩევსკიმ). აი, ეს ტექსტი: "ძალაუნებურად გაწყნარებს, ზღვა როდესაც დილით დგები, ტალღებიც "ბუტბუტებენ", შხეფებიც ხმაურობენ და გახარებენ. მზეც ზღვაზე ელვარებს, თითქოს ნელ-ნელა ამოდისო და ამავდროულად ადამიანის ***სული*** ივიწყებს მთელს კაცობრიობას და შესცქერის მზის ელვარებას; სიხარულიც ინთება ადამიანში, სულშიც შეიგრძნობა წიგნი ცხოვრებისა და სიბრძნე ცხოვრებისა – აღუწერელი სილამაზე! ზღვა ფხიზლდება ამაოებათა ძილისაგან, ძალზედ ბევრი გეფიქრება თავისდაუნებურად, ყოველგვარი ძალისხმევის გარეშე".

ზღვა – სივრცეა, ხოლო გონი კი მასზედ უფრო ვრცელი, კაცობრიობის უბრძენესობას ზღვარი არ აქვს, მას ვერ დაიტევს ყველა ფილოსოფოსიც კი, არის კიდევ უდიდესი სილამაზე,

როცა მზე ზღვის ჰორიზონტს იქით ეშვება – დაისისას, როცა ელავენ მისი სხივები.

ვის შეუძლია, შეაფასოს ნათელმოსილი სხივები? ისინი ათბობენ და ეალერსებიან სულს და მკურნალად ევლინებიან. მზე წამებად ჩადის მთებს მიღმა, ადამიანის სული ცოტა ნაღვლობს მის საოცარ ნათელმოსილ სხივებზე... ბინდდება.

ო, როგორი სიჩუმე დგება... ჩიტის ხმაც კი არ ისმის. და ფიქრებისაგან ადამიანი იწყებს გემბანზე ბოლთის ცემას, უნებურად იხსენებს ბავშვობას და მთელს ამაოებას, ადარებს იმ თავის სიმყუდროვეს ამქვეყნიურ მოუსვენარ სამყაროს და წყნარად საუბრობს თავის თავთან. თანაც სურვილი უჩნდება, ვინმესთან ერთად გაიქარწყლოს მოწყენილობა, მასზე მტრებისაგან გამოწვეული...".

მაშ აბა, ვინ იყავი შენ, ციმბირელო? რუსო გრიგორი რასპუტინ? სად წერია შენზე სიმართლე, სად სიცრუე? როგორ გავერკვე? ყოფიერების არსისა და საკუთარი დანიშნულების გააზრების დროს რას დავეყრდნო? რისი დახმარებით, რომელი დიდი შრომების მეშვეობითაა შესაძლებელი გარკვევა, თუ სად არის ჭეშმარიტება, სად კი სიცრუე? სად არის სულიერება და გულწრფელობა, სად არის პრეტენზია ყოვლისმხილველობაზე? იქნებ საკუთარი გულით გვესინჯა? მე არ დამიწერია ლექსები, მაგრამ შენ, გრიგორი რასპუტინ, მსურს, ჩემი პირველი ლექსი მოგიძღვნა.

"ანასტასიას" კითხულობენ და ადამიანებს გულწრფელი გამოუდით ლექსები. მეც მოვსინჯე. და აი, რა გამომივიდა მე შენთვის. მაპატიე, თუ რითმამ სადმე მიმტყუნა.

Григорию Распутину
посвящается

Полуграмотный? Полуграмотный.
Из кедровых лесов, так что ж?
Ну, босой. От Сибири-Россиюшки
сапоги не одни сотрёшь.

Я к царю. Помогу-ка батюшке
Продержаться ещё чуток.
Я к России, к России-матушке,

Ей бы хвойного хоть глоток!

Что? Гусары? Разгульны, удалы,
Сердцееды и храбрецы?
Так смотрите, смотрите ж, как надо
Разгуляться! Эх, вы, мудрецы!

Град Петра в парижских нарядах,
Но корсетам не сжать сердца!
Светских дам трепетали взгляды,
Вдруг увидев сибиряка.

Ну, а он, уходя к заутрене
Замолить не свои грехи,
Слышал, как Она шептала,
Лишь одна просила уйти:
— Уходи.
Одурманено и рычаще
Время зверя глотает плоть.
Ты пылающею Душою всё держался,
Теперь не смочь.
Уходи.
Не намного зверство задержишь,
Только миг один и спасёшь.
Я — Россия!
Мне будет жалко?
Ты уже никогда не споёшь.

Ты в кедрач возвратись, я воспряну!
И тогда всё, что хочешь, проси...

— Эх! Мне б в баньку сейчас!
С тобою!
Я б берёзовым, да с хвоёй
Отстегал тебя, непутёвую,
Остаюсь, Россия, с тобой!
Время пеной безумства брюзжало,
А у Гришки — пули в груди.
Чернота ему скрежетала:
Отползай, сибиряк! Отползи.

На полмига ещё задержишь
Ты меня, но тогда
Ты получишь такую кару,
Что не знала ещё Земля!

Ты — герой, а будешь — похабник.
На бутылках с отравой — твой лик.
И тобой спасённые потомки
Плюнут в душу твою, мужик.

Отползи. Я всесильна сейчас,
всевластна!
Хочешь, так в небеса взлетай!
Только миг. Ну разве не ясно?
Только миг мой грядущий отдай!
— Эх! Мадеры б, да в баньку!
Я б тебе показал тогда.
Сибиряк, говоришь. Мужик я.
Так к чему ж канючишь, балда?

И расстрелянный, и утопленный,
И сожжён на задворках, в «грызах».
Над Россиею с ветром весенним
И сейчас пролетит его прах.

— Что, мужик, — чернота
скрежещет,
Где ж могила твоя? Где глаза?
Жизни дни для тебя невозвратные.
А потомки глядят в образа.

Предъяви! Власть даю!
Им счета предъяви неоплатные,
Или, может, ты хочешь всплакнуть?

Плюнул Гришка свинцовой пулею:
— Эх дурён, сатана, — то счета, то всплакнуть.
Ну, а как, мужики, там банька,
Не пора ли ещё плеснуть?!

გრიგორი რასპუტინი კედრების ტყეებიდან შევიდა რევოლუციური რუსეთის ცხოვრებაში, ესწრაფოდა რა, აეცილებინა რევოლუციის ქარიშხალი და დაიღუპა.

ანასტასიაც კედროვანში ცხოვრობს და ასევე ცდილობს, ადამიანებისთვის კარგი გააკეთოს, ისევე ცდილობს, აგვარიდოს. რაღაც. მაგრამ როგორი ხვედრი განუმზადა მას ჩვენმა საზოგადოებამ?

მანქანა ფულის კეთებისათვის

ანასტასიასთან ურთიერთობის პირველ დღეებში მე მას მოვექეცი ისე, როგორც თავისებური მსოფლმხედველობის მქონე განდეგილს. ახლა კი, ყოველივე მასზე გაგონილითა და წაკითხულით, ჩვენს ცხოვრებაში თანამიმდევრულად შემოღწევის შემდეგ, იგი რაღაც სხვაგვარად ანომალური გახდა. თავში ყველაფერი ამერ-დამერია. ძალაუნებურად, ვიცილებ რა მოზღვავებული ინფორმაციის ნაკადსა და დასკვნებს, ვცდილობ, დავიბრუნო პირველი შთაბეჭდილების სიმარტივე. ვუპასუხო ჩემს მიმართ ხშირად დასმულ შეკითხვაზეც: "რატომ არ გამოიყვანე შენ ანასტასია ტაიგიდან?" მე ძალიან მსურდა, გამომეყვანა ანასტასია ტაიგიდან, მაგრამ ძალით ამის გაკეთება შეუძლებელი იყო. უნდა ვსინჯო, დავუმტკიცო მას ჩვენს საზოგადოებაში მისი ყოფნის მიზანშეწონილობა და სარგებლიანობა. ვფიქრობდი, მისი რომელი თვისებების გამოყენება შეიძლებოდა, თავად მისთვის, ადამიანებისათვის და ჩემი ფირმის სასარგებლოდ. და უეცრად მივხვდი: ჩემს წინაშე მდგომი ანასტასია — ნამდვილი ფულის საკეთებელი მანქანაა. მისი თვისებები ადამიანების ყოველგვარი დაავადებებისაგან ადვილად განკურნების შესაძლებლობებს იძლევიან. იგი არავითარ დიაგნოზს არ სვამს, თუმცაღა ერთბაშად განდევნის ხოლმე ორგანიზმიდან ყველა მასში დაბუდებულ ტკივილებს ისე, რომ არც კი ეხება სხეულს. მე ეს ყოველივე ჩემს თავზე გამოვცადე. იგი მთლიანად მობილიზდება ხოლმე. დაუხამხამებლად გიყურებს თავისი კეთილი ნაცრისფერ-ცისფერი თვალებით. სხეული თითქოს თბება მისი შემოხედვისგან, შემდეგ ფეხები იწყებენ გაოფლიანებას და ამ ოფლით ხდება სხვადასხვაგვარი ტოქსინების გამოძევება. ადამიანები ფლანგავენ ბევრ ფულს წამლებში და ოპერაციებში. ერთი ექიმი ვერ შველის, მიდიან მეორესთან, მიდიან ექსტრასენსებთან, ბიოენერგოთერაპევტებთან იმისთვის, რომ განიკურნონ მხოლოდ ერთი დაავადებისაგან, ფლანგავენ კვირეებს, თვეებს, წლებს, აქ კი საკმარისია — მხოლოდ წუთები. დავიანგარიშე, თუ ის ერთ

პაციენტს დაახარჯავს თხუთმეტ წუთს და ამაში აიღებს მხოლოდ ათ დოლარს (თუმცა მრავალი მკურნალი იღებს მეტსაც), საათში ორმოცი დოლარი გამოდის, მაგრამ ესეც არ არის ზღვარი, რადგან ზოგიერთი ფასიანი ოპერაციის ღირებულება ასეულობით ათას დოლარს და უფრო მეტსაც აღწევს...

გონებაში, როგორღაც, ვაყალიბებდი კარგ კომერციული გეგმას. ამიტომ გადავწყვიტე ზოგიერთი დეტალის დაზუსტება და ანასტასიას ვკითხე:

— ესე იგი, შენ შეგიძლია, გამოდევნო ადამიანისგან ნებისმიერი დაავადება?

— დიახ,— მიპასუხა ანასტასიამ. — ვფიქრობ, რომ ნებისმიერი.

— რამდენი დროის დახარჯვა გჭირდება შენ თითოეულ ადამიანზე?

— ხანდახან ძალიან ბევრის.

— ბევრის — ეს რამდენია?

— ერთხელ ათ წუთზე მეტის დახარჯვა მომიწია.

— ათი წუთი — ეს სისულელეა, ადამიანები წლებს ხარჯავენ, რომ განიკურნონ.

— ათი წუთი ძალზედ ბევრია, თუკი გავითვალისწინებთ, რომ ჩემთვის ამ დროს საჭიროა, ასე ვთქვათ, კონცენტრირება და გააზრების პროცესის შეჩერება...

— არა უშავს, გააზრება მოიცდის. შენ ისედაც ბევრი იცი. მე აქ რაღაც-რაღაცეები მოვიფიქრე ანასტასია.

— რა მოიფიქრე?

— მე შენ თან წაგიყვან. დიდ ქალაქში შენთვის არენდით ავიღებ კარგ ოფისს, გავაკეთებ რეკლამას და შენ კი, ხალხს უმკურნალებ. შენ დიდ სარგებლობას მოუტან ადამიანებს და ჩვენც კარგი შემოსავალი გვექნება.

— მაგრამ ხანდახან მე ხომ ისედაც ვმკურნალობ ადამიანებს. როცა ვქმნი მეაგარაკეებისთვის სხვადასხვა სიტუაციების მოდელებს, რათა მათ გარშემო მყოფ მცენარეთა სამყაროს გაცნობიერებაში დავეხმარო, ჩემი სხივი მათ დაავადებებსაც განდევნის ხოლმე, მაგრამ მე ვცდილობ, რომ ყველა არ...

— მაგრამ მათ ხომ არ იციან, რომ ამას შენ აკეთებ, და არამც თუ ფულს გიხდიან, მადლობასაც არ გეუბნებიან! შენ ხომ არაფერს ღებულობ ასეთი სამუშაოსთვის.

— ვღებულობ.

— რას?

— მე სიხარული მეუფლება.

— კარგი, ბატონო. დაე, შენთვის იყოს სიხარულიც და სიამოვნებაც, ფირმისთვის კი — შემოსავალი.

— თუკი რომელიმე ადამიანს ფული არ ექნება, მკურნალობისათვის რომ გადაიხადოს?

— რაღა პირდაპირ ამ რაღაც წვრილმან ნიუანსებში ძვრები, არაა შენი საქმე ამაზე ფიქრი. შენ გეყოლება მდივნები, ადმინისტრატორი. შენ უნდა იფიქრო მკურნალობაზე, სრულყოფაზე, უნდა დაესწრო სემინარებს გამოცდილების გასაზიარებლად. შენ თავად გესმის, თუ როგორ მუშაობს ეგ შენი ხერხი, ასე ვთქვათ, შენი სხივი, როგორი მექანიზმებია ამოქმედებული?

— მესმის და თქვენს სამყაროშიც ცნობილია ეს ხერხი. ექიმებმა, პროფესიონალმა მეცნიერებმა იციან მის შესახებ. ან გრძნობენ მის კეთილისმყოფელ ზემოქმედებას. საავადმყოფოებში ცდილობენ ელაპარაკონ ავადმყოფებს გასამხნევებლად, რომ მათ ხასიათი გამოუკეთონ. ექიმებმა, კარგა ხანია, შენიშნეს, რომ თუ ადამიანი დეპრესიულ მდგომარეობაშია, დაავადებისგან მისი განკურნება ძნელია, წამლები არ ეხმარება. თუ ადამიანს სიყვარულით მიუდგები, მაშინ დაავადება უფრო სწრაფად იხევს უკან.

— მაშინ რატომაა, რომ არავინ არ ესწრაფვის გარკვევას და მკურნალობის ამ ხერხის განავითარებას იმ დონემდე, როგორც შენ გაქვს.

— მეცნიერთაგან ბევრი ესწრაფვის გარკვევას. და ბევრი ადამიანი, რომლებსაც თქვენ სახალხო მკურნალებს უწოდებთ, ამ ხერხით სარგებლობენ, და ცოტა რაღაც მათაც გამოუდით. ამ ხერხით კურნავდნენ ხალხს იესო ქრისტე, წმინდა მამები. ბიბლიაში ბევრია ნათქვამი სიყვარულზე იმიტომ, რომ ეს გრძნობა კეთილისმყოფელურად ზემოქმედებს ადამიანებზე. იგი ყველა დანარჩენზე ძლიერია.

— რატომაა რომ მკურნალებსა და ექიმებს ცოტა აქვთ, შენ კი ასე მარტივად და ბევრი?

— იმიტომ, რომ ისინი თქვენს სამყაროში ცხოვრობენ, ამიტომ უწევთ, როგორც ყველას თქვენს სამყაროში, დამღუპველი გრძნობების დაშვება თავიანთ თავში.

— რა დამღუპველი გრძნობები, რა შუაშია აქ ისინი?

— დამღუპველი გრძნობები, ვლადიმირ, ესაა ბოროტება, მძულვარება, გახელება, ეჭვიანობა, შური... და სხვა. ისინი და ყველა მაგდაგვარი გრძნობები აუძლურებენ ადამიანს.

— შენ რა, ანასტასია, იშვიათად ბრაზობ?

— მე არასდროს ვბრაზობ.

— კარგი, ანასტასია. არა აქვს მნიშვნელობა, რის შედეგად ხდება იგი, ასეთი ეფექტი, მნიშვნელოვანია საბოლოო შედეგი და ის, თუ რა სარგებელი შეიძლება "გამოიღო" ყოველივე ამისგან. მითხარი, თანახმა ხარ წამოხვიდე ჩემთან ერთად და ხალხის მკურნალობით დაკავდე?

— ვლადიმირ, ჩემი სახლი და ჩემი სამშობლო ხომ აქ არის. და მე როცა აქა ვარ, მაშინ შემიძლია აღვასრულო ჩემი დანიშნულება. არაფერი არ მისცემს ადამიანს უფრო მეტ ძალას, ვინემ მისი სამშობლოა, მშობლების მიერ შექმნილი სიყვარულის სივრცე.

ხალხის მკურნალობა, მათთვის ფიზიკური უძლურების მოცილება მე შორიდანაც შემიძლია, ჩემი სხივის დახმარებით...

— კარგი, ბატონო. რადგან არ გინდა წამოსვლა, მიდი, შორიდან უმკურნალე. ჩვენ შეგვიძლია მოვილაპარაკოთ, რომელ ადგილზე მოვიდნენ განკურნების მსურველნი. ისინი გადაიხდიან ფულს და შენ განსაზღვრულ დროს უმკურნალებ მათ. ჩვენ კი, შევადგენთ ცხრილს. ამაზე თანახმა ხარ?

— ვლადიმირ, მე მესმის, რომ შენ გინდა, გქონდეს ბევრი ფული. შენ ის გექნება, მე დაგეხმარები. მაგრამ ნუ გავაკეთებთ მას ამ ხერხით. თქვენს სამყაროში იღებენ ფულს მკურნალობაში, სხვაგვარად არ ხერხდება თქვენს სამყაროში. მაგრამ, უკეთესია, მე ეს უფულოდ გავაკეთო. და კიდევ, მე არ შემიძლია, ვუმკურნალო განურჩევლად ყველას, იმიტომ რომ ყოველთვის ვერ ვარკვევ, როდისაა მკურნალობა სასარგებლო და როდისაა მავნებელი, მაგრამ მე შევეცდები გააზრებას და მიხვედრას. ხოლო როგორც კი გარკვევას შევძლებ...

– რა სისულელეა? როგორ შეიძლება ადამიანს ვნება მოუტანოს განკურნებამ, მკურნალობამ? თუ შენ მხედველობაში შენდამი ვნება გაქვს?

– ფიზიკურ უძლურებათა განკურნებას, ხშირად თავად განკურნებულისთვის მოაქვს ზიანი.

– ანასტასია, შენი "ფილოსოფოსობის" გამო შეტრიალებული გაქვს წარმოდგენები კეთილისა და ბოროტის შესახებ. ექიმები ყველა დროში საზოგადოებისგან პატივცემულნი იყვნენ, თუმცაღა თავის საქმიანობას უფასოდ არც ეწეოდნენ. თუ შენ ყოველთვის ბიბლიაზე მიუთითებ, იქაც არ უგულებელყოფენ ამას. ასე, რომ ამოიგდე თავიდან შენი ეჭვები. ადამიანის განკურნება – ეს ყოველთვის კარგია!

– იცი, ვლადიმირ, მე ვნახე... მე ბაბუამ მაგალითით დამანახა, თუ რა მავნებლობის მოტანა შეუძლია განკურნებას, როცა იგი გაუცნობიერებელია, როცა განკურნებაში თავად ავადმყოფი არ მონაწილეობს...

– თქვენ აქ რაღაც თავისებური ფილოსოფია გაქვთ. მე შენ ერთობლივ საქმეს გთავაზობ, რა შუაშია აქ მაგალითები?

განკურნება ჯოჯოხეთისათვის

ერთხელ ჩემი პატარა სხივით მე დავინახე ნაკვეთზე მომუშავე მარტოხელა მოხუცი ქალი. მკვირცხლი, გამხდარი, ყოველთვის ხალისიანი. მან მაშინვე დამაინტერესა. მისი ნაკვეთი სრულიად პატარა იყო, მასზე მრავალი ნაირსახეობა იზრდებოდა, კარგადაც ხარობდა იმიტომ, რომ იგი ყველაფერს სიყვარულით აკეთებდა. შემდეგ შევიტყვე, რომ მოხუც ქალს მთელი მოსავალი კალათით მიაქვს ხალხმრავალ ადგილებში და ყიდის. პირველი ნაყოფები, როცა ისინი თქვენთან ძვირი ღირს, ცდილობდა კი არ ეჭამა, არამედ გაეყიდა. მას ფული თავისი ვაჟიშვილის დასახმარებლად სჭირდებოდა. მან იგი ასაკში გააჩინა, უქმროდ დარჩა. ნათესავები მასთან არ ურთიერთობდნენ. ვაჟიშვილი ბავშვობაში ხატავდა და ქალიც ოცნებობდა, რომ იგი მხატვარი გახდებოდა. მანაც რამდენჯერმე სცადა სადღაც იქ, სასწავლებ-

ელში ჩაბარება. ბოლოს და ბოლოს მოეწყო კიდეც. წელი-წადში ორჯერაც ჩადიოდა თავის მოხუც დედასთან. ქალისთვის ეს სტუმრობები უდიდესი სიხარული იყო. იგი სულ აგროვებდა ფულს და ამზადებდა საკვების მარაგს. შვილის ჩამოსვლის დროისთვის ნაკვეთზე მოყვანილ ბოსტნეულს მინის ქილებში ხუფავდა და ყველაფერს მას აძლევდა. ძალიან უყვარდა ბიჭი და ოცნებობდა, რათა მისი ვაჟი კარგი მხატვარი გამხდარიყო. იგი ამ ოცნებით ცხოვრობდა. მოხუცი ქალი კეთილი და ხალი-სიანი იყო. შემდგომ მე რამდენიმე ხანს აღარ ვუცქერდი მას. ერთხელაც, როცა გადავწყვიტე, მისთვის ისევ შემეხედა, მოხუცი უკვე ძალიან ავად იყო. მას დახრა უჭირდა, ნაკვეთზე თავის მცენარეებთან რომ ემუშავა. ყოველი დახრაზე მის სხეულს მწვავე ტკივილი აუვლიდა ხოლმე. მაგრამ იგი ძალიან დიდი გამომგონებელი გამოდგა. მან გაიყვანა ვიწრო და გრძელი კვლები. ძველი ტაბურეტიდან უფეხო სკამი გააკეთა, დებდა კვლებს შორის, ჯდებოდა მასზე და ნათესებს სარეველისაგან მჯდომარედ მარგლავდა, ასე და ამგვარად, თვითნაკეთი სკამით გადაადგილდებოდა ხოლმე მთელს ნაკვეთზე. თან თოკით მიათ-რევდა და უხაროდა, რომ კარგი მოსავალი ექნებოდა.

მართლაც, კარგი მოსავალი იყო მოსალოდნელი, რადგან მცენარეები მის დამოკიდებულებას გრძნობდნენ და შესაბამისა-დაც რეაგირებდნენ. მოხუცებულს ესმოდა, რომ მალე მოკვდე-ბოდა და თავისი სიკვდილის შემდეგ შვილისთვის, რომ ნაკლები საზრუნავი დაეტოვებინა, კუბო თავად იყიდა, გასვენებისათვის ყვავილების გვირგვინი და ყველა საჭირო ნივთი მოამზადა. მაგრამ მას სურდა ბარემ სიკვდილამდე მოესწრო მოსავლის აღებაც და ზამთრისათვის შვილისთვის მისი დამზადებაც. მე მაშინ მნიშვნელობა არ მიმინიჭებია იმისათვის, რომ თავის ნაკვეთზე მცენარეებთან ასე მჭიდრო კონტაქტის პირობებში მაინც რატომ ავადმყოფობდა იგი. ვფიქრობდი, ალბათ იმიტომ, რომ საკუთარ ნაკვეთზე მოწეულ ნაყოფს, თავად თითქმის არ ჭამდა. ყიდდა მათ და აღებული ფულით, ცდილობდა, იაფფასიანი რაღაცეები ეყიდა.

გადავწყვიტე, დავხმარებოდი და ერთხელაც, როცა იგი დასაძინებლად დაწვა, მე დავიწყე ჩემი პატარა სხივით მისი

გათბობა და მისი სხეულიდან ტკივილების განდევნა. ვგრძნობ, რომ **სხივს** რაღაც ეწინააღმდეგება, მაგრამ მე მაინც ვცდილობდი. ასე, ალბათ ათ წუთზე მეტ ხანს ვაკეთებდი, სანამ ჩემსას არ მივაღწიე, სანამ არ განვკურნე მისი სხეული.

მერე, როცა ბაბუა მოვიდა, მე მოვუყევი მას მოხუც ქალზე და ვკითხე: რატომ ეწინააღმდეგებოდა "რაღაც" ჩემს პატარა **სხივს მეთქი?** იგი დაფიქრდა და თქვა, რომ მე კარგად არ მოვიქეცი. დავიბენი მაშინ მე. დავუწყე ბაბუას თხოვნა, აეხსნა, თუ რატომ? იგი დუმდა. მერე კი მიპასუხა: "შენ განკურნე სხეული".

— მერე დარა, რა უნდა ჩაგედინა ასეთი ცუდი იმ ქალის სულისათვის?

ანასტასიამ ამოიოხრა და განაგრძო:

— მოხუცი ქალი აღარ ავადმყოფობდა და აღარც მოკვდა. მისი ვაჟი მასთან ჩვეულებრივზე ადრე ჩამოვიდა. სულ რაღაც ორი დღით ჩამოვიდა და უთხრა: რომ მიატოვა სწავლა და აღარც მხატვარი უნდა რომ გახდეს, რომელიღაც სხვა საქმით დაკავდა, რომელსაც შემოსავალი მოაქვს. დაქორწინდა. ახლა მას უკვე ექნება ფული. ხოლო მან ქილებით მეტი აღარაფერი დაამზადოს მისთვის, რადგან მათი წაღება ახლა უკვე უფრო ძვირი დაჯდება.

"შენ თვითონ იკვებე უკეთესად, დედი", — უთხრა მან.

იგი წავიდა, ისე გაემგზავრა, რომ თან არაფერი წაუღია. მოხუცი ქალი დილით გამოვიდა პარმაღზე, უყურებდა თავის ნაკვეთს, თვალებიდან კი რაღაცნაირი სიცარიელე, სევდა და სიცოცხლის არნდომის სურვილი გამოსჭვიოდა. წარმოგიდგენია, სხეული ჯანმრთელია, სიცოცხლე კი მასში თითქოს და არც კი არის. მე დავინახე, უფრო კი ვიგრძენი, რა საშინელი სიცარიელე და უსაშველობაა მის **სულში**.

მე რომ მისი სხეული არ განმეკურნა, მოხუცი ქალი დროულად მოკვდებოდა, გარდაიცვლებოდა მშვიდად, ლამაზი ოცნებით, იმედით. ახლა კი, იგი ჯერ კიდევ სიცოცხლეშივე, აღმოჩნდა სიცარიელეში, ეს კი ბევრად უფრო საშინელია, ვინემ ფიზიკური სიკვდილი.

ორი კვირის შემდეგ იგი გარდაიცვალა.

კონფიდენციალური საუბარი

— მივხვდი, რომ ფიზიკური დაავადება — სულიერ ტანჯვასთან შედარებით არაფერია, მაგრამ მაშინ ჯერ კიდევ არ შემეძლო **სულის** მკურნალობა. ვისურვე გამეცნობიერებინა, თუ როგორ შეიძლებოდა ამის გაკეთება ან შეიძლებოდა კი საერთოდ? ახლა კი უკვე ვიცი — ეს შესაძლებელია.

და კიდევ, მივხვდი, რომ ფიზიკური დაავადებები ადამიანში ჩნდებიან არა მარტო გარემომომცველ ბუნებასთან განდგომის შედეგად და არა მარტო ბნელი გრძნობების შედეგად, რომლებსაც იგი თავის თავში უშვებს. ისინი — დაავადებები — შესაძლოა, გაფრთხილების მექანიზმი იყოს ან გაცილებით უფრო დიდი ტანჯვებისაგან გადარჩენა. ***დაავადებები — ეს ერთი იმ მექანიზმთაგანია, ურთიერთობის ხერხი უდიდესი ინტელექტისა — ღმერთისა — ადამიანთან. ადამიანის ტკივილი — ეს მისი ტკივილიცაა. სხვაგვარად არც შეიძლება.*** მაგალითად, როგორ გითხრა სხვაგვარად შენ: "ნუ იყრი საკუთარ კუჭში ყოველგვარ გამოუსადეგარს". შენ ხომ გონივრულობის სიტყვებს ვერ აღიქვამ? აი, მაშინ შენ გონივრულობა ტკივილით გესაუბრება. შენ კი გამაყუჩებელ აბებს სვამ და ისევ შენებურად ჯიუტობ.

— აბა, მაშ შენი თქმით რა გამოდის, ადამიანების მკურნალობა არ არის საჭირო? და არ უნდა დაეხმარო მათ შეუძლოდ ყოფნისას?

— დახმარება უნდა იყოს, მაგრამ უპირველეს ყოვლისა, დაავადების პირველმიზეზის ზუსტი გაცნობიერების შემდეგ.

აუცილებელია დახმარება იმის გაცნობიერებაში, - თუ რა სურს უთხრას მას დიადმა ინტელექტმა — ღმერთმა. მაგრამ ამის გაკეთება ძალზედ ძნელია. შესაძლოა შეცდე. ტკივილი ხომ — ორის კონფიდენციალური საუბარია, ერთმანეთის მცნობთა. მესამის ჩარევა ხშირად ვნებს ადამიანს და არ ეხმარება.

— აბა მაშ შენ ჩემგან რატომ გამოაძევე დაავადებები? გამოდის, ზიანი მომაყენე?

— ყველა შენი დაავადება დაგიბრუნდება, თუკი შენ არ შეცვლი საკუთარი ცხოვრების წესს, გარემოცვასთან და საკუთარ თავთან დამოკიდებულებას. თუკი არ შეიცვლი ზოგიერთ ჩვევას. სწორედ ისინი წარმოადგენენ შენი დაავადებების მიზეზებს. შენი სულისთვის მე ზიანი არ მიმიყენებია.

ჩემთვის ცხადი გახდა, ანასტასიას დარწმუნება, რომ მკურნალობის ნიჭი გამოეყენებინა შემოსავლის მისაღებად, შეუძლებელი იყო მანამ, სანამ იგი რაღაც-რაღაცეებს ბოლომდე არ გააცნობიერებდა. იფუშებოდა ჩემი კომერციული გეგმა. ანასტასიამ ალბათ, შენიშნა ჩემი წუხილი და თქვა:

— ნუ გაგიფუჭდება ხასიათი, ვლადიმირ, მე შევეცდები ყველაფერის სწრაფად გააზრებას, და ახლა, თუ კი შენ ნამდვილად გსურს ადამიანების და შენი თავის დახმარება და არა მარტო ფულის კეთება, მე მოგიყვები იმ ხერხების შესახებ, რომელთა დახმარებითაც ადამიანს თავად შეუძლია განიკურნოს თავი მრავალი დაავადებისგან, რომლის დროსაც არ იქნება ისეთი არასასურველი შედეგები, როგორიც მის ბედში გარეშეების ჩარევისას. თუ კი შენ მოისურვებ მის მოსმენას...

— აბა მე მეტი რაღა დამრჩენია? შენ მაინც ვერ გადაგათქმევინებს კაცი. მოყევი.

— არსებობს ადამიანის სხეულის დაავადების რამდენიმე მთავარი მიზეზი: ესაა დამღუპველი გრძნობებია, ემოციები, კვების მიღების ხელოვნური რეჟიმი და მისი შემადგენლობა, ახლო და შორეული მიზნების არარსებობა, ცრუწარმოდგენები საკუთარი არსისა და დანიშნულების შესახებ. სხეულის დაავადებებს, წარმატებით შეიძლება წინ აღუდგეს დადებითი ემოციები, მრავალი მცენარე. საკუთარი არსისა და დანიშნულების გადააზრებას ძალიან ბევრი რამის შეცვლა შეუძლიათ, ფიზიკურ მდგომარეობაშიც და სულიერშიც...

თუ როგორ შეიძლება დაბრუნდეს თქვენი სამყაროს პირობებში დაკარგული კავშირი ადამიანისა მცენარეულთან — უკვე გითხარი. ხოლო ყოველივე დანარჩენის გაცნობიერებაც ადვილად მიიღწევა ამ მცენარეებთან პირადი და უშუალო კონტაქტით.

კიდევ, **სიყვარულის სხივითაა** შესაძლებელი მოყვასის მრავალი დაავადებისგან განკურნება და მისი სიცოცხლის გახანგრძლივებაც კი, მის გარეშემო *სიყვარულის სივრცის* შექმნით.

მაგრამ თავად ადამიანიც, თუკი შეძლებს თავის თავში დადებითი ემოციების გამოწვევას, მათი მეშვეობით შეძლებს ჩაახშოს ტკივილი, განკურნოს სხეული დაავადებისგან, საწამლავებსაც კი შეეწინააღმდეგოს.

— რას ნიშნავს — გამოიწვიოს? როგორ შეიძლება იფიქრო კარგზე, თუ კბილი ან კუჭი გტკივა?

— სუფთა, ნათელი წამები ცხოვრებისა, დადებითი ემოციები, როგორც მფარველი ანგელოზები, გაიმარჯვებენ ტკივილზე და დაავადებებზე.

— თუ რომელიმე ადამიანს არ ჰქონია საკმარისად სუფთა და ნათელი წამები, გამომწვევნი განმკურნებელი დადებითი ემოციებისა, მაშინ რა ქნას მან?

— დაუყოვნებლივაა საჭირო ისეთი რამის შექმნა, რითაც წარმოჩნდებიან ისინი. ისინი ჩნდებიან, როცა გარშემომყოფი ადამიანები შენ გულწრფელი *სიყვარულით* გექცევიან. ჰოდა შეჰქმენი ასეთი სიტუაცია, შეჰქმენი საკუთარი საქციელით — გარშემომყოფთა მიმართ, სხვანაირად ვერ შეძლებს შენს დახმარებას შენი მფარველი-ანგელოზი...

— საინტერესოა გაგება, მყავდა კი მე ისინი და რა ძალისანი? როგორ უნდა გამოვიწვიო ისინი?

— ეს შესაძლებელია გაკეთდეს მოგონებების მეშვეობით. მაგალითად, რაღაცა კარგის მოგონებით, სასიამოვნოსი საკუთარი წარსულიდან. ამ მოგონების მეშვეობით შეიგრძენი ის სასიკეთო მდგომარეობა, რომელიც იყო შენში. გინდა შეეცადო პირდაპირ ახლავე? დაგეხმარები. სინჯე!

— კარგი, ბატონო, ვსინჯოთ.

— წამოწექი, ბალახზე თუ შეიძლება, და მოეშვი. გახსენება შეიძლება დაიწყო ცხოვრების დღევანდელი წამებიდან და წახვიდე წარსულში. შეგიძლია, გაიხსენო ბავშვობა და აზრობრივად წამოხვიდე დღევანდელი დღისკენ. შეგიძლია, ერთბაშად გაიხსენო ყველაზე სასიამოვნო წუთები და მათთან დაკავშირებული შეგრძნებები.

წამოვწექი ბალახზე. ანასტასიაც დამიწვა გვერდით და თავისი ხელის თითები ჩემსას დაადო. მე გავიფიქრე, რომ მისი აქ ყოფნა შეუშლიდა ხელს ჩემს მოგონებებზე კონცენტრირებას და ვთქვი:

— უკეთესია, მე თუ მარტო დავრჩები.

— წყნარად მოვიქცევი. შენ როცა მოგონებებს დაიწყებ, დამივიწყებ მე. ხელის შეხებასაც ვერ იგრძნობ. მაგრამ მე დაგეხმარები შენ უფრო სწრაფად და ნათლად გაიხსენო...

სადა ხარ შენ, მფარველო ანგელოსო?

განვლილი ცხოვრების მოვლენათა ქრონიკას ბავშვობისკენ მივყავდი. მოგონებებმა მიაღწიეს იმ მომენტამდე, როცა მე სოფლის პატარებთან ერთად ქვიშაზე ვთამაშობდი, შემდეგ შეჩერდნენ. სულში გაურკვეველი მოუსვენრობა დამეუფლა. მთელი განვლილი ცხოვრების არც ერთმა მოვლენამ არ გამოიწვია დადებითი ემოციები, იმის მსგავსი გრძნობები, რომელიც ჩემში იყო დილით, ანასტასიასთან გატარებული ღამის შემდეგ. ისეთებისაც, რომლებიც ანასტასიამ მაგრძნობინა მაშინ, როცა ჩემი გულისცემის რიტმს მიუსადაგა გარემო ბუნების რიტმები (მე ეს სიტუაცია აღვწერე თავში — "სამოთხესთან შეხება"). მაგრამ მიმაჩნდა, რომ ეს მშვენიერი შეგრძნებები, ჩემში მხოლოდ ანასტასიას მიერ შექმნილი იყო, ისინი არ არიან ჩემი. ისინი ხელოვნურნი, ანასტასიას მიერ ნაჩუქარნი იყვნენ. ჩემდა უნებურად ვადარებდი მათ იმას, რაც იყო ჩემს ცხოვრებაში და ანალოგს ვერ ვპოულობდი. ისევ და ისევ ვატრიალებდი მოგონებებს ჩემი ცხოვრებიდან, როგორც კინოფირს, წინ და უკან. ყველა მოვლენა დაკავშირებული იყო რაიმეს მიღების ან მიღწევის სწრაფვებთან, რიგით საწადელს ვიღებდი, კმაყოფილება კი არ მეუფლებოდა. მის მაგივრად — ახალი სურვილი... ცხოვრების ბოლო წლებმა, როცა ირგვლივმყოფები მიიჩნევდნენ, რომ მე ყველაფერი შესანიშნავად მიმდის, უფრო მეტი დაბნეულობა გამოიწვია. მანქანების შეძენა, ქალები და ბანკეტები, სა-

ჩუქრები და მოლოცვები – არაფრის მაქნისად და არასაჭიროდ მეჩვენებოდა.

უცებ ავდექი და ჩემს თავს თუ ანასტასიას, გაღიზიანებით მივმართე:

– არ არის ადამიანის ცხოვრებაში ეს განმკურნებელი შეგრძნებები! ყოველ შემთხვევაში, ჩემში ისინი არ არიან. ის კი არა და, ბევრ სხვაშიც, შესაძლოა, ისინი არც კი მოიძებნოს.

ანასტასიაც წამოდგა და მშვიდად შენიშნა:

– მაშინ, შენთვის აუცილებელია, რაც შეიძლება სწრაფად შექმნა ისინი.

– აბა, რა უნდა შევქმნა ასეთი? რა?

– ჯერ აუცილებელია გააცნობიერო, რაშია დიდი მნიშვნელოვნება, აზრი? შენ ახლა შენს ცხოვრებას ათვალიერებდი. თუმცაღა მოგეცა რა გაანალიზების შესაძლებლობა, ასე ვთქვათ, გეცქირა მისთვის გვერდიდან, მაინც ვერ შეძელი, შეგემჩნია მნიშვნელოვანი. სულ ჩვეულ, შენი გაგებით, ფასეულობებს ეპოტინებოდი. მითხარი, მაინც თუნდაც რომელ სიტუაციაში შეძელი, ბედნიერების შეგრძნებას, მიახლოებოდი?

– იყო ორი სიტუაცია, მაგრამ რაღაცამ შემიშალა, შემეგრძნო ისინი სრულყოფილ ბედნიერებად.

– ეს რა სიტუაციებია?

– გარდაქმნის პერიოდის დასაწყისში მე შევძელი თბომავლის გრძელვადიანი იჯარით აღება. ეს იყო საუკეთესო სამგზავრო თბომავალი მთელს დასავლეთ-ციმბირულ სამდინარო სანაოსნოში. "მიხაილ კალინინია" მისი სახელწოდება.

გაფორმებულიქნა ქაღალდები თბომავლის გრძელვადიანი იჯარის შესახებ. მივემგზავრები ნავმისადგომისკენ,დგას იგი – ულამაზესი, და მე, ჩემი თბომავლის გემბანზე პირველად ვადგამ ფეხს.

– შენი სასიხარულო შეგრძნებები კი ბევრად უფრო გაძლიერდა, როცა ფეხი შედგი გემბანზე?

– იცი რა, ანასტასია, ჩვენს ცხოვრებაში ბევრი სხვადასხვაგვარი პრობლემაა. როცა ავედი თბომავალზე, კაპიტანი შემომეგება.

ჩვენ მის კაიუტაში წავედით. გადავკარით თითო ბოკალი შამპანური. ვსაუბრობდით. კაპიტანმა თქვა, რომ სასწრაფოდაა აუცილებელი წყალგამტარი მილების გარეცხვა, თორემ სანეპიდსადგური არ იძლევა რეისში გასვლის უფლებასო. და კიდევ, კაპიტანმა თქვა...

— და ჩაეფალი შენ, ვლადიმირ, თბომავალთან დაკავშირებულ საზრუნავსა და პრობლემებში.

— დიახ, ჩავეფალი. ბევრი იყო ისინი...

— ხელოვნურად შექმნილი მატერია, სხვადასხვა მექანიზმები იმითი ხასიათდებიან, რომ პრობლემები მეტი მოიტანონ, ვინემ სიხარული. მათი დახმარებაც ილუზორულია ადამიანისათვის.

— არ გეთანხმები. თავის თავად, შესაძლოა, მექანიზმები პრობლემებს კი გვიქმნიან — შეკეთებას საჭიროებენ, მომსახურებას. სამაგიეროდ, მათი დახმარებით ბევრი რამის მიღწევაც შეიძლება.

— მაგალითად რისი?

— სიყვარულისაც კი.

— ჭეშმარიტ სიყვარულზე, ვლადიმირ, ხელოვნურად შექმნილი საგნები ვერ ბატონობენ. თუნდაც ყველა ისინი, მსოფლიოში ერთად არსებულნი, შენ რომ გეკუთვნოდეს, მათი დახმარებით მაინც ვერ მიაღწევდი ჭეშმარიტ სიყვარულს თუნდაც ერთი ქალისას.

— უბრალოდ, შენ ჩვენს ქალებს არ იცნობ. თუმცა კი მსჯელობ. მე კი ვაღწევდი.

— რას აღწევდი?

— სიყვარულს ადვილად ვაღწევდი. ერთი ქალი ძალიან ძლიერ მიყვარდა. რამდენიმე წელიწადი მიყვარდა. მას კი მაინცადამაინც არ სურდა ჩემთან ერთად სადმე წასვლა, განმარტოება. როცა თბომავალი გამიჩნდა, მე იგი გემზე მივიპატიჟე და ისიც დამთანხმდა. წარმოგიდგენია, რა სიხარული იყო ეს?! თბომავლის ბარში მე და ის სუფრასთან მარტონი ვისხედით. შამპანური, შესანიშნავი ღვინო, ანთია სანთლები, მუსიკა — და არავინ არაა. მარტონი ვართ ჩემი თბომავლის ცარიელ ბარში. მხოლოდ იგი არის ჩემს წინაშე, დავძარი თბომავალი, გემბანზე არავინ ავიყვანე, რათა მასთან მარტო დავრჩენილიყავი. თბომავალი მისრიალებს მდინარეზე. ბარში ჟღერს მუსიკა. მე იგი საცეკვაოდ

მივიწვიე. ფიგურა და მკერდი მას შესანიშნავი აქვს. მოვიზიდე ჩემსკენ... სიხარულით ამიძგერდა გული და ვაკოცე ტუჩებში.

იგი არ განმერიდა, თავადაც მომეხვია. შენ გესმის? იგი ჩემს გვერდით იყო, მე შემეძლო შევხებოდი მას, მეკოცნა. და ეს ყველაფერი თბომავლის წყალობით, შენ კი ამბობ — მხოლოდ, მარტო პრობლემებიო.

— შემდეგ, ვლადიმირ, რა მოხდა შენს თავს?

— არა აქვს მნიშვნელობა.

— მაინც გაიხსენე, თუ შეიძლება.

— გეუბნები მე შენ, რომ არა აქვს მნიშვნელობა.

— შეიძლება, მე რომ მოგიყვე, რა მოხდა იქ, თბომავალზე, იმ ახალგაზრდა ქალსა და შენს შორის?

— სცადე.

— შენ ბევრი ალკოჰოლი დალიე. სპეციალურად ცდილობდი, რაც შეიძლება მეტი დაგელია. შემდეგ მას წინ დაუდე შენი კაიუტის გასაღები — შენი შესანიშნავი აპარტამენტების, თავად კი ტრიუმში ჩახვედი. შენ თითქმის მთელი დღე-ღამე გეძინა მეზღვაურის პატარა კაიუტაში. და იცი რატომ?

— რატომ?

— დადგა მომენტი, როცა შენ დაინახე შენთვის საყვარელი ახალგაზრდა ქალის სახეზე უცნაური გამომეტყველება, თავის დაღწევის ღიმილი.

ინტუიციით, ჯერ კიდევ გაუაზრებლად, შენ მიხვდი — იგი, შენთვის საყვარელი ქალი, ოცნებობდა: "რა ბედნიერი ვიქნებოდი, ამ თბომავლის ბარში, სუფრასთან, ჩემს წინ არა მეგრე, არამედ ჩემთვის ძვირფასი ადამიანი რომ იჯდესო". შენი საყვარელი ქალი ოცნებობდა სხვაზე, იმაზე, ვინც მას მოსწონდა. იგი ოცნებობდა, რომ შენ კი არა, ის ყოფილიყო ამ თბომავლის მფლობელი. თქვენ იყავით მკვდარი მატერიის ძალაუფლების ქვეშ, დაუკავშირეთ მას საკუთარი ცოცხალი გრძნობები, სწრაფვები და იკლავდით მათ.

— ნუ გააგრძელებ, ანასტასია. მე არ მსიამოვნებს ამის გახსენება. სულერთია, მაინც ითამაშა თბომავალმა თავისი როლი. ჩვენც თბომავლის წყალობით შევხვდით ერთმანეთს.

— აწმყოს მოვლენებს აგებენ წინამორბედი გრძნობები და სულის აღმაფრენები. მხოლოდ ისინი ახდენენ გავლენას მომავალზე. მხოლოდ მათი სწრაფვა, მათი ფრთების ქნევა ირეკლება ზეციურ სარკეებში. მხოლოდ მათი აღმაფრენანი და მისწრაფებანი აისახებიან მიწიერი არსის ყოფაზე.

— როგორ გავიგოთ ეს?

— ჩვენი შეხვედრის წინამორბედი შეასძლოა უამრავი ჩემი და შენი **სულის** სწრაფვები ყოფილიყო, შესაძლოა, ჩვენი შორეული და ახლობელი მშობლებისაც კი. შესაძლოა, ეს გააკეთა იმ პატარა ალუბლის მხოლოდ ერთმა აღმაფრენამ, რომელიც ჰყვავის შენი ქალაქგარეთა სახლის ბაღში. მაგრამ არა თბომავალმა.

— რა შუაშია აქ ჩემი ბაღის ალუბალი?

— მრავალჯერ გადახედე რა შენს ცხოვრებას, ამ პატარა ალუბლისთვის და მასთან დაკავშირებული შენი გრძნობებისთვის არავითარი მნიშვნელობა არ მიგინიჭებია, სწორედ ისინი გახდნენ შენი ცხოვრების ბოლო წლების მთავარი მოვლენები. შენი თბომავლის მიმართ სამყარო არ რეაგირებდა. დაფიქრდი, აბა რას შეიძლება ნიშნავდეს სამყაროსთვის პრიმიტიული, მორახრახე მექანიზმი, რომელსაც უნარი არ გააჩნია აზროვნებისა და თვითაღდგენის?

ალუბალმა კი... პატარა ციმბირულმა ალუბალმა, რომლისთვისაც შენ ადგილიც არ დატოვე შენს მოგონებებში, სამყაროსეული სივრცეები ააფორიაქა, მოვლენათა სვლა შეცვალა, დაკავშირებულნი არა მარტო შენთან და ჩემთან. იმიტომ რომ ის ცოცხალია და, როგორც ყოველივე ცოცხალი, განუყოფლადაა დაკავშირებული მთელს სამყაროსთან.

ციცქნა ალუბალი

— გაიხსენე, ვლადიმირ, ყველაფერი, რაც ამ პატარა ხესთან გაკავშირებს. ყველაფერი, მასთან შეხების მომენტიდან დაწყებული.

— ვეცდები, თუ კი შენ ეს მნიშვნელოვნად მიგაჩნია.

— დიახ, ეს მნიშვნელოვანია.

— მივდიოდი მანქანით. არ მახსოვს საით. გავჩერდი ცენტრალურ ბაზართან. ვთხოვე მძღოლს, ხილის საყიდლად გადასულიყო. თავად ვიჯექი და ვუცქერდი, ბაზრიდან გამოსულ ადამიანებს როგორ მოჰქონდათ სხვადასხვა ნერგი.

— შენ უცქერდი მათ და გიკვირდა. რა გიკვირდა?

— წარმოგიდგენია, სახის გამომეტყველება მათ ხალისიანი, კმაყოფილი ჰქონდათ. ქუჩაში წვიმა და სიცივეა,ისინი მოათრევენ რაღაც ნერგებს, ფესვებზე შემოხვეული ჩვრით, ნაჭრებით, მათ უმძიმთ, მაგრამ მაინც კმაყოფილი სახეები აქვთ, მე კი მანქანის თბილ სალონში ვზივარ და მოწყენილი ვარ. როცა მძღოლი დაბრუნდა, მერე უკვე მე გადავედი ბაზარში. ჩავიარე გამყიდველთა შორის და ალუბლის სამი პატარა ნერგი შევიძინე. როცა მათ მანქანის საბარგულში ვყრიდი, მძღოლმა მითხრა, რომ ერთი ალუბალი ვერ გაიხარებდა, რადგან ძალიან მოკლედ ჰქონდა ფესვები წაჭრილი და სჯობდა, ახლავე გადამეგდო, მაგრამ მე მაინც დავიტოვე. ის ყველაზე ტანადი იყო. შემდეგ ისინი ჩემს ქალაქგარეთა სახლის ბაღში თავად დავრგე. მოკლედ ფესვებწაჭრილი ალუბლისათვის ამოთხრილ ორმოში მეტი შავი მიწა, ტორფის ნამტვრევები და კიდევ რაღაც სასუქი ჩავყარე.

— შენი მცდელობებით, დახმარებოდი ალუბალს სასუქით, ორი პატარა ფესვიც კი დაუწვი.

— მაგრამ იგი გადარჩა! გაზაფხულზე, როცა ხეებზე კვირტები დაიბერა, მისი ტოტებიც გაცოცხლდნენ. პატარა ფოთლებიც გამოჩნდნენ. შემდეგ მე, ჩემს კომერციულ ექსპედიციაში გავემგზავრე.

— მაგრამ მანამდე შენ, ყოველ დღე, ორ თვეზე მეტი ხნის განმავლობაში ქალაქგარეთ მდებარე სახლში მიემგზავრებოდი და პირველ ყოვლისა, პატარა ალუბალთან მიდიოდი. ხანდახან ეალერსებოდი მის ტოტებს, შეჰხაროდი პაწაწუნა ფოთლებს,

რწყავდი. მიწაში სარი ჩაარჭე და მისი ვარჯი მიამაგრე, რათა ქარს არ გადაეტეხა.

მითხარი, ვლადიმირ, როგორ მიგაჩნია, რეაგირებენ მცენარეები მათდამი ადამიანის დამოკიდებულებაზე? გრძნობენ კეთილ ან ბოროტ განწყობას?

— გამიგონია, თუ სადღაც წამიკითხავს, თითქოს ოთახის მცენარეები, ყვავილები რეაგირებენ. ზოგჯერ, როცა მათი მომვლელი სადმე გაემგზავრება, ჭკნებიან კიდეც. მეცნიერთა ცდების შესახებაც მსმენია: ხელსაწყოებს უერთებდნენ სხვადასხვა მცენარეებს და როცა მათ ადამიანი აგრესიულად უახლოვდებოდა, მათი ისრები ერთ მხარეს იხრებოდნენ, ხოლო როცა კეთილი განწყობით — მეორე მხარეს.

— ესე იგი, ვლადიმირ, შენთვის ცნობილია, რომ მცენარეები რეაგირებენ ადამიანურ გრძნობათა გამოვლინებებზე. და როგორც დიდი შემოქმედის მიერაა ჩაფიქრებული, ესწრაფვიან, ყველაფერი იღონონ ადამიანის ცხოვრების უზრუნველსაყოფად: ერთნი თავიანთი ნაყოფით, მეორენი კი თავისი ლამაზი ყვავილებით, ესწრაფვიან ადამიანში დადებითი ემოციები გამოიწვიონ, მესამენი სუნთქვისთვის ჰაერი დააბალანსონ.

მაგრამ არის კიდევ მათი ერთი, არანაკლებ მნიშვნელოვანი დანიშნულება. ის მცენარეები, რომლებთანაც კონკრეტული ადამიანი უშუალოდ შედის კონტაქტში, აყალიბებენ მისთვის, ჭეშმარიტი სიყვარულის სივრცეს. იმ სიყვარულისას, ურომლისოდაც დედამიწაზე ცხოვრება შეუძლებელია.

უამრავი მეაგარაკე მიისწრაფის თავისი ნაკვეთებისკენ იმიტომ, რომ ეს სივრცე იქ მათთვისაა ჩამოყალიბებული. და ციცქნა ციმბირული ალუბალი, რომელიც შენ დარგე, რომელსაც თავადვე უვლიდი, ესწრაფოდა გაეკეთებინა ის, რასაც აკეთებს თავისი დანიშნულების შესრულებისას ყველა მცენარე.

მცენარეებს შეუძლიათ ჩამოაყალიბონ ადამიანისათვის მნიშვნელოვანი სიყვარულის სივრცე, თუკი ისინი ბევრნი არიან. თუკი ისინი სხვადასხვაგვარები არიან და ადამიანი ურთიერთობს მათთან, ეხება მათ სიყვარულით. მათ, ყველას ერთად, შეუძლიათ ადამიანისთვის მნიშვნელოვანი სიყვარულის სივრცე შექმნან, სულზე კეთილისმყოფლად მოქმედი და სხეულის

მკურნალი. გესმის, ვლადიმირ, – ყველას ერთად, როცა ისინი ბევრნი არიან. მაგრამ შენ, მხოლოდ ერთ მცენარეს უვლიდი. და მაშინ ციცქნა ციმბირული ალუბალი ესწრაფვოდა, მარტოს გაეკეთებია ის, რისი გაკეთებაც შეუძლია მხოლოდ რამდენიმე სხვადასხვა მცენარეს ერთად.

მისი სწრაფვები გამოწვეული იყო მისდამი შენი უჩვეულო დამოკიდებულებით. შენ ინტუიციურად გესმოდა – შენს გარემოცვაში, მხოლოდ ეს პატარა ხე არ მოითხოვს არაფერს შენგან, არ პირფერობს, ესწრაფვის რათა მხოლოდ გასცეს, ამიტომაც მიდიოდი შენ, დაღლილი, მშფოთვარე დღის შემდეგ, პატარა ალუბალთან, იდექი და უცქერდი მას, და ისიც ცდილობდა...

გარიჟრაჟზე პირველი მზის სხივის გამოჩენამდე მისი ფოთლები ცდილობდნენ, დაეჭირათ მისი ანარეკლი აისის ცაზე.

ხოლო როცა მზე ჩადიოდა,ის ცდილობდა ვარსკვლავის კაშკაშა ნათებით ესარგებლა. და მას ეს სულ ცოტათი გამოუვიდა კიდეც.

მისმა ფესვებმა, დამწველი სასუქების გვერდის ავლით, შესძლეს, მიწისგან საჭირო წვენების ამოღება. მიწის წვენი მიედინებოდა მის პატარა ძარღვებში ჩვეულებრივზე ოდნავ უფრო აჩქარებით. ერთხელაც, მასთან მისვლისას, შენ მის წვრილ ტოტებზე პატარა ყვავილები შენიშნე. სხვა ნარგავებზე ყვავილები არ იყო, ის კი აყვავდა. შენ გაგიხარდა. განწყობა გამოგიკეთდა, და მაშინ ... აბა გაიხსენე, რა გააკეთე ვლადიმირ შენ მაშინ, როცა დაინახე მისი ყვავილები.

– მე ნამდვილად გამეხარდა. რატომღაც განწყობაც ამიმაღლდა და მის ტოტებს თითებით მივუალერსე.

– შენ ალერსიანად ეფერებოდი მის ტოტებს. და თქვი: "წარმოგიდგენია?! შეხედე ერთი ამას, ჩემი ლამაზმანი აყვავდა!".

ხეებს, ვლადიმირ, ნაყოფი მოაქვთ. მაგრამ ისინი ასევე სიყვარულის სივრცესაც აყალიბებენ. პატარა ალუბალს ძალზედ სურდა, რათა ის შენც გქონოდა. მაგრამ ჯერ კიდევ პატარას, საიდან შეეძლო აეღო ძალები, რათა ადამიანისთვის მისგან მიღებული უკან დაებრუნებია. მან უკვე გასცა ყველაფერი, რაც მის ძალებში იყო, მაგრამ მან მიიღო კიდევ უფრო უჩვეულო

რამ, მისდამი ნაზი დამოკიდებულება.... და აი, მაშინ, მან ისურვა, გაეკეთებია უფრო მეტი! მარტოს!

შენ ხანგრძლივ ექსპედიციაში გაემგზავრე. როცა დაბრუნდი, ალუბლისკენ მიუყვებოდი ბაღს. მიდიოდი და ბაზარში ნაყიდ ალუბლებს მიირთმევდი. როცა მას მიუახლოვდი, დაინახე — შენს ციცქნა ალუბალზეც ეკიდა სამი წითელი ნაყოფი. შენ იდექი მის წინაშე დაღლილი, ჭამდი ბაზარში ნაყიდ ალუბლებს და კურკებს ყრიდი. შემდეგ, შენ, ალუბალს ერთი ნაყოფი მოსწყვიტე, დააგემოვნე, ბაზრში ნაყიდთან შედარებით ოდნავ მჟავე იყო, დანარჩენ ორს ხელი არ დააკარე.

— სხვა ალუბლებით დავნაყრდი. მისი პატარა ნაყოფი მართლაც რომ უფრო მჟავე იყო.

— ო, შენ რომ გცოდნოდა, ვლადიმირ, ის პატარა ნაყოფები რამდენ რამეს შეიცავდნენ შენთვის სასარგებლოს. რამდენ ენერგიას და სიყვარულს. მიწის წიაღიდან და სამყაროს სივრცეებისგან მან შენთვის ყოველივე სასარგებლო შეკრიბა და იმ სამ ნაყოფში ჩადო. მან ერთ-ერთი თავისი ტოტიც კი გაახმო, რათა ამ სამ ნაყოფს დამწიფება შეძლებოდათ. შენ კი მხოლოდ ერთი გასინჯე, დანარჩენ ორს ხელი არ დააკარე.

— აბა, მე ხომ არ ვიცოდი. მაგრამ მაინც მესიამოვნა, რომ მან შეძლო ნაყოფის გამოღება.

— დიახ, შენთვის სასიამოვნო იყო. და მაშინ.... შენ გახსოვს, რა გააკეთე იმ მომენტში?

— მე? ჰო, ისევ მოვეფერე ალუბლის ტოტებს.

— და არა მარტო მოეფერე. შენ დაიხარე კიდევაც და ტოტის ფოთოლს აკოცე, რომელიც შენი ხელის გულზე იდო.

— დიახ, ვაკოცე. იმიტომ რომ განწყობა მქონდა კარგი.

— ალუბალსაც წარმოუდგენელი რამ დაემართა. კიდევ რისი გაკეთება შეეძლო მას შენთვის, თუკი შენ, მის მიერ ასეთი სიყვარულით გამოზრდილი ნაყოფები არ შეჭამე?

ადამიანის კოცნისგან ათრთოლდა ის და აიჭრნენ სამყაროს მთელ სივრცეში მხოლოდ ადამიანისთვის დამახასიათებელი, მაგრამ პატარა ციმბირული ალუბლის ხის მიერ წარმოქმნილი აზრი და გრძნობები, — რათა დაებრუნებინა ადამიანისთვის ის, რაც მისგან მიიღო.

აჩუქოს ადამიანს თავისი სიყვარულის კოცნა, გაათბოს იგი სიყვარულის ნათელი გრძნობებით. ყველა კანონის საწინააღმდეგოდ აზრ-ფიქრი აქეთ-იქეთ აწყდებოდა მთელს სამყაროში და ვერ პოულობდა განხორციელებას.

განხორციელების შეუძლებლობის გაცნობიერება — ეს სიკვდილია.

ნათელი ძალები უკვე უბრუნებდნენ პატარა ალუბალს მის მიერ წარმოქმნილ აზრ-ფიქრს, რათა მას შეძლებოდა გაენადგურებინა აზრ-ფიქრები თავის თავში და არ დაღუპულიყო. მაგრამ ის არ იბრუნებდა!

უცვლელი რჩებოდა ციმბირული პატარა ალუბლის ხის მგზნებარე სურვილი, უაღრესად სუფთა და ფაქიზი.

ნათელმა ძალებმა არ უწყოდნენ, რა ექნათ. დიდი შემოქმედი არ ცვლიდა ჰარმონიის დადგენილ წესებს. მაგრამ პატარა ალუბლის ხე არ დაღუპულა. იმიტომ არ დაღუპულა, რომ მისი აზრ-ფიქრი, სწრაფვები და გრძნობები უაღრესად სუფთა იყო, ხოლო *სამყაროსეული კანონების მიხედვით, წარმოქმნილი სუფთა სიყვარულის განადგურება არაფერს ძალუძს.* და დაფარფატებდა ის შენს თავზე, წრიალებდა, ესწრაფოდა ეპოვა ხორცშესხმა. მთელს სამყაროში მარტო ესწრაფოდა შეექმნა შენთვის *სიყვარულის სივრცე.*

მე მოვედი თქვენს თბომავალზე, რათა რაღაცნაირად მაინც მეცადა ციცქნა ალუბლის დახმარება და მისი სურვილის ხორცშესხმა. ჯერ კიდევ არც კი ვიცოდი, ვისდამი იყო იგი განკუთვნილი.

— გამოდის, რომ შენი ჩემდამი დამოკიდებულება გამოწვეულია სურვილით, რათა დახმარებოდი ალუბლის ხეს?

— ჩემი დამოკიდებულება შენს მიმართ, ვლადიმირ, — ეს არის მხოლოდ ჩემი დამოკიდებულება. ძნელი სათქმელია, ვინ ვის ეხმარებოდა; ალუბალი მე თუ მე ალუბალს? სამყაროში ყველაფერი ურთიერთკავშირშია. სინამდვილის აღქმა საჭიროა მხოლოდ საკუთარი თავით. მაგრამ ახლა, ნება მიბოძე, რეალობაში განვახორციელო პატარა ალუბლის სურვილი. შეიძლება, რომ მე შენ მის მაგივრად გაკოცო?

— რა თქმა უნდა, შეიძლება. რადგან ასეა საჭირო. მე მის ნაყოფსაც, როცა დავბრუნდები, ყველას შევჭამ.

.ანასტასიამ თვალები დახუჭა. თავისი ხელები მიიკრა გულზე და წყნარად წაიჩურჩულა:

– ციცქნა ალუბალო, იგრძენი შენ. მე ვიცი, შენ შეძლებ იგრძნო. მე ახლა გავაკეთებ იმას, რაც შენ გინდოდა. ეს შენი კოცნა იქნება, ციცქნა ალუბლის ხევ. – შემდეგ ანასტასიამ ხელები სწრაფად დამადო მხრებზე, თვალდახუჭული მომიახლოვდა, ტუჩებით შემეხო ლოყაზე და გაირინდა.

უცნაური კოცნა, უბრალო შეხება ტუჩებით. მაგრამ ის განსხვავდებოდა ყველა აქამდე ჩემთვის ნაცნობი კოცნისაგან. მან, აქამდე უცნობი, არაჩვეულებრივად სასიამოვნო შეგრძნება გამოიწვია. ალბათ ტუჩების, ენის ანდა ტანის მოძრაობის ტექნიკას არ აქვს მნიშვნელობა. ეტყობა, მთავარია ის, რაც დაფარულია ადამიანის შიგნით და ვლინდება კოცნის დროს.

მაგრამ რა იმალება ისეთი ამ ტაიგელ განდეგილ ქალში? საიდან აქვს ამდენი ცოდნა, უჩვეულო თვისებები და გრძნობები? ანდა იქნებ შესაძლოა, ყველაფერი, რასაც იგი ამბობს, მისი წარმოსახვის ნაყოფია?

მაშინ საიდან მოდიან ჩემში უჩვეულოდ მაცხოვნებელი, მომაჯადოებელი და ყოველივე შინაგანის გამათბობელი შეგრძნებები? შესაძლებელია, ერთობლივი ძალისხმევით შევძლოთ საიდუმლოს გახსნა შემდეგი სიტუაციის დახმარებით, რომლის მოწმეც, მომიწია, რომ გავმხდარიყავი.

ვინაა დამნაშავე?

ერთხელ, როდესაც ანასტასია ცდილობდა, ცხოვრებისეულ ნირზე და რწმენაზე რაღაც აეხსნა ჩემთვის, მაგრამ ვერ პოულობდა შესაფერის, გასაგებ სიტყვებს, მას კი, როგორც ჩანს, ძალიან სურდა ეპოვა ისინი, ამის გამო შემდეგი რამ მოხდა.

მან მიმიყვანა მოგუგუნე კედართან და დავინახე, რომ მისი ვარჯიდან, ოდნავ მანათობლისგან, მაღლა მიედინებოდა პატარა სხივი. ანასტასია სწრაფად შებრუნდა სახით მოგუგუნე კედრისკენ, მიადო ხელისგულები კედარის ტანს, და ამის შემდეგ ანასტასიას რაღაც გაუგებარი დაემართა. მან თავი ასწია რა ზევით, მიმართა კედარს თუ კიდევ ვიღაცას ზემოთ, უეცრად

მღელვარედ და თავდავიწყებით დაიწყო ლაპარაკი – ხან სიტყვებით, ხან ბგერებით.

იგი ცდილობდა რაღაცის ახსნას, დამტკიცებას, რაღაცაზე ეხვეწებოდა. დრო და დრო მის მონოლოგში იქსოვებოდა დაჟინებული-მომთხოვნი ნოტები. გაძლიერდა ტკაცუნი – კედრის გუგუნი. უფრო ნათელი და სქელი გახდა *კედარის სხივი.* და აი, მაშინ ანასტასიამ, მომთხოვნი ტონით წარმოსთქვა:

– მიპასუხე მე. მიპასუხე! განმიმარტე! მომეცი მე იგი, მომეცი! ამავდროულად მან თავი გააქნია და შიშველი ფეხითაც კი დაატყაპუნა.

მოგუგუნე კედრის ვარჯის ფერმკრთალი ნათება გაესწრაფა სხივისკენ და სხივი, მოწყდა რა კედარს, ზევით გაფრინდა თუ აორთქლდა. მაგრამ იქვე გამოჩნდა მეორე სხივი, ზემოდან წამოსული კედარისაკენ. ის თითქოს მოცისფრო ნისლისა თუ ღრუბლისაგან შედგებოდა.

კედრის წიწვების ქვემოთ მიმართული ბოლოები განათდნენ ისეთივე ღრუბლისნაირი, ძლივს შესამჩნევი პატარა სხივებით. და ეს პატარა სხივები მიისწრაფოდნენ ანასტასიასკენ, მაგრამ არ ეხებოდნენ მას. ისინი, თითქოს ქრებიანო, იქნებიანო ჰაერში. როცა მან ისევ მომთხოვნად დააბაკუნა ფეხი და ხელისგულებითაც კი შემოარტყა მოგუგუნე კედარის უზარმაზარ ტანს, შეირხნენ განათებული წიწვები და, მათგან გამოსული პატარა სხივები შეირწყნენ ერთიან ნისლოვან სხივად. თუმცა იგი, ეშვებოდა რა ძირს, ანასტასიასკენ, არ ეხებოდა მას, სხივი იქნებოდა ჰაერში, თითქოს ორთქლდებაო, ჯერ დაახლოებით ანასტასიასგან ერთ მეტრში, შემდეგ ნახევარმეტრში...

მე შეძრწუნებულმა გავიხსენე, რომ სწორედ ასეთი სხივისგან დაიღუპნენ მისი მშობლები.

ანასტასია ჯიუტად აგრძელებდა რაღაცის მუდარას, იმგვარ მოთხოვნას, როგორც განებივრებული ბავშვი თხოვს თავის მშობლებს მისთვის სასურველის მისაღებად. უეცრად სხივი გაექანა მისკენ და მთლიანად მიანათა მას ისე, როგორც ფოტოგრაფირებისას ნათდება ხოლმე.

ანასტასიას გარშემო წარმოიქმნა და აორთქლდა ღრუბელი. სხივი, რომელიც კედარიდან მოდიოდა, აორთქლდა, წვრილი სხივებიც, წიწვებიდან წამოსული, ჩაქრა. დნებოდა ღრუბელი ანასტასიას გარშემო. იგი თითქოს ხან მასში შედიოდა, ხან იქნებოდა სივრცეში.

ანასტასია, გაბრწყინებული და ბედნიერი ღიმილით, შემოტრიალდა, გადმოდგა ნაბიჯი ჩემსკენ და შეჩერდა, მზერა ჩემს მიღმა მიაპყრო. მე შევტრიალდი. მინდორზე ანასტასიას ბაბუა და დიდი ბაბუა შემოდიოდნენ. კვერთხის მსგავს ჯოხზე დაყრდნობილი მაღალი, ჭარმაგი დიდი ბაბუა, ბაბუაზე ოდნავ წინ, ნელი ნაბიჯით მომავალი, მე რომ გამისწორდა, შეჩერდა. შემომხედა ისე, თითქოს სივრცეს გასცქერისო. მე ვერც კი მივხვდი, მხედავდა იგი თუ არა. დიდი ბაბუა იდგა მდუმარედ, შემდეგ სალმის გარეშე, თავი ოდნავ დამიკრა, არც ერთი სიტყვა არ უთქვამს, ისე გაემართა ანასტასიასაკენ. ბაბუა მოუსვენარი, მაგრამ ძალიან უბრალო იყო. მთელი მისი იერ-სახე იმაზე მეტყველებდა, რომ იგი, მხიარული და კეთილი ადამიანია. როგორც კი გამისწორდა, ბაბუა მაშინვე შეჩერდა, გლეხურად, ხელის ჩამორთმევით მომესალმა. რაღაცის ლაპარაკი დაიწყო. მაგრამ არაფერი მის მიერ მაშინ თქმული, არ დამმახსოვრებია. რატომღაც მანაც და მეც მღელვარედ დავუწყეთ ცქერა იმას, რაც კედართან ხდებოდა.

დიდი ბაბუა ანასტასიასაგან დაახლოებით ერთ მეტრში შეჩერდა. ერთ ხანს ისინი მდუმარედ შესცქეროდნენ ერთმანეთს. ანასტასია ჭარმაგი მოხუცის წინაშე იდგა, ხელები დაბლა ჰქონდა დაშვებული, ისე, როგორც მკაცრი გამომცდელის წინაშე მოსწავლე ან აბიტურიენტი დგას ხოლმე. იგი დანაშაულჩადენილ ბავშვს ჰგავდა და იგრძნობოდა, რომ ღელავდა.

დაძაბულად ჩამოწოლილ სიჩუმეში გაისმა ჭარმაგი დიდი ბაბუის მკერდისმიერი, ხავერდოვანი და მკაფიო ხმა. იგი, არც ანასტასიას მისალმებია, მაშინვე, დინჯად და მკაფიოდ წარმოსთქვა რა სიტყვები, მკაცრად ჰკითხა:

— ვის შეუძლია, ნაბოძები ნათელისა და რიტმის ავლით, მიმართოს პირდაპირ **მას?**

— ნებისმიერ ადამიანს შეუძლია მიმართოს **მას**! საწყისიდანვე **იგი** დიდი სიხარულით თავადაც საუბრობს ადამიანთან. ახლაც სურს **მას** ეს, — სწრაფად უპასუხა ანასტასიამ.

— **მის** მიერ ყველა გზაა დასახული? ბევრს დედამიწაზე მცხოვრებთაგანს აქვს მათი შეცნობის უნარი? შენ გაქვს უნარი დაინახო ეს გზები?

— დიახ. მე დავინახე ადამიანთათვის დასახული. დავინახე, რომ მომავალი მოვლენები დამოკიდებულია დღევანდელ მაცხოვრებელთა შეგნებაზე.

— **მ**ისმა ძეებმა, **მ**ისი ცნებების გასხივოსნებულმა მიმდევრებმა, **მისი სულის** შემცნობელებმა, საკმარისი გააკეთეს სხეულში მცხოვრებთა მიხვედრილობისათვის?

— ისინი ყველაფერს აკეთებდნენ და აკეთებენ, არ ზოგავენ საკუთარ სიცოცხლეს. მოჰქონდათ და მოაქვთ **ჭეშმარიტებანი**.

— მხილველს შეუძლია დაეჭვება გონიერებაზე, სიკეთეზე და **მისი სულის** სიდიადეზე?

— **მას** არ ჰყავს ბადალი! **იგი** ერთია! მაგრამ **მას** სურს ურთიერთობა. სურს, რათა **მისი ესმოდეთ**, უყვარდეთ, როგორც უყვარს **მას**.

— დასაშვებია კი კადნიერება და მოთხოვნა **მასთან** ურთიერთობისას?

— **მ**ან მისცა თავისი სულისა და გონის პატარა ნაწილაკი თითოეულ მაცხოვრებელს დედამიწაზე. და თუ კი ადამიანში მყოფი პატარა ნაწილი-ნატამალი, **მ**ისი ნატამალი, არ ეთანხმება ზოგადმიღებულს, გამოდის **მისთვის**, სწორედ **მისთვის**, არ არის მისაღები ყველაფერი წინასწარდასახულში. **იგი** ფიქრობს. შეიძლება კი **მ**ის ფიქრებს კადნიერება ეწოდოს?

— ვისა აქვს ნებადართული ააჩქაროს **მ**ისი ფიქრის მსვლელობა?

— ნების დართვა შეუძლია მხოლოდ ნების დამრთველს.

— შენ რას სთხოვ?

— როგორ შევაგნებინო შეუგნებლებს, შევაგრძნობინო უგრძნობლებს?

— განსაზღვრულია კი ჭეშმარიტების ვერაღმქმელთა ხვედრი?

— ჭეშმარიტების ვერაღმქმელთა ხვედრი განსაზღვრულია. მაგრამ ჭეშმარიტების ვერაღქმისათვის პასუხისმგებლობა — ვერაღმქმელზე თუ მის მიმწოდებელზე?

— რაა? .. გამოდის, შეენ? ... — აღელვებით წარმოთქვა დიდმა ბაბუამ და გაჩუმდა.

რამდენიმე ხანს იგი მდუმარედ შესცქეროდა ანასტასიას. შემდეგ, დაეყრდნო რა ჯოხ—კვერთხზე, დიდი ბაბუა ნელა დაეშვა ცალ მუხლზე, აიღო ანასტასიას ხელი, დახარა ჭაღარა თავი, ეამბორა მას და წარმოსთქვა:

— გამარჯობა, ანასტასია.

ანასტასია სწრაფად დაეშვა დიდი ბაბუის წინ მუხლებზე, გაკვირვებით და აღელვებით ალაპარაკდა:

— რას აკეთებ, ბაბუ, შენ რა, როგორც პატარას ისე რატომ მექცევი? მე ხომ უკვე დიდი ვარ.

შემდეგ ბაბუას მხრებზე მოეხვია, ჭაღარა წვერით დაფარულ მის მკერდს თავი მიაყრდნო და გაირინდა.

მე ვიცოდი, იგი უსმენდა, როგორ სცემდა ბაბუას გული. მას ბავშვობიდან უყვარდა გულის ცემის მოსმენა.

ცალმუხლდაჩოქილი ჭაღარა მოხუცი ერთი ხელით ჯოხ—კვერთხს ეყრდნობოდა, მეორეთი კი ანასტასიას ოქროსფერ თმებს ეფერებოდა.

ბაბუა აღელდა, აფორიაქდა, მიირბინა მუხლებზე დაჩოქილ მამასთან და შვილიშვილთან. დაცუნცულებდა მათ გარშემო, მერე მოულოდნელად ხელები გაშალა და თვითონაც დაეშვა მუხლებზე, მოეხვია მათ...

პირველი ბაბუა ადგა. შემდეგ მამამისს მიეხმარა წამოდგომაში. დიდი ბაბუა კიდევ ერთხელ ყურადღებით შეაცქერდა ანასტასიას, დინჯად შემობრუნდა და ნელ-ნელა გაშორდა.

ბაბუა სწრაფად ალაპარაკდა, ოღონდ გაუგებარი იყო, ვის მიმართავდა:

— და მაინც ყველანი ანებივრებენ მას. **ი**სიც ანებივრებს მას. უყურე ერთი. საით ამძვრალა?!. თავის ცხვირს ჰყოფს,

სადაც მოესურვება. არავინაა მისი აღმზრდელი! მეაგარაკეებს ახლა ვინღა მიეხმარება? ვინ?

დიდი ბაბუა შეჩერდა. დინჯად შემობრუნდა. და მისმა მკერდისმიერმა, ხავერდოვანმა ხმამ ისევ მკაფიოდ წარმოთქვა:

— გააკეთე, ბაბუ, როგორც შენი გული და **სული გიკარნახ-ებს**. შენს მეაგარაკეებთან თავად მე მოგეხმარები. — შებრუნდა დიდებული ჭარმაგი ბერიკაცი და ნელ-ნელა გავიდა მინდვრიდან.

— მე ხომ ვამბობ, რომ მას ყველა ანებივრებს, - ისევ ჩაილაპარაკა ბაბუამ.

აიღო წკნელი და სიტყვებით: 'აი, ახლავე აღვზრდი მე მაგას...'' — გაცუნცულდა ანასტასიასაკენ წკნელის ქნევით.

ოი, ოი! — ანასტასიამ, თითქოს შიშს გამოხატავსო, ხელები აიქნია, შემდეგ გაიცინა და მოახლოებულ ბაბუას განზე გაუხტა.

— ამან გაქცევაც მომინდომა, აბა ნახე თუ არ დაგეწიო!

და იგი უჩვეულოდ სწრაფად და მსუბუქად გაიქცა ანასტასიასაკენ. ანასტასია კი სიცილ-კისკისით გაურბოდა და თან ზიგზაგებს აკეთებდა მინდორზე. ბაბუა არ ჩამორჩენილა, მაგრამ ვერც ეწეოდა.

უეცრად ბაბუამ ამოიოხრა, ჩაიმუხლა და ფეხზე ხელი იტაცა. ანასტასია სწრაფად შემოტრიალდა, სახეზე აღელვება გამოეხატა. მიირბინა ბაბუასთან, ხელები გაუწოდა მას. და იქვე გაშეშდა. მისმა წკრიალა, გადამდებმა სიცილმა მინდორი მოიცვა. მე ყურადღებით დავაკვირდი ბაბუს პოზას და მივხვდი ანასტასიას გამხიარულების მიზეზს.

ბაბუას ერთ ფეხზე ჩაემუხლა, ხოლო მეორე წინ გაეჭიმა და ასე გაშვერილი ეკავა, რათა მიწას არ შეხებოდა. ზუსტად იმ ფეხს, რომელზეც იყო ჩამუხლული, როგორც დაზიანებულს, ისე უსვამდა ხელს. მან მოხერხებულობით აჯობა ანასტასიას, თუმცა არ მოუტყუებია იგი.

როგორც შემდგომ გაირკვა, ანასტასიას დროულად უნდა შეემჩნია მისი პოზის კომიკურობა. სანამ ანასტასია იცინოდა, ბაბუამ მოასწრო მისთვის ხელის წავლება, ასწია თავისი წკნე-

ლი და, როგორც ბავშვს, მსუბუქად გადააწნა იგი. ანასტასია სიცილით ცდილობდა ტკენის გამოხატვას. მიუხედავად ჩუმ-ჩუმად ჩაცინებისა, ბაბუა მოეხვია მას მხრებზე და უთხრა:

— კარგი ახლა, ნუ სტირი. მიიღე? ახია შენზე. აწი დამიჯერებ. თუ არა და, აი, მე ბებერი არწივის წრთვნა დავიწყე. ის, მართალია, ხნიერია, მაგრამ ჯერ კიდევ აქვს ძალა და ბევრი რამ ახსოვს. ეს კი ყველგან მიძვრება, უგუნური.

ანასტასიამ შეწყვიტა სიცილი, ყურადღებით შეხედა ბაბუას და წამოიძახა:

— ბაბულიკო!... ჩემო ძვირფასო ბაბულიკო! არწივის!... გამოდის, შენ უკვე იცი პატარას შესახებ?!

— ეს ხომ ვარსკვლავმა!...

ანასტასიამ ბაბუას სიტყვის დასრულება არ აცალა. წელზე შემოჰხვია ხელები, მიწიდან აიტაცა და დაატრიალა. როცა ისევ მიწაზე დასვა, ბაბუა შებარბაცდა და, ცდილობდა რა, მკაცრი ყოფილიყო, უთხრა:

— შენ უფროსებს როგორ მიმართავ? მე ხომ ვამბობ — აღზრდაა სუსტი. — და იგი წკნელის ქნევით სწრაფად გაეშურა მამამისისკენ დასაწევად.

როცა ბაბუა მინდვრის ბოლოში ხეებს გაუსწორდა, ანასტასიამ კვალდაკვალ მიაძახა:

— დიდი მადლობა შენ, ბაბულიკო, არწივისთვის, მადლობა!

ბაბუა მოტრიალდა, შეაცქერდა მას და უპასუხა:

— ოღონდ შენ, ბაბუ, იყავი, თუ შეიძლება... — მისი ხმის ტონი ძალზე ალერსიანი იყო. ამიტომ მან, გაწყვიტა რა ფრაზა, ოდნავ მკაცრად დაუმატა: — მიყურე მე შენ! — და ხეებს მიღმა მიიმალა.

პასუხი

როცა ჩვენ მარტონი დავრჩით, მე ანასტასიას ვკითხე:

— შენ რა, რაღაც არწივის გამო, ასე რატომ გაიხარე?

— არწივი ძალიან საჭირო იქნება პატარასთვის, — მიპასუხა მან, — ჩვენი შვილისთვის, ვლადიმირ.

— რომ ითამაშოს?

— დიახ, ოღონდ თამაშს ძალზედ დიდი აზრი აქვს შემდგომი გაცნობიერებებისათვის, შეგრძნებებისთვის.

— გასაგებია. — თუმცაღა, არც ისე გასაგები იყო ჩემთვის რაღაც თამაში ფრინველთან, თუნდაც არწივთან. — კედართან შენ რაღას აკეთებდი? ლოცულობდი თუ ესაუბრებოდი ვინმეს? რა ხდებოდა შენსა და კედარს შორის, შენი დიდი ბაბუა ასე მკაცრად რატომ გელაპარაკებოდა?

— მითხარი, ვლადიმირ, არის კი, ვთქვათ, შენი აზრით, რაღაც გონიერი, ანდა საერთოდ, არსებობს კი გონი უხილავ ქვეყანაზე, კოსმოსში, სამყაროში? რას ფიქრობ შენ ამის შესახებ?

— ვფიქრობ, არსებობს. რახან ამის შესახებ მეცნიერებიც კი საუბრობენ, კონტაქტიორებიც, ბიბლიაც.

— აი, ეს "რაღაც" დაასახელე რაიმე სიტყვით, შენთვის უფრო მეტად ახლობელით. ეს საჭიროა ჩვენთვის, ორივესათვის, რათა ერთნაირად ვსაზღვრავდეთ. ვთქვათ, მაგალითად, გონი, ინტელექტი, არსება, ნათელი ძალები, ვაკუუმი, აბსოლუტი, რითმი, სული, ღმერთი.

— ვთქვათ, ღმერთი.

— კარგი.

— ახლა კი მითხარი, ესწრაფვის კი ღმერთი ადამიანთან საუბარს, შენ როგორ ფიქრობ? არა ხმით ზეციდან, არამედ ადამიანების მეშვეობით, ბიბლიის მეშვეობით, ვთქვათ, გვკარნახობს, თუ როგორ უნდა ვიყოთ უფრო ბედნიერი?

— მაგრამ, არ არის აუცილებელი, ბიბლია რომ ღმერთს ეკარნახა.

— აბა მაშ ვის, შენი აზრით?

— შეეძლოთ ადამიანებსაც, რომელთაც სურდათ რელიგიის მოფიქრება. დასხდნენ და კოლექტიურად დაწერეს.

— გამოდის, ასე მარტივადაა? დასხდნენ ადამიანები, დაწერეს წიგნი, მოიგონეს სიუჟეტები, კანონები? და ეს წიგნი უკვე არაერთი ათასწლეულია არსებობს და წარმოადგენს ყველაზე მასობრივსა და კითხვად წიგნს! გასული საუკუნეების მანძილზე უამრავი რაოდენობის სხვა წიგნი დაიწერა, მაგრამ მასთან ბევრს არ შეუძლია გატოლება. შენი აზრით, რას უნდა ნიშნავდეს ეს?

— არ ვიცი. უძველესი წიგნები, რა თქმა უნდა, დიდი ხანია არსებობენ, მაგრამ ადამიანის უმრავლესობა მაინც თანამედროვე ლიტერატურას კითხულობს — რომანებს, სხვადასხვა დეტექტივებს. რატომ?

— იმიტომ, კითხვისას მათი, ფიქრი სულაც არ არის საჭირო. ბიბლიის კითხვისას კი, აუცილებელია დაფიქრებით კითხვა და ბევრ კითხვაზე საკუთარ თავს თავად გასცე პასუხი. მაშინ ხდება იგი გასაგები. იხსნება. თუკი მიუდგები მას მხოლოდ როგორც უეჭველ დოგმას, მაშინ საკმარისია, რამდენიმე მცნება წაიკითხო და დაიმახსოვრო. მაგრამ ნებისმიერი დოგმა, გარედან შემოტანილი და არა შიგნით, შიგნიდან შენში, გააზრებულ-გაცნობიერებული, ბლოკავს ადამიან–შემოქმედის შესაძლებლობებს.

— ბიბლიის კითხვისას რომელ შეკითხვებზეა პასუხის გაცემა საჭირო?

— დასაწყისისთვის შეეცადე გაერკვე, ფარაონი რატომ არ უშვებდა ისრაელელ ხალხს ეგვიპტიდან?

— აბა რა არის აქ საფიქრალი? ისრაელიანელები ეგვიპტეში მონობაში იყვნენ — ვის სურს თავისი მონების გაშვება? ისინი შრომობდნენ, შემოსავალი მოჰქონდათ მისთვის.

— ბიბლიაში ნათქვამია, რომ ეგვიპტის მთელი მიწისათვის ისრაელიანელებს არაერთხელ მოუვლენიათ ჭირი. ის კი არა და, ადამიანთა პირმშოებსა და ცხოველებსაც ანადგურებდნენ. შემდგომში ასეთ ჯადოქრებს კოცონებზე წვავდნენ, ხოლო ფარაონი, მათ უბრალოდ, არ უშვებდა. კიდევ ერთ კითხვაზე

მიპასუხე, საიდან მოიტანეს მონა–ისრაელიანელებმა იმოდენა ავლა-დიდება და საქონელი, რათა ორმოცი წელი ემოგზაურათ? საიდან გაუჩნდათ მათ იარაღი, თავიანთი მსვლელობისას ქალაქები რომ დაეპყროთ და გაენადგურებინათ?

— როგორ თუ საიდან? მათ ხომ ყველაფერს ღმერთი აძლევდათ?

— თვლი, რომ მხოლოდ ღმერთი?

— აბა ვინ?

— ადამიანს, ვლადიმირ, აქვს სრული თავისუფლება. მას აქვს შესაძლებლობა, თავად ისარგებლოს ყველაფერი იმით, რაც ნათელის ღმერთმა საწყისშივე მისცა, მაგრამ მას სხვა რამითაც შეუძლია, რომ ისარგებლოს. ადამიანი — ურთიერთსაპირისპიროთა ერთობაა. ხედავ, მზე ანათებს? ის ღმერთის ქმნილებაა. ის ყველასთვისაა. შენთვისაც და ჩემთვისაც, გველის წიწილისთვისაც, ბალახისა და ყვავილისთვისაც. მაგრამ ფუტკარს ყვავილიდან თაფლი ამოაქვს, ობობას კი შხამი. მათ, თითოეულ მათგანს, თავ-თავისი დანიშნულება აქვს, სხვანაირად არ მოიქცევა არანაირი ფუტკარი და არანაირი ობობა. მარტოდ ადამიანს! ერთ ადამიანს შეუძლია მზის პირველი სხივით გახარება, მეორე — ბრაზდება. ადამიანს შეუძლია იყოს ფუტკარიც და ობობაც.

— გამოდის, ისრაელიანელებისთვის მარტო ღმერთი არ აკეთებდა ყველაფერს?! აბა, მაშ, როგორღა განვსაზღვროთ, რას აკეთებს ღმერთი და რას მიაწერენ მას?

— როდესაც ადამიანის მეშვეობით მნიშვნელოვანი იქმნება, ყოველთვის მონაწილეობს ორი ურთიერთსაპირისპირო. არჩევანის უფლებას ადამიანი ახორციელებს. მის სიწმინდესა და გაცნობიერებაზეა დამოკიდებული, რომელს უფრო მეტს აიღებს იგი.

— კარგი, ბატონო, დავუშვათ. მაშ შენ რა, როცა კედართან იდექი, მასთან საუბარს ცდილობდი?

— დიახ, მსურდა, რომ მას ეპასუხა.

— და ეს დიდ ბაბუას არ მოეწონა?

— დიდმა ბაბუამ ჩათვალა, რომ მე ცოტათი უპატივცემულოდ ველაპარაკებოდი, ვითხოვდი.

— მაგრამ, შენ ხომ, მართლაც ითხოვდი, მე დავინახე. ამასთან, ფეხსაც აბაკუნებდი და ევედრებოდი. რა გსურდა შენ?

— პასუხის მოსმენა მსურდა.

— რა პასუხის?

— იცი რა, ვლადიმირ, ღმერთის არსი არ არის სხეულში. მას არ შეუძლია საქვეყნოდ უყვიროს ყველას ზეციდან, როგორ იცხოვრონ, მაგრამ მას სურს, ყველანი კარგად იყვნენ, ამიტომაც გვიგზავნის თავის ძეებს, ადამიანებს, რომელთა გონსა და სულში შეძლო ამა თუ იმ ხარისხით შეღწევა.

მისი ძეები შემდეგ მიდიან და საუბრობენ სხვა ადამიანებთან, სხვადასხვა ენებით ესაუბრებიან. ხან სიტყვებით, ხან მუსიკისა და ნახატების მეშვეობით ხან კი, რაღაც ქმედებებით. ხდება, როცა მათ უსმენენ. ხდება, როცა დევნიან და კლავენ. როგორც, იესო ქრისტეს, მაგალითად. მაგრამ ღმერთი ისევ თავიდან აგზავნის თავის ძეებს. მაგრამ ყოველთვის მათ ადამიანთა მხოლოდ რაღაც ნაწილი უგდებს ხოლმე ყურს, სხვები არ აღიქვამენ. და არღვევენ ბედნიერი ყოფის კანონებს.

— გასაგებია, ამისათვის ღმერთი დასჯის კაცობრიობას პლანეტარული კატასტროფით, საშინელი სასამართლოთი, განკითხვის დღით?

— ღმერთი არავის სჯის და კატასტროფაც არ სჭირდება მას. ღმერთი — ეს სიყვარულია. მაგრამ ყველაფერი ასეა საწყისშივე დაგეგმილი. შექმნილი. როცა კაცობრიობა უახლოვდება თავის მიერ, ჭეშმარიტების არსის აღუქმელობის განსაზღვრულ წერტილს, თუკი ბნელთა საწყისნი, ადამიანში გამოვლენილნი, აღწევენ კრიტიკულ წერტილს, რათა არ მოხდეს სრული თვითგანადგურება, ხდება პლანეტარული კატასტროფა, უამრავ ადამიანთა სიცოცხლის წამღები, გამნადგურებელი სიცოცხლის უზრუნველყოფისათვის ხელოვნურად შექმნილი დამღუპველი სისტემისა. კატასტროფა წარმოადგენს გაკვეთილს ცოცხლად დარჩენილთათვის.

კატასტროფის შემდეგ დროის რაღაც მონაკვეთში კაცობრიობა ცხოვრობს, როგორც საშინელ ჯოჯოხეთში. მაგრამ იგი მათმიერვეა შექმნილი. ზუსტად ცოცხლადდარჩენილნია, ჯოჯოხეთში რომ ხვდებიან. შემდგომ მათი შვილები რაღაც

დროის განმავლობაში ცხოვრობენ როგორც პირველსაწყისში, აღწევენ იმ წერტილამდე, რომელზეც შეიძლება ითქვას — სამოთხე. შემდეგ ისევ გადახრებია, და ყველაფერი თავიდანაა. ასეა მილიარდი წლები მიწიერი განზომილებით.

— თუ კი ყველაფერი ასე უცილობლად მეორდება მილიარდობით წლების მანძილზე, შენ რაღა გსურდა?

— მსურდა შემეცნო, რა სახით და რისი მეშვეობითაა შესაძლებელი ადამიანთა გონზე მოყვანა გარდა კატასტროფებისა? იცი რა, მე ჩავთვალე რომ, კატასტროფები ხდება არა მარტო ჭეშმარიტების არაღმქმელთა მიზეზით, არამედ მისი არასაკმარისად ეფექტური ხერხით მიწოდების გამოც. და აი, მე ვთხოვდი **მას**, ეპოვა ეს ხერხი. გაემხილა იგი ჩემთვის ან კიდევ სხვა ვინმესთვის. არა აქვს მნიშვნელობა, ვისთვის. მნიშვნელოვანია, რათა იგი ფუნქციონირებდეს.

— მერე და რა გითხრა **მან** შენ? როგორი ხმა აქვს **მას**?

— არავის არ ძალუძს თქვას, როგორი ხმა აქვს მას. მისი პასუხი თითქოსდა იბადება, აი, ვთქვათ, საკუთარი აღმოჩენის ფორმით, უეცრად წარმოქმნილი აზრით. მას საუბარი ხომ მხოლოდ იმ თავისი ნატამალის მეშვეობით შეუძლია, რომელიც იმყოფება თითოეულ ადამიანში, ეს ნატამალი კი უკვე გადასცემს ინფორმაციას ვიბრაციების რიტმის მეშვეობით ყოველივე დანარჩენს. ამიტომაც იქმნება ისეთი შთაბეჭდილება, თითქოს ადამიანი თავად აკეთებს ყველაფერს. თუმცაღა ადამიანს სინამდვილეში, თვითონაც ბევრი რამ შეუძლია. ადამიანი ხომ ღმერთის მაგვარია. ყოველ ადამიანში არის პატარა ნატამალი, ღმერთის მიერ შთაბერილი, ჯერ კიდევ მისი დაბადებისას. მან ჩამოურიგა თავისი ნახევარი კაცობრიობას. მაგრამ ბნელი ძალები ყოველგვარი ხერხებით ესწრაფვიან, დაახშონ მისი ზეგავლენა, განარიდონ ადამიანი მასთან ურთიერთობას და ამის მეშვეობით — ღმერთისგანაც. პატარა ნატამალთან ადვილია ბრძოლა, როცა იგი მარტოა და მითუმეტეს, როცა კავშირგარეშეა ძირითად ძალასთან.

თუ ეს პატარა ნატამალები გაერთიანდებიან ერთმანეთთან ნათელ სწრაფვებში, მაშინ ბნელ ძალებს მათი დამარცხება, დახშობა ბევრად უფრო გაუჭირდებათ. მაგრამ თუ ერთ ნატამალს,

მხოლოდ ერთ ადამიანში მცხოვრებს, აქვს ღმერთთან სრული კონტაქტი, მაშინ ასეთი ადამიანის, მისი სულისკვეთებისა და გონის დამარცხება ბნელ ძალთათვის უკვე შეუძლებელია.

— ესე იგი, შენ ევედრებოდი მას, რომ შენში დაბადებულიყო პასუხი, თუ როგორ და რა უთხრა ადამიანებს, რათა აარიდო ისინი პლანეტარულ კატასტროფას?

— ასეა, დაახლოებით.

— და რა პასუხი დაიბადა შენში? რა სიტყვების თქმაა საჭირო?

— სიტყვები... მხოლოდ სიტყვები, ჩვეულებრივი წესით წარმოთქმული, საკმარისი არ არის. ისინი უკვე იმდენია თქმული. თუმცაღა მთლიანად კაცობრიობა მაინც აგრძელებს უფრსკულისკენ სვლას.

აი შენ, განა არ გსმენია სიტყვები იმის შესახებ, რომ მოწევა — ცუდია, სპირტიანი სასმელების დალევა — ცუდია. ამაზე საუბრობენ სხვადასხვა წყაროებშიც, მათ შორის თქვენი ექიმებიც გაფრთხილებენ იმ ენით, რომელსაც შენ უფრო კარგად აღიქვამ, მაგრამ შენ მაინც აგრძელებ ამის კეთებას. აგრძელებ მიუხედავად იმისა, რომ ჯანმრთელობა გიუარესდება და ტკივილის შეგრძნებებიც კი ვერ გაოკებენ ამ დამღუპველი ჩვევებისგან, როგორც ბევრ სხვა ადამიანს. ღმერთი შენ გეუბნება: "ასე გაკეთება არ შეიძლება". ტკივილით გეუბნება, და ეს ტკივილი არამარტო შენია, არამედ მისიც, შენ კი გამაყუჩებელ წამლებს ღებულობ და შენებურ ქმედებას აგრძელებ, არ გსურს დაფიქრდე, რისგანაა ტკივილი...

ყველა სხვა ჭეშმარიტებაც ცნობილია კაცობრიობისათვის, მაგრამ არ სრულდებიან ისინი ადამიანთა მიერ. წუთიერი კმაყოფილებისათვის ილუზორულ სიამოვნებებს ეძლევიან ისინი. ამიტომ გამოდის, რომ საჭიროა კიდევ სხვა რაიმე ხერხის პოვნა, რომელიც არა მარტო ცოდნის მიღების საშუალებას იძლევა, არამედ სიამოვნებების სხვაგვარ შეგრძნებებისაც. ადამიანი, მათი შემცნობი, შეძლებს შედარებას და თავად მიხვდება ყველაფერს, გაათავისუფლებს თავის ნატამალს, ღმერთის მიერ ბოძებულს. არ შეიძლება, ადამიანების მხოლოდ კატასტროფებით დაშინება, არ შეიძლება ჭეშმარიტების ვერაღმქმელთა

დადანაშაულება, უნდა მიხვდეს ყველა, მისი მიმწოდებელი, რომ აუცილებელია უფრო სრულყოფილი ხერხის მოძიება. დიდი ბაბუა დამეთანხმა ამაში.

— მაგრამ მას ეს არ უთქვამს.

— შენ ბევრი რამ არ მოგისმენია იქიდან, რაზეც დიდი ბაბუა მელაპარაკებოდა.

— თუკი თქვენ უსიტყვოდ გესმოდათ ერთმანეთის, მაშ რატომღა იყო წარმოთქმული ის სიტყვები, რომლებიც მე გავიგონე?

— განა შეურაცხმყოფელი არ არის, გესმოდეს, შენი თანდასწრებით როგორ ლაპარაკობენ უცხო ენაზე, შენთვის გაუგებარზე მაშინ, როცა იციან შენიც?

ჩემთვის ვაანალიზებდი: "დამეჯერებია ყველაფერი, რასაც იგი მეუბნებოდა, თუ არ დამეჯერებია. თავად მას კი, რასაკვირველია, სჯერა. უბრალოდ, არამარტო სჯერა, არამედ მოქმედებს კიდეც. იქნებ მეცადა, როგორმე გამენელებინა მისი მგზნებარება, თორემ აი, როგორ იკლავს თავს."

და მე შევეცადე მისი დამშვიდება, ვუთხარი მას:

— იცი, ანასტასია, მე რას ვფიქრობ, იქნებ არც კი ღირდეს, ასე რომ იკლავ თავს, აი, ისე, როგორც კედართან იდექი და გზნებით ითხოვდი რაღაცას. მაშინ კედრიდან მოცისფრო ნათება, თუ რაღაც ნისლი დაგატყდა თავს. შენი ბაბუები ტყუილად არ ღელავდნენ. ალბათ, ეს სახიფათოა. თუ ღმერთმა არც ერთ თავის ძეს პასუხი არ მისცა, თუ როგორ უნდა აუხსნან ადამიანებს ყველაზე ეფექტურად ყველაფერი, ესე იგი, პასუხი არ არსებობს. გამოდის, პლანეტარული კატასტროფა ახსნის ყველაზე ეფექტური ხერხია. თორემ **იგი** განაწყენდება შენზე და შესაძლოა დაგსაჯოს კიდევაც, "ცხვირი რომ არ ჩაყო", როგორც ბაბუაშენი ამბობს.

— **იგი** კეთილია, **იგი** არ სჯის.

— მაგრამ არც არაფერს გეუბნება. შესაძლოა, შენი მოსმენაც არ სურს, შენ კი ამოდენა ენერგიას ხარჯავ.

— **იგი** ისმენს და პასუხობს.

— რას პასუხობს? შენ რაიმე უკვე იცი?

— **მან** მიკარნახა, სად იმყოფება პასუხი, სად უნდა ვეძებო იგი.

— გიკარნახა?... შენ?! და სად არის ის?

— ურთიერთსაპირისპიროთა შეერთებაში.

— ეს როგორ?

— აი, მაგალითად, როცა ორი ურთიერთსაპირისპირო საკაცობრიო აზროვნება ავატამსაკუს კომენტირებისას შეირწყნენ ახალ დინამიურ ერთობაში, შედეგად ჩამოყალიბდა ჰუაიანის და კეგომის ფილოსოფია, განახორციელა თავისთავში უფრო მეტი მსოფლმხედველობის ელემენტთა სრულყოფა, პარალელები მოდელებთან და თეორიებთან, როგორც თქვენს თანამედროვე ფიზიკაში...

— რა?

— ოი, მაპატიე, თუ შეიძლება. ეს რა დამემართა. სრულიად მოვდუნდი.

— შენ რისთვის იხდი ბოდიშს?

— ბოდიშს გიხდი, რომ წარმოვთქვი სიტყვები, რომლებითაც შენ არ სარგებლობ საკუთარ მეტყველებაში.

— სწორედაც რომ, არ ვხმარობ. გაუგებარია ისინი.

— ვეცდები, მეტი ასე აღარ გავაკეთო. ნუ მიბრაზდები, თუ შეიძლება.

— არ გიბრაზდები, კაცო. შენ, მხოლოდ ამიხსენი ნორმალური სიტყვებით, სად და როგორ მოიძიებ ამ პასუხს?

— მარტო მე, საერთოდ, მის პოვნას ვერ შევძლებ. მისი დანახვა შესაძლებელია მხოლოდ ნაწილაკების ერთობლივი ძალისხმევის დახმარებით, რომლებიც იმყოფებიან დედამიწაზე მცხოვრებ სხვადასხვა ურთიერთსაპირისპირო აზროვნების მატარებელ ადამიანებში. მხოლოდ ერთობლივი ძალისხმევისას გამოჩნდება იგი უხილავ განზომილებაში, სადაც აზრ-ფიქრები ცოცხლობენ. კიდევ, ამ განზომილებას, შესაძლოა, ვუწოდოთ ნათელ ძალთა განზომილება. იგი მდებარეობს ღმერთსა და იმ მატერიალურ სამყაროს შორის, რომელშიც ადამიანი ცხოვრობს.

მე დავინახავ მას და ბევრი სხვაც დაინახავს მას. შემდეგ უფრო ადვილად მიიღწევა საყოველთაო შეგნებულობა, კაცობრიობის გადატანა ბნელ ძალთა დროის მონაკვეთს მიღმა. და კატასტროფებიც აღარ განმეორდებიან.

— უფრო კონკრეტულად, ახლა რა უნდა ქნას ხალხმა, რათა იგი წარმოჩინდეს?

— კარგია, თუ ბევრი ხალხი გამოიღვიძებს განპირობებულ დროს. მაგალითად, დილის ექვს საათზე. გაღვიძებისას ადამიანები, იფიქრებენ კარგზე, მნიშვნელობა არ აქვს, კონკრეტულად რაზე. მნიშვნელოვანია, რომ აზრ-ფიქრები იყოს ნათელი. შეიძლება იფიქროთ ბავშვებზე, მათზე, ვინც გიყვარს, და კიდევ იფიქრონ იმაზე, თუ ისე როგორ გაკეთდეს, რომ ყველა კარგად იყოს. თუნდაც თხუთმეტი წუთი იფიქრონ და რაც მეტი ადამიანი მოიქცევა ასე, მით უფრო მალე გამოჩნდება პასუხი. დედამიწაზე სასარტყელო დრო სხვადასხვაა, იგი ბრუნავს, მაგრამ ხატ-სახეები ამ ადამიანების მიერ ნათელი აზრ-ფიქრებით წარმოქმნილნი, შეირწყმებიან ერთში, ნათელში და ხატ-სახებაში შეგნებულობით — შემეცნებულობით გამსჭვალულნი. ერთდროული ფიქრი ნათელზე აძლიერებს თითოეულის უნარ-ნიჭს, და მრავალგზითაც.

— ეჰ, ანასტასია. როგორი გულუბრყვილო ხარ. ვინ დაგთანხმდება, დილის ექვს საათზე იმისთვის გაიღვიძოს, რათა თხუთმეტი წუთი იფიქროს? ადამიანები ასე ადრე მხოლოდ მაშინ იღვიძებენ, თუ სამუშაოზე ან თვითმფრინავით მივლინებაში იქნებიან წასასვლელნი. ყველა თავისთვის გადაწყვეტს: სხვამ იფიქროს, მე კი ვიძინებო. საეჭვოა, შენ დამხმარეები იპოვო.

— შენ, ვლადიმირ, შენ არ შეგიძლია დამეხმარო?

— მე? მე არ ვიღვიძებ ასე ადრე, თუ რაიმე განსაკუთრებულმა საჭიროებამ არ მოითხოვა. და თუკი მაინც, როგორღაც გამეღვიძება, აბა მე, რომელ კარგზე უნდა ვიფიქრო?

— აი, მაგალითად, პატარა ვაჟიშვილზე, რომელსაც მე ვშობ. შენს ვაჟიშვილზე. მინდორზე როგორ კარგად გრძნობს თავს, როცა მზის სხივები ეფერებიან მას, სუფთა და მშვენიერი ყვავილებია გვერდით, ფუმფულა ციყვი ეთამაშება. იმაზე გაიფიქრე, რა კარგი იქნებოდა, ბევრ სხვა ბავშვსაც, ყოველთვის რომ ეფერებოდნენ მზის სხივები, რათა არაფერმა ატკინოს მათ გული. მერე გაიფიქრე, ახალი დღის დადგომისას ვის ეტყვი რაიმე სასიამოვნოს, გაუღიმებ, და რა კარგი იქნება, რომ ეს მშვენიერი

სამყარო მარად არსებობდეს, და ამისათვის შენ, პირადად შენ, რა უნდა გააკეთო.

— შვილზე მე ვიფიქრებ. აი, სხვა კარგ რაიმეზეც, ვეცდები, გავიფიქრო. მაგრამ რა აზრი აქვს? შენ, აქ, ტყეში იფიქრებ, მე კი იქ, ქალაქის ბინაში. ჩვენ მხოლოდ ორნი ვართ. შენ ხომ ამბობ, ბევრი ადამიანია საჭიროო. ჯერ-ჯერობით კი სანამ ბევრი არ იქნება, ჩვენ უაზროდ რად უნდა ვეცადოთ?

— ერთიც კი,— მეტია, ვიდრე არაფერი. ორნი ერთად — მეტია, ვინემ ორი. შემდეგ შენ რომ წიგნს დაწერ, კიდევ გამოჩნდებიან ადამიანები, მე ამას ვიგრძნობ და გავიხარებ თითოეულით, ჩვენ ვისწავლით ერთმანეთის შეგრძნობას, გაგებას, ერთმანეთის დახმარებას ნათელ ძალთა განზომილების მეშვეობით.

— ჯერ კიდევ, ყველაფრის, რასაც შენ ამბობ, დაჯერებაა საჭირო. აი მე, ბოლომდე არ მჯერა იმ ნათელი განზომილების, სადაც აზრ-ფიქრები ცხოვრობენ. იგი დაუმტკიცებელია იმიტომ, რომ არ შეიძლება მისი შეხება.

— მაგრამ თქვენი მეცნიერებიც ხომ მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ აზრ-ფიქრი მატერიალურია.

— მივიდნენ, მაგრამ ჯერ-ჯერობით მაინც ეს ყველაფერი თავში არ ლაგდება, რადგან შეუძლებელია მისი შეხება.

— მაგრამ როცა შენ დაწერ წიგნს, მას ხომ შეიძლება შეეხო, ხელში დაიჭირო იგი, როგორც მატერიალიზებული აზრ-ფიქრი.

— შენ ისევ წიგნზე ლაპარაკობ. მე ხომ ვთქვი, რომ მაგისიც არ მჯერა. მითუმეტეს, რომ შენ, რომელიღაც მხოლოდ შენთვის ცნობილ ასოთა შეთანწყობის დახმარებით, გამოიწვევ მკითხველებში გრძნობებს, და თანაც ნათელს, დამხმარეებს იქ, სადღაც რაღაცის გაცნობიერებაში.

— მე შენ გითხარი, როგორ გავაკეთებ ამას.

— კი, ბატონო, მითხარი. მაგრამ მაინც არ მჯერა. და თუკი ვცადე დაწერა, ყველაფერს ერთბაშად მაინც არ მოვყვები. დაგვცინებენ. და იცი, ანასტასია, რას გეტყვი პატიოსნად?

— თქვი პატიოსნად.

— ოღონდ, შენ ნუ იწყენ, კარგი?

— მე არ ვიწყენ.

— ყველაფერი, რაც შენ ილაპარაკე, ჩვენს მეცნიერებთან უნდა გადავამოწმო, რა თქმულა ამის შესახებ სხვადასხვა რელიგიებში და თანამედროვე სწავლებებში. ახლა ჩვენთან უამრავი სწავლებებია, ქადაგებები.

— გადაამოწმე. რა თქმა უნდა, გადაამოწმე.

— და კიდევ, მე ვგრძნობ, რომ შენ ძალიან კეთილი ადამიანი ხარ. შენი ფილოსოფიაც საინტერესო და უჩვეულოა. მაგრამ თუ შევადარებთ შენს ქმედებებს სხვა ადამიანების ქმედებებთან, მათთან, რომელნიც სწუხან **სულზე**, ეკოლოგიაზე, მაშინ შენ, გამოდის, რომ, მათ შორის, ყველაზე ჩამორჩენილი ხარ.

— რატომ გამოდის ასე?

— თვითონ დაფიქრდი. ყველა სხივმოსილი, როგორც შენ მათ უწოდებ, მარტოვდებოდნენ. ბუდა შვიდი წლით გავიდა ტყეში, განმარტოვდა და მთელი სწავლება შექმნა, მიმდევრებიც ბლომად ჰყავს მას მსოფლიოში. იესო ქრისტე, სულ რაღაც ორმოცი დღით განმარტოვდა, ახლა კი მისი სწავლებით აღფრთოვანებულნი არიან.

— იესო ქრისტე რამდენიმეჯერ განმარტოვდა. და ბევრს ფიქრობდა, როცა გადიოდა.

— დაე, თუნდაც ორმოც დღეზე მეტი იყოს, თუნდაც წელიწადიც. ბერები, რომლებიც ახლა წმინდანებად ითვლებიან, ჩვეულებრივი ადამიანები იყვნენ, შემდგომ რაღაც დროით განდეგილებად გადიოდნენ და მათ ადგილ-სამყოფელში მონასტრები იგებოდა, მიმდევრებიც უჩნდებოდათ, ასეა ხომ?

— დიახ, ასეა.

— აი შენ, ოცდაექვსი წელია, უკვე ტყეში ცხოვრობ და არც ერთი მიმდევარი არა გყავს. არანაირი სწავლება არ მოგიფიქრებია. აი, წიგნი დაწერეო, — მეხვეწები. ეპოტინები მას, როგორც ხავსს. მასში რაღაც შენი ასო-ნიშნების შეთანწყობის ჩადებას ოცნებობ. თუკი შენ, ისე არ გამოგდის, როგორც სხვებს, იქნებ, მცდელობაც არ არის საჭირო? სხვებმა, უფრო უნარიანებმა, იქნებ უშენოდაც მოიფიქრონ რამე. მოდი, მარტივად, უფრო რეალურად იცხოვრე. მე დაგეხმარები შენ, რათა ჩვენს ცხოვრებას მოერგო. შენ ხომ არ გწყინს?

— არ მწყინს.

— მაშინ, მე შენ სრულ სიმართლეს გეტყვი, ბოლომდე. რათა შენ შეძლო საკუთარი თავის გაგება.

— მითხარი.

— უჩვეულო უნარი შენში არის, ეს უეჭველია, ნებისმიერი ინფორმაციის მიღება შეგიძლია ისე, როგორც ორჯერ ორი. ახლა კი მითხარი, ეს შენი პატარა სხივი როდის გაგიჩნდა?

— როგორც ყველა ადამიანს, იგი მე მაშინათვე მომეცა, ოღონდ მისი გაცნობიერება, რომ ის არსებობს და მისი გამოყენება, მე დიდმა ბაბუამ ექვსი წლის ასაკში მასწავლა.

— აი, ხომ ხედავ, ესე იგი შენ უკვე ექვსი წლიდან გქონდა უნარი დაგენახა, თუ რა ხდება ჩვენს ცხოვრებაში? გაანალიზების, დახმარების, შორ მანძილზე მკურნალობისაც კი?

— დიახ, შემეძლო.

— მაშინ მითხარი, რას აკეთებდი შემდგომი ოცი წლის განმავლობაში?

— მე შენ გიყვებოდი და გიჩვენებდი. მე ვმოღვაწეობდი მეაგარაკეებთან, ადამიანებთან, რომლებსაც თქვენ ასე უწოდებთ. მათ დახმარებას ვცდილობდი.

— მთელი ოცი წელი, დღიდან დღემდე?

— დიახ, ხანდახან ღამეც კი, თუ ძალიან არ ვიღლებოდი.

— ესე იგი, როგორც ჩაციკლული ფანატიკოსი, მთელი ამ დროის განმავლობაში ჯიუტად დაკავებული იყავი მეაგარაკეებით? ვინ გაიძულებდა ამის კეთებას?

— არავის არ შეეძლო ჩემთვის დაძალება. მე თვითონ. იმის შემდეგ, როცა დიდმა ბაბუამ შემომთავაზა და მე თავადაც მივხვდი, რომ ეს ყველაფერი კარგია და ძალზედ მნიშვნელოვანი.

— მე ვფიქრობ, შენმა დიდმა ბაბუამ იმიტომ შემოგთავაზა მეაგარაკეებზე ზრუნვა, რომ მას შეეცოდე. შენ ხომ უმშობლებოდ იზრდებოდი. მანაც მოგცა ყველაზე ადვილი და მარტივი საქმე. ახლა კი მან დაინახა, რომ შენ რაღაც, უფრო მეტი გესმის და ნება დაგრთო, სხვა რამეს მოჰკიდო ხელი. ისინი კი მიატოვო.

— მაგრამ ის სხვაც მეაგარაკეებთანაა დაკავშირებული. და მე გავაგრძელებ მათ დახმარებას, რომლებსაც თქვენ მეაგარაკეებს უწოდებთ. მე ისინი ძალიან მიყვარს და არასოდეს მივატოვებ.

— აი ამასაა რომ — ფანატიზმი ჰქვია. შენ მაინც ნორმალურ ადამიანამდე რაღაც გაკლია, შენ უნდა გაიგო — მეაგარაკენი, სულაც არ არიან ჩვენს ცხოვრებაში მთავარნი. ისინი საზოგადოებრივ პროცესებზე არანაირ გავლენას არ ახდენენ. პატარა აგარაკები და ბოსტნები ეს მხოლოდ მცირე დამხმარე მეურნეობებია. ადამიანები მათზე ისვენებენ ძირითადი სამუშაოს შემდეგ ან როცა პენსიაზე გადიან. სულ ესაა. გესმის? სულ ეს! და, თუ კი შენ, ფლობ რა ასეთ კოლოსალურ ცოდნას, ფენომენალურ ნიჭს, ზრუნავ მეაგარაკეებზე, ეს ნიშნავს, შენში რაღაც ფსიქოლოგიური გადახრებია. მე ვფიქრობ, შენ ფსიქოთერაპევტს უნდა ეჩვენო. თუ ამ გადახრისგან განიკურნები, მაშინ შენ, შესაძლოა, ნამდვილად შეძლო საზოგადოებისთვის სარგებლის მოტანა.

— მე ძალიან მსურს, სარგებლობა მოვუტანო საზოგადო-ებას.

— მაშინ მოდი, გავემგზავროთ, ექიმ-ფსიქოთერაპევტთან კარგ ფასიან პოლიკლინიკაში მიგიყვან.

შენ ხომ თავად ამბობ, რომ შესაძლოა, პლანეტარული კატასტროფა მოხდესო, და აი, დაეხმარე ეკოლოგიურ საზოგადოებებს, მეცნიერებას.

— როცა მე აქ ვარ, ჩემგან უფრო მეტი სარგებელი იქნება.

— კარგი, ბატონო, მერე დაბრუნდები და უფრო სერიოზულ საქმეებს შეუდგები.

— როგორს — უფრო სერიოზულს?

— თავად გადაწყვეტ. ვფიქრობ, მაგალითად, პლანეტარული კატასტროფის თავიდან აცილება, ან რაიმე სხვა რამ ეკოლოგიასთან დაკავშირებული. ჰო, მართლა, სიტყვამ მოიტანა და, შენი აზრით, როდისაა ის მოსალოდნელი?

— დედამიწის სხვადასხვა წერტილებში ლოკალური კატაკლიზმები უკვე დღესაც ხდება. კაცობრიობამ თავის გასანადგურებლად, უკვე კარგა ხანია, ყველაფერი ჭარბად მოამზადა.

— გლობალურად როდის, როდის იქნება აპოთეოზი?

— დაახლოებით ეს შესაძლოა მოხდეს ორიათას ორ წელს. მაგრამ შესაძლებელია მისი თავიდან აცილება, ანდა გადაწევა, როგორც ათას ცხრაას ოთხმოცდათორმეტ წელს.

— რა, გამოდის, რომ ის, შესაძლოა, ათას ცხრაას ოთხმოცდათორმეტ წელს მომხდარიყო?

— დიახ, მაგრამ მათ იგი გადაწიეს.

— ვინ მათ? ვინ აგვაცილა? ვინ გადაწია?

— ოთხმოცდათორმეტი წლის პლანეტარული მასშტაბის კატასტროფა არ შედგა მეაგარაკეთა წყალობით.

— რაა?!

— მთელს მსოფლიოში,მრავალი სხვადსხვა ადამიანი წინ უდგება დედამიწის კატასტროფას. ოთხმოცდათორმეტი წლის კატასტროფა ძირითადად რუსეთის მეაგარაკეთა წყალობით არ შედგა.

— და შენ... გამოდის შენ!.. ჯერ კიდევ ექვსი წლისას გესმოდა მათი მნიშვნელოვნება? წინასწარ განჭვრიტე? მოქმედებდი დაუღალავად. ეხმარებოდი მათ.

— მე ვიცოდი მეაგარაკეთა მნიშვნელოვნება, ვლადიმირ.

მეგარაკეთა დღე და სრულიად დედამიწის დღესასწაული!

— მაგრამ, რატომ მეაგარაკეთა წყალობით და მაინცადამაინც რუსეთის? რატომ? აქ რა ურთიერთკავშირია?

— იცი რა, ვლადიმირ, დედამიწა, მართალია, დიდი კია, მაგრამ ის ძალიან, ძალიან მგრძნობიარეა.

აი შენც ასევე ხომ დიდი ხარ პატარა კოღოსთან შედარებით, მაგრამ როგორც კი კოღო დაგაჯდება, შენც გრძნობ მის შეხებას. დედამიწაც ასევე გრძნობს ყველაფერს, როცა ბეტონში და ასფალტში ახვევენ მას, როცა ჩეხავენ და წვავენ მასზე ამოზრდილ ტყეებს, როცა ჩიჩქნიან მის წიაღს და ჰყრიან მასში ფხვნილს, სასუქად წოდებულს.

მას სტკივა ხოლმე. მაგრამ მას მაინც უყვარს ადამიანები, როგორც დედას უყვარს თავისი შვილები.

და ცდილობს დედამიწა,ადამიანთა სიბოროტე თავის წიაღში ჩაიტანოს. და მხოლოდ მაშინ, როცა მას ძალა აღარ ჰყოფნის მის შესაჩერებლად, სიბოროტე იფეთქებს ხოლმე ვულკანებითა და მიწისძვრებით.

დედამიწას დახმარება სჭირდება. მას ძალას მატებს მოფერება და სათუთი მოპყრობა. დედამიწა დიდია, მაგრამ ყველაზე მგრძნობიარეა. და გრძნობს იგი, როცა მას ალერსით ეხება თუნდაც ერთი ადამიანის ხელი. ო, როგორ გრძნობს და ელის იგი ამ შეხებას!

რუსეთში რამდენიმე ხანს ითვლებოდა მიწა ყველას ქონებად და კონკრეტულად კი არავისად. ადამიანები არ აღიქვამდნენ მას როგორც საკუთრებას. შემდეგ რუსეთში მოხდა ცვლილებები. ხალხს პატარა-პატარა მიწის ნაკვეთები სააგარაკოდ დაურიგეს.

შემთხვევით არ იყო ისიც, რომ ეს ნაკვეთები ძალიან, ძალიან პატარები იყო და შეუძლებელი იყო მათზე ყოველგვარი მექანიზმების გამოყენება. მაგრამ მიწას მონატრებული რუსეთის მაცხოვრებელნი სიხარულით იღებდნენ მათ. ღარიბებიც იღებდნენ და მდიდრებიც. იმიტომ რომ არაფერს ძალუძს ადამიანური კავშირის გაწყვეტა მიწასთან!

მიიღეს რა საკუთარი პატარა-პატარა ნაკვეთები, ადამიანებმა ინტუიციით იგრძნეს... და ადამიანთა მილიონობით წყვილი ხელები სიყვარულით შეეხო მიწას. სწორედ რომ თავისი ხელებით და არა მექანიზმებით, ხალხი ალერსით ეხებოდა თავის პატარა ნაკვეთებზე მიწას. და იგი გრძნობდა. გრძნობდა თითოეული მათგანის ხელის შეხებას. და დედამიწამ თავის თავში იპოვა ძალა, რათა კიდევ გაეძლო.

— ესე იგი, რა გამოდის? თითოეულ მეაგარაკეს ძეგლი უნდა დაედგას, როგორც პლანეტის გადამრჩენელს?

— დიახ, ვლადიმირ, ისინია გადამრჩენელნი.

— მაგრამ რა შექმნის ამდენ ძეგლს. უმჯობესია, მათთვის დაწესდეს საერთაშორისო დღესასწაული, დასვენების ერთი ან ორი დღე, დასახელდეს კალენდარში "მეაგარაკის დღე" ან "დედამიწის დღე".

— ჰოი! დღესასწაული! — ტაში შემოჰკრა ანასტასიამ. — რა კარგი რამ მოიგონე. დღესასწაული! აუცილებლად საჭიროა მხიარული და სიხარულის მომგვრელი დღესასწაული.

— ჰოდა, აი შენც მიანათე შენი პატარა სხივი ჩვენს მთავრობას, სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატებს, რათა მათ ასეთი კანონი გამოსცენ.

— მე ვერ შევძლებ მათთან შეღწევას. ისინი ყოველდღიურ ამაოებაში არიან. მათ უამრავი გადაწყვეტილების მიღება უწევთ, სულ არ სცალიათ საფიქრელად. არც არავითარი განსაკუთრებული აზრი არა აქვს მათი შეგნების ამაღლებას. მძიმე გასაცნობიერებელი იქნება მათთვის, სრული რეალობის დანახვა. უფრო სწორი გადაწყვეტილებების მიღების უფლებას, ვინემ ახლა იღებენ ისინი, მათ არ მისცემენ.

— ვის შეუძლია მთავრობას, პრეზიდენტს უფლება არ მისცეს?

— თქვენ. მასებს, უმრავლესობას, არაპოპულარულ ღონისძიებებად შერაცხავთ სწორ გადაწყვეტილებებს.

— დიახ, მართალს ამბობ. ჩვენთან დემოკრატიაა. უფრო მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები უმრავლესობის მიერ მიიღება. უმრავლესობა ყოველთვის მართალია.

— თავიდან უფრო მეტ გაცნობიერებას, შეგნებას, ყოველთვის ერთეულები აღწევდნენ, ვლადიმირ, უმრავლესობა კი რამდენიმე ხნის შემდეგ აღწევს ხოლმე მას.

— აბა, მაშინ ასეა, რაღა საჭიროა დემოკრატია, რეფერენდუმები?

— ისინი, საჭიროა როგორც ამორტიზატორები, რათა მკვეთრი ბიძგები არ მოხდეს. როცა ამორტიზატორები არ ამუშავდებიან, წარმოიქმნება რევოლუცია. რევოლუციის პერიოდი ყოველთვის მძიმეა უმრავლესობისათვის.

— მაგრამ მეაგარაკეთა დღესასწაული — რევოლუცია ხომ არ არის, რა არის მასში ცუდი?

— ასეთი დღესასწაული — ეს კარგია. იგი საჭიროა. აუცილებლად საჭიროა. საჭიროა მისი სწრაფად გაკეთება. ვიფიქრებ, როგორც უფრო სწრაფად იქნება.

— შენ, მე დაგეხმარები. მე უფრო უკეთესად ვიცი, ჩვენს ცხოვრებაში ეფექტურად რა ბერკეტები უფრო მუშაობენ. მე

გაზეთში... ანდა არა, მეაგარაკეთა შესახებ შენს წიგნში დავწერ და ვთხოვ ადამიანებს, რათა მთავრობაში და სახელმწიფო სათათბიროში დეპეშები დააგზავნონ: "გთხოვთ, დააწესოთ მეაგარაკის დღესასწაული და დედამიწის დღესასწაული". მხოლოდ აი, რომელ რიცხვში?

— ოცდასამ ივლისს.

— რატომ — ოცდასამში?

— შესაფერისი დღეა. და იმიტომაც, რომ ეს შენი დაბადების დღეა. ეს მშვენიერი იდეა ხომ შენია.

— კარგი. დაე, თავის დეპეშებში ადამიანებმა დაწერონ: "ოცდასამი ივლისი დააკანონეთ მეაგარაკის დღესასწაულად და სრულიად დედამიწის დღესასწაულად". როგორც კი მთავრობაში და სახელმწიფო სათათბიროში წაიკითხავენ, დაფიქრდებიან კიდეც: "ნეტავ რის გამოა, ეს ხალხი ასეთ დეპეშებს რომ აგზავნისო?" — აქ კი, შენი სხივით მიდი და, ისე ლეწე!..

— ვლეწავ! მთელი ძალით ვლეწავ! და დღესასწაულიც ნათელი და მშვენიერი იქნება. ყველა! ყველა ადამიანი გაიხარებს და მთელი დედამიწაც სიხარულით აივსება!

— ყველამ რატომ უნდა გაიხაროს? ეს დღესასწაული ხომ მხოლოდ მეაგარაკეებისთვისაა.

— ისე უნდა გაკეთდეს, რომ ყველამ გაიხაროს. რომ ყველა კარგად გრძნობდეს თავს. ეს დღესასწაული რუსეთში დაიწყება. და მთელს დედამიწაზე ყველაზე მშვენიერ დღესასწაულად იქცევა, სულის დღესასწაულად.

— და, სულ პირველად, რუსეთში როგორ ჩაივლის ის? ხომ არავინ იცის, როგორ იზეიმოს იგი.

— ამ დღეს ყველას უკარნახებს გული, თუ რა უნდა გააკეთოს. თუმცაღა მე ახლავე შევქმნი მის მოდელს.

შემდეგ ანასტასია ალაპარაკდა, მკაფიოდ წარმოთქვამდა ყოველ ასოს. იგი სწრაფად და შთაგონებით ლაპარაკობდა! უჩვეულო იყო მისი სიტყვების რითმიც, ფრაზათა წყობა, წარმოთქმა:

— დაე, რუსეთმა ამ დღეს ალიონზე გაიღვიძოს. ყველა ადამიანი ოჯახებით, მეგობრებითა და მარტონიც, მიწასთან მივიდნენ და შიშველი ფეხებით დადგნენ მასზე. ისინი, ვისაც აქვთ საკუ-

თარი პატარ-პატარა ნაკვეთები, სადაც მათ საკუთარი ხელებით მოჰყავთ ნაყოფი, დაე, მზის პირველ სხივს, თავისი მცენარეების გარემოცვაში შეხვდნენ. ხელით შეეხონ თითოეულ სახეობას.

მზე რომ ამოვა, დაე, სხვადასხვა მცენარეებიდან თითო-თითო ნაყოფი მოწყვიტონ და მიირთვან. და მეტი არაფრის ჭამა არ არის საჭირო სადილობამდე.

დაე, სადილობამდე დაასუფთაონ ნაკვეთები. დაე, სიცოცხლეზე იფიქროს თითოეულ მათგანმა, რაშია სიხარული და რაშია მისი დანიშნულება.

დაე, თითოეულმა სიყვარულით მოიგონონ ახლობლები, მეგობრები. იფიქრონ იმაზე, თუ რატომ იზრდებიან მისი მცენარეები და დაე, თითოეულს, თავისი დანიშნულება მისცენ.

და თითოეულს სადილობამდე განმარტოების ერთი საათი ჰქონდეს, სულერთია, სად და როგორ, მაგრამ აუცილებლად განმარტოვდეს. თუნდაც ერთი საათი შეეცადოს თავის თავში ჩაღრმავებას.

დაე, სადილობისას, მთელი ოჯახი შეიკრიბოს. ერთად მაცხოვრებელნიც და ამ დღისთვის შორიდან ჩამოსულებიც. დაე, სადილი მოამზადონ იმისგან, რაც სადილობის საათისთვის დაბადა მიწამ. დაე, სუფრაზე ყველამ დადოს ის, რასაც გული და სული მოისურვებს. და ყველა ოჯახის წევრმა ალერსით შეხედონ ერთმანეთს თვალებში. და დაე, ოჯახის ყველაზე უფროსმა წევრმა უმცროსთან ერთად სუფრა აკურთხოს. დაე, სუფრასთან წყნარი საუბრის ხმა ჟღერდეს. სიკეთეზე უნდა იყოს საუბარი. თითოეულზე, ვინც გვერდითაა.

არაჩვეულებრივად, ნათლად იხატებოდა სურათები, რომლებსაც ანასტასია აღწერდა. თავად მეც გვრძნობდი თავს სუფრასთან მჯდომარედ, გვერდით ადამიანებს. დღესასწაულით გატაცებულმა, დავიჯერე რა იგი, უფრო ზუსტად რომ ვთქვა, იგი თითქოსდა უკვე ხდებოდა და მე დავუმატე:

— საჭიროა პირველი სადღეგრძელოს თქმა სადილის დაწყების წინ. სასმისები ასწიოს ყველამ. მიწის სადღეგრძელო დაილიოს, სიყვარულის... — ასე მეგონა, მე უკვე თითქოს სასმისი მეკავა ხელში.

და უცებ მან:

— ვლადიმირ, დაე, სუფრაზე ნუ იქნება მათრობელა საწამლავი.

ჩემი ხელიდან სასმისი გაქრა. და მთელი დღესასწაულის სურათიც გაქრა.

— ანასტასია, შეწყვიტე! ნუ აფუჭებ დღესასწაულს!

— რა გაეწყობა, რადგან შენ გინდა, დაე, სუფრაზე კენკრის ღვინო იყოს და პატარ-პატარა ყლუპებით დაილიოს იგი.

— კარგი,დაე,ღვინო იყოს. რათა ერთბაშად არ შევიცვალოთ ჩვევები. რა უნდა ვაკეთოთ სადილის შემდეგ?

— დაე,ადამიანები ქალაქებში დაბრუნდნენ. როცა შეაგროვებენ ნაყოფებს თავიანთი პატარა მიწის ნაკვეთებიდან, წაიღონ კალათებით და უმასპინძლონ მათ, ვისაც თავისი არ გააჩნია.

ოო, რამდენი დადებითი ემოციაა ამ დღეს! ისინი უამრავ დაავადებებს დაამარცხებენ. იმათაც, სიკვდილს, რომ იწვევდნენ, და იმათაც, რომლებიც წლებმაც ვერ განდევნეს, გაივლის. დაე, იგი, ვინც განუკურნებელი სენითაა დაავადებული ან მსუბუქად, ამ დღეს შესახვედრად გაეშურონ ადამიანების ნაკადთან, მომავლებთან თავიანთი ნაკვეთებიდან. სიყვარულის სხივები, სიკეთე და მოტანილი ნაყოფები განკურნავენ,დაამარცხებენ დაავადებებს.

შეხედე! შეხედე! ვაგზალი. ფერად—კალათებიანი ხალხის ნაკადი. შეხედე, როგორ უციმციმებთ ხალხს თვალები სიმშვიდითა და სიკეთით.

ანასტასია თითქოს მთლად ბრწყინავდა, სულ უფრო და უფრო აღფრთოვანებული იყო დღესასწაულის იდეით. მისი თვალები, უბრალოდ არა მარტო სიხარულით ელავდნენ, ისინი თითქოს, მოცისფრო შუქით ციმციმებდნენ. მისი სახის გამომეტყველება სხვაგადხვაგვარად იცვლებოდა, ოღონდ ყოველთვის სასიხარულო ნიუანსებით, თითქოს მის ტვინში მჩქეფარე ნაკადებად მიჰქროდნენ დიადი დღესასწაულის სურათები.

მოულოდნელად იგი გაჩუმდა, მერე ცალი ფეხი მოხარა მუხლში, მარჯვენა ხელი ასწია ზემოთ, მეორე ფეხი დაჰკრა მიწას და აფრინდა როგორც ისარი,ამაღლდა მიწიდან. თითქმის კედარის ქვედა ტოტებამდე ახტა. როცა დაეშვა, ხელი ააქნია,

ხელისგულები ერთმანეთს შემოჰკრა – მინდორზე მოცისფრო ნათება მოეფინა ყველაფერს. შემდგომ, ანასტასიას მიერ ნათქვამ ყოველ სიტყვას, თითქოსდა იმეორებდა ყოველი პაწაწინა ბალახი, ბუჭყი და ყოველი დიდებული კედარი. ანასტასიას ფრაზებს თითქოსდა უხილავი ძალა აძლიერებდა. ისინი არ იყვნენ ხმამაღალნი, მაგრამ იქმნებოდა შთაბეჭდილება, რომ ესმოდა უკიდეგანო სამყაროს ყოველ ძარღვს.

მეც ვურთავდი ჩემს ფრაზებს. რადგან შეუძლებელი იყო, თავი შემეკავებინა, როცა მან დაიწყო:

– რუსეთში ამ დღეს სტუმრები ჩამოვლენ! ყველა ისინი, რომლებიც ატლანტებად უშვია დედამიწას! როგორც უძღებნი, დაბრუნდებიან ძენნი!

დაე, მთელ რუსეთში ამ დღეს ალიონზე გაიღვიძონ ადამიანებმა. დაე, მთელ ამ დღეს, სამყაროსეული არფის სიმები ბედნიერი მელოდიით ჟღერდნენ. ყველა ბარდმა (მგოსანმა) ქუჩებში და ეზოებში დაუკრან გიტარებზე. და მან, ვინც ძალზე მოხუცია, ამ დღეს თავი იგრძოს ძალზედ ახალგაზრდად, ისე როგორც მრავალი, მრავალი წლის წინ.

– ანასტასია, მეც ახალგაზრდა ვიქნები?

– ჩვენც, ვლადიმირ, მეც და შენც ახალგაზრდები ვიქნებით,

როგორებიც იყვნენ ადამიანები ახალგაზრდები პირველად. მოხუცებიც მისწერენ ბავშვებს წერილებს, ბავშვიც ყველა, თავიანთ მშობლებს. სრულიად ნორჩები კი, ცხოვრებაში თავიანთ პირველ ნაბიჯს გადადგამენ რა, დაე, ბედნიერები შევიდნენ სიხარულის სამყაროში. და ამ დღეს ბავშვები არაფერმა გაანაწყენოს. დაე, უფროსები მათი თანასწორნი გახდნენ.

და ყველას ღმერთები დაეშვებიან მიწაზე. ამ დღეს ყველას ღმერთები, დაე, განხორციელდნენ უბრალოთა ხატ-სახეებში.

და ღმერთი, ერთი, სამყაროსი, იქნება ბედნიერი. დაე, შენც ამ დღეს იყავ ძალზედ ბედნიერი სიყვარულით გაცისკროვნებულ დედამიწაზე!

ანასტასია გაიტაცა დღესასწაულის სურათებმა. იგი ტრიალებდა მინდორზე ისე, თითქოს ცეკვავსო, სულ უფრო და უფრო ემატებოდა აღფრთოვანება.

— შეჩერდი! შეჩერდი! — შევძახე მე ანასტასიას, უეცრად გავაცნობიერე, რომ იგი ყველაფერს სერიოზულად აღიქვამდა. იგი სიტყვებს უბრალოდ არ წარმოსთქვამს. მე მივხვდი, იგი გეგმავს ყოველი თავისი სიტყვითა და ფრაზების უჩვეულო წყობით! აგეგმარებს დღესასწაულის სურათებს! და მისთვის ჩვეული შეუპოვრობით გააგრძელებს მათ დაგეგმარებას, იოცნებებს მასზე, სანამ არ განხორციელდებიან რეალობაში მისი ოცნებები. როგორც ფანატიკოსი, იოცნებებს! ეცდება თავისი მეაგარაკეებისთვისაც როგორც აქამდე, ოცი წელი ცდილობდა. ამიტომ, შევძახე მე, რათა შემეჩერებინა იგი: — შენ რა, ვერ მიხვდი? ეს ხომ ხუმრობაა დღესასწაულის შესახებ. მე ვიხუმრე!

ანასტასია უეცრად შეჩერდა. როგორც კი შევხედე, მაშინვე თითქოს სულში რაღაც მომეწიწკნა მისი გამომეტყველების გამო. მას სახე პატარა ბავშვივით დაბნეოდა. ტკივილითა და სინანულით მიყურებდნენ მისი თვალები. თითქოს ვიღაც გამანადგურებელი ვყოფილიყავი. და თითქმის ჩურჩულით ალაპარაკდა:

— მე სერიოზულად მივიღე, ვლადიმირ. მე უკვე დავაგეგმარე ყველაფერი და მოსალოდნელ მოვლენათა ჯაჭვში ადამიანთა დეპეშების რგოლიც ჩავაწენი. მათ გარეშე მოვლენათა რიგითობა დაირღვევა. მე მივიღე შენი, დავიჯერე მისი, წარმოვქმენი. მე ვგრძნობდი, შენ გულწრფელად ლაპარაკობდი დღესასწაულზე, დეპეშებზე. ნუ წაიღებ უკან ნათქვამ სიტყვას. შენ მხოლოდ დეპეშებით დამეხმარე, რათა, როგორც შენ თქვი, შევიძლო ჩემი სხივით დახმარება.

— კარგი, მოვსინჯავ, ოღონდ დაწყნარდი, შესაძლოა, ამ დეპეშების გაგზავნა არავინ მოისურვოს...

— მოიძებნებიან ადამიანები, ისინი, რომლებიც მიხვდებიან. შეიგრძნობენ მთავრობაშიც და თქვენს სათათბიროშიც. და იქნება დღესასწაული! იქნება! შეხედე...

და თავიდან წარმოჩინდნენ დღესასწაულის სურათები. აი, მეც დავწერე ამის შესახებ, აწი მოიქეცით ისე, როგორც თქვენი გული და სული ინებებს.

ბარდის მჟღერი მახვილი

— შენ რა, ანასტასია, ფრაზებს რაღაც უცნაურად რატომ ალაგებდი, როცა დღესასწაულზე ლაპარაკობდი? სიტყვებსაც ისე წარმოთქვამდი, რომ ყოველი ასო პირდაპირ სათითაოდ ჟღერდა...

— ვცდილობდი,დღესასწაულის სურათი დეტალებში,დაწვრილებითი ხატ-სახეებით გამომესახა.

— მაშინ სიტყვები რაღა შუაშია? რა მნიშვნელობებია მათში?

— ყოველი სიტყვის მიღმა უამრავი მოვლენა, სასიხარულო სურათი ავსახე. ახლა ისინი ყველა, რეალურად განხორციელდება. აზრ-ფიქრი და სიტყვა ხომ მთავარი ინსტრუმენტია დიადი შემოქმედისა. და ეს ინსტრუმენტი ყველა იმათგანიდან ვინც სხეულშია, მხოლოდ ადამიანს აქვს ბოძებული.

— მაშინ ყველაფერი, რასაც ადამიანები ამბობენ, რატომ არ სრულდება.

— როცა სულსა და სიტყვას შორის წყვეტენ ძაფს, როცა ცარიელია სული და ხატ-სახეები უხალისოა, მაშინ სიტყვებიც ცარიელია, როგორც ქაოტური ბგერები. და თავისით არაფერსაც არ წინასწარმეტყველებენ.

— ფანტაზიაა რაღაც. და შენც, პატარა ბავშვივით ყველაფრის გულუბრყვილოდ გჯერა.

— აბა რა ფანტაზიაა, ვლადიმირ, განა თქვენი და კონკრეტულად შენი ცხოვრებიდან უამრავი მაგალითის მოყვანა არ შეიძლება, თუ როგორ ძალას იძენს სიტყვა, თუკი მის მიღმა ჩამოვაყალიბებთ მისთვის ნიშანდობლივ ხატ-სახებას?!

— კარგი, მაშინ ჩემთვის გასაგები მაგალითი მომიყვანე.

— მაგალითი? კი, ბატონო. სცენაზე დარბაზის წინ დგას ადამიანი და ამბობს სიტყვებს. მსახიობები, მაგალითად, ერთსადაიმავე სიტყვებს ამბობენ, ის სიტყვები ადამიანებს არა ერთხელ სმენიათ, მაგრამ სულგანაბულები მხოლოდ ერთს უსმენენ. სხვისას ვერ აღიქვამენ. სიტყვები ერთი და იგივეა, მაგრამ განსხვავება დიდია. შენ როგორ თვლი? რატომ ხდება ასე?

— ისინი ხომ მსახიობებია. მათ დიდ ხანს ასწავლიან ინ-სტიტუტებში, ერთნი ფრიადოსნებია, მეორენი კი, ისე რა. თანაც რეპეტიციებზე ტექსტებს იზეპირებენ, რათა ისინი ხატოვნად წარმოთქვან.

— მათ ასწავლიან ინსტიტუტებში, როგორ შეესისხლხორ-ცონ წარმოსახვით ხატებას, რომელიც სიტყვის მიღმა დგას. შემდეგ რეპეტიციებზე ისინი ცდილობენ, განასახიერონ იგი. და თუ მსახიობი წარმოთქმული სიტყვებიდან ათ პროცენტზე მე-ტად მაინც, ახერხებს წარმოსახვითი სახეების განხორციელებას, მაშინ მას დარბაზი ყურადღებით მოუსმენს. ხოლო თუკი ვინმე წარმოთქმული სიტყვების ნახევრის ჩასმას შეძლებს წარმოსა-ხვით სახიერებაში, ხატებაში, ასეთ მსახიობს თქვენ გენიალურს უწოდებთ, რამეთუ მისი სული, დარბაზში მჯდომთა სულებს უშუალოდ, პირისპირ ესაუბრება. ტირიან ან იცინიან ადამიანე-ბი, როცა სულით გრძნობენ ყოველივე იმას, რისი გადმოცემაც უნდოდა მსახიობს მათთვის, აი, რა არის დიდი შემოქმედის ინსტრუმენტი!

— შენ, როცა კი რაიმეს ამბობ, რამდენ სიტყვაში შეგიძლია ჩასვა ხატ-სახეები? ათ პროცენტში თუ ორმოცდაათში?

— ყველაში. დიდმა ბაბუამ მასწავლა ასე.

— ყველაში? წარმოუდგენელია! ყველა სიტყვაში?!!

— დიდმა ბაბუამ თქვა, რომ შეიძლება ხატ-სახე ყველა ასოში ჩაიდოს. მეც ვისწავლე ყველა ასოს მიღმა სახიერების, ხატების აგება.

— რატომ ასოს მიღმა. ასოს აზრი არ გააჩნია.

— ასოს აზრი გააჩნია! ყოველი ასოს მიღმა სანსკრიტზე ფრაზები და სიტყვებია. მათშიც ასევე ასოებია, შემდგომ ბევრი სიტყვები, ასე უსასრულოდაა აზრი დაფარული ყოველ ასოში.

— წარმოგიდგენია, ჩვენ კი ასე უბრალოდ ვატარტარებთ ყველა სიტყვას.

— ხო, ხშირად ისე უბრალოდ ითქმება ხოლმე ის სიტყვები, რომელთაც ათასწლეულები გამოიარეს. გადმოლახეს დრო და სივრცე. მათ მიღმა მდგარი დავიწყებული ხატ-სახეები დღემდე

ცდილობენ ჩვენს სულებში შემოღწევას. იცავენ კიდეც ჩვენს სულებს და იბრძვიან მათთვის.

— მერე და ასეთი რა სიტყვებია? ჩემთვის ცნობილია თუნდაც ერთი მათგანი?

— ცნობილია. ვფიქრობ, როგორც ბგერა. მაგრამ რა დგას მის მიღმა — ხალხმა დაივიწყა.

ანასტასიამ დახარა წამწამები და რამდენიმე ხანს დუმდა. შემდეგ ჩუმად, თითქმის ჩურჩულით, მთხოვა:

— წარმოთქვი, ვლადიმირ, სიტყვა "ბარდი" ('მგოსანი").

— ბარდი, — ვთქვი მე.

— ის შეკრთა, თითქოს ეტკინაო, და თქვა:

— ოო, შენ ეს დიდებული სიტყვა როგორ გულგრილად და უფერულად წარმოსთქვი! დავიწყებითა და სიცარიელით შეუბერე შენ სანთლის მთრთოლვარე ნათელს... იმ ცეცხლს, რომელმაც გამოიარა საუკუნეები და, შესაძლოა, შორეული წინაპრებისაგან მიმართულია შენთვის ან რომელიმესათვის დღევანდელი მაცხოვ-რებლებიდან. პირველსაწყისთა წყაროს მივიწყება— დღევანდელი დღის გაჩანაგებაა.

— რითი არ მოგეწონა ჩემი გამოთქმა? და ამ სიტყვასთან დაკავშირებული რა უნდა მახსოვდეს?

ანასტასია დუმდა. მერე, ჩუმად აჟღერებელი ხმით, დაიწყო ფრაზების წარმოთქმა, წამოსული თითქოს მარადისობიდან:

— ჯერ კიდევ კარგა ხნით ადრე, ქრისტესშობამდე, დედამიწაზე ცხოვრობდნენ ადამიანები, ჩვენი წინაპრები, რომელთაც კელტები ერქვათ. თავიანთ ბრძენ მასწავლებლებს ისინი დრუიდებს უწოდებდნენ. დრუიდების წინაშე, მათ მიერ მატერიალური და სულიერი სამყაროების ცოდნის გამო, ქედს იხრიდა მაშინდელ დედამიწაზე მცხოვრები ბევრი ადამიანი. დრუიდის თანდასწრებით კელტების მეომრები იარაღს არასდროს იშიშვლებდნენ. იმისთვის, რათა დრუიდთა საწყისი საფეხურის წოდება მიგეღო, საჭირო იყო ოცი წელი ინდივიდუალურად გესწავლა დიდებულ სულიერ მოძღვართან — ქურუმ-დრუიდთან. ხელდასხმის მიღებისას — იწოდებოდა "ბარდად" (მგოსნად). მას მორალური უფლება ჰქონდა წასულიყო ხალხში და ეგა-

ლობა. თავისი გალობით ჩაებუდებინა ადამიანებში ნათელი და ჭეშმარიტება, აყალიბებდა სიტყვებით ხატ-სახეებს, სულის განმკურნებელთ.

კელტებს თავს დაესხნენ რომაელი ლეგიონერები. უკანასკნელი ბრძოლა მიმდინარეობდა მდინარესთან. რომაელებმა იხილეს, რომ მეომარ-კელტებს შორის დადიან თმებჩამოშლილი ქალები. რომაელმა სარდლებმა არ უწყოდნენ, როცა ეს ქალები დადიან – კელტებზე გასამარჯვებლად რიცხობრივად ექვსჯერადი უპირატესობა იყო საჭირო! ვერც გამოცდილი რომაელი მხედართმთავრები, ვერც დღევანდელი მკვლევარ-ისტორიკოსები ვერ ხსნიან – რატომ? მთელი საქმე კი, იმ უიარაღო თმებგაშლილ ქალებშია.

რომაელთა ჯარი რიცხობრივად კელტებს ცხრაჯერ აღემატებოდა. მდინარესთან ნაპირზე მიმწყვდეული, იღუპებოდა უკანასკნელი მებრძოლი კელტთა ოჯახი.

ისინი ნახევარწრედ იდგნენ, მათ ზურგს უკან ახალგაზრდა ქალი ძუძუს აწოვებდა ჩვილ გოგონას და მღეროდა. მღეროდა ახალგაზრდა დედა ნათელ, ხალისიან სიმღერას, რათა პატარას სულში შიში და ნაღველი არ ჩაბუდებულიყო, რათა მასთან ნათელი ხატ-სახეები ყოფილიყო.

როცა გოგონა დედის ძუძუსთავს პირს უშვებდა, მათი მზერა ერთმანეთს ხვდებოდა, ქალი წყვეტდა სიმღერას და გოგონას ყოველ ჯერზე მოფერებით "ბარდა"-ს (მგოსანს) უწოდებდა.

უკვე აღარ იყო დამცველი ნახევარწრე. რომაელი ლეგიონერების წინ მეძუძური დედისაკენ მიმავალ ბილიკზე, მახვილით ხელში გასისხლიანებული ახალგაზრდა ბარდი იდგა. იგი ქალისკენ მიტრიალდა, ერთურთს მზერა სტყორცნეს და გაულიმეს.

დაჭრილმა ბარდმა რომაელების მანამდე შეჩერება შეძლო, სანამ ქალი არ ჩავიდა მდინარესთან, არ ჩააწვინა ჩვილი გოგონა ნავში, ხელი არ ჰკრა მას და ნაპირს არ მოაცილა. სისხლისგან დაცლილმა ბარდმა, ნებისყოფის უკანასკნელი დაძაბვით, ახალგაზრდა ქალს თავისი მახვილი ფეხებთან დაუგდო.

მან ასწია მახვილი. ვიწრო ბილიკზე იგი ლეგიონერებთან ოთხი საათის განმავლობაში შეუჩერებლად იბრძოდა, არ უშვებდა მათ მდინარესთან. დაღლილი ლეგიონერები ბილიკზე ერთმანეთს ენაცვლებოდნენ. რომაელი მხედართმთავრები გაოგნებულნი, მდუმარედ ადევნებდნენ თვალს და ვერ მიმხვდარიყვნენ, თუ რატომ იყო, რომ ძლიერმა და გამოცდილმა ჯარისკაცებმა ქალს სხეულზე ერთი ნაკაწრიც ვერ მიაყენეს?

იგი იბრძოდა ოთხი საათი. შემდგომ გადაიწვა. მისი ფილტვები გამოშრა გაუწყლოების გამო, არ მიუღია რა არც ერთი ყლუპი წყალი, დამსკდარი ლამაზი ტუჩებიდან სისხლი ჟონავდა.

ნელ-ნელა მუხლებზე დაეშვა, ეცემოდა რა, მან მაინც შეძლო, კიდევ ერთხელ გაეგზავნა სუსტი ღიმილი მდინარის დინების მიერ წაღებული ნავის კვალდაკვალ, პაწაწინა მგოსან გოგონა – ბარდისაკენ, ათასწლეულთა შორის დღევანდელ მაცხოვრებელთათვის, მის მიერ გადარჩენილი სიტყვისა და მასში მყოფი ხატ-სახების წამღებისკენ.

არამარტო სხეულშია საკაცობრიო არსი. განუზომლად მეტია და მნიშვნელოვანია – უხილავი გრძნობები, მისწრაფებები, შეგრძნებები, რომლებიც მხოლოდ ნაწილობრივ აისახებიან მატერიალურში, როგორც სარკეში.

გოგონა – ბარდი (მგოსანი) გახდა ქალიშვილი, შემდეგ ქალი და დედა. იგი ცხოვრობდა დედამიწაზე და მღეროდა. მისი სიმღერები ხალხს მხოლოდ ნათელ ემოციებს ჩუქნიდნენ, როგორც სხივს ყოვლადგანმკურნებელს, დარდის გაფანტვაში ეხმარებოდნენ სულს. მრავალი ყოფითი ვაება და გაჭირვება ცდილობდა ამ პატარა სხივის წყაროს ჩაქრობას. უხილავი ბნელი ძალები ცდილობდნენ მასთან შეღწევას, მაგრამ არ შეეძლოთ, გადაელახათ ერთადერთი წინააღმდეგობა – ბილიკზე მდგომთა.

კაცობრიული არსი არა მარტო სხეულშია, ვლადიმირ. ბარდის სისხლდაცლილმა სხეულმა უსასრულობაში გაგზავნა თავისი სულის ნათელი ღიმილი, ასახა რა ადამიანური არსის უხილავი ნათელი.

და იფერფლებოდა ახალგაზრდა დედის ფილტვები, რომელსაც მახვილი ეჭირა, მოედინებოდა ალისფერი სისხლი იმ დამსკდარი ტუჩებიდან, რომლებმაც ბარდის ნათელი ღიმილი აიტაცეს...

და აი ახლა, დამიჯერე მე, ვლადიმირ. მიხვდი. გაიგონე ბარდის უხილავი მახვილის ჟღარუნი, ბოროტისა და ბნელის ამსახველი, ბილიკზე მდგომ სულთა შთამომავლების მისამართით. თუ შეიძლება, კიდევ ერთხელ გამოთქვი სიტყვა — ბარდი, ვლადიმირ.

— ვერ შევძლებ... ჯერ-ჯერობით ვერ შევძლებ სათანადო მნიშვნელობით მის გამოთქმას. მერე კი მე მას აუცილებლად გამოვთქვამ.

— მადლობა არგამოთქმისათვის, ვლადიმირ.

— მითხარი, ანასტასია, შენ ხომ შეგიძლია მითხრა, დღევანდელ მცხოვრებთაგან ვინ წარმოადგენს ბილიკზე მებრძოლი ჯარისკაცი ბარდის, იმ მეძუძური ქალისა და პატარა გოგონას — მომღერალი ბარდის - პირადაპირ შთამომავალს? ვის შეეძლო ასეთი რამის დავიწყება, ვისი მოდგმაა იგი?

— აბა, დაფიქრდი, ვლადიმირ, ასეთი შეკითხვა რატომ წარმოიშვა შენში?

— მინდა შევხედო მას ან მათ, რომლებსაც არ ახსოვთ ასეთი რამ... არ ახსოვთ თავისი მოდგმა.... უგრძნობლებს...

— შესაძლოა, შენ გსურს დარწმუნდე, რომ ეს, შენ არა ხარ, რომელსაც არ ახსოვს?

— რა შუაშია აქ ეს... მივხვდი, ანასტასია, არ მიპასუხო. დაე, თითოეული ჩაფიქრდეს.

— კარგი, — მიპასუხა მან და გაჩუმდა, თან შემომცქეროდა.

რამდენიმე ხნით ანასტასიას მიერ აღწერილი სურათის შთაბეჭდილების ქვეშ მყოფი, მეც ვდუმდი — შემდეგ კი ვკითხე:

— მაინცდამაინც ეს სიტყვა რატომ მოიყვანე მაგალითად?

— რათა მეჩვენებინა შენთვის, როგორც ხატ-სახეები, მის უკან მდგარნი რეალურ სამყაროში, მალე განხორციელდებიან. გიტარათა ათასობით სიმი თრთის რუსეთის დღევანდელი ბარდების თითების ქვეშ. ჯერ კიდევ, როცა ყველაფერ ამაზე

ვიოცნებე, იქ, ტაიგაში, პირველებმა მათ შეიგრძნეს. მათი სულები... თავიდან, მხოლოდ ერთში აინთო მრთოლვარე ცეცხლი და შეკრთა გიტარის ფაქიზი სიმი, შემდგომ აიტაცეს, გამოეხმაურენ სხვების სულებიც. მალე, მათ სიმღერებს, მრავალი ადამიანი გაიგონებს. ისინი – ბარდები – დაეხმარებიან ახალი განთიადის დანახვაში. განთიადის, ადამიანების სულთა განმსხივოსნებლის... შენ მოისმენ მათ სიმღერებს. ახალ სიმღერებს, საგანთიადოს.

მკვეთრი შემობრუნება

ანასტასიასთან სამი დღის ყოფნის შემდეგ, როცა თბომავალზე დავბრუნდი, რამდენიმე დღე საერთოდ არ შემეძლო ფირმის საქმეებს ჩავღრმავებოდი. არ შემეძლო, მიმეღო გადაწყვეტილება, არც თბომავლის შემდგომი მსვლელობის გეზის შესახებ, არც იმ რადიოგრამებზე პასუხის გაცემა, რომლებიც ნოვოსიბირსკიდან მოდიოდნენ. ამიტომაც დაქირავებულმა მუშაკებმა, ეკიპაჟის ნაწილმაც, სადაც თბომავალი იდგა, თითქოს შეამჩნიესო ჩემი საქმეებისადმი უგულისყურობა, ქურდობა დაიწყეს, სურგუთის მილიციაც ოქმებს ადგენდა, დაცვაც იჭერდა ქურდებს, მაგრამ მე ამ სიტუაციებშიც კი ბოლომდე ჩაწვდომა არ მინდოდა.

ახლა, ძნელი სათქმელია, ჩემზე ანასტასიასთან ურთიერთობამ ასე ძალიან რატომ იმოქმედა.

წინათ ჩემთან ფირმაში სხვადასხვა სასულიერო კონფესიიდან მრავალი წარმომადგენელი მოდიოდა. ისინი მიყვებოდნენ, რომ აპირებდნენ საზოგადოებისათვის რაღაც კარგის გაკეთებას და ყოველთვის ფულს ითხოვდნენ. ხანდახან ვაძლევდი კიდეც, რათა მომეცილებია ისე, რომ მათ საქმეებს განსაკუთრებულად არც კი ვუღრმავდებოდი. რა საჭირო იყო ჩაწვდომა, როცა საუბარი ყოველთვის ფულის თხოვნით მთავრდებოდა.

ანასტასია, ყველა "სასულიერო" პირისაგან განსხვავებით, ფულს არ ითხოვდა. და საერთოდაც, ძნელი წარმოსადგენი იყო, რა შეიძლებოდა მისთვის მიგეცა. გარეგნულად მას, თითქოსდა არაფერი აქვს, მაგრამ იქმნებოდა შთაბეჭდილება, რომ იგი

ფლობს ყველაფერს. გავეცი განკარგულება, თბომავალს პირდა-პირი სვლით ნოვოსიბირსკისკენ ემოძრავა. ვიკეტებოდი კაიუტაში, ვფიქრობდი.

ბიზნესით ათ წელზე მეტმა დაკავებამ, კოლექტივების მართვამ, ბევრი რამ მასწავლეს. წარმატებებმა და წარუმატებლობებმა გამომიმუშავეს თვისება, ვეძებო და ვიპოვო გამოსავალი სხვადასხვა სიტუაციებიდან. მაგრამ ამჟამად სიტუაცია ისეთი იყო, უარესს რომ ვერ წარმოიდგენ. ერთბაშად ყველა უბედურება დამატყდა თავს. ფირმის კრახი გარდაუვალი იყო. ვიღაც "კეთილისმსურველმა" ჩაუშვა ფირმაში სწრაფადგავრცელებადი ჭორი: "მას რაღაც დაემართა. დაკარგა ეფექტური კომერციული გადაწყვეტილებების მიღების უნარი". ერთი სიტყვით, ყველამ თავს უშველეთო. და "შველოდნენ თავს". დაბრუნებისას დავინახე, როგორაც. ნათესავებმაც კი გამოიღეს ხელი ფირმის ქონების დასატაცებლად. "მაინც ყველაფერი განიავდება!"— თვლიდნენ ისინი. მხოლოდ ძველ მუშაკთა პატარა ჯგუფი ცდილობდა რღვევისათვის შეწინააღმდეგებას. მაგრამ ისინიც, საშტაბო თბომავლის მოსვლის შემდეგ, როცა ნახეს, რა ლიტერატურას ვკითხულობდი, ჩემი ფსიქიკური მდგომარეობის გამო შეშინდნენ.

შექმნილ სიტუაციას აბსოლუტურად საღად ვაფასებდი. შესანიშნავად მესმოდა, რომ ამ კოლექტივთან საქმის გამოსწორებას უკვე ვეღარ შევძლებდი. ისინიც კი, ვინც ადრე პირში შემომცქეროდა, ახლა ჩემს ნებისმიერ გადაწყვეტილებას ეჭვის თვალით ხვდებოდნენ.

ძალიან მინდოდა, ანასტასიას შესახებ ვინმესთვის მომეთხრო, მაგრამ არ შემეძლო იმის წარმოდგენა, რომ გამიგებდნენ. მოსალოდნელი იყო ფსიქიატრიულში მოხვედრა. ოჯახში ჩემს მკურნალობაზე უკვე ისედაც მიდიოდა საუბარი.

გარემოცვა უპირობოდ მოითხოვდა ჩემგან კომერციულ პროექტებს, ამასთან, უეჭველად ეფექტურს. ჩემი ახალი გატაცებები ისე ფასდებოდა, როგორც სიგიჟე ან ფსიქიკური მოშლილობა. მე მართლაც ბევრი ფიქრი დავიწყე ჩვენი ცხოვრების სხვადასხვა მოვლენაზე:

ვფიქრობდი – "რა ხდება მასში? –. ჩაატარებ ერთ კომერციულ ოპერაციას, იშოვი ფულს, თვითკმაყოფილებას კი ვერ აღწევ. მაშინვე გინდება, რომ უფრო მეტი გქონდეს. და აი, ასე, უკვე ათზე მეტი წელიწადია! სადაა გარანტია, რომ ეს რბოლა ასე არ გაგრძელდება სიცოცხლის ბოლომდე, ხოლო თვითკმაყოფილებას კი მაინც ვერ მიაღწევ? ერთს, არყისთვის მანეთი არ ყოფნის და განწყობილება უფუჭდება. მილიარდერს, მილიარდი აკლია რაღაცის შესაძენად – მასაც გუნება უფუჭდება. შესაძლოა, ფულის რაოდენობაში სულაც არ არის საქმე?"

ერთ დილას, ფირმაში, ორი ძველი ნაცნობი კოლეგა მეწარმე მეწვია, მსხვილი კომერციული ფირმების ხელმძღვანელები. მე მათ დავუწყე საუბარი სუფთა ზრახვების მეწარმეთა გაერთიანებაზე, მათი მოღვაწეობის მიზანზე. მინდოდა, ვინმესთვის მაინც გამეზიარებინა აზრები. ისინი საუბარს მხარს უჭერდნენ, რაღაცეებს ეთანხმებოდნენ. ჩვენ დიდხანს ვისაუბრეთ, ჩემთვის გავიფიქრე: "ნუთუ მათ ყველაფერი ასე კარგად გაიგეს, რადგან საუბარს ამდენი დრო დაუთმეს – მეთქი". მერე ჩემმა მძღოლმა მითხრა:

– ისინი, თქვენთან ვლადიმირ ნიკოლაევიჩ, 'მათი" თხოვნით მოვიდნენ. ისინი 'მათ" მოიწვიეს, ვინც თქვენს ჯანმრთელობაზე ღელავს. უნდოდათ გაეგოთ, მთელი ეს დრო რაზე ფიქრობთ? რა გაწუხებთ? მოკლედ, ერთი სიტყვით, ნორმალური ხართ თუ არა. ექიმები გამოიძახონ, თუ დაიცადონ, სანამ გაგივლით.

– თავად შენ როგორად მთვლი?

იგი რამდენიმე ხანს დუმდა, მერე კი ჩუმად წარმოთქვა:

– ათი წელი თქვენ, ნორმალურად მუშაობდით. ქალაქში ბევრი ამბობდა თქვენზე – "წარმატებულიაო". ახლა კი ფირმაში ყველას საერთოდ უხელფასოდ დარჩენის ეშინია.

და აი აქ, მე მივხვდი, უკვე რა შორს წავიდა ჩემზე ზრუნვა, მძღოლს კი ვუთხარი:

– მიდი, მოაბრუნე მანქანა.

მივბრუნდი ფირმაში, მოვიწვიე საგანგებო თათბირი. დავნიშნე ხელმძღვანელები სხვადასხვა მიმართულებების მიხედვით. მათ მოქმედებების სრული თავისუფლება მივანიჭე ჩემი არყოფ-

ნის დროს. მძღოლს შევუთანხმდი, ჩემს აეროპორტში წასაყვანად დილით ადრე მოსულიყო.

აეროპორტში მან რაღაცა თბილად შეხვეული გადმომცა. ვკითხე:

— ეს რა არის?

— ღვეზელი.

— ანუ შენ მე, შეცოდების გამო, შეშლილს, ღვეზლებს მაძლევ?

— ეს ჩემმა ცოლმა გამომატანა, ვლადიმირ ნიკოლაევიჩ, დასაძინებლადაც არ დაწოლილა, მთელი ღამე ცოდვილობდა. ადრე, სანამ ახალგაზრდა იყო, არ აცხობდა, ახლა კი დაიწყო. დაიჟინა, გინდა თუ არა გადაეციო. ტილოში შეახვია, ჯერაც თბილია. ამბობს, რომ თქვენ კარგა ხანს ვერ დაბრუნდებით. თუ საერთოდ დაბრუნდებით... მშვიდობით.

— კეთილი, გმადლობ შენ.

რამდენიმე დღის შემდეგ, კი იგი ფირმიდან გაენთავისუფლა...

ვინ საზღვრავს მიმართულებას?

თვითმფრინავის სავარძელში თვალები დავხუჭე. თვითმფრინავის გეზი ზუსტადაა განსაზღვრული. ის მოსკოვისკენ მიემართებოდა. ჩემი შემდგომი ცხოვრების გეზი კი, ჯერ კიდევ დასადგენი მქონდა. უფრო მეტად მეწარმეებზე მეფიქრებოდა.

ახლა ბევრს მიაჩნია, რომ მეწარმეები უეჭველად ვაჭრებია, რომლებმაც პირველსაწყისი კაპიტალი რაღაც არაწესიერი გზით დააგროვეს და მას გარშემომყოფთა ხარჯზე ზრდიან. რა თქმა უნდა, ისევე როგორც ჩვენი საზოგადოებრიობის სხვადასხვა ფენებში, მეწარმეთა შორისაც არ არის ყველა ერთგვაროვანი, მაგრამ, გარდაქმნის პერიოდის დასაწყისიდან, ვარ რა სამეწარმეო საქმიანობის მოვლენათა ცენტრში, თავს უფლებას ვაძლევ ვამტკიცო, რომ მეწარმეთა პირველი ტალღის წარმომადგენლები, თავიანთ უმრავლესობაში, პირველსაწყის კაპიტალს ქმნიდნენ არასტანდარტული გადაწყვეტილებების ძიების გზით: ახალი ან დეფიციტური საქონლის, მომსახურების წარმოების, საწარმოო პროცესების უფრო რაციონალური ორგანიზების ხარჯზე.

საბჭოთა და რუსეთის მეწარმეთა უმრავლესობის უნარი გამოიხატებოდა იმაში, რომ ფული ნულიდან, კრედიტების გარეშეც უნდა ეკეთებინა. პირველ მეწარმეებს, როგორც შემდგომი ტალღის წარმომადგენლებს, პრივატიზებული ქარხნები არ ჰქონდათ! და იძულებულნი იყვნენ, ჭკუით ეფიქრათ და არა გამართლების იმედად ყოფილიყვნენ. და კეთდებოდა კიდეც ფული ნულიდან. დამამტკიცებელ საბუთად საკუთარი პრაქტიკიდან მოვიყვან მაგალითებს.

ფული ნულიდან

ფოტოხელოვნების ერთ პატარა ბრიგადას ჯერ კიდევ გარდაქმნამდე ვხელმძღვანელობდი. მასში შედიოდნენ ფოტოატელიეს ლაბორანტები, მოგზაური ფოტოგრაფები. ხელფასი და დამატებითი შემოსავალი ყველას ჰქონდა, რაც საშუალებას აძლევდათ, იმ დროისათვის საშუალო კეთილდღეობა მიეღოთ. შემოსავლის პროცენტს ყველა ღებულობდა. მეტი გვინდოდა. მაგრამ ამისათვის საჭირო იყო, შემოსავალი მკვეთრად გაგვეზარდა, კლიენტთა რაოდენობა მეტი ყოფილიყო. მე შევძელი გადაწყვეტილების პოვნა. ამ საშუალებით მსურველებმა დღესაც შეიძლება ისარგებლონ. ერთხელ ქალაქგარეთა ტრასაზე ჩემი კუზიანი "ზაპოროჟეცის" ბორბალი დაეშვა. სანამ საბურავი იბერებოდა, მე ვუყურებდი ერთი-მეორის მიყოლებით მიმავალ მანქანებს და ვფიქრობდი: "როგორი კოლოსალური შემოსავალი იქნებოდა, რომ ამ მანქანების მფლობელებმა სურათის გადაღება მოისურვონ!". რამდენიმე წუთში ჩემს თავში მომწიფდა გეგმა, რომელიც შემდგომში განხორციელდა კიდეც და მან კოლექტივის შემოსავალი ოთხჯერ გაზარდა. ეს ასე ხდებოდა – ტრასაზე ფოტოგრაფი ფოტოპარატით დგება, მას ახლავს ორი, მწვანე სამკლაურიანი თანაშემწე წარწერით "სმ" (საყოფაცხოვრებო მომსახურება) და ხელში სახავტოინსპექციის ხელკეტი უჭირავს. მძღოლები ჩერდებოდნენ, რადგან ეგონათ, რომ ეს ვიღაც "მწვანე" ან კიდევ რომელიღაც პატრული იყო. როგორც კი იგებდნენ, რომ მათ საყოფაცხოვრებო მომ-

სახურებას სთავაზობდნენ და არავინ სჯიდა, არაფერს ერჩოდა, არ ამოწმებდა, სიამოვნებით დგებოდნენ თავიანთ მანქანასთან სურათის გადასაღებად. მისამართს ვართმევდით, რომელზეც იგზავნებოდა სურათები, საფოსტო ხარჯის დანამატის დართვით. აუცილებელი იყო მათი მანქანის ნომერთან დადგომა – რათა მერე მისამართი არ შეგვშლოდა.

ნოვოსიბირსკისკენ მიმავალი ყველა მთავარი ტრასა ნახევარი წლის მანძილზე ასეთი მომსახურებით იყო მოფენილი. შემდეგ გახშირდა იმ მძღოლების რაოდენობა,

რომლებსაც ეს მომსახურება უკვე მიღებული ჰქონდათ. მაგრამ ამ ნახევარ წელიწადში ბრიგადამ მოასწრო, საკმაო თანხა გამოემუშავებია.

შემდგომ მოვიგონე კერძო სახლების გადაღების ოპერაცია ისეთი ტექსტით, როგორიც ღია ბარათებზეა: "ჩემი მშობლიური სახლი", "მამისეული სახლი" და მისი მსგავსი.

ბრიგადამ უამრავი რაოდენობის სახლი გადაიღო. მოთხოვნილება ძალიან დიდი იყო. ამიტომ ფოტოგრაფი სურვილებს აღარც კი კითხულობდა; ის დასახლებულ პუნქტში ჩადიოდა, უბრალოდ ქუჩაში დადიოდა და ყველა სახლს სურათებს უღებდა.

შემდეგ ფოსტალიონები ამ სურათებს ჩამოატარებდნენ და ფულს კრებდნენ. ხალხი ამ სურათებს თავის შვილებს უგზავნიდა. ბევრი ამბობდა, რომ ეს ფოტოები შვილებში სტუმრად ჩამოსვლის სურვილს აღძრავდა.

"ნოვოსიბობლფოტოს" გაერთიანებას ბრიგადისათვის ხელფასის გადახდაში პრობლემები გაუჩნდა, რადგან მაშინდელი ადმინისტრაციის აზრით, იგი ყოველგვარი ნორმების ზღვარს აჭარბებდა, მაგრამ ვერაფერს ახერხებდნენ, რადგან ხელფასის პროცენტი ყველას ერთნაირი ჰქონდა.

გარდაქმნის პირველი დღეებიდანვე ჩვენი ბრიგადა გაერთიანებას გამოეყო. ჩამოყალიბდა დამოუკიდებელი კოოპერატივი. მე თავმჯდომარედ ამირჩიეს.

უკვე შესაძლებელი იყო თავისუფლად გვემუშავა, პირველადი კაპიტალი ჩამოგვეყალიბებინა და შევდგომოდით უფრო

მასშტაბურ საქმეს. დავიწყე ფიქრი, თუ კიდევ რა უნდა გვექნა ფირმის შემოსავლების ზრდისათვის?

ერთხელ ნაცნობს, თეორიული და გამოყენებითი მექანიკის ინსტიტუტიდან, გამოველაპარაკე. მან შემომჩივლა:

— ხელფასს გვიგვიანებენ. ლაბორატორიის გარდაქმნა სურთ. სად წავიდე, რა ვქნა? არავის აღარ ვჭირდებით.

— შენი ლაბორატორია ადრე რას აკეთებდა? ვკითხე მე.

— თერმოინდიკატორულ ფირს,ახლა ისიც არავის სჭირდება.

— ეს ფირი რისთვისაა?

— სხვადასხვა დანიშნულებისთვის, - მპასუხობს. და იღებს ჯიბიდან ფირის ნაწილს. აი, აიღე, - და მაწვდის.

ფირის ნაკუწს ხელი მოვკიდე და იგი უეცრად ჩემი თითების ქვეშ გამწვანდა. ამის გამო გადავაგდე კიდეც.

— ეს რა სისაძაგლეა ასეთი? მწვანდება. ხელების დაბანაა საჭირო, - ვეუბნები. ის კი მპასუხობს:

— ნუ ღელავ, მან უბრალოდ შენი ხელის ტემპერატურის გამო შეიცვალა ფერი. ის ასე რეაგირებს ტემპერატურის ცვალებადობაზე. თუ სიმხურვალე ნორმაზე მეტი იქნებოდა, მაშინ ფირი გაწითლდებოდა. სხეულის ნორმალური ტემპერატურისას ფირს ასეთი მომწვანო შეფერილობა აქვს.

სწრაფად მომწიფდა იდეა. ფირმამ ბრტყელი თერმომეტრებისა და სტრეს-ინდიკატორების გამოშვება დაიწყო. ნაირფეროვანი კვადრატებით ლამაზად გაფერადებულ მუყაოს ნაჭერზე, რომელზედაც შესაბამისი ფერების გასწვრივ გრადუსის მაჩვენებელი ციფრები ეწერა, ეწებებოდა ფირის ნაჭერი და გამოდიოდა ნაკეთობა.

ჯერ კიდევ დაუშლელ საბჭოთა კავშირის მრავალ რეგიონში, სახელმწიფო სავაჭრო საშუამავლო კანტორის სისტემის მეშვეობით, ვასაღებდით ჩვენს პროდუქციას.

კოოპერატივის კოლექტივი გაფართოვდა. ხელფასი ყველას მნიშვნელოვანი გამოდიოდა. დაიწყო კოოპერატივში იმ პირველადი კაპიტალის დაგროვება. არც ინსტიტუტის ლაბორატორია ყოფილა წაგებაში, რადგან მას ინსტიტუტისთვის ფული შემოჰქონდა.

კოოპერატივისთვის ჩვენ ორი მანქანა და აპარატურა შევიძინეთ. და აი აქ, შემთხვევითობა დაგვეხმარა დიდი ნახტომის გაკეთებაში.

ერთხელაც, შუა დღეს, კანტორაში მოვდივარ და ვხედავ: ერთ ტელეფონზე ჩემი მდივანი საუბრობს და რაღაცას იწერს, მეორეზე – დამლაგებელი. კანტორაში მხოლოდ სულ ორი ტელეფონი იყო. როგორც კი დადებენ ყურმილს, მაშინვე ირეკება ზარი. მერე მდივანი ამბობს:

– მესამე საათია ზარები არ წყდება! ერთი-მეორის მიყოლებით, შეუწყვეტლივ. ყველას ჩვენი თერმომეტრები და სტრეს-ინდიკატორები სურს. ერთი გვეჩხუბა, გვითხრა, თქვენ გარდაქმნამდელი "წუწურაქები" ხართო. თუ გვინდა, ფასი ავწიოთ, იგი მზადაა, პარტია გაზრდილი ფასებითაც შეიძინოს. ყველა დიდ პარტიებს თხოულობს. მზად არიან, წინასწარგადახდითაც დაგვიკვეთონ.

ჩვენს ქვეყანაში გარდაქმნის დასაწყისში, როგორც გახსოვთ, იაფფასიანი პროდუქცია ყვაოდა. მოთხოვნილება იყო სხვადასხვანაირ პლასტმასის კლიპსებზე, პლაკატებზე, კალენდრებზე ნახევრადშიშველი ქალიშვილებით. ყველაფერ ამას, როგორც დამთხვეულები, ისე იტაცებდნენ.

ჩვენი პროდუქცია ასეთ ფონზე, რა თქმა უნდა, სუპერსიახლედ გამოიყურებოდა. მაგრამ ჩვენ მას, მხოლოდ ნახევარი წელია ვუშვებდით, და აი, უეცრად, მასზე მოთხოვნილების ასეთი მკვეთრი ზრდაა, პირდაპირ, ასე ვთქვათ, აჟიოტაჟი ატყდა. ეტყობოდა, რაღაც მოხდა, მაგრამ რა? თურმე წინა დღეს საღამოთი ცენტრალური ტელევიზიით საერთაშორისო კომენტატორ ცვეტოვს, იაპონიაზე ლაპარაკის დროს უთქვამს: "იაპონელები – გამომგონებელი ხალხია", და შემდეგ იაპონური სტრეს-ინდიკატორი უჩვენებია. ის ჩვენსას ჰგავდა. პირველად მე პრაქტიკაში ასე გავიგე რეკლამის მნიშვნელოვნობა და მივხვდი, რა არის გამართლება!

ჩვენი კოოპერატივის საამქრო სამ ცვლაში მუშაობდა. შეფუთვას, ჩამოჭრას, პროდუქციის დასრულებას, დაქირავებული მუშაკები სახლში აკეთებდნენ. შემოსავალი განუხრელად იზ-

რდებოდა. შევიძინეთ გასასეირნებელი პატარა თბომავალი. ასევე გადავწყვიტე, სათესი აპარატი გამოგვეშვა ფერმერული მეურნეობისათვის. უკიდურესი ჩრდილოეთის რაიონებში ბიზნეს-ტურებისა და სავაჭრო ექსპედიციების ორგანიზებისთვის დიდი სამგზავრო თბომავალი ვიქირავეთ.

გამანადგურებელი ძალა

როცა ჩემს პირველ კოოპერატივს ვხელმძღვანელობდი, მე პრაქტიკამ დამარწმუნა, თუ როგორი გამანადგურებელი ძალა, ნებისმიერი მატერიალური კეთილდღეობის შემმუსვრელი, შეიძლება გახდეს ადამიანური ურთიერთობების რღევა, ერთმანეთის მიმართ მოუთმენლობა, შეუწყობლობა. მერე მივხვდი, რომ ზუსტად ამ მიზეზით იშლება მრავალი კოლექტივი. ყველაფერი კი, შესაძლოა, არაფრის გამო დაიწყოს.

აი, ასეც მოხდა ჩემს პირველ კოოპერატივში. მან გახლიჩა ის, ამასთან ერთად რამდენიმე ოჯახიც დაანგრია. აქამდე ვერ მივმხვდარვარ, კაცი წინ როგორ უნდა აღუდგეს ამ ძალას, რომელიც სპონტანურად წარმოიქმნება და ჯანსაღ აზრს არ ექვემდებარება!

ყველაფერი დაიწყო იმით, რომ მე გადავწყვიტე, ქალაქგარეთ შემეძინა სახლი კარ-მიდამოთი. ამის გაკეთება კოოპერატივის სამნეო ნაწილის გამგესა და მომმარაგებლის მოვალეობის შემსრულებელ ალექსეი მიშუნინს დავავალე. მან ყველა აუცილებელი ყიდვა-გაყიდვის დოკუმენტი გააფორმა. გავემგზავრე, ვნახე. დიდი სახლი იყო. ოცი მეასედი მიწის ნაკვეთი, აბანო, ავტოფარეხი, სათბური. მართალია, ცხვრები და ძროხა ზედმეტი იყო, მაგრამ მიშუნინმა თქვა, რომ მეპატრონეები საცხოვრებლად სხვაგან უნდა გადასულიყვნენ და ამიტომაც ყველაფერს ერთბაშად ყიდდნენ. ძროხისათვის საკვები არის და სოფლელ ქალს, რომელიც მოვა და მას მოწველის, უკვე მოველაპარაკეო.

მეორე დღეს კოოპერატივის წევრთა კრება მოვიწვიე. შენაძენის შესახებ ვაცნობე. განვმარტე შეძენის მიზანი. ამ სახლის დანიშნულება იყო სტუმართა მიღება, კოოპერატივის წევრთა

დასვენება, დღესასწაულების ჩატარება. აუცილებელი იყო, მეურნეობაში ყველაფერი ყველას ერთად კეთილმოგვეწყო, სახლი შეგვეკეთებია, სამზარეულო თანამედროვედ გადაგვეკეთებია.

კოოპერატივის მამაკაცურმა ნახევარმა ამ იდეას დიდი ენთუზიაზმით დაუჭირა მხარი, მაგრამ ქალებმა ერთმანეთში რაღაცნაირი ჩურჩული დაიწყეს. უცნობია, ამბოხი რომელმა მათგანმა ჩათესა. ითხოვა რა სიტყვა ქალების სახელით, ჩემმა ცოლმა მათი ჩურჩული შეაჯამა, მან თქვა, რომ მე და კოოპერატივის მამაკაცებმა, ქალებთან მიმართებაში, ზრდილობის ყოველგვარ საზღვარს გადავაბიჯეთ.

— ჩვენ თქვენთან, კოოპერატივში, თანაბრად ვმუშაობთ,— ამბობდა იგი,— განა სახლის მილაგება, სამზარეულოში ყოველდღე ქურასთან ტრიალი, ბავშვებთან ყოფნა, ეს რა, ცოტაა? და ახლა თქვენ გსურთ, რომ ჩვენ კიდევ ამ ქალაქგარეთ სახლშიც ვირებივით ვიშრომოთ, რემონტები ვაკეთოთ და შემდეგ თქვენს მიღებებსაც, ღრეობებსაც ვემსახუროთ?

და წავიდააა... ქალებმა გადმოანთხიეს კოოპერატივის მამაკაცებზე თავიანთი პირადი ოჯახური და სხვა უკმაყოფილებები. ამას მაშინ მივხვდი, როცა ერთ-ერთმა მათგანმა წამოიყვირა:

— თქვენ მხოლოდ დომინოს ბრახუნი და ტელევიზორზე მიშტერება გინდათ.

ჩვენს კოოპერატივში დომინოს საერთოდ არც ერთი მამაკაცი არ თამაშობდა. ეს მისი ქმარი, მეხანძრე, თამაშობდა. ის ჩვენთან არ მუშაობდა. მაგრამ განსაკუთრებით აყაყანდნენ კოოპერატივის მუშაკთა ცოლები. ერთმა თავის მეუღლეს ყველას თანდასწრებით, პირდაპირ პირში მიახალა სულელურად:

— შენ ყოველთვის ოფლითა და იაფფასიანი სიგარეტებით ყარხარ (მას "პრიმის" მოწევა უყვარდა) და აწი ნაკელის სუნითაც აქოთდები!

ჩამოწვა პაუზა. ქმარს სული შეეხუთა, გაწითლდა და წარმოთქვა:

— მე სპეციალურად ავქოთდები ნაკელით. სპეციალურად, რომ შენ, ავხორცო, მე არ მომეკარო.

ცოლი ატირდა. ქალებმა ‘განაწყენებულს‘‘ უთანაგრძნეს და უფრო ‘მაგრად გარეკეს‘‘. სხვადასხვა უწმაწური სიტყვები წამოიყვირეს. ჟენია კოლპაკოვი მუშაობდა ჩვენთან. იგონებდა სხვადასხვა მოწყობილებებს, რომლებიც შრომის ნაყოფიერებას ამაღლებდა, არემონტებდა ყველაფერს. ისინი მას ეუბნებიან:

— აქ, ჩვენ, გამომგონებლები გვყავს, ასეთი გამომგონებლების შემდეგ — დალაგება-მილაგებას მთელი წელი უნდა!

ისინი პოლიტიკასაც მისწვდნენ:

— გორბაჩოვი ლაპარაკობს, რაისა მაქსიმოვნა კი ყველაფერს მის მაგივრად წყვეტს.

შესვენება გამოვაცხადე. მეგონა, როგორღაც თავისით დალაგდებოდა ყველაფერი. შესვენების შემდეგ, გარეგნულად მშვიდნი, ყველანი დასხდნენ, მაგრამ იგრძნობოდა შინაგანი დაძაბულობა. ჩემმა ცოლმა, მოჩვენებითი სიმშვიდით, ქალების სახელით, აგდებულად გააკეთა განცხადება-ულტიმატუმი.

— რა თქმა უნდა, თუ თქვენ გინდათ ქალაქგარეთ რეზიდენცია, კი ბატონო, გქონდეთ, მაგრამ არც ერთი ქალი, ფეხსაც არ შემოდგამს მასში. რადგანაც ფული საერთოა და თქვენ ჩვენს გარეშე მისი დახარჯვის უფლება არ გაქვთ, კომპენსაციის სახით ჩვენ, ერთი მსუბუქი მანქანა მოგვეცით მძღოლიანად, სპეციალურად, საოჯახო მეურნეობისათვის. ჩვენ რიგრიგობით ვისარგებლებთ.

— ძალიან კარგი, — გაისმა მამაკაცების მხრიდან, — დაგადგეთ ყელზე! რასაც გინდათ, ყველაფერს მოგცემთ, ოღონდ თქვენ იქ არ დაგინახოთ და!

— ისინი, კოლმეურნე — ტურფებს იშოვიან სოფელში.

— დაე, ეძებონ, მერე. ტურფები სწრაფად გაექცევათ. ნეტა ესენი ვის რაში სჭირდებათ!

არც ერთი მამაკაცი, რომელთა ცოლები ჩვენს კოოპერატივში მუშაობდნენ, სახლში არ წასულა. პარასკევი დღე იყო და ჩვენს “ფაზენდაზე” გავემგზავრეთ.

ყველაფერი დავათვალიერეთ, კეთილმოწყობის სქემაც ავაგეთ. შაბათს გავახურეთ აბანო. მიშუნინის თხოვნით, ძროხის მოსაწველად ადგილობრივი ქალი მოვიდა. ჩვენ შევცქეროდით,

იგი როგორ აკეთებდა ამას. სასიამოვნო იყო. ძროხა მშვიდი გამოდგა, არ წრიალებდა. ახლა ჩვენია. ქალმა გაგვაფრთხილა, რომ ყოველთვის ვერ მოახერხებდა მოსაწველად მოსვლას. აუცილებელი იყო, ვინმე შეგვერჩია.

საღამოს აბანოში ვიბანავეთ, ჩვენ თვითონ მოვიმზადეთ ვახშამი. სუფრა შესანიშნავი გამოვიდა! მიშუნინმა თევზი შეწვა. გადმოვიღეთ ლუდი, არაყი. დავჯექით სავახშმოდ. და უეცრად გვესმის: "მუ-უ-უ". ეს ძროხაა. ავდექით და წავედით ფარდულში. მოწველის დროა, მწველავი ქალი კი არ არის. ვდგავართ ძროხის წინ ჩვენ, რვა მამაკაცი და არ ვიცით, რა ვქნათ.

საერთოდაც, ვის შეეძლო აეხსნა, ხანდახან რა მოსდით ადამიანებს, ცხოველებს რომ დაინახავენ. ცხოვრობ შენთვის, ნორმალურად, არავითარ ყურადღებას არ აქცევ არანაირ ცხოველს. და ხვდები სიტუაციაში, როცა შენს სახლში ცხოველი გაჩნდება, კატა, ძაღლი ან კიდევ სხვა მაგდაგვარი, და უეცრად მათ მიმართ ადამიანში წარმოიქმნება ისეთი გრძნობა, როგორიც ბავშვის მიმართ. ღელავ, განიცდი. საიდანაა ეს? შესაძლოა, მართლაც, პირველ მამაკაც ადამს, ღმერთმა რომ დაავალა, თითოეული მხეცის დანიშნულების განსაზღვრა, იგი განსაზღვრისას მათ სიყვარულით უცქერდა და დარჩა ეს სიყვარული მემკვიდრეობად. ეს სიყვარული ჩაბუდებულია სადღაც სიღრმეში და დროდადრო წარმოჩინდება ხოლმე. ასეა ეს, თუ არა,— უცნობია. მაგრამ ყველას ჩვენ ამ ძროხის მიმართ რაღაცნაირი გრძნობა გაგვიჩნდა და მანაც რაღაც იგრძნო ჩვენს მიმართ. აქედან კი, აი, რა გამოვიდა. სერიოჟა ხოდოკოვი ამბობს:

— მას რძე ალბათ ჯიქანს უხეთქავს. რამე უნდა ვიღონოთ.

მიშუნინს ვეცით, ნეტავ რატომ შეიძინე ეგ ძროხაო! თან გასაყიდადაც გვეცოდება: მთელი დღის მანძილზე მივეჩვიეთ კიდეც მას, როგორც მშობლიურს.

ძროხა ნაღვლიანი თვალებით შეგვცქერის, დუმს. მერე თავი ჩემსკენ მოაბრუნა და დაიბღავლა: "მუ-უ-უ". როგორღაც ხვეწნით დაიბღავლა და მე მიშუნინს ვუთხარი:

— თუ შეიძინე, ახლავე შეუდექი მოწველას!

მიშუნინმა მწველავი ქალის მიერ დატოვებული სარძევე სწრაფად მოიტანა, თავსაფარი დაიხურა და ღობეზე გადავიდა ძროხასთან. ჩვენ გვთხოვა, არ წავსულიყავით. იქნება და, რა მოხდესო, ძროხამ იგი მიუშვა, მოწველის ნება მისცა. ჩვენ კი მას დასალევი მივუტანეთ, თივას ვაწვდიდით, პურს გვთავაზობდით. მიშუნინი წველიდა, თავიდან საკმაოდ ცუდად, ჭავლი სუსტი იყო, ხანდახან ჭურჭელსაც სცდებოდა, მერე კი, თანდათან, უკეთესად გამოსდიოდა. თხუთმეტი წუთი გავიდა, ჭავლი კი არ მთავრდება. მიშუნინმა რატომღაც ჩურჩულით გვამცნო.

— ოფლი. ოფლი მიშლის ხელს.

ჩვენ, ვისაც ცხვირსახოცები გვქონდა, შევკრიბეთ და სერიოჟა ხოდოკოვი ღობეზე გადაძვრა, რათა მიშუნინისთვის შუბლზე ოფლი მოეწმინდა. ჩაიჩოქა მის გვერდით, შესცქერის წველას და დროდადრო ალექსეის შუბლიდან ოფლს სწმენდს. უეცრად სერგეის აღშფოთებული ჩურჩული გვესმის:

— რას აკეთებ შენ? შენ ხომ ძროხას ვნებ! მარჯვენა ხელით ბლომად წველი, მარცხენათი კი სამჯერ ნაკლებს. შენ, ასე ხომ ჯიქანს დაუზიანებ!

— თითები, — ჩურჩულებს მიშუნინი, — მარცხენა ხელზე თითები დამიბუჟდა. სჯობია, შენ დამეხმარო.

სერიოჟა ხოდოკოვი ძროხას მეორე მხრიდან მიუცუცქდა და მათ ერთად დაიწყეს ძროხის წველა.

დაახლოებით ნახევარ საათში, თუ ცოტა მეტ დროში, მთელი სარძევე გაავსეს.

ვახშმის დროს ჩვენ ახალ მოწველილ რძეს ვსვამდით და მთელი ჩვენი ცხოვრების მანძილზე რაც კი ოდესმე გაგვისინჯავს, ის ყველაზე საუკეთესო რძედ გვეჩვენებოდა.

დილით ადრე მწველავმა ქალმა გაგვაღვიძა და გაკვირვებულმა გვამცნო, რომ ეცადა ძროხა მოეწველა, მაგრამ მან, გაურკვეველია რატომ, მაგრამ არ მიიკარა.

ჩვენ ყველანი ისევ ფარდულში წავედით. ყველაფერი გავაკეთეთ ისე, როგორც წინა საღამოს და ძროხამ მოიწველა.

— ერთი შეხედეთ, — ამბობს ქალი, — რადგან ამ თქვენს ძროხას ასე მოეწონეთ, აწი თქვენ თვითონ წველეთ იგი. ასეც ხდება ხოლმე, ძროხები ზოგს იკარებენ, ზოგს — არა.

ჩვენი ძროხა ძალზედ მიზეზიანი აღმოჩნდა. ის არამარტო არ იკარებდა არც ერთ ჩვენს მიერ დაქირავებულ მწველავს, არამედ დროზე მოწველასაც ითხოვდა, თან მის თავთან უნდა ყოფილიყო ვინმე და ეჭმია, ელაპარაკა მასთან, წველით კი ორს ერთდროულად უნდა ეწველა. შესაბამისად, ყოველი წველის დროს ჩვენ სამ-სამს უნდა გვევლო მასთან. ასევე გავნაწილდით — სამ-სამად მანამ, სანამ მის გაყიდვას ვიფიქრებდით. მაგრამ დასახლებაში სწრაფად გავრცელდა ხმა იმის შესახებ, რომ ჩვენი ძროხა ჭირვეულია. მყიდველები მოდიან, ცდილობენ მოწველონ — არ გამოსდით. ის კი არა და, მის წაყვანაზე დაბალ ფასადაც უარს ამბობენ. თუმცა მე პირობასაც ვადებინებდი, რომ ის სახორცედ არ დაეკლათ.

მოვიწვიეთ ვეტერინარი, იგი გვეუბნება:

— კაცებო, ასეთი რამ ხდება ხოლმე. ცხოველი ვიღაცას შეეჩვევა, სხვა კი კარგა ხანს შეუძლია არ მიიკაროს. თქვენ ეს როგორ დაგემართათ, ასეთ რამეს რომ მიაჩვიეთ?

ღირებული კი არც არაფერი გვირჩია, ამასთან გვამცნო, მაკეაო, ესე იგი ორსულადააო. როცა დრო დადგება, საჭიროა მიიღოთ მშობიარობაო. მიახლოებითი დრო დაგვისახელა. მისი მოახლოების ნიშანი კი რძის შეწყვეტა იქნებაო.

რაკიღა მამაკაცები იძულებულნი ვიყავით, სამ-სამს ერთდროულად გვემორიგევა, ჩვენ ბევრ დროს ვატარებდით "ფაზენდაზე". იქ ღამის გათევაც კი გვიწევდა.

ჩვენს ცოლებს, რადგან პირი შეკრეს, ფეხს არ დავდგამთ "ფაზენდაზეო", არ შეეძლოთ დაეჯერებიათ ძროხასთან დაკავშირებული პრობლემების არსებობა და ძროხაზე მონაყოლს მოგონილად მიიჩნევდნენ. კოოპერატივში მომუშავე ქალებმა და ცოლებმა თავიანთ თავზე კონტროლი სულ დაკარგეს. დაიწყეს უღირსი ხუმრობები. იგი, რომელიც ქმრის ცუდ სუნს უჩიოდა, ამბობდა:

– მასეთი გარყვნილი ძროხა მხოლოდ თქვენნაირ გარყვნილებს შეიძლება რომ შეხვედროდათო.

ქმარმა მას უპასუხა:

– მირჩევნია, მთელი ცხოვრება მდუმარე ძროხა ვწველო, ვიდრე ვისმინო შენი სულელური ლაყბობაო.

შემდეგ საერთოდ გადმოვიდა საცხოვრებლად "ფაზენდაზე", მოგვიანებით კი ცოლს გაეყარა. ახალგაზრდა, ბავშვიანი სოფლელი ქალი ითხოვა და არც ისე ცუდი ფერმერი გახდა.

ძროხამ წველა შეწყვიტა. ჩვენ, ვეტერინარის რჩევით, ყველაფერი მოვამზადეთ სამშობიაროდ. თუმცაღა ძროხამ დამოუკიდებლად და პრობლემების გარეშე იმშობიარა. შვა მოზვერი. ძალიან ლამაზი იყო. როცა ვეტერინარი მოვიწვიეთ, მან შეხედა და თქვა:

– ერთი ამას დამიხედეთ, არაფერიც აღარაა გასაკეთე-ბელი. ყველაფერი თვითონ ქნა. ახლა მხოლოდ სისუფთავე შეუნარჩუნეთ. კარგად კვებეთ.

შემდგომში მაინც მოვახერხეთ ძროხისა და მოზვრის კარგი პატრონის ხელში ჩაბარება. სანახავად ვაკითხავდით, რათა გვენახა, როგორი ლამაზი გახდა იგი, ჩვენი მოზვერი. ძროხის ამბავიც განისაზღვრა. ახლაც კი ვიხსენებთ მას. საინტერესოა, მას თუ ვახსოვართ. ძროხა კი დაკვალიანდა, მაგრამ კოოპერატივში ურთიერთგაგების აღდგენა ვერ მოხერხდა.

მაშინ მე კოოპერატივი გავყავი, კიდევ ერთი ფირმა ჩამოვაყალიბე. თავად კი დაქირავებული თბომავლით ჩრდილოეთში, მდინარე ობზე, კომერციულ რეისებს ვაწარმოებდი. რეისებს შორის – შესვენების დროს, რუს და უცხოელ მეწარმეთათვის ბიზნეს-ტურებს ვატარებდი.

ჩემთვის აღვნიშნე, რომ წარმატების უეჭველი წინაპირობა, ურთიერთგაგებაა კოლექტივში. რწმენა, არამარტო საკუთარი შესაძლებლობებისა, არამედ ცალ-ცალკე თითოეულისაც. რწმენა გარშემომყოფებისადმი ამრავლებს ნებისმიერ უნარ-ნიჭს.

მეწარმეები – ჰერბალაიფელები

მხოლოდ მოსკოვის აეროპორტ "ვნუკოვოში" ჩასვლისას გავაცნობიერე, რომ საფულეში ცოტა ფული მაქვს და რომ, არც მოქმედების კონკრეტული გეგმა გამაჩნია. ჩემი ფირმის მუშაკებს და ოჯახს, ალბათ წარმოქმნილ ვალებთან გამკლავება გაუჭირდებათ და მათ ქონების გაყიდვაც მოუწევთ, ესე იგი სახლიდან მე არავითარ დახმარებას არ უნდა ველოდო. რა თქმა უნდა, მდგომარეობის გამოსწორება შეიძლებოდა, მე რომ ნოვოსიბირსკში დავრჩენილიყავი. მაგრამ ამისთვის საჭირო იქნებოდა ფირმის ყოველდღიურ საქმიანობაზე ყურადღების მიქცევა, რაც ტაიგის მოვლენებისა და ანასტასიასა თუ ჩემი თავისთვის მიცემული სიტყვის შემდეგ, შეუძლებელი გახდა.

ძნელია ახლა იმის განსაზღვრა – ანასტასიას ზემოქმედება თუ ჩემი საკუთარი შეგნება და სურვილები ხელმძღვანელობდნენ ჩემს მოქმედებებს.

გავაცნობიერე, რომ გაკოტრებული ვარ. ჩემი კოლეგების მრავალრიცხოვანი მაგალითებით ცნობილია, ასეთ სიტუაციაში არც ნათესავების, არც მეგობრების, არც ყოფილი თანამშრომლების იმედზე ყოფნა არ შეიძლება. ყველა გაგირბის, როგორც ჭირს. შესაძლოა, წარმატებული იყო ათი წლის განმავლობაში და ერთხელ, დაუშვებ რა შეცდომას, მიიღებ სიძულვილს და უგულისყურობას შენს გარშემომყოფებისგან. ასე მოხდა ბევრი ცნობილი მეწარმის ცხოვრებაში. მოცემულ სიტუაციაში საჭიროა გქონდეს მხოლოდ საკუთარი თავის იმედი და თითქოსდა გამოუვალი მდგომარეობიდან, როგორც შენ გეჩვენება, შეძლო გამოსავლის პოვნა.

ხელჩანთა სვიტერითა და რამდენიმე პერანგით, კიდევ რაღაც წვრილმანი ნივთებით, სასტუმროს ნომერში მივაგდე და მოსკოვის ქუჩებში სახეტიალოდ გამოვედი. ვცდილობდი, გამეაზრებინა ანასტასიას ნათქვამი რუსეთის მეწარმეთა შესახებ.

პირველი, რაც ამ შემთხვევაში მოსკოვში თვალში მეცა, ეს იყო ჰერბალაიფელების აქტიურობა.

დედაქალაქის ცენტრში, მეტროების სადგურებში,კარგად ჩაცმული ადამიანები,დაჟინებით გვთავაზობენ სამუშაოს,როგორც ისინი ამბობენ, ერთ უცხოურ ფირმაში. გამვლელებს იზიდავენ დიდი ხელფასის დაპირებებით, სამსახურში წინსვლის შესაძლებლობებით. იმაზე, რომ ჰერბალაიფის შესახებაა საუბარი, კრინტს არ სძრავენ. ალბათ, იმიტომ, რომ გაზეთში "იზ რუკ ვრუკი", რუბრიკაში "ვეძებ სამუშაოს", თითქმის ყველა განცხადება მთავრდება სიტყვებით: "ჰერბალაიფს ნუ შემოგვთავაზებთ", მაგრამ ისინი ფირნიშით "სამუშაო თქვენთვის", რომელიღაც უცხოური ფირმის სახელით, პატარა ფურცლების დარიგების გზით, ჯიუტად გიწვევენ გასაუბრებაზე. შემდგომში გამოვიკვლიე, რომ გასაუბრებაზე მისულები უსერიოზულეს ფსიქოლოგიურ დამუშავებას განიცდიან. აქცენტები კეთდება რუსეთის საშუალო ფენის მაცხოვრებლებისათვის ორ უმნიშვნელოვანეს ფაქტორზე. ჯერ ერთი, ორატორები სცენიდან უხსნიან და უმტკიცებენ თავისი და ნათესავების მაგალითებზე, რომ მათ თითქოსდა მიაღწიეს უცილობელ განკურნებას ამ უცხოური ჰერბალაიფის მეშვეობით. ამით ჩააგონებენ ხოლმე მომავალ გამავრცელებლებს, რომ ისინიც ამ კეთილშობილი საქმით – ხალხის განკურნებით იქნებიან დაკავებულნი. სისტემა ისეთი საოცარია, ამტკიცებენ ისინი, რომ არაა საჭირო მედმუშაკი იყო, უბრალოდ ორი-სამი მეცადინეობა და, მღებავი-მებათქაშეც რომ იყო, შეგიძლია ავადმყოფ მომხმარებლებს კონსულტაციები ჩაუტარო.

მეორე აქცენტი მდგომარეობს მაგალითების მოყოლაზე, თუ როგორ შეიძლება გამდიდრდე "ჰერბალაიფის" გავრცელებით. ამისთვის საჭიროა, ჯერ შენი ფულით იყიდო, თუნდაც ერთი კოლოფი ბალახების ნაკრები, იპოვო ადამიანი და ზეპირი, სარწმუნო ფორმით დაუმტკიცოთ მას, რომ არაჩვეულებრივი მადლია, თუ კი იგი "ჰერბალაიფის" მიღებას დაიწყებს. ამასთან, მიყიდოს ეს კოლოფი მას უფრო ძვირად. კიდევ საჭიროა ახალი გამავრცელებლების მოზიდვა. ყოველი მოძიებული თანამოაზრისთვის მიიღებ შენს პროცენტს. და რაც მეტ ხალხს მოიზიდავ, შენი დონე იერარქიაში მით უფრო მაღალი იქნება, მით მეტი ფული

ჩამოგცვივდება თავზე. შესაძლებელია, თავად შენ აღარც აწარ-მოო გავრცელება.

მე, როგორც მეწარმემ, მაშინვე მივხვდი: ფული ნამდვილად ცვივა ოქროს წვიმად, ოღონდ მხოლოდ იმათ თავზე, ვინც ამ პირამიდული სისტემის უმაღლეს საფეხურზე დგას, და ასევე მათი უახლოესი ხელშემწყობებისათვისაც. გამავრცელებ-ლების მთელი გრძელი ჯაჭვი, რომელიც დაყოფილია ეგრეთწოდებულ დონეებად, არსებობს იმის ხარჯზე, რომ ფასზე აკეთებს და-ნამატს, ყველაფერ ამაში კი იხდის ყველაზე უკანასკნელი — მომხმარებელი.

ზოგიერთ შემთხვევებში ფასი იზრდება თორმეტჯერ!!! გავრცელების სისტემა კი აგენტთა უამრავი რაოდენობის მეშ-ვეობით, რომლებიც თავიანთი პირადი მაგალითის საფუძველზე, ზეპირი და დამაჯერებელი ფორმით უმტკიცებენ მოქალაქეებს "ჰერბალაიფის" სასწაულმოქმედებაზე, უცილობლად მოქმედებს. მისი დახმარებით ღუმელიდან შეიძლება ნაცარი გაყიდოთ, და თუ ვინმე იჩივლებს, არ მარგოო, მას მიანიშნებთ, რომ დაარღვია მიღების სისტემა და არ დაიცვა სპეციალური რეჟიმი.

ეს სისტემა ყველაზე ეფექტურად მოქმედებს რუსეთში, რადგან მიჩვეულნი ვართ, უტყუარი ინფორმაცია მივიღოთ ერთ-მანეთისგან და არა ოფიციალური არხებისგან.

სრულიად უაზროა შევეხოთ სარგებლიანობას ან მა-ვნებლობას, რომელიც მოაქვს ადამიანისთვის "ჰერბალაიფს". ეს ხანგრძლივი სასაუბროა. დაბეჯითებით მხოლოდ ერთს ვიტყვი — მოსაუბრე-გამავრცელებლების მთელი მგზნებარება თავიანთი განკურნების შესახებ ქრება იქვე, როგორც კი მათთვის თქვენ-გან ფულის მიღების შესაძლებლობა იკარგება. მაშინ მათგან, თქვენ შეგიძლიათ გაიგონოთ საწინააღმდეგო ხასიათის უამრავი მაგალითი: "ეს რა ჭირია!" გავრცელების სისტემა დამუშავე-ბულია დასავლეთში. მას დასავლეთიდან ხელმძღვანელობენ, უმუშევარ რუსებს იზიდავენ, მაგრამ ისინი ჩვენი მეწარმეები არ არიან. აი, კიდევ ერთი დიდი სიბრძნე, დასავლეთელი ბი-ზნესმენებისა.

უფასო დასვენება ჰავაიზე

თუ თქვენ მოსკოვის ხალხმრავალ ადგილებში ელეგანტური ახალგაზრდები გაგაჩერებენ, ზოგჯერ აქცენტით, ან ძალზედ ზრდილობიანად შემოგთავაზებენ, ეწვიოთ ერთი უცხოური ფირმის პრეზენტაციას, სადაც თქვენთვის დაკვეთილი იქნება მაგიდა და სადაც გათამაშდება უფასო ლატარეა, რომლითაც თქვენ გეძლევათ შესაძლებლობა, მოიგოთ ოქროს საათი ან უფასო საგზური ჰავაის კუნძულებზე, დარწმუნებული იყავით: უფასო საგზური გარანტირებულია. მაგრამ მაინც არ უნდა დაგავიწყდეთ ანდაზა: "უფასო ყველი მხოლოდ ხაფანგშია". ძნელი არ არის მიხვედრა, თუ როგორ მოქმედებს ხაფანგი ამ შემთხვევაში.

აი, თქვენ იღებთ შესაძლებლობას "უფასოდ", იცხოვროთ შესანიშნავ აპარტამენტებში. ჩასვლისას დარწმუნდებით, რომ ისინი ბუკლეტების ფოტოებს შეესაბამებიან. თვითმფრინავის ბილეთი, კვება და სხვა მომსახურეობა თქვენს ხარჯზეა.

როცა რამდენიმე დღე იცხოვრებთ, ხვდებით, რომ "უფასოდ" ნაცხოვრები დღე გიჯდებათ მნიშვნელოვნად უფრო ძვირი, ვინემ საგზური თქვენ რომ სრულფასში გეყიდათ სხვა თანაბარფასიან კურორტზე. ყველაფერი ძალიან მარტივადაა: თქვენი უფასო ცხოვრება კომპენსირდება მომსახურების კომპლექსის უამრავი დანამატებითა და კვების ფასებით. ამასთან ამ დანამატებში შედის ქუჩაში მდგომი აგენტების გადასახადი, ანუ ეგრეთწოდებული უფასო წარდგინება, თქვენთვის მორთმეული ბუკლეტები და კომპანიის მოგება.

რა თქმა უნდა, მათთვის, ვისაც ფული საკმარისად აქვს, ეს არაფერს ნიშნავს. შესაძლოა, მხოლოდ გაბრიყვებულს არასასიამოვნო შეგრძნება გაუჩნდეს. საშინელება სხვა რამეა, როცა მცირე ხელფასიანი საშუალო ფენის წარმომად-გენელი, მთელი წელი შვებულებისთვის ნაგროვები თანხით, წამოეგება ამ ბლეფზე, და იმის მაგივრად, რომ დედის მოსანახულებლად, ან რუსეთის რომელიმე კურორტზე გაემგზავროს, სიმწრით დაგროვილს აძლევს უცხოელ "ჭკვიანებს" და ორ კვირას სულელებისთვის განკუთვნილ აპარტამენტებში სულელის როლში ატარებს.

საიდან გაქვთ ასეთი უპატივცემულობა ჩვენს მიმართ თქვენ, უცხოელო ბატონებო? მე ვუყურებდი იმპორტული საქონლით გავსებულ კომერციულ ჯიხურებს, სადაც წყალიც კი ჩამოტანილი იყიდება. მახსენდებოდა, რომ ჩემს თბომავლებზეც იგივე იყო, მაგრამ რატომღაც არ დავფიქრებულვარ, რა დგას ამის მიღმა. რადიოთი მესმოდა, მთელი ქვეყანა რომ წალეკა მათმა საეჭვო ხარისხის ქათმის ბარკლებმა, წყლიანმა ბოთლებმა, რომლის ლამაზ ეტიკეტებზე, დაპირებული სამკურნალო და მინერალური თვისებების მქონე წყლის მაგივრად, ჩვენი მაღაზიებისთვის, ონკანიდან ჩვეულებრივი წყლისგან საეჭვო დანამატებით ამზადებენ. ვუყურებდი უამრავი რაოდენობის აბრებს, რომლებიც გვთავაზობენ, დავნაყრდეთ ჰოთ-დოგით, თითქოს მთელმა მოსკოვმა და რუსეთმა ეს რეზინისმაგვარი სოსისი გაიხადა თავის ეროვნულ კერძად და ვფიქრობდი: ყოველივე ეს თვალში

უფრო ადრე რატომ არ მხვდებოდა?

მე ვიხსენებდი, გარდაქმნის დასაწყისში ჩვენ როგორი პატივისცემითა და პირმოთნეობით ვხვდებოდით უცხოელ მეწარმეებს. ჩემს თბომავალზე მათთვის როგორ ვაწყობდი ბიზნეს-ტურებს მდინარე ობზე და ციმბირელი მეწარმეები როგორ ცდილობდნენ მათთვის სერვისის უზრუნველყოფას. რა თქმა უნდა, მათ შორის სხვადასხვაგვარი ადამიანებიც იყვნენ, მაგრამ შედეგად რა გამოვიდა?

მაშ სადა ხართ თქვენ, რუსეთის მეწარმეებო? ისინი, ვინც ჩვენი ქვეყანა უნდა ააყვავოს?!

გარდაქმნის დასაწყისი

გარდაქმნის დასაწყისშივე, როცა პირველი კანონი გამოვიდა "სსრკ-ში კოოპერატივების შესახებ", ის მოწოდებად იქცა მრავალი ადამიანის მოქმედებისათვის. ბევრი ადამიანიც, ახალგაზრდა თუ ასაკოვანი, მაგრამ უცილობლად ენერგიულები და ამავდროულად მოსურნენი, რათა ნამდვილად აკეთონ რამე თავისთვის და ქვეყნისთვის, თითქოსდა გადაეშვნენ ბრძოლაში. და მაშინათვე აღმოჩნდნენ არაკეთილისმსურველ ბრბოს გა-

რემოცვაში. “ჰკა მაგათ! – ყვიროდნენ. – ბურჟუებს, თავხედებს! რისთვის ვიბრძოდით?” და მიუხედავად იმისა, რომ უმრავლეს პირველ მეწარმეთა საქმიანობა მოითხოვდა დღედაღამე მუშაობას, უამრავ ენერგიას, გამჭრიახობასა და გამომგონებლობას, მაინც როგორც არ უნდა გემუშავა, რაც არ უნდა გაგეკეთებია, მადლობას ვერავისგან მოისმენდი. საჭიროება მოითხოვდა თუნდაც მინიმალურ მხარდაჭერას, ის კი შესაძლებელი იყო მხოლოდ ურთიერთობისას და ერთმანეთთან ურთიერთთანამშრომლობისას. სწორედ მაშინ, თითქოს ციდან ჩამოფრინდაო, გაჩნდა სსრკ კოოპერატორთა კავშირის შექმნის იდეა. ამ პირველ მეწარმეთა კავშირის ორგანიზებითა და საინიციატივო ჯგუფის ჩამოყალიბებით ვიყავით დაკავებულნი მე და არტემ ტარასოვი (რუსეთში ცნობილი მეწარმე).

მაშინ, ჩვენს შორის უმრავლესობა, კომუნისტები ვიყავით. პირველ ყრილობაზე მეწარმეებმა მე ამირჩიეს ყრილობის პარტჯგუფის მდივნად. მე ვცდილობდი, ჩვენს კურატორ-ინსტრუქტორისთვის სკკპ ცკ-დან, კოლოსოვსკისთვის, ამეხსნა, რომ ამდაგვარ გარემოში მეწარმეებს ძალიან უჭირთ. საჭიროა, უპირველეს ყოვლისა, მორალური მხარდაჭერა. მაგრამ მალე მივხვდი, ჩვენ კიდევ კარგა ხანს ვიქნებით უბრალო ხალხისა და დიდ-პატარა ჩინოვნიკების მხრიდან არაკეთილგანწყობასა და შევიწროების პირისპირ. ცკ-ს უმაღლესი ხელმძღვანელობა ღიად არ დაგვიცავდა, რადგან ეშინოდა პოპულარობის დაკარგვისა, მას უკვე ისეთი ძალაც აღარ ჰქონდა, როგორც უწინ. როგორც ჩანს, დაიწყო ფარული ბრძოლა.

მეწარმეებს უფრო და უფრო აწვებოდა საგადასახადო ტვირთი. დღეს ვერც ერთი (შეიძლება იშვიათი გამონაკლისის გარდა) საწარმო ვერ იარსებებს, თუ სრულფასოვნად გადაიხდის ყველა გადასახადს. აცნობიერებდნენ რა ამას, ბევრი ცდილობდა, სხვადასხვა ხერხებით გამომძვრალიყო საგადასახადო წნეხისგან. მაგრამ ამავდროულად კიდევ უფრო საშინელ სიტუაციაში ვარდებოდნენ – კანონგარეშე ხდებოდნენ. მრავალრიცხოვანი მცდელობები, რათა სხვადასხვა დონეებზე აგვეხსნა ამდაგვარი დაბეგვრის აბსურდულობა, უშედეგოდ რჩებოდა. არ

შეიძლებოდა, რაიმე დაგვემტკიცებია, რადგან მათ, ვინც შემოიღო ეს გადასახადები (დაე, ეს მხოლოდ ჩემს მოსაზრებად დარჩეს), სხვაზე უკეთესად ესმოდათ მათი მიღებლობა, მაგრამ ასე იყო საჭირო. რისთვის? ძალაუფლებისთვის! რეკეტისთვის!

ნებისმიერი, ვინც თავს წამოყოფს, თვალის დახამხამებაში შეიძლება განადგურებულ იქნეს, გახდეს კანონგარეშე საგადასახადო ინსპექციის ან პოლიციის წყალობით.

ყოველივე ამის გამო, მე გული მეტკინა გარდაქმნის პერიოდის პირველ მეწარმეთა და რუსეთის დღევანდელ ბიზნესმენთა მაგივრად. გადავწყვიტე, რამე მაინც გამეკეთებია მათთვის, რაზეც ძალა მეყოფოდა. მივედი რუსეთის კოოპერატორთა და მეწარმეთა ლიგაში, რომელსაც ხელმძღვანელობდა ჩვენს მიერ ჯერ კიდევ გარდაქმნის დასაწყისში არჩეული სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ვ.ა. ტიხონოვი. შენარჩუნებული იქნა შენობა, სადაც იყო განლაგებული ლიგის პრეზიდიუმი, მაგრამ უამრავი კაბინეტი ცარიელი იყო. ვლადიმირ ალექსანდროვიჩი გარდაიცვალა წლინახევრის უკან. იქვე შემატყობინეს, რომ ნახევარი წლის წინათ, მოწამლეს რუსეთის ბიზნესის "მრგვალი მაგიდის" თავმჯდომარე ივან კივილიდი, მოწამლულ იქნა მისი მდივანი ქალიც. არტემ ტარასოვი ლიგიდან წასულა. წევრთა რაოდენობა ლიგაში მკვეთრად შემცირებულა.

ლიგის აპარატის დარჩენილი სამი მუშაკიდან მე ერთ-ერთი მიცნობდა, ამიტომაც ჩემი თხოვნით, გამომიყვეს ერთი თავისუფალი კაბინეტი, ორი ტელეფონი, კომპიუტერი და ფაქსი. არავითარი სახსრები საორგანიზაციო სამუშაოებისათვის ლიგას არ ჰქონდა, და, საჭირო იყო დამოუკიდებელი მოქმედება. ამ კაბინეტში მე ღამეებსაც ვათევდი, რომ დამეზოგა დრო და ფული სასტუმროსთვის. დილის ექვს საათზე დამლაგებელის მოსვლა მაღვიძებდა. ტელევიზორის უქონლობა საშუალებას იძლეოდა, მემუშავა ღამის თორმეტამდე. ყოფის მკვეთრი ცვლილება – კომფორტაბელური კაიუტიდან (სადაც ერთი ზარით მოჰქონდათ ყველაფერი, რაც კი მომესურვებოდა საჭმლიდან თუ დასალევიდან) საცხოვრებლად გამოუსადეგარ კაბინეტამდე,

არანაირად არ მაღიზიანებდა და მეტ შესაძლებლობებსაც კი მიქმნიდა მუშაობისთვის.

მე ვაყალიბებდი და ვწერდი დებულებებს მეწარმეთა საზოგადოების შესახებ, ვადგენდი წერილებს-მიმართვებს და ვაგზავნიდი ფაქსით დილაობით, როცა არ იყო ხოლმე კომუნიკაციები გადატვირთული საწარმოებში. სხვადასხვა გზით, ვიყენებდი რა გაზეთებში გამოქვეყნებულ განცხადებებსა თუ შემთხვევით შეხვედრებს, სამდივნო – სხვადასხვა პროფესიის მოსკოველებით შევკრიბე, რომლებმაც გაიაზრეს რუსეთის მეწარმეთა მომავალი გაერთიანების მნიშვნელოვნობა. სამდივნოში შევიდა სამი მოსკოველი სტუდენტი. ჯერ ანტონ ნიკოლაიკინი მოვიდა, რათა გაფუჭებული კომპიუტერი შეეკეთებია. შემდეგ, მანვე, როცა გაიგო გაერთიანების საორგანიზაციო სამუშაოების შესახებ, თავისი მეგობრები - არტემ სემიონოვი და ალექსეი ნოვიჩკოვი მოიყვანა. მათ მუშაობა დაიწყეს "რუსეთის ოქროს კატალოგის" ელექტრონულ ვერსიაზე და შექმნეს პროგრამა მაღალპროფესიულ დონეზე.

რუსეთის მეწარმეთა საზოგადოება

საზოგადოების შექმნის იდეა იმაში მდგომარეობდა, რომ მასში იმ ფირმების მეწარმეები უნდა შესულიყვნენ, რომლებმაც რუსეთის ბაზარზე იმუშავეს არა ნაკლებ ერთი წლისა, რომლებიც გულწრფელად ისწრაფოდნენ პატიოსანი პარტნიორობისკენ, როგორც ერთმანეთის, ასევე თავიანთი კოლექტივის მიმართ, ასევე იმათ მიმართაც, ვისთვისაც ისინი მუშაობდნენ. სხვადასხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების ფორმირებები ცდილობდნენ ჩემს დარწმუნებას, რომ დღევანდელ დღეს მეწარმეები ყოველგვარ გაერთიანებებთან მიმართებაში პასიურები გახდნენ, რომ რწმენის ეიფორიამ გაიარა და სხვადასხვაგვარ გაერთიანებებში, რომლებშიც ყველას მარტივად შეუძლია შესვლა, ვინც კი საწევროს გადაიხდის, წევრთა რაოდენობა მაინც კატასტროფულად მცირდება. ყოველივე ამით მიმტკიცებდნენ, რომ საზოგადოების ჩამოყალიბება, სადაც შესვლისთანავე

მოთხოვნები მაღლდება მეწარმის, როგორც პიროვნების, ასევე თვით საწარმოს მიმართ, საერთოდ აბსურდული იდეაა.

ჩემმა ძველმა ნაცნობმა არტემ ტარასოვმა, რომ გაიგო მოსკოვში ჩემი ჩამოსვლის შესახებ და წამოწყებულ საქმიანობასაც მოჰკრა ყური, ერთ-ერთ "მრგვალ მაგიდაზე" მოვიდა. იგი დოკუმენტებზე მუშაობაში ჩაერთო, თავად დაწერა მიმართვა რუსეთის მეწარმეებისადმი. გაიღო რამდენიმე ათასი დოლარი, რათა ღირსეულად გაფორმებულიყო დოკუმენტები და დაგვერიგებია ისინი ასოციაციის მცირე საწარმოთა ყრილობაზე მოწვეულთათვის, მაგრამ ყრილობის ორგანიზატორებმა გადაწყვიტეს, არ დაეშვათ ერთობისათვის ასეთი მასალების დარიგება, როგორც ჩანს, ალბათ, ჩვენი მხრიდან კონკურენციის ეშინოდათ. მაშინ სამდივნო და სტუდენტები განაწილდნენ სასტუმრო "რასიას" შესასვლელთან, შეეცადნენ, გადაეცათ დელეგატებისთვის დოკუმენტებიანი საქაღალდეები. ისინი სიცივეში ჯიუტად იდგნენ, თუმცა მილიცია აძევებდა მათ, რადგან ეგონათ, რომ რაღაცით ვაჭრობდნენ. არტემ ტარასოვმა კრემლის სასახლეში დოკუმენტები საქაღალდეებით მაინც შეიტანა, მაგრამ მხოლოდ მცირე ნაწილი.

ოპერაცია, რომელზეც იმედებს ვამყარებდით, ჩაიფუშა. საზოგადოების ჩამოყალიბება შეუძლებელი ხდებოდა. საქმე იმაშია, რომ ინფორმაცია საზოგადოების ორგანიზების, მისი პრინციპებისა და სტრუქტურის შესახებ, მეწარმეებისათვის რუსეთის რეგიონებში რომ მიგვეწოდებინა, საჭირო იყო პოლიგრაფიული და საფოსტო მომსახურეობისთვის დაახლოებით ნახევარი მილიარდი მანეთის ოდენობის ხარჯები, ვინაიდან, ვინც მიიღო მასალები, იმათგან დადებითი რეაქცია გამოიღო ათმა პროცენტმა. ასეთი თანხა არ გვქონდა. ლიგის ხელმძღვანელობამ მიღებული შემონატანებიდან თანხის ნაწილი სათავსოების საქირავებლად წაიღო, რადგან მას შემოსავლების სხვა წყარო არ გააჩნდა. ხედავდა რა, რომ რაღაც ცვლილებები ხდება, ლიგამ საერთოდ შეწყვიტა საორგანიზაციო ხარჯებისთვის თანხების გამოყოფა, თუმცა მეწარმეების მიერ გადმორიცხული თანხები

სწორედ რომ ამ საორგანიზაციო ხარჯების დასაფინანსებლად იყო განკუთვნილი.

ლიგა იძულებული შეიქნა, მეწარმეებისგან შემოსული სახსრები სამეურნეო საჭიროებისთვის გამოეყენებია. შეფერხდა საზოგადოების სამდივნოს ხელფასები. მე მომიწია ლიგის დატოვება, იქ დავტოვე მეორე კომპიუტერი, რომელიც ერთობაში მიღებულ მეწარმეთა სახსრებით იყო შეძენილი.

"ეს როგორ?, – გაკვირვებული იყვნენ სტუდენტები, რომლებმაც ფაქტიურად თავიანთ ხარჯზე შექმნეს მთელი რიგი კომპიუტერული პროგრამებისა, – ჩვენ ვასრულებთ სამუშაოს, რომელსაც ეს საზოგადოებრივი ორგანიზაცია თავისი წესდების თანახმად უნდა ეწეოდეს, და ჩვენვე გვთვლიან მეიჯარეებად! ხოლო მეწარმეებისთვის კი მათ მიუფურთხებიათ".

ლიგის აპარატს თავისი არგუმენტები ჰქონდა: "შენობის იჯარისთვის გადახდილი უნდა იქნეს ქირა".

ვეცადე, მეწარმეთა პროფკავშირების სამდივნოს დარჩენილი წევრებით გამეგრძელებია მუშაობა, მაგრამ სიტუაცია განმეორდა.

აი, მაშინ, სხვადასხვა საზოგადოებრივ გაერთიანებებს გავეცანი, მოულოდნელად შევნიშნე, რომ მათ აქვთ დასახელება, მაგრამ არა ჰყავთ წევრები, ჰგვანან "სავარძელთა პარტიებს" და დაკავებულნი არიან მხოლოდ აპარატისათვის საჭირო სამუშაოებით. ეს არ ეხება ფერმერული და გლეხური მეურნეობების ასოციაციას, რომელსაც ვ.ბაშმაჩნიკოვი უდგას სათავეში. შესაძლოა კიდევ ვიღაცებსაც, მაგრამ ძირითადად ასეა.

რუსეთში დღეს-დღეობით არ არის საზოგადოებრივი ორგანიზაცია, რომელიც აერთიანებს მეწარმეთა სერიოზულ რაოდენობას, არსებულნი კი "სავარძელთა პარტიებს" ჰგვანან. მიზეზები? სხვა რამესთან ერთად, ძირითადად, შენატანების გაუპიროვნებლობა მიმაჩნია.

ყოველთვის რატომღაც იქმნება რაღაც ხელმძღვანელი ორგანო, რომელიც შემდგომში მეწარმეთა სახელით გამოდის და ამასთან უმრავლესობას არც კი ეთათბირება.

მე დავტოვე პროფკავშირიც, დავრჩი საკომუნიკაციო საშუალებებისა და არსებობისთვის საჭირო სახსრების გარეშე.

ამასობაში არტემ ტარასოვი ლონდონში გაემგზავრა. იგი ეცადა, კენჭი ეყარა რუსეთის პრეზიდენტობაზე. ჯერ კიდევ ხელმოწერების შეგროვებისას რამდენიმე მილიარდი რუბლი დახარჯა, მაგრამ ცეესკომ ხელმომწერთა დიდი ნაწილი დაიწუნა, არტემი იძულებული გახდა, თავისი საქმეების გამოსწორებით დაკავებულიყო.

მოსკოველები,რომლებიც სამდივნოში მუშაობდნენ და არანაირ ხელფასს არ იღებდნენ,იძულებულნი გახდნენ,დაეტოვებიათ იგი.

მე დავრჩი მარტო (უფრო სწორი იქნება, რომ ვთქვა, ვიფიქრე, რომ მარტო დავრჩი). მაგრამ დაწყებული საქმის მიტოვებას არ აპირებდა სამი მოსკოველი სტუდენტი: ანტონი, არტემი და ალიოშა. ანტონმა თავისი სახსრებიდან, რომელსაც არდადეგებზე დასასვენებლად აგროვებდა, ჩემი ნაქირავები ბინის ერთი თვის ქირა გადაიხადა. ისინი ელოდნენ და უნდოდათ, რომ მე მეძებნა და მეპოვნა შექმნილი მდგომარეობიდან გამოსავალი და მუშაობა გამეგრძელებინა ერთობის შესაქმნელად. ისინი თვით იდეამ გაიტაცა. მათ ირწმუნეს ის, მაგრამ მე მხოლოდ ჩიხს ვხედავდი. აი, ამ დროსაა, რომ ნოვოსიბირსკიდან შეტყობინება წამომეწია.

თვითმკვლელობისაკენ

ნოვოსიბირსკიდან მოსკოვში თავის საქმეებზე ჩამოსული კაცი საღამოს ჩემთან მოვიდა. მოიტანა ერთი ბოთლი არაყი და მისაყოლებელი. ჩვენ, ჩემს მიერ ნაქირავებ, ერთოთახიანი ბინის სამზარეულოში ვისხედით და იგი ჩემი ოჯახის საქმეებისა და ფირმის მდგომარეობის შესახებ ყვებოდა.

მისი მონათხრობი სავალალო იყო. ჩემს ფირმას, რადგან საარენდო ქირის გადასახდელად სახსრები არ ჰყოფნიდა, ერთ-ერთ ოფისზე, რომელიც ქალაქის ცენტრში მდებარეობდა, უარის თქმა მოუწია. ფუნქციონირება შეუწყვეტია ავტოსათადარიგო ნაწილების მაღაზიასაც, ფირმის მუშაკებს უცდიათ, ფეხსაცმლით ევაჭრათ, მაგრამ მათი მოღვაწეობის შედეგი – ვალების ზრდა იყო. პასუხისმგებლობა მთლიანად მე მეკისრებოდა.

— და შენ კი აქ, კაცმა არ იცის, რას აკეთებ. ბევრს მიაჩნია, რომ ჭკუიდან გადახვედი. ჯერ რაღაცნაირად ფირმაში უნდა გამოგესწორებია მდგომარეობა, აქ შენი გაუგებარი საქმე კი, შემდეგ გეკეთებია. იქ შენი უკვე აღარავის სჯერა.

ბოთლს როცა ვცლიდით, მან მკითხა:

— გინდა, გულახდილად გეტყვი მე შენ, ჩემი აზრით, იცი, რას ელიან შენგან?

— თქვი, — ვუპასუხე მე.

— თავი რომ მოიკლა, ან სამუდამოდ გაქრე. თვითონ განსაჯე, საწყისი კაპიტალის გარეშე ახლა საერთოდ არაფრის დაწყება არ შეიძლება, შენ კი, არამარტო საწყისი კაპიტალი არა გაქვს, საცდელადაც არაფერი გაგაჩნია. ამასთან, ვალებიც დაგიგროვდა. მსოფლიოში არ არსებობს ანალოგი, რომ მსგავსი სიტუაციიდან ვინმე გამომძვრალიყოს. შენ თუ აღარ იქნები, ყველაფერი სიკვდილით ჩამოიწერება, დარჩენილ ქონებას კი ისინი გაიყოფენ. შენი ცოლი ამბობს, რომ შენ ჰოროსკოპით ლომი ხარ და ყოველთვის ბედოვლათურად ცხოვრობდი, უნდა გარდაიცვალო სიღარიბეში, როგორც ჰოროსკოპში წერია. აბა მითხარი, რატომ წახვედი მეორე ექსპედიციაში? ყველასთვის გაუგებარია ეს.

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ საკმაოდ ნასვამები ვიყავით, დილით როცა გავიღვიძეთ, ჩვენი ლაპარაკი მაინც დაწვრილებით გამახსენდა. მისი არგუმენტები საფუძვლიანი და დამაჯერებელი იყო. ჩიხი ნოვოსიბირსკში, აქაც, მოსკოვში, გამოუვალი მდგომარეობა. ჩემს გვერდით მომუშავე ადამიანები ყველგან იტანჯებიან, იტანჯება ოჯახი. გამოსავლის პოვნა და საქმის გამოსწორება მე არ შემიძლია იმიტომ, რომ გამოსავალი არ არსებობს. ამ ტანჯვის შეწყვეტა მხოლოდ ჩემს სიკვდილს შეუძლია. რა თქმა უნდა, თვითმკვლელობა — ეს არ არის კარგი, მაგრამ მომხდარის ლოგიკა მეტყველებს: ჩემი თვითმკვლელობა სხვებს სიცოცხლეს შეუმსუბუქებს, და თუ ეს ასეა, მაშინ იგი მართალია, მე არა მაქვს უფლება, ვიცოცხლო. და მე, თავის მოკვლა გადავწყვიტე. ამან დამაწყნარა კიდევაც. აღარ გახდა საჭირო შექმნილი სიტუაციიდან გამოსავლის ძიებისთვის წვალება, მე დავეთანხმე იმ აზრს, რომ გამოსავალი სიკვდილია.

ბინა ცოტა მივალაგე. დავუწერე ბინის პატრონს ბარათი, რომ არ დავბრუნდები. გადავწყვიტე პროფკავშირში მისვლა, ერთობის ქაღალდების მოწესრიგება. ახლა არა, მაგრამ ეს სამუშაო შეიძლება ვინმემ როდისმე გააგრძელოს. მაგრამ, აი, როგორ უნდა მოვიკლა თავი, როცა საწამლავის საყიდელი ფულიც კი არ გამაჩნია? შემდეგ მოვიფიქრე: თვითმკვლელობად რომ არ გამოიყურებოდეს, ვითომ საბანაოდ წავედი, ლომ-ვეშაპივით ჩავხტები ყინულჭრილში და ჩავიხრჩობი. და გავეშურე. მეტრო სადგურ "პუშკინსკაიაზე", გადასასვლელში, მოულოდნელად ნაცნობი მელოდია შემომესმა. მას ორი ახალგაზრდა მევიოლინე გოგონა უკრავდა. მათ წინ გადახსნილი ვიოლინოს ჩასადები ბუდე იდო, რომელშიც ხალხი ფულს ყრიდა. მუსიკოსები მეტროების გადასასვლე-ლებში სარჩოს ამ გზით შოულობენ. მაგრამ ამ ორი გოგონას მიერ, მათი ვიოლინოებიდან, მატარებლების გრუხუნში და ხმაურში აფრენილი მელოდია ბევრ ადამიანს აიძულებდა სვლა შეენელებინა. მე კი, საერთოდ, შეჩერება მაიძულა. ვიოლინოთა ხემებს მელოდია გამოჰყავდა, რომელსაც... ტაიგაში ანასტასია მღეროდა.

როცა იქ, ტაიგაში, მე ვთხოვე მას, რომ რაიმე საკუთარი და არა ჩემთვის ნაცნობი სიმღერა ემღერა, მე მოვისმინე ეს არაჩვეულებრივი, უცნაური, მომაჯადოებელი მელოდია სიტყვების გარეშე. ანასტასიამ ჯერ წამოიძახა, როგორც ყვირის ახალშობილი ბავშვი, მერე მისი ხმა აჟღერდა წყნარად... წყნარად და ძალიან ალერსიანად. იგი ხის ქვეშ იდგა, ხელები დაეწყო მკერდზე და გეჩვენებოდა, თითქოს თავისი ხმით უნანავებდა თუ უალერსებდა ჩვილ ბავშვს და რაღაცას ეუბნებოდა მას. მისი სრულიად წყნარი ხმა გარეშემო ყველაფერს აიძულებდა, გარინდულიყო და ყური დაეგდო მისთვის. შემდეგ, თითქოს გაუხარდაო ჩვილის გაღვიძება, მისი ხმა ხარობდა. ტონალობით, წარმოუდგენლად მაღალი ბგერები, გადასვლებით ხან ნარნარებდნენ, ხან დაფარფატებდნენ ზეცაში, ავსებდნენ სივრცეს, ახარებდნენ ყოველ გარეშემომყოფს...

ვკითხე გოგონებს:

— რას უკრავდით თქვენ?

მათ ერთმანეთს გადახედეს და ერთმა მათგანმა მიპასუხა:

— მე — როგორღაც იმპროვიზება გავაკეთე...

მეორემ დაუმატა: — მე კი ავყევი.

აქ, მოსკოვში, მეწარმეთა ერთობის შექმნის იდეით გატაცებულმა, რომელიც ჩემი ცხოვრების მთავარ ნაბიჯად უნდა ქცეულიყო, მე თითქმის დავივიწყე ანასტასია. და აი, ჩემი ცხოვრების უკანასკნელ დღეს, თითქოსდა მემშვიდობებაო, მან თავისი თავი შემახსენა.

— დაუკარით, თუ შეიძლება, კიდევ ისევ ისე, როგორც უკრავდით, — ვთხოვე გოგონებს.

— შევეცდებით, — მიპასუხა უფროსმა.

ვიდექი მეტროს გადასასვლელში, ვუსმენდი მევიოლინეების მომაჯადოებელ მელოდიას, ვიხსენებდი ტაიგურ მინდორს და ვფიქრობდი:

"ანასტასია! ანასტასია! ძალზედ რთულია, რეალურ ცხოვრებაში განხორციელდეს შენი ჩანაფიქრი. ერთია — ოცნება, და სულ სხვა, რეალობაში ოცნების განხორციელება. შეცდი შენ, როცა შენს გეგმებს აწყობდი. მეწარმეთა ერთობის ორგანიზება, წიგნის დაწერა...".

თითქოს დენმა დამარტყაო. ჩემთვის თავში ვიმეორებდი და ვიმეორებდი ამ სიტყვებს. ვგრძნობდი, რომ არის რაღაც უზუსტობა მასში, რაღაც დარღვეული. იქ, ტაიგაში... ტაიგაში... ცოტა სხვაგვარად ითქვა, მაგრამ როგორ... სხვაგვარად როგორ? ვაგრძელებდი რა გამეორებას, გადავაადგილე სიტყვები და გამოვიდა: "წიგნის დაწერა, მეწარმეთა საზოგადოების ჩამოყალიბება".

აბა რა საკვირველია! საჭირო იყო ჯერ, თავიდან წიგნი დამეწერა. წიგნს უნდა გადაეწყვიტა ყველა პრობლემა და რაც მთავარია, გაევრცელებია ინფორმაცია ერთობის დაარსების შესახებ! ეხ, ვფიქრობდი მე, რამდენი დრო დაიკარგა ტყუილად, პირად ცხოვრებაშიც გართულდა სიტუაცია. მაშ კარგი, დავიწყებ მოქმედებას. ყოველ შემთხვევაში ახლა ის მაინცაა ცნობილი, როგორ უნდა ვიმოქმედო. რა თქმა უნდა, წარმოუდგენელია, წიგნი დაწეროს იმან, ვისაც წერა არ შეუძლია და თანაც იგი წაიკითხონ კიდეც. მაგრამ ანასტასიას სჯეროდა, რომ გამომივიდოდა. ყოველთვის მარწმუნებდა ამაში. დაე, ასე იყოს. საჭირო, საჭიროა სინჯვა, საჭიროა ბოლომდე მოქმედება!

რუსეთის მოგუგუნე კედრები

ბინაში დაბრუნება გადავწყვიტე. მოსკოვს უკვე გაზაფხული ეალერსებოდა. სამზარეულოში ნახევარი ბოთლი მზესუმზირის ზეთი და შაქარი იყო დარჩენილი. აუცილებელი იყო, პროდუქტთა მარაგი შემევსო და გადავწყვიტე, გამეყიდა ჩემი ზამთრის წაულის ბეწვის ქუდი. ქუდი ნატურალური იყო და არა ხელოვნური, მილიონ რუბლზე მეტი ეღირებოდა. რა თქმა უნდა, ახლა უკვე სეზონი აღარ იყო, მაგრამ ერთ ორასორმოცდაათი ათასს მაინც მომცემენ, ჩემთვის ვფიქრობდი მოსკოვის ერთ-ერთი ბაზრისკენ მიმავალი. მე ხან ხილის გამყიდველებს ვთავაზობდი, ხან ნივთებით მოვაჭრეებს. ისინი ათვალიერებდნენ ქუდს, მაგრამ ყიდვას არ ჩქარობდნენ. უკვე გადავწყვიტე, ფასი ასორმოცდაათი ათასამდე დამეწია, მაგრამ ამ დროს, ორი კაცი მომიახლოვდა. ჩემი ქუდი ხელში შეატრიალეს, ბეწვი გასინჯეს.

— საჭიროა მოვიზომო. შენ ვინმეს სარკე სთხოვე,— უთხრა ერთმა მათგანმა თავის ამხანაგს და მე გვერდზე გასვლა შემომთავაზა.

ჩვენ ჩარიგებული დახლების ბოლოში, მოფარებულ ადგილას გავედით და დავუწყეთ ლოდინი სარკეზე წასულ მის ამხანაგს. ცდა არც ისე დიდხანს მოგვიწია. იგი უჩუმრად მომიახლოვდა უკნიდან და კეფაში დარტყმისგან თვალებიდან ჯერ ნაპერწკლები წამომცვივდა, მერე კი თვალთ დამიბნელდა. მესერს დავეყრდენი და ამის გამო არ წავიქეცი, მაგრამ როცა გონს მოვედი, ჩემი მყიდველები უკვე აღარსად სჩანდნენ და აღარც ქუდი იყო. მხოლოდ ორი ქალი ოხრავდა თანაგრძნობით:

— ყველაფერი წესრიგში გაქვთ? ოი, არამზადები, აი, ყუთი, ჩამოჯექით.

ცოტა ხანს მოვიცადე მესერთან და მერე ნელა-ნელა გავედი ბაზრიდან. გაზაფხულის წვიმა ცრიდა. გზის გადაჭრას ვცდილობდი და ტროტუარის პირზე შევჩერდი, რათა გარეშემო მიმომეხედა. თავი მტკივნეულად მიშხუოდა. სანამ გადასვლას დავაპირებდი, ჩემს შორიახლოს ჩაქროლილმა მანქანამ, დამდგარ

გუბიდან ჭუჭყიანი შხეფები შემომასხა, შარვალი და ქურთუკის კალთები ძალზედ დამისველა. სანამ გაუნძრევლად ვიდექი და მოვისაზრებდი, რა მექნა, იმავე გუბედან სატვირთო მანქანის ბორბლებმაც დამიმატეს, შხეფები ჩემს სახესაც მიწვდნენ. მოვცილდი გზის პირს და ვცდილობდი, ჩემი შემდგომი მოქმედებები გამეაზრებინა, თავი წვიმას კომერციული ფარდულის საჩიხეს შევაფარე.

მეტროში, რა თქმა უნდა, ასეთი სახით არ შემიშვებდნენ. ბინამდე, სადაც ვცხოვრობდი, სამი გაჩერება იყო, შეიძლებოდა გაევლო კაცს, მაგრამ ტალახში ამოსვრილი ქუჩაში გავლისას-გავლისას ქუჩაშიც შეიძლება მილიციამ აგიყვანოს იმიტომ, რომ ჩაგთვლის ლოთად, უსახლკაროდ, ბომჟად ან უბრალოდ საეჭვო პირად. სანამ გაერკვევიან, უხსენი, იმართლე თავი. მერედა აბა, მე მათ რაღას ვეტყოდი? ვინ ვარ ახლა მე?

და, აი ამ ფიქრში ვიყავი, როცა ის ადამიანი შევნიშნე;

დინჯად მოაბიჯებდა, ცარიელი ბოთლებით სავსე ორი ყუთი, ერთდროულად მოჰქონდა და უსახლკარო ბომჟსა და ლოთს ჰგავდა, როგორებიც ხშირად ტრიალებენ ჩამოსასხმელი სპირტიანი სასმელებით მოვაჭრე კომერციული ჯიხურების ახლომახლო. ჩვენი თვალები ერთმანეთს შეეჩეხენ, იგი შეჩერდა, დადო თავისი ყუთები ასფალტზე და დამელაპარაკა.

– რას დგახარ და ათვალიერებ? ეს ჩემი ტერიტორიაა. მოუსვი აქედან, – დინჯად, მაგრამ მბრძანებლურად მითხრა მან.

რადგან არც სურვილი მქონდა და აღარც ძალა შემწევდა, რომ მასთან მეკამათა, ვუპასუხე:

– სულაც არ მჭირდება შენი ტერიტორია, აზრზე მოვალ და წავალ.

მაგრამ მან საუბარი გააგრძელა:

– საით წახვალ?

– შენი საქმე არ არის, საით, წავალ და მორჩა!

– მიაღწევ კი?

– მივაღწევ, თუ ხელს არ შემიშლიან. შემეშვი, რაღა!

– ასეთ მდგომარეობაში დიდხანს არც დგომა და არც სიარული არ მოგიწევს.

– მერე და, რა შენი საქმეა?

— მაწანწალობ?..

— რაა?

— ესე იგი, დამწყები ხარ. კარგი, კარგი, ჯერ-ჯერობით აქ დაისვენე.

მან აიღო თავისი ყუთები და წავიდა. უკან ფუთით მობრუნდა და ისევ გამომელაპარაკა:

— მე გამომყევი!

— ეს ვითომ რატომ, საით?

— ერთი სამი საათი, ან დილამდე, სტუმრად იქნები ჩემთან. გაშრები. შემდეგ კი შენს გზას შეგიძლია გაუყვე.

გავყევი რა მას, ვკითხე:

— შორს არის შენი ბინა?

მან, ისე მიპასუხა, რომ არც კი შემობრუნებულა:

— ჩემს ბინამდე უკვე სიცოცხლის ბოლომდე ვეღარ მიიღწევა... არ მაქვს აქ მე ბინა. მაქვს ჩემი დისლოკაციის ადგილი.

ჩვენ მივადექით კარებს, რომელიც მრავალსართულიანი სახლის სარდაფის შესასვლელი იყო. მიბრძანა, განზე გავმდგარვიყავი, მიიხედ-მოიხედა, დაიცადა, როცა დარწმუნდა, რომ ახლო-მახლო არც ერთი მობინადრე არ ჭაჭანებდა, საკეტი რაღაც გასაღების მაგვარით გადაატრიალა.

სარდაფში უფრო იყო სითბო, ვიდრე ქუჩაში. მას ალბათ ათბობდნენ ამ უსახლკაროების მიერ სპეციალურად გაშიშვლებული და თბოიზოლაციის სალტეშემოცლილი მილები, რომლებშიც ცხელი წყალი გადიოდა. ერთ კუთხეში რაღაც ჩვრები ეყარა. მათ მბჟუტავი სინათლე ეცემოდა, რომელიც სარდაფის დამტვერილი ფანჯარიდან აღწევდა. მაგრამ ჩვენ შორეულ, ცარიელ კუთხეში წავედით.

მან ამოიღო თავისი შეკვრიდან წყლიანი ბოთლი, მოხსნა სახურავი, დაიგუბა პირში წყალი, მოასხურა გარეშემო და განმიმარტა:

— ეს იმიტომ, რომ მტვერი არ დადგეს.

შემდეგ, კუთხეში მიყუდებული ფიცარი ოდნავ გვერდზე გასწია. სახლის კედელსა და ტიხარს შორის წარმოქმნილი ხვრელიდან ფანერის ორი ნაჭერი გამოიღო, რომლებიც

დაფარული იყო ცელოფნის დიდი ნაჭრით, ამას, კიდევ რამდენიმე განიერი მუყაო მოაყოლა, ასევე ცელოფანგადაკრული. მათი მეშვეობით იატაკზე ორი იმპროვიზებული საწოლი მოაწყო. აიღო კუთხიდან კონსერვის ქილა, მასში ჩასმული სანთელი აანთო. ბოლომდე მოუჭრელი ქილის სახურავი ოდნავ იყო მოღუნული ნახევარსფეროდ და ამრეკლის მოვალეობას ასრულებდა. ამ მარტივმა ხელსაწყომ გაანათა ფანერის კიდეები და მათ შორის ნახევარმეტრიანი სივრცე, რომელზეც დააფინა გაზეთი და შეუდგა შეკვრიდან ყველის ნაჭრის, პურისა და ორი პაკეტი კეფირის ამოლაგებას.

ყველი აკურატულად დაჭრა და ჩაილაპარაკა:

– რაღას დგახარ? ჩამოჯექი. ქურთუკი გაიხადე, მილზე ჩამოკიდე, როცა გაშრება – გაწმენდ. ჯაგრისი მაქვს. შარვალი ტანზე შეგაშრეს. ეცადე, ნაკლებად დაკუჭო.

მან კიდევ ორი დაბეჭდილი, ასგრამიანი არყის ქილა ამოიღო და ჩვენ სავახშმოდ დავსხედით. გარეშემო სარდაფის ჭუჭყია, კუთხე კი, მის მიერ მოწყობილი, როგორღაც სუფთა და მყუდრო გამოიყურებოდა.

როცა ჭიქებს ვუჭახუნებდით, იგი წარმომიდგა:

– ივანე დამიძახე. აქ ყველანი მამის სახელის გარეშეა.

მიუხედავად სარდაფის ჭუჭყიანი იატაკისა, მის მიერ მოწყობილი, იმპროვიზებული საწოლები, გაზეთზე გულითადად დალაგებული საკვები, მის სარდაფულ კუთხეში სისუფთავისა და მყუდროების ატმოსფეროს ჰქმნიდა.

– დასაფენად რაიმე უფრო რბილი არა გაქვს? – ვკითხე ნავახშმევს.

– აქ, არანაირი ჩვრების ქონა არ შეიძლება, მისგან ჭუჭყი და სუნი დგება. აი, იმ კუთხეში მეზობლები... ორნი არიან, ხანდახან მოდიან. თავიანთი ჩვრებით საღორე მოაწყვეს...

მასთან საუბარისას, როცა ვპასუხობდი მის შეკითხვებს, თვითონაც ვერ შევამჩნიე, როგორ მოვუყევი ანასტასიასთან შეხვედრის შესახებ, მისი ცხოვრების წესსა და უნარ-შესაძლებლობებზე, მის პატარა სხივზე, ოცნებებზე და მისწრაფებებზე.

იგი იყო პირველი ადამიანი, ვისაც ანასტასიას შესახებ მოვუყევი! თვითონაც არ მესმოდა, რატომ ვუყვებოდი მას ანასტასიას უცნაურობებზე, მის ოცნებებზე და იმაზე, თუ როგორ მივეცი სიტყვა, დავხმარებოდი მას, როგორ ვცდილობდი, ჩამომეყალიბებინა სუფთა ზრახვების მქონემეწარმეთა ერთობა, მაგრამ შევცდი. რომ ჯერ, უპირველესად წიგნის დაწერა იყო საჭირო...

— ახლა წერას დავიწყებ, ვეცდები, გამოვცე. ანასტასია ამბობდა, რომ ჯერ წიგნიაო საჭირო.

— შენ რა, დარწმუნებული ხარ, რომ დაწერას შეძლებ, მერე კი გამოცემას, როცა სახსრები არა გაქვს?

— დარწმუნებული ვარ თუ არა, არ ვიცი, მაგრამ ამ მიმართულებით ვიმოქმედებ.

— ესე იგი მიზანი არსებობს და შენ მისკენ ივლი?

— ვივლი.

— და დარწმუნებული ხარ, რომ მიაღწევ?

— მე ვივლი.

— ჰოო... წიგნი... კარგი მხატვარია საჭირო, ყდა რომ გააფორმოს. გულითა და სულით რომ გააფორმოს. არსს რომ შეუფარდოს, მიზანს. შენ მხატვარს უფულოდ სად იპოვი?

— უმხატვროდ მომიწევს. გაფორმების გარეშე.

— უნდა გაკეთდეს ისე, როგორც საჭიროა, გაფორმებითაც და არსითაც, როგორც საჭიროა. მე რომ ქაღალდი, ფუნჯები და კარგი საღებავები მომცა... დაგეხმარებოდი, მაგრამ ახლა ყველაფერი ეს ძვირი ღირს.

— შენ რა, მხატვარი ხარ? პროფესიონალი?

— ოფიცერი ვარ. ხატვა კი ბავშვობიდან მიყვარდა. სხვადასხვა წრეზე დავდიოდი. მერე, როცა დროს გამოვნახავდი, ვხატავდი სურათებს, მეგობრებს ვჩუქნიდი.

— მაშ, ოფიცერი რაღატომ გახდი, თუ კი ყოველთვის ხატვა გსურდა?

— დიდი ბაბუა მყავდა ოფიცერი, ბაბუაც, მამაც. მამა მიყვარდა და პატივს ვცემდი. ვიცოდი, ვგრძნობდი, მას როგორი ვუნ-

დოდი, რომ ვენახე, შევეცადე, ასეთიც გამოვსულიყავი. მივაღწიე პოლკოვნიკობას.

— ჯარის რომელ სახეობაში?

— ძირითადად უშიშროებაში ვმსახურობდი. იქაურობა დავტოვე.

— შემცირებით თუ გამოგაგდეს?

— თვითონ დავწერე პატაკი, ვერ გავუძელი.

— რას?

— იცი რა, სიმღერაა. ასეთი სიტყვებია იქ: "ოფიცრებო, ოფიცრებო, თქვენი გული სამიზნეა!.."

— საშიშროება ელოდა შენს თავს? შენს სიცოცხლეს? გესროლეს შენ? რამეზე სურდათ შურისძიება?

— ოფიცრებს ხშირად ესვრიან. ოფიცრები ყველა დროში მიეშურებოდნენ ტყვიებთან შესახვედრად. მათ დასაცავად მიდიოდნენ, ვინც ზურგს უკან ეგულებოდათ. მიდიოდნენ და ეჭვადაც არ ჰქონდათ, რომ მათი გულები სამიზნეა... რომ სასიკვდილო გასროლა, ზურგიდან იქნება განხორციელებული. სიზუსტით, დამფლეთავი და პირდაპირ გულში.

— ეს როგორ?

— გაიხსენე გარდაქმნის წინანდელი დრო... დღესასწაულები — პირველი მაისი, შვიდი ნოემბერი; ხალხის უზარმაზარი მასები, ყვიროდენ "ვაშა", "დიდება", "გაუმარჯოს"... მე და სხვა ოფიცრები, არა მარტო "კგბ"- დან, ვამაყობდით, რომ ამ ხალხისთვის ფარი ვართ. მათ ვიცავთ. ამაში იყო ოფიცერთა უმრავლესობის ცხოვრების აზრი.

მერე გარდაქმნა, საჯაროობა. გაისმა სხვაგვარი წამოძახილები. და გამოვიდა, რომ ჩვენ, "კგბ"-ს ოფიცრები, არამზადები ვყოფილვართ, ჯალათები. არც იმათ და არც იმას არ ვიცავდით. ისინი, ვინც მწკრივში მიაბიჯებდა წითელი დროშების ქვეშ, სხვა მწკრივში ჩარიგდნენ, სხვაგვარი დროშების ქვეშ დაიწყეს სიარული, დამნაშავეებად კი ჩვენ შეგვრაცხეს.

ჩემი ცოლი, ცხრა წლით უმცროსი, მომხიბვლელი... ძალზედ მიყვარდა... ახლაც კი მიყვარს. იგი ჩემით ამაყობდა. ბიჭი შეგვეძინა, ერთადერთი, რომ იტყვიან, ნაგვიანევი ბავშვი. ახლა

ჩვიდმეტი წლისაა. პირველ ხანებში, ისიც ამაყობდა ჩემით, პატივს მცემდა.

შემდეგ, ეს ყველაფერი რომ დაიწყო, ცოლი გულჩათხრობილი გახდა. თვალს ვერ მისწორებდა. რცხვენოდა ჩემი. მე პატაკი დავწერე, კომერციული ბანკის დაცვაში გადავედი. ფორმა სადღაც გადავმალე. მაგრამ ყოველთვის უხმო კითხვები ეკიდა ჰაერში ცოლისგან, შვილისგან. უხმო კითხვებზე პასუხის გაცემა შეუძლებელია. პასუხებს ისინი გაზეთების ფურცლებზე, ტელევიზორის ეკრანზე ხედავდნენ. გამოდის, რომ, თურმე, საკუთარი აგარაკებისა და რეპრესიების გარდა ჩვენ — ოფიცრებს არაფერი გვიკეთებია.

— მაგრამ სამხედრო მაღალჩინოსნების მდიდრულ აგარაკებს მართლაც უჩვენებდნენ ტელევიზორში, ნატურალურებს, დახატულებს კი არა.

— კი, ბატონო, უჩვენებდნენ აგარაკებს, ნატურალურს, დახატულს კი არა. ოღონდ ის აგარაკები საცოდავ საქათმეებად მოგეჩვენება იმასთან შედარებით, რაც ახლა მრავალს აქვს, ვინც გაჰყვიროდა ბრალდებებს იმ აგარაკების მფლობელთა მისამართით. შენ, აი თბომავალი გქონდა. და ბევრად უფრო დიდი, ვინემ გენერლის აგარაკია. ის გენერალი კი, ჯერ კურსანტად იყო, სანგრებს თხრიდა. მერე ლეიტენანტად გადადიოდა ყაზარმიდან ყაზარმაში. აგარაკი, სახლი კი მას, როგორც ყველას, თავისი შვილებისთვის უნდოდა და ვინ იცის, რამდენჯერ მოუწია მას იმ აგარაკზე ღამ-ღამობით თბილი საწოლიდან წამოხტომა, რათა საველე პირობებში წასულიყო.

რუსეთში წინათ ოფიცერს აფასებდნენ. მამულებით აჯილდოებდნენ. ახლა კი ჩათვალეს, რომ პატარა აგარაკი, თხუთმეტი ასეული მიწის ნაკვეთი, ბევრია გენერლისათვის!

— წინათ ყველანი სხვანაირად ცხოვრობდნენ.

— სხვანაირად... ყველანი... მაგრამ სხვებთან ერთად პირველ რიგში, ბრალს სდებდნენ, უეჭველად ოფიცრებს.

სენატის მოედანზე ოფიცრები გამოვიდნენ. ხალხზე ფიქრობდნენ. ეს ოფიცრები შემდეგ სახრჩობელაზე, მაღაროებში, ციმბირში გაისტუმრეს. მათ დასაცავად არავინ ამოიღო ხმა.

სანგრებში ჩამსხდარნი, მეფისთვის, მამულისათვის, ეომებოდნენ გერმანელებს. ზურგში კი, უკვე ამზადებდნენ მათ შეხვედრას რევოლუციონერ პატრიოტებთან, რომლებიც ლულებში აწყობდნენ ტყვიებს მათი გულებისათვის, საშინელზე უფრო საშინელს. "თეთრგვარდიელები, მხეცები", – ასე უწოდებდნენ ომიდან დაბრუნებულ ოფიცრებს, რომლებმაც სცადეს, წესრიგი დაემყარებინათ ქვეყანაში. გარშემო ქაოსია, ყველაფერი ინგრევა. ყველაფერი წინანდელი ფასეული – მატერიალური თუ სულიერი – იბუგება, ითელება. უჭირდათ მათ, მაშინდელ ოფიცრებს. ამიტომაც, მიდიოდნენ ისინი თეთრ საცვალზე გადაცმული ოფიცრის ფორმით ფსიქოლოგიურ შეტევაზე. იცი, რა არის ფსიქოლოგიური შეტევა?

– ეს როცა მოწინააღმდეგის შეშინებას ცდილობ. მე კინოში მაქვს ნანახი. ფილმში "ჩაპაევი", თეთრგვარდიელი ოფიცრები მწყობრით მოდიან, მათი მიმართულებით კი ტყვიამფრქვევებს აკაკანებენ. ისინი ეცემიან, მაგრამ სხვები მწკრივს ავსებენ და მწყობრად მიდიან შეტევაზე.

– დიახ. ეცემიან და მიდიან. მაგრამ საქმე იმაშია, რომ ისინი არ უტევდნენ.

– ეს როგორ, მაშინ რატომ მიდიოდნენ?

– სამხედრო პრაქტიკაში შედეგია მთავარი, მიზნისთვის ნებისმიერი შეტევით მოწინააღმდეგის ხელში ჩაგდება ან ფიზიკური განადგურება, და, სასურველია, შემტევთა რაც შეიძლება მცირე დანაკარგით. სანგრებში ჩამალულთა ტყვიამფრქვევებზე შეტევა შესაძლებელი იყო მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი შეგნებულად ან ქვეცნობიერად აირჩევ სხვა მიზანს.

– რომელს?

– ისიც ხდება, სამხედრო ხელოვნების ლოგიკის წინააღმდეგ, საკუთარი სიცოცხლის ფასად უჩვენო, მოუწოდო მსროლელებს, გონს მოეგონ, მათ,ი მოკვდინებით კი მიმავლები მიხვდნენ და აღარ ესროლონ სხვებს.

– მაშინ მათი სიკვდილი ჯვარცმული იესო ქრისტეს სიკვდილს ჰგავს?

— ჰგავს. ქრისტე ჩვენ კიდევ როგორღაც გვახსოვს. უწვერულვაშო კორნეტები და გენერლები, იმ მწყობრში მიმავალნი, დაგვავიწყდა. ახლაც, ალბათ, მათი სულები, თეთრ საცვალზე გადაცმული ოფიცრის ფორმით, დგანან ჩვენს მიერ გასროლილი ტყვიების წინ და გვეხვეწებიან, მოგვიწოდებენ, გონს მოვეგოთ.

— რატომ მოგვიწოდებენ ჩვენ? მათ როცა ესროდნენ, ჩვენ ჯერ კიდევ არ ვიყავით.

— მაშინ არ ვიყავით. მაგრამ ტყვიები ახლაც მოჰქრიან. ახალი ტყვიები. ვინ უშენს მათ, თუ არა ჩვენ?

— მართლაც რომ. ხომ მოჰქრიან ტყვიები დღესაც. და რაღატომ მოჰქრიან ისინი ამდენი წელი სულ? შენ სახლიდან რატომღა წამოხვედი?

— მზერას ვერ გავუძელი.

— როგორს?

— საღამოს, ტელევიზორს ვუყურებდით. ცოლი სამზარეულოში იყო. მე და ჩემი ვაჟიშვილი ვუცქერდით. მერე დაიწყო იმ პოლიტიკური გადაცემებიდან ერთ-ერთი, "კგბ"-ზე დაიწყეს ლაპარაკი. გასაგებია, თამამად ასხამდნენ ლაფს. მე გაზეთი ავიღე, სპეციალურად ისეთი სახე მივიღე, თითქოს ვკითხულობდი, და ეს ყველაფერი არ მაინტერესებდა. მინდოდა, შვილს სხვა პროგრამაზე გადაერთო. ის პოლიტიკით სულაც არ ყოფილა გატაცებული. მუსიკა უყვარს. მან კი არ გადართო. მე გაზეთი გავაშრიალე, მალულად გადავხედე მას. და ვხედავ — ჩემი ბიჭი სავარძელში ზის, მისი ხელები ისე ჩაფრენოდა სახელურებს, რომ თითები გათეთრებოდა. თვითონ კიარ ინძრევა. მივხვდი — იგი არ გადართავდა. გაზეთჩამოფარებული, კიდევ როგორც შემეძლო, თავს ვიკავებდი. მერე ვეღარ მოვითმინე, დავჭმუჭნე გაზეთი, განზე ვისროლე, სწრაფად წამოვდექი და ვთქვი, წამოვიყვირე: "გამორთავ, ბოლოსდაბოლოს? გამორთავ?".

შვილიც წამოდგა. მაგრამ ტელევიზორისკენ არ წასულა. ჩემი შვილი პირისპირ დამიდგა, თვალებში მიყურებს და დუმს. ტელევიზორში კი აგრძელებენ... ჩემი შვილი კი მე მიყურებს...

მე მათ ღამე ბარათი დავუწერე: "მივდივარ რამდენიმე ხნით, ასეა საჭირო-მეთქი". და წამოვედი სამუდამოდ.

– რატომ სამუდამოდ?

– იმიტომ...

ჩვენ დიდხანს ვდუმდით. შევეცადე, უფრო მოხერხებულად მოვკალათებულიყავი მუყაოზე და წამეთვლიმა. მაგრამ იგი ისევ ალაპარაკდა:

– ესე იგი, ანასტასია, ამბობს, გადავიყვან ადამიანებს ბნელ ძალთა დროის მონაკვეთს მიღმაო? გადავიყვან და წერტილი!

– დიახ, ამბობს. და თავადაც სჯერა, რომ ეს მას გამოუვა.

– აი, ნეტავ, მიეცეს მას რჩეული რაზმი. მე ასეთ რაზმში ჯარისკაცად ვიმსახურებდი.

– რა რაზმი? შენ ვერ გაიგე. იგი ხომ ძალადობას უარყოფს. მას სურს, როგორღაც დაარწმუნოს ადამიანები. თავისი პატარა სხივით ცდილობს რაღაცის გაკეთებას.

– ვფიქრობ, ვგრძნობ, იგი გააკეთებს. ბევრი მოინდომებს, მისი პატარა სხივით იყოს გამთბარი. ბევრიც კიდევ ვერ მიხვდება, რომ ასევე საჭიროა, თვითონაც ცოტა მაინც გაანძრიოს ტვინი. ანასტასიას დახმარება ესაჭიროება. იგი მარტოა. მას ოცეულიც კი არ ჰყავს. აი, შენც მოგიწოდა, გთხოვა, შენ კი სარდაფში, როგორც მაწანწალა, აგდიხარ. გამომივიდა რაღა ესეც მეწარმე!..

– შენც "კაგებეშნიკი", აგდიხარ აქ.

– კარგი, ჰო, დაიძინე, ჯარისკაცო.

– შენს ყაზარმაში ცოტა გრილა.

– რას იზამ, ასეც ხდება ხოლმე. მოიკუნტე, სითბო შეინარჩუნე.

შემდეგ ადგა. ღიობიდან გამოიღო ცელოფნის პაკეტი და იქიდან ამოღებული რაღაც დამაფარა. მბჟუტავი სანთლის შუქზე, ჩემი სახის წინ, კიტელის სამხრეზე, სამმა ვარსკვლავმა გაიელვა. კიტელის ქვეშ ჩავთბი და ჩამეძინა.

ძილ-ბურანში ჩამესმა, როგორ მოვიდნენ თავის ჩვრებიან კუთხეში მაწანწალები და ჩემი ღამისთევისთვის პოლკოვნიკს ბოთლ არაყს თხოვდნენ, იგი დაპირდა, ხვალ გადაგიხდითო, მაგრამ ისინი დაჟინებით მოითხოვდნენ, ახლავე გაგვისწორე ანგარიშიო, დაემუქრნენ. პოლკოვნიკმა თავისი ფანერა-საწოლი გადაიტანა და შემდეგი სიტყვებით დადო ჩემსა და მოსულ მაწანწალათა

შორის: “სანამ ცოცხლი ვარ, თითსაც ვერ დააკარებთ”. და თავის ფანერაზე წამოწვა ისე, რომ მაწანწალებისგან ზურგით ჩამომეფარა. მერე ყველაფერი მიყუჩდა.

გავთბი და დავწყნარდი. მაშინ გავიღვიძე, როცა პოლკოვნიკმა მხარზე შემანჯღრია.

— ადექი. ადგომის დროა. უნდა ავიბარგოთ. სარდაფის დაბინდული ფანჯრის მიღმა ის-ის იყო აისი დგებოდა — ფანერაზე წამოვჯექი. თავი ძლიერ მტკიოდა და მძიმედ ვსუნთქავდი.

— ადრეა ჯერ. არც კი გათენებულა.

— კიდევ ცოტაც და მერე გვიანღა იქნება. ფხვნილიან ბამბას მოუკიდეს ცეცხლი. ძველი ფოკუსია. კიდევ ცოტაც და გავიგუდებით. მიუახლოვდა ფანჯარას და რაღაც რკინით დაიწყო ფანჯრის გამოღება. მაწანწალებს კარები გარედან ჩაეკეტათ. გამოაძრო რა ჩარჩო მან, მინა გატეხა და შეძვრა ფანჯრის ხვრელში. სარდაფის ფანჯარა ბეტონის ნიშაში გადიოდა, რომელიც დახურული იყო გისოსებით. იგი მიადგა გისოსებს, რათა ისინი სამაგრებიდან ამოეგდო, მაგრამ ეს მას რაღაც არ გამოსდიოდა. მე კედელზე მიყრდნობილი ვიდექი. თავი მიბრუოდა. პოლკოვნიკმა თავი გამოყო ფანჯრის ხვრელიდან, მიბრძანა: “ჩაიმუხლე ფანერაზე. ქვევით კვამლი ნაკლებია. ეცადე, არ გაინძრე. ნაკლები ჰაერი შეისუნთქე”.

იგი ბეჭებით მიაწვა, გისოსები გაანგრია და დამეხმარა გარეთ გაძრომაში.

სარდაფის ფანჯრის ბეტონის მოაჯირზე ვისხედით, მდუმარედ ვსუნთქავდით ჯერ კიდევ მძინარე მოსკოვის გარიჟრაჟის ჰაერს. თავბრუსხვევამ ნელ-ნელა გამიარა, მციოდა, ჩვენ-ჩვენთვის ჩუმად რაღაცაზე ვფიქრობდით.

შემდეგ ვთქვი:

— შენი მეზობლები არც ისე კეთილგანწყობილნი არიან, რა, ისინი არიან მთავარნი?

— აქ ყველა თავისთვისაა მთავარი. მაგათ ასეთი სამუშაო აქვთ. ახალბედას მოიყვანენ, ღამის გათევისთვის ქირას სთხოვენ. თუ იგი უარს იტყვის გადახდაზე, მაშინ ჩაუყრიან რამეს ჭიქაში, ან დააბოლებენ ძილში, როგორც ჩვენს შემთხვევაში

შეეცადნენ. თავიანთთვის, რაც უნდათ წაიღებენ თუ არის რაიმე წასაღები.

— და გამოდის, რომ შენ, "კაგებეშნიკი", ამას ყველაფერს გულგრილად უყურებ. ასეთი საქმეებისთვის მაგათთვის ერთი კარგა მაგრად უნდა ჩაგეფარებინა. თუ შენ, როგორც ჩინოვნიკი, ყოველთვის მხოლოდ კაბინეტებში იჯექი ქაღალდებში თავ-ჩარგული?! შენ რა, ილეთები არ იცი?

— კაბინეტებშიც მიწევდა ყოფნა და მის გარეთაც. ილეთე-ბის ცოდნა ერთია, მათი გამოყენება — სულ სხვა. ერთი საქმეა, მოწინააღმდეგე, მტერი. მეორეა — ადამიანი. მე შეიძლება ვერ მოვზომო და ზედმეტი მომივიდეს.

— ეს ისინია ადამიანები? სანამ შენ ასე მსჯელობ, ისინი ხალხს ასახიჩრებენ. მკვლელობისთვის მზად არიან.

— მკვლელობისთვის მზად არიან, მაგრამ ფიზიკური ილე-თებით ამას ვერ შეაჩერებ.

— ფილოსოფოსობ, ჩვენ კი კინაღამ დავიღუპეთ, ძლივს და-ვიძვრინეთ თავი, სხვებმა კი შეიძლება ვერც დაიძვრინონ.

— კი, სხვებმა, შესაძლოა, ვერც დაიძვრინონ...

— აი, ხომ ხედავ. მაშინ რაღას ფილოსოფოსობ და არ მოქმედებ?

— არ შემიძლია ადამიანთა ცემა. ხომ გეუბნები, შეიძლება, ვერ მოვზომო. მიდი რა, გაუტიე შენი დისლოკაციის ადგილზე. უკვე გათენდა.

წამოვდექი, ხელი ჩამოვართვი და წამოვედი.

— მოიცა! მობრუნდი ერთი წუთით.

მე მივბრუნდი ბეტონის მოაჯირზე მჯდომ უსახლკარო პოლკოვნიკისკენ. იგი თავჩაქინდრული იჯდა და დუმდა.

— რატომ დამიძახე? — ვკითხე.

პაუზის შემდეგ მან დაილაპარაკა:

— ესე იგი შენ ფიქრობ, რომ შეძლებ მიაღწიო?

— ვფიქრობ, შევძლებ. არ არის შორს. სულ სამი გაჩერებაა. მივალ.

— მე მხედველობაში მაქვს — შესძლებ მიზნამდე მიღწ-ევას? დარწმუნებული ხარ, რომ შეძლებ წიგნის დაწერას, მის გამოცემას?

— მე ვიმოქმედებ. ჯერ დაწერას ვცდი.

— ანასტასიამ, ესე იგი, თქვა, რომ შენ უნდა გამოგივიდეს?

— დიახ, მან ასე სთქვა.

— მაშ, მაშინვე რატომ არ შეუდექი ამ საქმეს?

— სხვა რამეს ვთვლიდი უფრო მნიშვნელოვნად.

— ესე იგი ბრძანებების შესრულება ზუსტად არ შეგიძლია.

— ანასტასიას არ უბრძანებია. მან მთხოვა.

— გთხოვა... მას, ესე იგი, ტაქტიკაც და სტრატეგიაც თვითონ გამოუმუშავებია. შენ კი, ესე იგი, შენებურად, გადაწყვიტე და მხოლოდ გაართულე ყველაფერი.

— ასე გამოვიდა.

— გამოვიდა... ბრძანებებს უფრო ყურადღებით უნდა მიუდგე. აი, მოდი, გამომართვი.

პატარა ცელოფანის პარკით რაღაც შეხვეული გამომიწოდა. გავხსენი და დავინახე ოქროს საქორწინო ბეჭედი და ვერცხლის ჯვარი ძეწკვით.

— გადამყიდველები ამას შენგან ნახევარ ფასად იყიდიან. შენც მიეცი ნახევარ ფასად. შეიძლება დაგეხმაროს გაძლებაში. თუ საცხოვრებელი არ გექნება, მოდი აქ. მაგათ მე მოვუვლი.

— რას ამბობ? მე ამას არ ავიღებ!

— ნუ მსჯელობ. წასასვლელი ხარ, წადი, აბა მიდი! წინ!

— გეუბნები, არ წავიღებ-მეთქი! — ვცადე, მისთვის ბეჭედი და ჯვარი დამებრუნებინა, მაგრამ წავაწყდი მბრძანებლურ და ამასთან ერთად მავედრებელ მზერას.

— ზურგისა—კენ. პირდაპირ! ნაბიჯით იარ! — წარმოთქვა დახშული, ისეთი ჩურჩულით, რომ ვერ შეეწინააღმდეგებოდი, ხოლო პაუზის შემდეგ, ზურგს უკან შემომვედრა:

— ოღონდ მიაღწიე, იცოდე!..

ბინაში მისულს დასაძინებლად დაწოლა მომინდა, მივწექი კიდეც. მაგრამ უსახლკარო პოლკოვნიკი თავიდან არ ამომდიოდა.

სუფთად გამოვეწყვე და ისევ მასთან წავედი. გზაში ვფიქრობდი: "შეიძლება ჩემთან ერთად ცხოვრებაზე დამთანხმდეს. ყველაფერთან შეგუებულია. პრაქტიკული და მოწესრიგებულია. ამასთან მხატვარია. იქნებ წიგნის ყდისთვის ნახატიც

შექმნას. ბინის ქირასაც ერთად უფრო ადვილად გადავიხდით. შემდეგი თვის ქირის გადასახადი უკვე აღარა მაქვს".

სარდაფის ფანჯრის მისადგომებთან, რომლიდანაც გამთენიისას გამოვაღწიეთ, დავინახე ადამიანთა ჯგუფი – სახლის მობინადრენი, მილიციის მანქანა და "სასწრაფო დახმარება".

უსახლკარო პოლკოვნიკი მიწაზე თვალდახუჭული და სახეზე ღიმილით იწვა. იგი დასვრილი იყო სველი მიწით. მკვდარი პოლკოვნიკის ხელი წითელი აგურის ნატეხს ჩასჭიდებოდა. კედელთან გატეხილი ხის ყუთი იდგა.

სასამართლოს სამედიცინო ექსპერტი რაღაცას იწერდა ბლოკნოტში და იდგა მეორე ადამიანის ცხედართან, რომელსაც დაკუჭული, გაცრეცილი ტანსაცმელი და დასახიჩრებული სახე ჰქონდა.

ადამიანების მცირე, ალბათ, სახლის მცხოვრებთა ჯგუფში ერთი ქალი აღელვებული რატრატებდა:

– ... ძაღლს ვასეირნებდი, იგი, რომელიც იღიმება, სახით კედლისკენ, ყუთზე იდგა, ესენი კი სამნი, შესახედავად მაწანწალები, ორი კაცი და მათთან ერთად ერთი ქალი, უკნიდან მიუახლოვდნენ მას. როცა ერთერთმა კაცმა ყუთი ფეხებიდან გამოგლიჯა, იგი მიწაზე დაენარცხა. მათ წიხლებით დაუწყეს ცემა, გინება. მე მათ ვუყვირე და ცემა შეწყვიტეს. ეს მომღიმარი – ადგა. მძიმედ წამოდგა. და ეუბნებოდა მათ, რომ წასულიყვნენ და თვალში აღარასოდეს მოხვედროდნენ. იმათ ისევ გინება დაუწყეს, მასზე წამოვიდნენ. როცა მიუახლოვდნენ, მან უეცბ, მოულოდნელად, ხელიც არ გაუქნევია, ხელისგულით, ხელის კიდით ყელში ჩაარტყა, ვინც ყუთი გამოაცალა, თითქოს არც მოუქნევია ისე, მაგრამ როგორც კი დაარტყა, ის მაშინვე მოიკრუნჩხა, სუნთქვა შეეკრა. მე ისევ ვიყვირე. ორნი მაშინვე გაიქცნენ. ჯერ ქალი, მერე კაციც მას მიჰყვა. ამ მომღიმარს, გული ხელით ეჭირა. მას ჩამოჯდომა ან წამოწოლაც კი ესაჭიროებოდა, რახან გულმა დაარტყა, იგი კი მაინც თავის ყუთთან მივიდა. ასე ვთქვათ, ნელა მიუახლოვდა, კედლისკენ მისწია ის. თვითონ კედელს ეჭიდებოდა და ისევ ყუთზე მიძვრებოდა. დადგა მასზე. მაგრამ, ეტყობა, მთლად ცუდად გახდა. ჩამუხვლვა

დაიწყო. ჯდება მაგრამ, თან მაინც ხაზავს წითელი აგურით კედელზე, აი, ასე, მიწამდე ჩამოხაზა, დაწვა პირაღმა, კედელთან. მე მივირბინე, ვხედავ, იგი უკვე აღარ სუნთქავს. არ სუნთქავს, მაგრამ იღიმება.

— რისთვის აძვრა ყუთზე? — ვეკითხები ქალს.

— რას მიძვრებოდა, თუ გული აწუხებდა? — იკითხეს ბრბოშიც.

— მას ხომ რაღაცის დახატვა სურდა. და როცა ეს სამი მაწანწალა უკნიდან მიეპარა, იგი ხატავდა. ალბათ, ისინი ამიტომაც ვერ შეამჩნია. მე დიდხანს ვასეირნებდი ჩემს ძაღლს, იგი კი იდგა თავის ყუთზე და ხატავდა. თავის ნახატს არც ერთხელ არ მოშორებია. აი, აქ არის ნახატი, მაღლა,— მიუთითა ქალმა აგურის სახლის კედელზე.

სახლის ნაცრისფერ კედელზე წითელი აგურით იყო გამოსახული მზის წრე, მის შუაში კი — კედარის რტო, წრე — მზის გარშემო, წრეზე რაღაც დაგრეხილი ასოები ეწერა.

მივუახლოვდი კედელს და წავიკითხე: "რუსეთის მოგუგუნე კედრები". ასევე მზისგან სხივები გამოდიოდნენ. სხივი მხოლოდ სამი ცალი იყო. მეტის დახატვა უსახლკარო პოლკოვნიკმა ვერ მოასწრო. ორი სხივი მოკლე იყო, მესამე კი კლაკნილადმიდიოდა კედლის ძირამდე მკრთალდებოდა., სადაც იწვა მომღიმარე გარდაცვლილი უსახლკარო პოლკოვნიკი,

ვუყურებდი მის მიწით დასვრილ მომღიმარე სახეს და ვფიქრობდი: "შესაძლოა მოასწრო ანასტასიამ თავისი სხივით ცხოვრების ბოლო წამებში შეხებოდა მას, გაეთბო. ცოტა მაინც გაეთბო ამ ადამიანის სული და წაეყვანა იგი ნათელ უსასრულობაში".

ვუყურებდი, როგორ ტვირთავდნენ მანქანაში დაღუპულთა გვამებს. "ჩემი" პოლკოვნიკი უხეშად დააგდეს. მისი თავი ძარის ძირზე დაეხეთქა. ველარ მოვითმინე. გავიხადე ქურთუკი, მივვარდი მანქანას, მოვითხოვე, რომ თავქვეშ ქურთუკი ამოედოთ. ერთმა სანიტარმა შემომაგინა, მაგრამ მეორემ უსიტყვოდ გამომართვა ქურთუკი და ჭაღარა თავქვეშ ამოუდო. მანქანები წავიდნენ. იქაურობა დაცარიელდა, თითქოს არაფერიც არ მომხ-

დარიყოს. ვიდექი და ვუცქერდი დილის მზით განათებულ ნახატს და წარწერას. აზრ-ფიქრი ერთმანეთში მერეოდა. მისთვის რაღაც, თუნდაც პატარა რაღაც, უნდა გავაკეთო, ამ "კაგებეშნიკისთვის", აქ დაღუპული რუსეთის ოფიცრისთვის! მაგრამ რა? რა? მერე გადავწყვიტე: "მოვათავსებ, ოფიცერო, შენს ნახატს ჩემი წიგნის ყდაზე. მე უეჭველად დავწერ მას. თუმცა ჯერ-ჯერობით არ ვიცი მწერლობა, მაგრამ მაინც დავწერ, და არა ერთს. და ყველა წიგნზე მოვათავსებ შენს ნახატს, როგორც ემბლემას. და წიგნში მივმართავ რუსეთის ყველა მაცხოვრებელს: "რუსებო, ნუ ესვრით გულებში თქვენს ოფიცრებს უხილავი, მფლეთავი, დაუნდობელი და უსულო ტყვიებით.

ნუ ესვრით ზურგში ნურც თეთრებს, ნურც წითლებს, ლურჯებს თუ მწვანე თქვენს ჯარისკაცებს, პროპორშჩიკებს და გენერლებს. ზურგიდან ნასროლი უხილავი ტყვიები საშინელზე საშინელნი არიან. ნუ ესვრით თქვენს ოფიცრებს,რუსეთელებო!!!"

* * *

მე სწრაფად ვწერდი, დრო და დრო მოდიოდნენ ანტონი, არტემი და ლიოშა, სტუდენტი-პროგრამისტები, მოჰქონდათ რაღაც–რაღაცეები საჭმელად. მათ ჯერ კიდევ არ იცოდნენ ანასტასიას შესახებ. მაგრამ მე მათ ავუხსენი, რომ ერთობის ჩამოყალიბების საკითხის მოგვარება შესაძლებელია წიგნის დახმარებით, რომელიც უნდა დავწერო. ამიტომაც კომპიუტერზე წიგნის ტექსტის აწყობა თავის თავზე აიღეს. ძირითადად ამ სამუშაოს ლიოშა ნოვიჩკოვი ასრულებდა. იგი მოდიოდა ყოველ სამ დღეში ერთხელ, მოჰქონდა დაბეჭდილი ტექსტი და ახალი ქვეთავის ხელნაწერი მიჰქონდა. ასე გრძელდებოდა ორი თვე.

ერთხელ ლიოშამ მოიტანა პირველი წიგნის დაბეჭდილი ბოლო თავის დისკეტა, აწყობილი სრული ტექსტით, ორი ბოთლი ლუდი, სარდელები, რაღაც კიდევ საჭმელებიდან და თან ოცი ათასი რუბლი მოაყოლა, ყველაფერი ეს სამზარეულოს მაგიდაზე დაალაგა. გაკვირვებით ვკითხე:

– ამოდენა სიმდიდრე შენ საიდან, ლიოშა?

იგი დედასთან ერთად საკმაოდ ხელმოკლედ ცხოვრობდა,ფულიც ყოველთვის არ ყოფნიდათ მეტროსა და ბუტერბროდისთვის.

— ჩვენთან სესია მიმდინარეობს, ვლადიმირ ნიკოლაევიჩ, — მიპასუხა ალექსეიმ, — მე ზოგიერთ სტუდენტს ნახაზებს ვუკეთებ, სხვადასხვა პროგრამებს, მათ, ვინც ზარმაცობს ან არ შეუძლია ხაზვა. აი, ანაზღაურებაც მივიღე.

— თავად შენ სესიას აბარებ?

— ვაბარებ. კიდევ ერთი გამოცდა დამრჩა, ორ თვეში კი მე სამხედრო გაწვევაზე ერთი თვით კინეშმაში წამიყვანენ. კარგია, თქვენ რომ "ანასტასიას" დაწერა მოასწარით. აწი თუ რაიმე გასასწორებელი იქნა, არტემი დაბეჭდავს, ანტონი კი უკვე წვრთნებზეა.

— როგორ ასწრებდი შენ, ლიოშა, გამოცდების ჩაბარებას, სხვისთვის ნახაზების კეთებას, პროგრამების შექმნას და კიდევ ყოველდღე "ანასტასიას" აწყობასა და დაბეჭდვას?

ლიოშა დუმდა. სამზარეულო მაგიდისკენ მივტრიალდი, რათა მოხარშული სარდელები დამედო მასზე. ლიოშას მაგიდაზე, რომელზეც ხელნაწერის ტექსტთან ერთად ანასტასიას შესახებ ნაბეჭდი ფურცლები ეწყო, თავი და ხელები დაეწყო და ღრმად ეძინა...

საიდუმლოს ამოცნობა

ვიდექი რა მოსკოვური პატარა ბინის სამზარეულოში მაგიდასთან, რომელზეც შეციებული სარდელებით და ანასტასიას შესახებ წიგნის ფურცლებით ლიოშა ნოვიჩკოვს ეძინა, მე სიტყვა მივეცი საკუთარ თავს, რომ გამოვძებნიდი ხერხს კაპიტალის დასაგროვებლად, დავიბრუნებდი ჩემს თბომავალს იმისთვის, რომ იმავე მარშრუტით გამეგზავნა, რომლითაც მოხდა ანატსტასიასთან შეხვედრა. ოღონდ არ მევაჭრა, როგორც ადრე. თბომავალს გავგზავნიდი თეთრი ღამეების პერიოდში, რათა მასზე ყველაზე საუკეთესო კაიუტაში ნორმალური დასვენება შესძლონ ლიოშა ნოვიჩკოვმა, ანტონმა და არტემმა და ყველამ, ვინც მიუხედავად არეულ-დარეული მდგომარეობისა, უგულებელყოფდნენ თავიანთ მატერიალურ კეთილდღეობას და არ აკლებდნენ მცდელობას, რათა ჩამოეყალიბებინათ სუფთა ზრახვების მქონე მეწარმეეთა საზოგადოება.

ნეტა რა იდეაა ასეთი ეს, რატომ იტაცებს აგრე რიგად ადამიანებს? რატომ გახდა ის ასე ახლობელი ჩემთვის? რა საიდ-

უმლო იფარება მასში? საჭიროა ამაში გარკვევა და დაკონკ-
რეტება, საჭიროა, ვეცადო მისი საიდუმლოსა და დანიშნულების
ამოცნობა. რატომ აენთებიან ხოლმე ადამიანები ტაიგელი გან-
დეგილი ქალის ნაოცნებარ-ნაფიქრალით? რა არის მასში და-
ფარული? როგორ გამოვიცნოთ საიდუმლო?

"მოსკოვსკაია პრავდას" ჟურნალისტმა კატია გოლოვი-
ნამ სცადა გამოეკვლია ეს, როცა ეკითხებოდა სტუდენტებს:
"რა გამოძრავებთ, რაშია თქვენი პირადი ინტერესი?" მაგრამ
მათ ვერ შეძლეს პასუხის მკაფიოდ გაცემა, მხოლოდ თქვეს:
"ღირსეული საქმეა". ესე იგი ისინიც ინტუიციით მოქმედებენ.
მაგრამ რა დგას ამ ინტუიციის მიღმა?

* * *

მოსკოვის ნომერ თერთმეტ სტამბაში ტიპოგრაფიის ხარ-
ჯზე დაიბეჭდა ორი ათასიანი ტირაჟით პირველი თხელი წიგნი
ანასტასიაზე. რატომ გადაწყვიტა ამ სტამბის გენერალურმა
დირექტორმა გენადი ვლადიმერის ძე გრუციამ დაებეჭდა უც-
ნობი ავტორის წიგნი? მან ეს რატომ ქნა, და, მიუხედავად
ფინანსური სირთულეებისა, გამოიყენა არა საგაზეთო, არამედ
გაუმჯობესებული ოფსეტური ქაღალდი?

პირველ წიგნებს მე თავად ვყიდდი მეტრო "ტაგანსკაიას"
გამოსასვლელთან. შემდგომ პირველი მკითხველები მეხმარე-
ბოდნენ. მოხუცი ქალი ყოველდღიურად ყიდდა მას მეტრო
"დობრინინსკაიასთან". იგი ყველა მომსვლელს დაწვრილებით
უხსნიდა, თუ რა კარგია ეს წიგნი. რატომ? მერე მკითხველებ-
მაც დაიწყეს მისი გაყიდვა ქალაქგარეთ განლაგებულ დასასვე-
ნებელ სახლებში, თავად სწერდნენ განცხადებებს და ატარებდ-
ნენ შეხვედრებს მკითხველ დამსვენებლებთან. შემდეგ მოსკოვის
საგამომცემლო-სარეალიზაციო კონცერნის დირექტორმა იური
ანატოლის ძე ნიკიტინმა უეცრად გადაწყვიტა სტამბაში წი-
ნასწარ გადაეხადა თანხა ორი ათასი ეგზემპლარისთვის. მისი
მოქმედებები უცნაური იყო. იგი ჩემთან მოვიდა მანქანით და
მითხრა: "მე დღეს მივემგზავრები ჩემს ვაჟიშვილთან ერთად
საზღვარგარეთ, ჩოგბურთის შეჯიბრებებზე. თვითმფრინავი საღ-
ამოსაა. უნდა მოვასწრო წინასწარი შესატანის გადახდა".

მან ახალი ტირაჟი დააფინანსა. როცა დადგა მისი გამოტანის დრო, ნიკიტინმა მაცნობა:

— ზაფხულში წიგნებით ჩვენ საერთოდ არ ვვაჭრობთ, მე რამდენიმე შეკვრას წავიღებ, დანარჩენი შენს განკარგულებაში იყოს. თუ ფული გაგიჩნდება, მომცემ.

ამ წიგნთან, ხელნაწერზე მუშაობის დაწყების წუთიდან დღემდე, მრავალი "რატომ" არის დაკავშირებული. ის, თითქოს ცოცხალიაო, თავისკენ თავად იზიდავდა ხალხს და მათი დახმარებით იკვლევდა გზას. მე მასთან დაკავშირებულ მოვლენებს შემთხვევითობად მივიჩნევდი. მაგრამ ეს შემთხვევითობები თანდათან იკინძებოდა თანამიმდევრული ჯაჭვის რგოლებად. ახლა არც კი ვიცი, სადაა მოვლენების შემთხვევითობა და სად კანონზომიერება? ესენი ძნელად გასარჩევი გახდნენ.

მამა თეოდორიტი

დადგა მომენტი, როცა შესაძლებლად ჩავთვალე, მამა თეოდორიტს შევხვედროდი. იქ, ტაიგაში, ჩემს კითხვაზე: "არიან ჩვენს სამყაროში ადამიანები ისეთივე უნარითა და ცოდნით, როგორიც შენ გაქვს, მაგრამ არც ისე შორს რომ ცხოვრობენ, როგორც შენ?" ანასტასიამ მიპასუხა:

— დედამიწის სხვადასხვა კუთხეებში არიან ადამიანები, რომელთა ცხოვრების წესი განსხვავებულია ტექნოკრატული ცხოვრებისაგან. ყველას სხვადასხვა უნარ–ნიჭი აქვთ. მაგრამ თქვენს სამყაროშიც არის ადამიანი, ვისთანაც მისვლა შენ, არც ზამთარში და არც ზაფხულში, არ გაგიჭირდება. მისი სულიერი ძალა ძალზედ დიდია.

— შენ იცი, სად ცხოვრობს იგი? შესაძლოა მისი ნახვა და მასთან საუბარი?

— დიახ.

— ვინ არის იგი?

— ის შენი მამაა, ვლადიმირ.

— რა? ეხ, ანასტასია, ანასტასია... როგორ მინდოდა, მიმეღო შენგან მართალს რომ ამბობ იმის მტკიცებულებები, მაგრამ

პირიქით კი გამოვიდა. მამაჩემი გარდაიცვალა თვრამეტი წლის წინათ და დაკრძალულია ბრიანსკის ოლქის პატარა ქალაქში.

ზურგით ხეზე მიყრდნობილი იჯდა ანასტასია ბალახზე და მუხლმოხრილი, მდუმარედ მიცქერდა თვალებში. მისი მზერა ნაღველსა და სევდას გამოხატავდა. შემდეგ დინჯად დაუშვა თავი მუხლებზე. გავიფიქრე, ალბათ მამაჩემზე მისმა ნათქვამმა, ანასტასიას ხასიათი გაუფუჭა მეთქი და შევეცადე, დამემშვიდებინა:

— შენ, ანასტასია,* ასე ძლიერად ნუ განიცდი. ალბათ იმიტომ შეცდი, როგორც თვითონ ამბობ, ცოტა ძალა დაგრჩა.

ანასტასია რამდენიმე ხანს კიდევ დუმდა, შემდეგ თავი ასწია, ისევ შემაცქერდა თვალებში და მითხრა:

— ძალები შემიმცირდა, მაგრამ არა იმდენად, რომ მე შემიძლია შევცდე.

შემდეგ მან ოცდაექვსი წლის წინანდელი ამბის გადმოცემა დაიწყო. აყალიბებდა წარსულს ზუსტად და დეტალებში, ამავდროულად გადმოსცემდა შინაგანი შეგრძნებების ნიუანსებსაც.

რაღაცნაირად კიდევ შეიძლება ჩაწვდე, გარეგნულად ძლივს შესამჩნევი — სახის გამომეტყველებით, პოზით, თვალებით, მოსაუბრის აზრებს. მაგრამ როგორი ხერხით ათვალიერებს იგი წარსულს, თითქოს და, როგორც დოკუმენტურ კინოფირს, კვლავ გამოცანად დარჩა.

თავად ანასტასიამ ნორმალური, გასაგები ენით ამის ახსნა მაინც ვერ მოახერხა. თუმცაღა აი რა მიამბო:

— მოსკოვთან ახლოს არის სამება—სერგიევოს ლავრა. ის განთავსებულია ქალაქში, რომელსაც ჰქვია სერგიევო-პოსადი. სამება—სერგიევოს ლავრის სქელი, უძველესი კედლების მიღმა არის სასულიერო სემინარია, აკადემია, ტაძრები და მონასტერი. ტაძრები ხელმისაწვდომია ხალხისთვის, ყველა მსურველს შეუძლია მივიდეს, ილოცოს რუსეთის ამ წმინდა ადგილზე. იგი მორწმუნეთა დევნის დროსაც კი არ იყო დანგრეული, იმ

---

* ეს საუბარი მას შემდეგ მიმდინარეობდა, როცა იგი გონებას კარგავდა კაცისა და ქალის ანგარიშსწორებისგან გადარჩენის გამო. ეს სიტუაცია პირველ წიგნში აღვწერე.

კედლებს შიგნით მოქმედებდა სემინარია, აკადემია, მონასტერი, რომელში მოღვაწე ბერები ღმერთს მსახურებდნენ.

ოცდაექვსი წლის წინათ, ზუსტად ჩემი ამ ქვეყნად მოვლინების დღეს,– სამება–სერგიევოს ლავრის ჭიშკარში ჭაბუკი შემოვიდა. მან მუზეუმი მოინახულა, მერე დიდ ტაძარში შევიდა. იმ ტაძარში მაღალი, ჭაღარა ბერი ქადაგებდა. მისი სიმაღლე და ხარისხიც მაღალი იყო. ეს იყო მამა თეოდორიტი – სამება–სერგიევო ლავრის მონასტრის წინამძღოლი. ჭაბუკმა მოისმინა ქადაგება და, როცა მამა თეოდორიტი გავიდა, იგი მას განძთსაცავში შეჰყვა. ჭაბუკი ტაძრის მსახურებს არ შეუჩერებიათ. მიუახლოვდა მამა თეოდორიტს და ქადაგების შესახებ დაუწყო საუბარი. მამა თეოდორიტი დიდხანს ესაუბრა მას. ჭაბუკი კი იყო მონათლული, მაგრამ მასში საკმარისი რწმენა არ იყო, იგი არ იცავდა მარხვებს, არც ეზიარებოდა, ეკლესიაში რეგულარულად არ დადიოდა. მაგრამ იმ დღეს მამა თეოდორიტსა და ჭაბუკს შორის მეგობრობა დაიწყო.

ჭაბუკი მონასტერში დადიოდა და მას მამა თეოდორიტი ესაუბრებოდა, იმ სიწმინდეებს უჩვენებდა, რომლებიც ჩვეულებრივი მრევლისთვის მიუწვდომელი იყო. ბერი ჭაბუკს წიგნებს ჩუქნიდა, იგი კი მათ კარგავდა. ბერმა ჭაბუკს კისერზე ჯვარი ჩამოჰკიდა, მაგრამ ისიც დაკარგა. ბერმა ჭაბუკს მეორე, არაჩვეულებრივი ჯვარი მისცა, იგი ზარდახშასავით იხსნებოდა, – მაგრამ ისიც დაკარგულ იქნა. ჭაბუკი სატრაპეზოშიც კი შეჰყავდა და მონასტრის სხვა ბერებთან ერთად ერთ სუფრასთან სვამდა, ჭაბუკს ყოველთვის აძლევდა ცოტა ფულს, არასდროს საყვედურობდა და მუდამ ელოდა მის მოსვლას.

ასე გრძელდებოდა წელიწადი. ჭაბუკი მონასტერში ყოველ კვირაში ერთხელ მიდიოდა, მაგრამ ერთხელაც წავიდა და ერთი კვირის შემდეგ აღარ მივიდა, ბერი ელოდა. მაგრამ ჭაბუკი ერთი თვის შემდეგაც არ მივიდა, ერთი წლის შემდეგაც, ბერი ელოდებოდა. ახლა უკვე ოცდახუთი წელი გავიდა. ბერი კი მაინც ელოდება. ოცდახუთი წელია, გელოდება შენ, ვლადიმირ, შენი სულიერი მამა – დიდი ბერი რუსეთისა – მამა თეოდორიტი.

მე მონასტრისგან შორს გადავსახლდი. ციმბირში. მამა თეოდორიტი ხანდახან მახსენდებოდა,— ისე ვუპასუხე მე, თითქოს საკუთარი თავის, ან ვიღაცის წინაშე ვიმართლებდი თავს.

— მაგრამ არც ერთი ბარათი არ მისწერე,— შენიშნა ანასტასიამ.

— მე მსურს მისი ნახვა.

— მერე და რას მოუყვები მას? იმის შესახებ ხომ არა, როგორ აკეთებდი ფულს, ბედნიერი იყავი სიყვარულში და უბრალოდ, მრუშობდი კიდეც? ხშირადაც იყავი დაღუპვის პირას, მაგრამ ბოლო მომენტში განსაცდელი რომ გტოვებდა? როგორც კი შეგხედავს, ამას ყველაფერს იგი თავადაც დაინახავს. მას,- შენი ცოდვების შემნდობს, თავისი ლოცვებით შენს არაერთგზის მხსნელს - მაინც სჯერა, როგორც ოცდახუთი წლის წინ. მას სხვა რამე სურდა შენგან.

— რა, ანასტასია? რა იცის მამა თეოდორიტმა, რა სურს მას?

— ჯერ-ჯერობით მე არ შემიძლია ამაში გავერკვე. იგი ინტუიციით გრძნობდა. მითხარი, ვლადიმირ, შენ თუ გახსოვს საუბრები მასთან, გახსოვს, რა ნახე მონასტრის განძთსაცავში?

— ყველაფერი ძალიან ბუნდოვნად მაგონდება, ეს ხომ დიდი ხნის წინათ იყო, მხოლოდ ცალკეული ეპიზოდები შემიძლია გავიხსენო.

— ეცადე, გაიხსენო ისინი. მე შენ მოგეხმარები.

— მამა თეოდორიტი ჩემთან ყოველთვის მონასტრის სხვადასხვა ადგილებში საუბრობდა. მახსოვს რაღაც მიწისქვეშა თუ ნახევრად მიწისქვეშა სათავსოები. მახსოვს სატრაპეზო, გრძელი სუფრა, მაგიდასთან ბერები ვახშმობენ, მეც მათთან ერთად. ეს რომელიღაცა მარხვის დროს იყო. საკვები მთლიანად სამარხვო იყო, მაგრამ მომეწონა.

— გქონდა რაიმე უჩვეულო შეგრძნებები, გრძნობები, მონასტრის მონახულებისას?

— ერთხელ, ვახშმის შემდეგ მე მონასტრის გამოსასვლელიდან ლავრის შიდა ეზოში გამოვედი და წავედი გასასვლელისკენ. მრევლისთვის ჭიშკარი უკვე დაკეტილი იყო. ეზო

ცარიელი. სქელი, მაღალი კედლები, გარეშე, ქალაქის ხმაურს არ ატარებდნენ. გარშემო მხოლოდ ტაძრები იყო აღმართული, სიჩუმე იდგა. შევჩერდი. მეჩვენა, დიდებული მუსიკა აჟღერდაო. მე უნდა წავსულიყავი. მორიგე ბერი ჭიშკართან იდგა, რათა მე გავეშვი და მერე ჭიშკრის ურდული ჩაეკეტა. მაგრამ მე ვიდექი და ამ მუსიკას ვუსმენდი, მერე კი ნელ-ნელა გავემართე ჭიშკრისაკენ.

— სხვა დროს ეს მუსიკა არასოდეს გსმენია? არ განგიცდია ეს შეგრძნებები?

— არა.

— ოდესმე გიცდია ეს მუსიკა კიდევ გაგეგონა, გამოგეწვია ეს შეგრძნებები შენში?

— კი, მაგრამ არ გამომსვლია. ის კი არა და, მე დავმდგარვარ კიდეც იმ ადგილზე, როცა შემდეგ ჯერზე მივედი, მაგრამ არა...

— მაინც, კიდევ გაიხსენე რაიმე, ვლადიმირ.

— შენ დაკითხვას მიწყობ. ყველაფერი ისე ზუსტად მოყევი, რაც იყო ჩემს თავს ოცდაექვსი წლის წინათ, თავად მომიყევი იმაზე, მაშინ რას ვგრძნობდი.

ეს შეუძლებელია. მამა თეოდორიტი კონკრეტულ გეგმებს არ ადგენდა, იგი რაღაცაზე ინტუიტიურად იმედოვნებდა. შენთვის კი, რაღაც დიდი და მნიშვნელოვანი გააკეთა. მხოლოდ მისთვის ნებადართული. ოღონდ მე ამას ინტუიციით ვგრძნობ: იგი მნიშვნელოვანზე ფიქრობდა და ამისთვის ბევრს აკეთებდა. ძალიან ბევრს. მაგრამ რატომ დაგიკავშირა სასურველი შენ, რომელიც არ ფლობდი რწმენასთან სწრაფად მისასვლელ ელემენტარულ ნიჭსაც კი,— ეს გამოცანად რჩება. და შენმა ოცდახუთი წლის გზასაცდენილმა ცხოვრებამ რატომ არ დაუმსხვრია მას ეს რწმენა ესეც გამოცანაა. და შენ, რომელმაც ასე ბევრი რამ მიიღე, კიდევ რაღატომ ხარ უმოქმედოდ? რატომ? მე ამას, უკვე ველარ ვიგებ. სამყაროში, უკვალოდ, ხომ არაფერი ქრება. გაიხსენე, თუ შეიძლება, სულიერ მამასთან შენი შეხვედრებიდან და საუბრებიდან, თუნდაც ერთეული ეპიზოდები მაინც.

— მე მახსოვს დარბაზი, თუ რომელიღაც საგანძური, სასულიერო აკადემიაში თუ სემინარიაში, ეს შეიძლება მონასტრის

ერთ-ერთ მიწისქვეშა სათავსოში იყო. მამა თეოდორიტის წინ რომელიღაცა ბერმა კარები გააღო, მაგრამ თავად არ შესულა შიგნით. ჩვენ მხოლოდ ორნი – მამა თეოდორიტი და მე, ერთად შევედით. კედლებზე რაღაც სურათები ეკიდა, თაროებზე – ნივთები...

– შენ იქ, ორჯერ გაოცდი, რა გაგიკვირდა?

– გავვოცდი? ხო, რა თქმა უნდა, გამიკვირდა. განმაცვიფრა...

– რამ?

– ერთმა სურათმა. ის შავ-თეთრი იყო, თითქოსდა ფანქრით დახატული. ეს იყო ძალზედ მკაფიოდ დაწერილი ვიღაც ადამიანის პორტრეტი.

– რამ გაგაკვირვა ასე?

– არ მახსოვს.

– გაიხსენე, ვლადიმირ. ეცადე, თუ შეიძლება, მე დაგეხმარები. მცირე დარბაზში, თქვენ ორნი, მამა თეოდორიტთან ერთად დგახართ იმ სურათის წინ, შენ ოდნავ წინ დგახარ, მამა გეუბნება: "მიუახლოვდი სურათს, ვლადიმირ". შენ ერთი ნაბიჯი გადადგი, შემდეგ ისევ...

– ანასტასია! გამახსენდა!

– რა?

– ეს სურათი, გამომსახველი ვიღაცა ადამიანისა, დახატული იყო მხოლოდ ერთი ხაზით. პულსირებული ხაზ–სპირალით. თითქოს დამხატველმა თეთრი ფურცლის შუაში ფანქარი, თუ სხვა რაღაც დაადო, რითიც წერენ სურათს, და ხელაუღებლად თავისი ინსტრუმენტი სპირალივით გაატარა. ხან დააჭერდა მას და ამით ხაზი სქელდებოდა, ხან კი ფურცელს თითქმის არ ეხებოდა, რისგანაც ხაზი სულ წვრილდებოდა, მაგრამ არ წყდებოდა. ხაზი-სპირალი ფორმატის კიდეზე მთავრდებოდა და შედეგად, საოცარი სურათი გამოვიდა, ვიღაცა ადამიანის პორტრეტი.

– საჭიროა, ყველა მსურველისათვის ამ სურათის განსახილველად გამოფენა. ვიღაცა შეძლებს მასში ჩადებული ინფორმაციის ამოხსნას პულსირებული ხაზის მეშვეობით, ვიღაცა –

ადამიანის გამოსახულებით, ადამიანებმა რაღაც უნდა გააცნობიერონ.

— რა საშუალებით?

— ჯერ კიდევ არ ვიცი. აი, მაგალითად, წერტილები და ტირეები შეიძლება ჰგავდეს რაღაც ანბანს ან სანოტო ნიშნებს, მე მხოლოდ ვვარაუდობ, შესაძლოა, ისიც იყოს, და სხვაც, ან რაღაც კიდევ მესამე. შენ, როცა დაბრუნდები, სთხოვე, რომ ის გამოფინონ, საყოველთაო განხილვისთვის ან გამოაქვეყნონ სადმე. მოიძებნება იგი, ვინც ამ ხაზ-სპირალს გაშიფრავს.

— აბა მე ვინ მომისმენს?

— შენ მოგისმენენ. მაგრამ, მაშინ, შენ კიდევ ერთი არაჩვეულებრივი შთაბეჭდილება განიცადე. შეგიძლია, გაიხსენო — როგორი?

— იმ დარბაზში, თუ მეზობელ სათავსოში... დიახ, სულ პატარა სათავსოში, ამაღლებულზე, ლამაზი მოჩუქურთმებული ხის სკამი თუ სავარძელი იდგა, რომელიც კვარცხლბეკს ჰგავდა. მამა თეოდორიტთან ერთად შევცქეროდით მას. მამა თეოდორიტმა სთქვა, რომ მას არავინ არ ეკარება.

— მაგრამ შენ მიეკარე მას. ის კი არა და დაჯექი კიდეც მასზე.

— მე ეს თავად მამა თეოდორიტმა შემომთავაზა.

— და შენს თავს რაღაც მოხდა იმ მომენტში.

— არაფერი, ვიჯექი და ვუყურებდი მამა თეოდორიტს, ის კი იდგა და თვალებში მდუმარედ მიცქერდა. უბრალოდ მიცქერდა.

— გაიხსენე, ვლადიმირ, ეცადე, გაიხსენო, შენი შინაგანი შეგრძნებები. ისინი წარმოადგენენ ყველაზე მნიშვნელოვანს.

— ისეთი განსაკუთრებული არაფერი... იცი რა, ერთია, რომ თავში რაღაცნაირი აზრ-ფიქრები მოდიოდა, სწრაფ-სწრაფად, თითქოს მაგნიტოფონის ფირი დაჩქარებულ გადახვევაზე იყო დაყენებული და სიტყვები ერწყმებოდა გაურკვეველ ბგერებს.

— მაგრამ შენ არასდროს გიცდია?... შენ, ვლადიმირ, შემდგომში არასდროს მოგსურვებია ამ ფირის შეჩერება, როგორღაც, ასე ვთქვათ, მოგესმინა იგი ნორმალურ სიჩქარეზე, ჩაწვდომოდი აჟღერებულს?

— ეს როგორ?

— ჩაფიქრებულს ყოფიერების არსზე...

— არა, არ მიცდია. შენ გაუგებრად ლაპარაკობ.

— მაგრამ იქედან, რასაც შენი მამა თეოდორიტი გეუბნებოდა, ყველაფერი გასაგები იყო შენთვის? შეგიძლია თუნდაც ერთი ფრაზა, სრული სიზუსტით გაიხსენო, ყველა დანარჩენებთან, თუნდაც ყოველგვარი კავშირის გარეშე?

— შემიძლია, მაგრამ, ნამდვილად ვერ ვიხსენებ, იგი რასთან იყო დაკავშირებული.

— წარმოსთქვი იგი.

— "...შენ დაანახებ მათ..."

აქამდე ხის ქვეშ მჯდომი ანასტასია უეცრად წამოდგა, სახე სიხარულისგან უბრწყინავდა. მან ხელისგულები კედარის ტანს მიადო, ლოყით მიეხუტა.

— დიახ! რასაკვირველია! — აღტაცებით წამოიძახა ანასტასიამ. მან ხელი ხელს შემოჰკრა და გახარებული ალაპარაკდა:

— ჭეშმარიტად დიდებული ხარ! რუსეთის ბერო! იცი, ვლადიმირ, ერთი რამ შემიძლია მამა თეოდორიტთან მიმართებაში ზუსტად ვთქვა. მან მსოფლიოს უამრავი

სწავლებები სასაცილო გახადა, მიუთითა რა მთავარზე.

— ჩვენ არანაირ სწავლებებზე არ გვისაუბრია. ჩვეულებრივ ყოფით თემებზე ვსაუბრობდით.

— დიახ! რასაკვირველია! ჩვეულებრივზე! მამა თეოდორიტი საუბრობდა შენთან იმაზე, რაც შენ გაღელვებდა. იგი გიჩვენებდა წმინდა ქმნილებებს, პატივისცემით ეპყრობოდა მათ, მაგრამ, არა პირმოთნე, მოჩვენებითი თაყვანისცემით. მაღალღირსება მინიჭებული, იგი თავმდაბალი იყო, რაც მთავარია, მოაზროვნე, შესაძლოა, სპეციალურად, პირდაპირ შენი თანდასწრებით და არ წარმოუთქვამს არც ერთი დოგმა. და განა მის წინაშე სასაცილონი არ მოგეჩვენებიან რუსეთში მოზღვავებული მქადაგებლები, დოგმებით მეტყველნი და მთავარისაგან დამაშორებელნი. მან ისე მყარად გაგმიჯნა დოგმებისგან, რომ მეც კი გულუბრყვილო განდეგილად აღმიქვამ. სულაც არაა მნიშვნელოვანი, ვინ ვარ მე. მნიშვნელოვანია, რომ მთავარს ვერ გაექცევი შენ.

— რომელ მთავარს?

— იმისგან, რაც არის თითოეულ ადამიანში.

— მაგრამ როგორ შეიძლება, იცოდეს ყოველმა ადამიანმა დასავლელ ან აღმოსავლელ ბრძენთა სწავლებები: ინდოეთისა და ტიბეტის, თუ კი არასდროს არაფერი სმენია მათ შესახებ?

— ადამიანში, ვლიდიმირ, ყველა ადამიანში, აბსოლუტურად მთელი საჭირო ინფორმაცია საწყისიდანვეა ჩადებული. იგი ბოძებულია მისთვის დაბადებისთანავე. როგორც ხელი, ფეხი, გული, თმები. მსოფლიოს ყველა სწავლება, ყველა აღმოჩენა მხოლოდ ამ წყაროდანაა ამოღებული. როგორც მშობლები ცდილობენ, ყველა თავის ბავშვს ყველაფერი მისცენ, ასევე დიდი შემოქმედიც ყველას ერთბაშად აძლევს ყველაფერს. არაფერს ხელთქმნილს: არც უამრავ წიგნს, არც ყველაზე თანამედროვე თუ მომავალ კომპიუტერებს, ყველას ერთად აღებულს, არ ძალუძთ, ჩაიტიონ თუნდაც ნაწილი იმ ინფორმაციისა, რომელიც ერთ ადამიანში ძევს. ოღონდ უნდა შეგეძლოს მისი გამოყენება.

— მაშინ რატომაა, რომ აღმოჩენებს ყველა ვერ აკეთებს და სწავლებებს ყველა მათთაგანი ვერ წერს?

— ვიღაც, მთელი მოცულობიდან ჭეშმარიტების რაღაც მარცვალს იღებს. და სულ აღფრთოვანებით ამტკიცებს მას. მიაჩნია, რომ იგი მხოლოდ მისთვისაა ბოძებული; და თვლის, რომ იგი თავისთავშიც შეიცავს მთავარს. ამის შესახებ იგი დანარჩენებსაც უმტკიცებს, ცდილობს, აიძულოს ისინი, იფიქრონ მხოლოდ მასზე, როგორც მთავარსა და ერთადერთზე, ზუსტად ამითვე თავისთავში ბლოკავს მთავარი ინფორმაციის მთელს კომპლექსს. ჭეშმარიტების ცოდნა არა მათ გაცხადებაში, არამედ ცხოვრების წესში.

— ცხოვრება როგორი სახით ახასიათებთ, ვინც მეტ-ნაკლებად ფლობს ჭეშმარიტებას?

— ბედნიერი!

— ხოლო, რათა ჭეშმარიტება შეიცნო, საჭიროა შეგნებულობა და ნააზრევ-ნაფიქრალის სიწმინდე.

— მისტიკაა! ფანტასტიურია! — გადაიკისკისა ანასტასიამ და სიცილითვე დაამატა: — შენ ჩემს აზრ-ფიქრებს კითხულობ?

— აქ არავითარი მისტიური არ არის, უბრალოდ ეს ადამიანისადმი ყურადღებიანი მოპყრობაა. შენ ყოველთვის ყველაფერი მიგყავსვ სიწმინდისაკენ და შეგნებულობისაკენ.

— მისტიურია! მისტიურია! — სიცილით იმეორებდა ანასტასია. — შენ ჩემს აზრებს კითხულობ. ო, რა ფანტასტიურია ეს.

მის ბედნიერ სიცილს რომ ვისმენდი, თავი ვერ შევიკავე და მეც ავხარხარდი. მერე ვკითხე:

— როგორ ფიქრობ, ანასტასია, ჩემი სულიერი მამა თეოდორიტი მიმიღებს, თუკი მე მასთან მივალ? დამელაპარაკება? გუნება ხომ არ გაუფუჭდება?

— რასაკვირველია, მიგიღებს და ძალიან გაიხარებს კიდეც შენი მისვლით! იგი შენ ყოველნაირს მიგიღებს. მისთვის უდიდესი სიხარული იქნება, თუ შენ რაიმეს მაინც გააკეთებ, გამოიყენებ რა შენში მყოფ ინფორმაციას, თუკი შეიცნობ მას, გააცნობიერებ, შეანელე აჩქარებულად მოტრიალე ფირი, ვლადიმირ, და შენ ბევრ რამეს მიხვდები.

— ჩემი სულიერი მამა ისევ იმ მონასტერში ცხოვრობს? სამება—სერგიევო ლავრაში?

— შენი სულიერი მამა, რუსეთის ეს დიდებული ბერი, ახლა ტყეში, პატარა სამონასტრო სავანეში ცხოვრობს, სამება—სერგიევო ლავრის მახლობლად. სავანის წესდება უფრო მკაცრია, ვიდრე მონასტრისა, და შენი მამა — ამ სავანის წინამძღოლია. სავანე განთავსებულია ტყეში, უაღრესად ლამაზ ადგილზე, იქ სულ რამდენიმე სახლია სენაკებით. ამ ტყის სავანეში არის ხის მცირე ეკლესია. ის არ არის შეღებილი და გუმბათებიც არაა მოოქროვილი, მაგრამ იგი ძალიან, ძალიან ლამაზია, მყუდრო და სუფთაა, მასში ორი ღუმელია გასათბობად. შიგნით საეკლესიო სანთლები არც იყიდება, არც შეისყიდება, როგორც ჩვეულებრივ ხდება ხოლმე. და საერთოდ, არაფრის ყიდვა ან გაყიდვა არ შეიძლება მასში, როგორც მრავალ სხვა ეკლესიაში. ის არაფრით და არავის მიერ არაა შებღალული, მრევლს სავანეში მისვლის უფლება არ აქვს. ამ ეკლესიაში ახლაც ლოცულობს შენი სულიერი მამა თეოდორიტი. ლოცულობს ყველა ადამიანის და მათ შორის შენი სულის გადასარჩენად. ლოცულობს

პირმშოებზე, რომლებმაც მშობლები დაივიწყეს, ლოცულობს მშობლებზე, რომლებმაც შვილები დაივიწყეს. მიდი მასთან და თაყვანი ეცი. სთხოვე, შეგინდოს ცოდვები. დიდია მისი სულის ძალა. ჩემგანაც თაყვანი ეცი მამა თეოდორიტს.

— კარგი, ანასტასია... თაყვანს ვცემ... და იცი, მე, ალბათ, თავიდან შევეცდები იმის გაკეთებას, რაც შენ მთხოვე.

* * *

ჩავედი რა სერგიევო-პოსადში, მოსკოვთან ახლოს პატარა ქალაქში, რომელიც ადრე ზაგორსკად იწოდებოდა, მე, როგორც ოცდაშვიდი წლის წინათ, შევედი სამება—სერგიევო ლავრის ჭიშკარში. მაშინვე მოქმედი მონასტრის გასასვლელისკენ გავემართე. ადრე, როგორც კი თავს წარვუდგენდი, ადვილად შემეძლო მამა თეოდორიტის გამოძახება. მაგრამ ახლანდელმა მორიგე ბერმა მითხრა, რომ არა მამა თეოდორიტი ღვთისმსახურის ხარისხში არისო. მამა თეოდორიტი მონასტერშია, იგი მონასტრის ტერიტორიის გარეთ, ტყეში ცხოვრობსო. იქ მრევლი არ დადისო. ბერს ავუხსენი, რომ მამა თეოდორიტს ვიცნობდი და დამაჯერებლობისთვის სამონასტრო სიწმინდეები დავასახელე, რომლებიც მამა თეოდორიტმა მიჩვენა.

გაცნობეს, სად იყო განლაგებული ტყის სავანე. გაუცნობიერებული ღელვით ვუახლოვდებოდი ხის მასალით ნაშენ, ტყეში მყოფ მცირე, მაგრამ უაღრესად ლამაზ ეკლესიას, რომელიც ჰარმონიულად იყო შერწყმული გარემო ბუნებასთან. შორიახლოს, ეკლესიის გარეშემო, განლაგებულ პატარა სახლ-სენაკებიდან, პატარა ბილიკები მიემართებოდა ეკლესიისკენ.

მამა თეოდორიტს ტყეში, პატარა ეკლესიის ხის პარმაღზე შევხვდი. დავიბენი... "ოღონდ შენს სულიერ მამასთან შეხვედრისას არ შეცბუნდე და ეცადე, არ გაიკვირვო", — გამახსენდა ანასტასიას სიტყვები. მაგრამ გაურკვეველი უხერხულობის გრძნობა არ მტოვებდა. მამა თეოდორიტი გაჭაღარავებული მოხუცი იყო, მაგრამ არა იმაზე მოხუცი, ვიდრე ოცდაშვიდი წლის წინათ. ჩვენ ვისხედით ხის ჯირკებზე, ტყის ეკლესიის პარმაღზე და ვდუმდით. ვცდილობდი რაღაცის თქმას, მაგრამ

როგორღაც არ გამომდიოდა საჭიროს თქმა. მეჩვენებოდა, რომ მან, ისედაც ყველაფერი იცის და სიტყვების წარმოთქმა აზრს კარგავდა. ჩვენი უკანასკნელი შეხვედრის ოცდაშვიდი წელი თითქოს არც კი გასულა, მეჩვენებოდა, თითქოს გუშინ დავცილდით ერთმანეთს.

მამა თეოდორიტს ანასტასიას შესახებ წიგნი წავუღე. არ ამომიღია იგი რათა მისთვის გადამეცა. წიგნს სხვები მღვდელმსახურს ვუჩვენებდი, ერთნი მას ათვალიერებდნენ და ამბობდნენ, რომ ასეთ წიგნებს ისინი არ კითხულობენ, სხვები მეკითხებოდნენ, რაზეაო იგი, და მოკლე განმარტებების შემდეგ აცხადებდნენ, ანასტასია წარმართიაო. მე არ მსურდა გამენაწყენებინა მამა თეოდორიტი და არც ის მინდოდა, მასაც უარეყო იგი. ყოველთვის, როცა ვინმე ცდილობდა ცუდად ელაპარაკა ანასტასიაზე, ჩემში წინააღმდეგობის გრძნობა ჩნდებოდა. ვეჩხუბე კიდეც ნოვოსპასკის მონასტრის მსახურს. მან შავ თავსაფრებსა და მუქ ტანსაცმელში გამოწყობილი ორი ქალი მიჩვენა და მითხრა:

— ღვთისმოსავი ქალები აი, ასეთები უნდა იყვნენო.

მე მას ვუპასუხე:

— თუ კი ანასტასია მხიარული და სიცოცხლის მოყვარულია, იქნება და ღვთის ნებაც კია. უფრო სასიამოვნოა სიცოცხლისმოყვარულთა ცქერა, ვინემ ბეჩავებისა — მეთქი.

მღელვარებით ამოვიღე ჩემი წიგნი და მამა თეოდორიტს გავუწოდე. მან დინჯად აიღო იგი, დაიდო ხელისგულზე. მეორე ხელისგული ნელა გადაუსვა, თითქოს თავისი ხელებით რაღაცას შეიგრძნობსო, და სთქვა:

— შენ გსურს, რომ მე იგი წავიკითხო? — და ისე, რომ არ დალოდებია პასუხს, დაუმატა: — კარგი, დამიტოვე იგი.

ორი დღის შემდეგ, დილით, მამა თეოდორიტთან ისევ მივედი. ტყეში მამა თეოდორიტის სენაკთან ჩვენ სულ პატარა მერხზე ვისხედით. ვლაპარაკობდით ყველაფერზე. მისი მეტყველების მანერა ისეთივე იყო, როგორიც ოცდაშვიდი წლის წინათ, მაგრამ ერთი, ძალიან უცნაური გარემოება არ მაძლევდა მოსვენებას: რატომაა, რომ მამა თეოდორიტი გამოიყურება იმაზე

ცოტა უფრო ახალგაზრდად, ვინემ ოცდაშვიდი წლის წინათ იყო? და მოულოდნელად მან, შეწყვიტა რა თავისი ფიქრები, წარმოსთქვა:

— ვლადიმირ, შენი მამა თეოდორიტი გარდაიცვალა.

ჯერ დავიბენი, მერე ვკითხე:

— მაშ თქვენ, ვინღა ხართ?

— მე მამა თეოდორიტი ვარ, — და ოდნავ შესამჩნევად გაიღიმა, ჩამაცქერდა. ისევ ვეკითხები მე:

— მითხარით, სადაა მისი საფლავი?

— ძველ სასაფლაოზე.

— მინდა ვნახო იგი. როგორ მივაგნო?

მან საფლავის შესახებ არაფერი მიპასუხა, მხოლოდ სთქვა:

— შენ, ჩემთან მოდი, როცა დრო გექნება.

და შემდეგ სრულიად გაუგებარი რამ მოხდა.

— სადილობის დროა, — თქვა მამა თეოდორიტმა. — წამოდი, დაგაპურებ. პატარა სახლ სატრაპეზოში სუფრას მივუჯექით. მაგიდაზე ქვაბით ბორშჩი იდგა, კარტოფილის პიურე თევზით და კომპოტი. მან ბორშჩი დამისხა და მე ჭამას შევუდექი. თავად მამა თეოდორიტი არ ჭამდა. იგი უბრალოდ, სუფრასთან იჯდა.

როცა კარტოფილის ჭამა დავიწყე, ძალიან მომეწონა. და გამახსენდა... კარტოფილის გემო ზუსტად ისეთი იყო, როგორც მონასტრის სატრაპეზოში ოცდაშვიდი წლის წინათ. მე სამუდამოდ დამამახსოვრდა ის გემო. თავი ამერია. ერთის მხრივ ჩემს გვერდში სხვა მამა თეოდორიტი იჯდა, მეორეს მხრივ — იგი საუბრობს და იქცევა ზუსტად ისე, როგორც წინათ. მომაგონდა, რომ ერთხელ, მრავალი წლის წინ, როცა ჩვენ, ერთ-ერთ სამონასტრო სათავსოში ვიმყოფებოდით, მამა თეოდორიტმა შემომთავაზა, მასთან ერთად სურათი გადამეღო. მე დავთანხმდი. მან გამოიძახა რომელიღაც მონაზონი ფოტოაპარატით და ჩვენ სურათი გადავიღეთ. ახლა, ვცადე სიტუაციის გარკვევა, და აი, რის დახმარებით. ჩემთვის ცნობილია, რომ ბერებს პოზირება არ უყვართ. და გავიფიქრე, რომ ახლა შევთავაზებდი სურათის გადაღებას მამა თეოდორიტს და თან ფერად ფირზე ტყის

ეკლესიას გადავიღებდი. თუ უარს იტყოდა, მაშინ იგი ის მამა თეოდორიტი არ არის – ჩემი თეოდორიტი. და შევთავაზე:

– მოდით, სურათი გადავიღოთ ერთად.

მამა თეოდორიტმა უარი არ სთქვა და ჩვენ სურათი გადავიღეთ. ეკლესიასაც გადავუღე, ლამაზს. კარგი გამოვიდა, თუმცა უბრალო იყო ჩემი აპარატი.

როცა მოვემგზავრებოდი, მამა თეოდორიტმა მცირე, სამგზავრო ბიბლია მომცა. ის დაწერილი იყო არა სტროფებად, როგორც ყველა ბიბლიაში, არამედ უბრალო ტექსტად, როგორც წიგნებში, და განმიმარტა:

– როცა შენს წიგნში ბიბლიიდან იმოწმებ, უნდა ზუსტად მიუთითო თავი, რომელსაც ციტირებას უკეთებ.

ჩემს თხოვნაზე, მიიღოს და დაელაპარაკოს იმ ადამიანებს, რომლებსაც ანასტასიასთან შეხვედრა სურთ და რომ მათ არ მოუწიოთ ასე შორს გამგზავრება ციმბირის შორეულ ტაიგაში, , მამა თეოდორიტმა მიპასუხა:

– იცი, მე ჯერ კიდევ თვითონ ვერ გავრკვეულვარ საკუთარ თავში. ჯერ მარტო შენ მოდი, როცა დრო გექნება.

მამა თეოდორიტის უარმა იმედი გამიცრუა, მაგრამ ხომ არ ჩავაცივდებოდი. ვესაუბრე რა მას სხვადასხვა თემებზე, ჩემთვის შემდეგი დასკვნა გავაკეთე: რუსეთის მონასტრებში არიან ბერები, რომელთა სიბრძნე და მარტივად ახსნის ხელოვნება ბევრად აღემატება ჩვენი და უცხოელი მრავალრიცხოვანი სასულიერო კონფესიების მქადაგებლებისას. ოღონდ რაზე ხართ ჩუმად, რუსეთის ბრძენო უხუცესებო?! მიხვედრილობასთან დაკავშირებით თქვენი სურვილით სდუმხართ, თუ არიან რაღაც ბნელი ძალები, რომლებიც არ გაძლევთ ლაპარაკის უფლებას? ეკლესიაში მსახურებაზე მიხვალ და – იგი იმ ენაზეა, რომლისაც არ ესმით. ამიტომაც მიდიან ადამიანები ჯგუფებად, ფულს იხდიან, რათა მოუსმინონ გასაგები ენით მოლაპარაკე მქადაგებლებს. შესაძლოა, იმიტომაც მიემგზავრებიან რუსები ჯგუფებად ზღვის იქითა სიწმინდეებისკენ და თავისას კი ივიწყებენ. მე ყოველთვის მიმსუბუქდებოდა სული და კარგად ვგრძნობდი თავს მამა თეოდორიტთან ურთიერთობის შემდეგ. იგი მარტივად, ნათლად

და გასაგებად საუბრობდა, ვიდრე მრავალი მქადაგებელი, რომ-ლებისთვისაც მომისმენია ანასტასიასთან შეხვედრის შემდგომ, რათა გამეცნობიერებინა მის მიერ ნათქვამი. მსურს, რათა სხვე-ბიც კარგად იყვნენ. მაგრამ როდისღა ალაპარაკდებით თქვენ, რუსეთის ბრძენო ბერებო?

სიყვარულის სივრცე

ანასტასიაზე წიგნის პირველი ტირაჟის გაყიდვის შემდეგ საავტორო ჰონორარი გადამიხადეს. გავემგზავრე "ვდნხ"-ზე, რომელსაც ახლა საკავშირო საგამოფენო ცენტრი (სსც) ჰქვია. რატომღაც მიყვარდა იქ ყოფნა. ამჯერად ჩავუარე უამრავ სა-საუზმეებს და ღია სამწვადეებს, რომლებიც მიზიდავდნენ გემ-რიელი სურნელებით და მე ვებრძოდი სურვილს, მთლიანად შემეძინა ეს გემრიელობები. თუმცა ჯიბეში კი მედო რამდენ-იმე ასეული ათასი რუბლი, მაგრამ გადაწყვეტილი მქონდა, ეს თანხა, რაც შეიძლება, მომჭირნედ დამეხარჯა. და უცებ მოხდა წარმოუდგენელი რამ. ანასტასიას ჩუმი, მაგრამ აბსოლუტურად მკაფიო ხმა მომესმა:

— იყიდე შენთვის საჭმელი, ვლადიმირ. რაც მოგინდება, იყიდე. ახლა შენ უკვე, ასე ძალიან აღარ გჭირდება კვებაში თავის შეზღუდვა.

ღია სასაუზმეების გასწვრივ კიდევ რამდენიმე ნაბიჯი გა-ვიარე და ისევ მომესმა ხმა:

— რატომ უვლი გვერდს? შეჭამე, თუ შეიძლება, ვლადიმირ.

— აბა უყურე, რამდენი საცდურია, — გავიფიქრე. ხეივანში მერხისკენ გავეშურე, მოვცილდი ადამიანებს. დავჯექი, ცოტა დავიხარე და ჩუმად ჩავიჩურჩულე, რომ არ ეფიქრათ, თავის თავს ელაპარაკებაო:

— ანასტასია, მართლა შენი ხმა მესმის?

პასუხად იქვე, მკაფიოდ და ნათლად მომესმა:

— შენ ჩემი ხმა გესმის, ვლადიმირ.

— გამარჯობა, ანასტასია. ადრე რატომ არ საუბრობდი ჩემთან? იმდენი შეკითხვები დამიგროვდა, რომ... მკითხველები

შეხვედრებზე კითხვებს მისვამენ, მაგრამ ბევრ მათგანზე პასუხის გაცემა არ შემიძლია.

— მე ვლაპარაკობდი. ყოველთვის ვცდილობდი შენთან საუბარს. მაგრამ შენ ჩემი არ გესმის. ერთხელ, როცა შენ თავის მოკვლა გადაწყვიტე, მე აღელვებისგან ვიყვირე კიდეც. არ გიშველა. შენ არ გესმოდა ჩემი. მერე მივხვდი... და ავმღერდი. მეტროში გოგონებმა ვიოლინოზე ის სიმღერა დაუკრეს. მათ გაიგონეს ის და დაუკრეს. შენ, როგორც კი გაიგონე იმ სიმღერის მელოდია, რომელსაც ტაიგაში გიმღეროდი, იქვე გამიხსენე. მაშინ ისე ავღელდი, კინაღამ რძე დავკარგე.

— რომელი რძე, ანასტასია?

— ძუძუს რძე. რძე ჩვენი ვაჟიშვილისთვის. მე ხომ დავბადე იგი, ვლადიმირ.

— დაბადე. ანასტასია... შენ გიჭირს? მაგ ტაიგაში, ბავშვთან ერთად, მარტო როგორა ხარ ახლა? როგორაა იგი?.. შენ იძახდი, მახსოვს, ამბობდი: "მხოლოდ უდროოდროს იქნება ეს..."

— ყველაფერი კარგადაა. ბუნებამ უფრო ადრე გაიღვიძა, ახლა მეხმარება. შვილიც კარგადაა. მაგარი ბიჭია. უკვე იღიმება. მხოლოდ კანი აქვს ცოტა მშრალი, შენსავით. მაგრამ ეს არაფერია, გაივლის. ყველაფერი კარგად იქნება. აი ნახავ. ახლა შენ უფრო გიჭირს, ვიდრე ჩვენ. მაგრამ გადადგი კიდევ ერთი ნაბიჯი. დაასრულე წერა. ვიცი, როგორ გიჭირდა, მომავალშიც ადვილი არ იქნება. მაგრამ შენ იარე. შენი გზით იარე.

— კარგი, ანასტასია...

მინდოდა მისთვის მომეყოლა, რომ ჩემთვის წიგნის წერა უფრო ძნელია, ვიდრე ბიზნესსაქმიანობა. ჩემი ოჯახისა და ფირმის სიტუაციაზე მინდოდა მეთქვა. საერთოდ, ბოლო წლის ყველა წვრილმანზე... სახლი რომ უკვე აღარ მაქვს, ოჯახიც, საგიჟეში კინაღამ რომ მოვხვდი. მისი ოცნების შესახებ მინდოდა გამომეთქვა აზრი, რომ მეტი აღარ გადმოეფრქვია თავისი ოცნებები, მაგრამ გავიფიქრე: რატომ უნდა ავაღელვო მეძუძური დედა, შეიძლება მას, რძე დაეკარგოს.

და ასე ვუთხარი მას:

— ნუ ღელავ ამ წვრილმანებზე, ანასტასია. არავითარი განსაკუთრებული სიძნელეები მე არა მაქვს. დიდი რამე რა, წიგნი დავწერე. ეს უფრო ადვილია, ვიდრე ბიზნეს-გეგმის შედგენა. როცა ბიზნეს-გეგმას ადგენენ, წინასწარ უამრავი სხვადასხვა ნიუანსია გასათვალისწინებელი. აქ კი, დაჯექი შენთვის და აღწერე ის, რაც უკვე მოხდა. როგორც ანეკდოტში ჩუქჩას შესახებ: "რასაც ვხედავ, იმას ვმღერი".

და კიდევ... იცი, ანასტასია... ის შენი ოცნებები, მხოლოდ ფანტაზიად რომ შეიძლება მოგეჩვენოს, სრულდებიან. დაუჯერებელია ეს, მაგრამ ისინი სრულდებიან. აი, წიგნიც დაწერილია. შენ იოცნებე მასზე და ახლა ის უკვე არსებობს. მას ხალხი ნამდვილად ინტერესით კითხულობს. მასზე უკვე დედაქალაქის გაზეთებშიც იწერება. მკითხველები შენზე ლექსებს თხზავენ, ბუნებაზე, რუსეთზე. ჩვენ რომ ვსაუბრობდით ის სურათი ვიპოვე სამება — სერგიევ ლავრის საცავებში. სურათი გადარჩენილია, ეწოდება "ერთიანია ერთობით". გამოვაქვეყნებ მას. და, წარმოგიდგენია, ბარდები... გახსოვს, ბარდებზე რომ მელაპარაკე?

— კი, მახსოვს, ვლადიმირ.

— გასაკვირია, მაგრამ ესეც სრულდება. მკითხველთა ერთ-ერთ კონფერენციაზე ჩემთან ერთი ქერა კაცი მოვიდა, გამომიწოდა აუდიო კასეტა და მოკლედ, სამხედროსავით მითხრა: "სიმღერები ანასტასიასათვის. გთხოვთ, მიიღოთ".

კონფერენციაზე ჩამოსულმა ჟურნალისტებმა, მკითხვე-ლებმა, მოსკოვის კვლევითი ცენტრის თანამშრომლებმა — ალექსანდრე სოლნცევმა და ალექსანდრე ზაკოცკიმ ამ კასეტას

მდუმარედ მოუსმინეს. მერე ის სხვადასხვა ადამიანმა გადაიწერა. გადაიწერეს და დაეძებდნენ იმ ქერათმიან მამაკაცს, საშუალო ტანისას, გარეგნულად შეუმჩნეველს, როგორღაც მოულოდნელად გამოჩენილს და ასევე მოულოდნელად გაუჩინარებულს. იგი აღმოჩნდა წყალქვეშა ნაოსნობის ოფიცერი სანკტ-პეტერბურგიდან, მეცნიერი ალექსანდრე კოროტინსკი. იგი შემდეგ მომიყვა, როგორ ამოყვინთა ზევით მისმა დაზიანებულმა წყალქვეშა ნავმა. როგორ დამაჯერებლად მოჰყავდა იგი შემთხვევითობის ჯაჭვს ამ ჩემთვის გადმოსაცემ კასეტასთან ერთად

– მოჰყავდა, რათა გადმოეცა იგი. ალექსანდრ კოროტინსკიც ბარდი აღმოჩნდა. მის სიმღერა "ტაძარ-ში" ჟღერს, შენს მიერ წარმოთქმული მთელი ფრაზები. აი ესენი, გახსოვს?

Не верь чужим словам,
Коль скажут, всё пройдёт.
Из тех, кто видит Храм,
Не всяк в него войдёт.
Пусть наша жизнь, как бег
По разным этажам,
Но каждый человек
Свой выбор сделал сам.

და კიდევ, კოროტინსკის არ აქვს მომღერლის ხმა. თითქმის რეჩიტატივით მღერის. მაგრამ სწორედ ამან დაადასტურა შენი ნათქვამი, სიტყვების ძალაზე, რომლებიც უხილავი ძაფებითაა სულთან დაკავშირებულნი. ბარდმა კოროტინსკიმ რეალურად დაგვანახა ეს.

– ნათელი სიხარულისათვის, რომელიც შენ ხალხამდე მიგაქვს, მათი სულების განწმენდისათვის, მადლობა შენ, ბარდო, მადლობა, – თქვა ანასტასიამ.

– უყურე შენ, ისევ ოფიცერი! გრუციაც ოფიცერია, პირველმა მან დაბეჭდა წიგნი. ამ წიგნისთვის „ბომჟმა" პოლკოვნიკმაც დახატა სურათი. მფრინავიც, პოლკის მეთაური, მეხმარებოდა წიგნის გაყიდვაში. ახლა კი ეს სიმღერებიც ოფიცერმა მოიტანა პირველმა. და რა არის ეს, შენი სხივი ასე აღანთებს ოფიცერთა სულებს? მათზე შენი სხივით უფრო ძლიერ ანათებ, ვიდრე სხვებზე?

– ბევრს შეხებია სხივი, მაგრამ ინთებიან სწრაფვები მხოლოდ იქ, სადაც არს ასანთები იგი.

– შენი ოცნება ანასტასია, მაინც ხორციელდება რეალობაში. ადამიანები მას იტაცებენ, ესმით იგი. „ბომჟი" პოლკოვნიკიც მიხვდა. მე იგი შემთხვევით გავიცანი, დასანანია – დაიღუპა იგი. მე ვნახე, მკვდარი როგორ იწვა. სახე მთლიანად როგორ ჰქონდა მიწით დასვრილი, მაგრამ იღიმოდა. მკვდარი იყო, მაგრამ იღიმოდა. ეს, შენ გააკეთე რამე, შენი სხივით? რას უნდა ნიშნავდეს, როცა ღიმილით კვდება ადამიანი?

— ის ადამიანი, შენთან რომ იყო... ის ახლა ბარდთანაა უხილავ ბილიკზე. იმ ტყვიებისგან, რომლებიც ფოლადის ტყვიაზე უფრო საშინელია — მისი ღიმილი ბევრის გულებს გადაარჩენს.

— შენი ოცნება, ანასტასია, ჩვენს სამყაროში შემოდის, და იგი — ჩვენი სამყარო, თითქოს იწყებს შეცვლას. ზოგიერთი ადამიანი გგრძნობს შენ, ესმით, მათში საიდანღაც ჩნდებიან ძალები, აი ისინია, რომ ცვლიან კიდეც სამყაროს. სამყაროც ოდნავ უკეთესი ხდება. მაგრამ შენ... შენ ძველებურად იქ, ტაიგაში ხარ, შენს მინდორზე. მე ვერ შევძლებ, ვიცხოვრო ისეთ პირობებში, შენ რომ ცხოვრობ. ვერც შენ იცხოვრებ ჩვენს სამყაროში. რა საჭიროა მაშინ შენი სიყვარული? უაზროა შენი სიყვარული და მე, აქამდე ვერ ვიგებ ჩემს დამოკიდებულებას შენდამი. რა საჭიროა გაგება, როცა ისედაც ნათელია, რომ ჩვენ ვერასდროს ვერ ვიქნებით ერთად. ერთმანეთის გვერდით.

— ჩვენ ერთადა ვართ, ვლადიმირ. ერთმანეთის გვერდით.

— ერთად? სადა ხარ შენ? როცა უყვართ, ცდილობენ ყოველთვის გვერდი-გვერდ იყვნენ. ჩაეხუტონ ერთმანეთს, მოეფერონ. შენ მეტის მეტად უჩვეულო ხარ. შენ ეს არ გჭირდება.

— მე ეს მჭირდება, როგორც ყველას. და მე ამას ვაკეთებ კიდეც.

— მაგრამ როგორ?

— აი ახლა. განა შენ არ გრძნობ სიოს ნაზ შეხებას, მის ნაზ ჩახუტებას? და მზის სხივის თბილ შეხებას. როგორ ჭიკ-ჭიკებენ შენთვის ჩიტები და შრიალებენ ხეზე ფოთლები, რომლის ქვეშაც შენ ზიხარ! მიაყურადე, ეს ხომ არაჩვეულებრივი შრიალია!

— მაგრამ ეს ყველაფერი, რაც შენ ჩამოთვალე, — ყველასთვისაა. და განა ეს ყველაფერი შენა ხარ?

— სიყვარულს, განზავებულს სივრცეში ერთისათვის, შეუძლია, შეეხოს მრავალთა სულებს.

— რისთვისაა საჭირო სივრცეში სიყვარულის განზავება?

— რათა საყვარელი ადამიანის გვერდით ყოველთვის იყოს სიყვარულის სივრცე. ამაშია სიყვარულის არსი. მისი დანიშნულება.

— ეს ყველაფერი როგორღაც გაუგებარია. შენი ხმაც... წინათ არ მესმოდა შორ მანძილზე, ახლა მესმის. რატომ?

— შორ მანძილზე ხმა არ ჟღერს. ყურებით კი არა, არამედ გულითაა მოსმენა საჭირო. ისწავლი შენ გულით...

— რა საჭიროა სწავლა, შენ ყოველთვის ასე მელაპარაკე, როგორც ახლა — ხმით.

— ყოველთვის ვერ შევძლებ.

— მაგრამ ახლა ხომ ლაპარაკობ? მე ხომ მესმის.

— ახლა ჩვენ ბაბუა გვეხმარება. შენ ისაუბრე მასთან, მე კი უნდა წავიდე, ჩვენს ბიჭს ძუძუ მოვაწოვო, ბევრი სხვა საქმეებიცაა ბლომად. როგორ მსურს ყველაფრის მოსწრება...

— ესე იგი, ბაბუას შეუძლია, შენ კი არა? რატომ?

— იმიტომ, რომ ბაბუა სადღაც გვერდითაა ახლა. სრულიად ახლოს შენთან.

— სად?!

ანასტასიას ბაბუა

აქეთ-იქეთ გავიხედ-გამოვიხედე... ანასტასიას ბაბუა თითქმის ჩემს გვერდით, ფარდულთან იდგა, ჯოხით მიაჩოჩებდა ურნისკენ ვიღაცის მიერ გაზონზე დაგდებულ ქაღალდს. წამოვხტი. ერთმანეთს ხელის ჩამორთმევით მივესალმეთ. მას მხიარული, კეთილი თვალები აქვს და ურთიერთობაშიც უბრალოა, არამც თუ დიდი ბაბუა. დიდი ბაბუა, როცა ტაიგაში ვნახე, ყოველთვის დუმდა და მისი თვალები თითქოს ადამიანის მიღმა, სივრცეში გამჭოლად იცქირებოდნენ.

მე და ბაბუა მერხზე ჩამოვსხედით, ვკითხე:

— როგორ ჩამოაღწიეთ და მე როგორ მომძებნეთ?

— ანასტასიას დახმარებით, არც ისეთი პრობლემაა ჩამოსვლა და შენი მონახვა.

წარმოგიდგენია, უმშობიარია... თქვა ვიმშობიარებო — და იმშობიარა... ტაიგაში, მარტომ, და არა სამშობიაროში. ალბათ, მას ტკიოდა! კიოდა?

— ვითომ რატომ უნდა ტკენოდა?

— ქალებს ხომ სტკივათ, როცა მშობიარობენ. ზოგი მშობიარობისას კვდება კიდეც.

— მტკივნეული მხოლოდ მაშინაა, როცა ადამიანი ცოდვითაა ჩასახული. ხორციელ სიამეთა შედეგად. ამისთვის ქალი სამშობიარო ტკივილებითა და შემდგომში ცხოვრე-ბისეული ტანჯვით ზღავს. თუკი ჩასახვა სხვაგვარი სწრაფვებით ხდება,

ტკივილი მხოლოდ უძლიერებს დამბადებელს ქმნილებისადმი უდიდესი სიხარულის შეგრძნებას.

— აბა, მაშ, ტკივილი სად მიდის? როგორ შეუძლია მან სიხარული გააძლიეროს?

— ქალი, როცა აუპატიურებენ, რას განიცდის? რა თქმა უნდა ტკივილს, ზიზღს. ხოლო როცა თავისი სურვილით ნებდება, მაშინ იგივე ტკივილი სხვა შეგრძნებებში გადადის. ასეთივე სხვაობაა მშობიარობების დროსაც.

— გამოდის, ანასტასიამ ტკივილის გარეშე იმშობიარა?

— რა თქმა უნდა, ტკივილის გარეშე. დღეც შესაფერისი შეარჩია, თბილი, მზიანი.

— როგორ თუ შეარჩია? განა მოულოდნელად არ მშობიარობენ?

— მოულოდნელია, როცა შემთხვევითაა ჩასახული. რამდენიმე დღით დედას ყოველთვის შეუძლია, შეაჩეროს ან დააჩქაროს ბავშვის გაჩენა.

— და თქვენ, არ იცოდით, როდის უნდა ემშობიარა? არ გიცდიათ დახმარება?

— იმ დღისთვის, ჩვენ ვიგრძენით. მშვენიერი დღე იყო. მივედით კიდეც მის მინდორზე. მინდვრის პირას დედა-დათვი დავინახეთ. ის წყენისგან ბღაოდა. ბღაოდა და თათით მიწას მთელი ძალით ტორავდა. ანასტასია იმავე ადგილზე იწვა, სადაც დედამისმა დაბადა იგი, პატარა ცოცხალი გუნდა მის მკერდზე იწვა. მას დედა მგელი ლოკავდა.

— დედა დათვი რატომ ბღაოდა? რაზე განაწყენდა?

— ანასტასიამ დედა მგელს რომ დაუძახა, და არა მას.

— მერე და თავად მისულიყო.

— მიწვევის გარეშე ისინი არასდროს უახლოვდებიან. შენ წარმოიდგინე, რა მოხდება, თუ ისინი მიწვევის გარეშე, როცა თავად მოესურვებათ, მაშინ დაიწყებენ მიახლოებას.

— საინტერესოა, ბავშვის მოვლას როგორ ართმევს თავს?

— ჩასულიყავი და გენახა, რაკიღა ასე გაინტერესებს.

— მან ხომ მითხრა, რომ მე ბავშვთან ურთიერთობა არ უნდა მქონდეს, სანამ არ განვიწმინდები იქ, იმ რაღაცისაგან.

საჭიროა, ჯერ წმინდა ადგილებზე გავემგზავრო, საკმარისი ფულის რაოდენობა კი არ მაქვს.

— დიდი რამე, მან, ალოგიკურმა თუ თქვა, შენ ხომ მამა ხარ? დამოუკიდებლად იმოქმედე, თავად როგორც მიგაჩნია საჭიროდ. გეყიდა რამე ჩასაცმელები, სახვევები, საფენები, ჟღარუნები და მოგეთხოვა ბავშვის ნორმალურად ჩაცმა, მან რომ არ იტანჯოს. თორემ სულ შიშველია ტყეში.

— როგორც კი ვაჟიშვილის შეძენის შესახებ შევიტყვე, მეც მსგავსი სურვილი გამიჩნდა. ასეც გავაკეთებ. ალოგიკურობის შესახებ თქვენ ზუსტად აღნიშნეთ, ალბათ, ამიტომაცაა, მის მიმართ, გრძნობები, როგორღაც გაურკვეველი რომ მაქვს. თავიდან ვკვირობდი, ახლა, პატივისცემა მაინც გამიჩნდა და კიდევ, რაღაც გაურკვეველი გრძნობა. მაგრამ არა ისეთი, როგორიც ქალის მიმართ სიყვარულია. მახსოვს, ადრე როცა ქალი მიყვარდებოდა, როგორი გრძნობა მეუფლებოდა. ახლა რაღაც სხვაა. ალბათ, მისი შეყვარება ჩვეულებრივი სიყვარულით შეუძლებელიც კია. რაღაც მიშლის ხელს. შესაძლოა, ზუსტადაც ეს მისი ალოგიკურობაა, რომ მიშლის.

— ანასტასიას ალოგიკურობა, ვლადიმირ — არ არის სისულელე. მის მოჩვენებით ალოგიკურობასაა, მივიწყებული სულიერი კანონები რომ ამოაქვს სამყაროს სიღრმეებიდან და, შესაძლოა, ახლებსაც ჰქმნიდეს კიდეც.

ნათელი და ბნელი ძალები ირინდებიან ხანდახან მისი თითქოსდა მოჩვენებითი ალოგიკურობისგან, შემდეგ კი მოულოდნელად უფრო ნათლად ამობრწყინდება უკვე ყველასთვის ნაცნობი ყოფიერების მარტივი ჭეშმარიტება. ჩვენც არ შეგვიძლია ყოველთვის ჩვენი ანასტასიას გაგება, თუმცაღა შვილიშვილია იგი ჩვენი. ჩვენს თვალწინ იზრდებოდა. და რაკი ყოველთვის არ გვესმის მისი, არსებითი დახმარებაც არ ძალგვიძს. ამიტომაც იგი ხშირად მარტო რჩება ხოლმე თავის სწრაფვებთან. სრულიად მარტო. აი, შეგხვდა შენ, მთლიანად გაგეხსნა იგი შენც და სხვებსაც წიგნის მეშვეობით. გვსურდა, წინააღმდეგობა გაგვეწია. გვინდოდა შევწინააღმდეგებოდით მის სიყვარულს. მისი არჩევანი გაუგებრად და აბსურდულად გვეჩვენებოდა.

— ჩემთვის ახლაც გაუგებარია მისი არჩევანი. მკითხველებიც სვამენ კითხვებს, "ვინა ხართ თქვენ ასეთიო, — მეკითხებიან, — რატომ აგირჩიათ ანასტასიამ თქვენ?". მე პასუხის გაცემა არ შემიძლია. მესმის, მის გვერდით, მთელი ლოგიკით, უნდა იყოს რომელიმე მეცნიერი ან სასულიერო ადამიანი. მას ალბათ, უკეთესად შეეძლო მისი გაგება და შეყვარება. ისინი ერთად სარგებელსაც მეტს მოიტანდნენ, მე კი ჩემი ცხოვრების შეცვლა მომიწევს, მრავალ საკითხებში გარკვევა, რომლებიც სხვებისთვის, უფრო განათლებულთათვის, უკვე კარგა ხანია, ნათელი და გასაგებია.

— ახლა ნანობ, რომ შენი ცხოვრება შეიცვალა?

— არ ვიცი, ჯერ-ჯერობით ყველაფრის გააზრებას ვცდილობ. შეკითხვაზე კი, თუ რატომ ამირჩია მან მე, ხალხს ისევ ვერ ვპასუხობ. ვეძებ და პასუხს ვერ ვპოულობ.

— მერე და პასუხს როგორ ეძებ შენ?

— საკუთარ თავში ვცდილობ გარკვევას — თუ ვინ ვარ მე.

— შესაძლოა, რაღაცაში გამოჩენილიც კი, არა?

— ვფიქრობ, შესაძლოა რაღაც ისეთი არის კიდეც. ხომ ამბობენ, მსგავსი იზიდავს მსგავსსო.

— ვლადიმირ, ანასტასიას შენთან ამპარტავნებაზე, თვითკმაყოფილებაზე თუ უსაუბრია? ამ ცოდვის შედეგებზე ულაპარაკია?

— კი, უთქვამს, რომ ეს ის მომაკვდინებელი ცოდვაა, რომელიც ადამიანს ჭეშმარიტებისგან აშორებს.

— არ აურჩევიხარ შენ მას, ვლადიმირ. კი არ აურჩევიხარ, შეგარჩია. როგორც ყველასთვის გამოუსადეგარი და ყავლგასული. ჩვენ მაშინვე ეს ვერც კი განვსაზღვრეთ. გეწყინა?

— მე თქვენ ყველაფერში ვერ დაგეთანხმებით. მე ოჯახი მყავდა — ცოლი, ქალიშვილი, საქმეებიც ბიზნესში ცუდად არ მიმდიოდა. კარგი, შეიძლება მე არ ვარ გამოჩენილი, მაგრამ არც უკანასკნელი ვარ, რომ ამკრიფონ, როგორც უსახლკარო ან რაიმე უსარგებლო, გადაგდებული.

— ბოლო ხანებში შენს ცოლთან სიყვარული აღარ გქონდა. შენ შენი ცხოვრება და ინტერესები გაქვს, მას — თავისი. თქვენ

მხოლოდ ყოფა გაერთიანებდათ, უფრო სწორად კი წარსული გრძნობების ინერცია, დროთა განმავლობაში უფრო და უფრო ჩაფერფლილი. ქალიშვილსაც შენთან არაფერი ჰქონდა სალაპარაკო. შენი ბიზნესი მას არ აინტერესებდა. მხოლოდ შენ გეჩვენებოდა იგი მნიშვნელოვნად. მატერიალური შემოსავალი მოჰქონდა. დღეს შემოსავალია, ხვალ კი არაფერი, ან ზარალი, გაკოტრება. შენ ავადმყოფიც იყავი. კუჭი კინაღამ თითქმის სულ გაინადგურე. შენი თავაშვებული ცხოვრების წესის გამო ვერც გამოძვრებოდი ავადმყოფობიდან. ყველაფერი დამთავრებული იყო. და აღარც იყო არაფერი.

— მერე და თქვენ რა? რისთვის ვჭირდებოდი მას? ექპერიმენტისთვის? რაიმე გათვლა გააკეთა?

— მას უბრალოდ შეუყვარდი, ვლადიმირ, გულწრფელად, როგორც ყველაფერშია გულწრფელი. და ბედნიერიც კია. თქვენი ცხოვრებიდან რომ არავინ შეარჩია, რომელსაც უნარი ექნებოდა, სხვა ქალისთვის მიენიჭებია სიხარული. არ ჩაუყენებია თავი პრივილეგირებულ მდგომარეობაში. იმითაა გახარებული, რომ იგი იგივეა, როგორც ყველა სხვა ქალი.

— გამოდის, ეს მისი სიამოვნებაა? სურს, ისეთი როგორც ყველა ქალს ყავს: ეწეოდეს, ქეიფობდეს, ერთობოდეს... წარმოგიდგენია, როგორი თავგანწირვაა ახირებისათვის.

— მისი სიყვარული გულწრფელია. ახირებისა და ანგარების გარეშე. საწყისში ალოგიკურად რომ ეჩვენებოდა ნათელსა და ბნელს, ჩვენ და სხვებს, მან ნათლად გამოასხივა რეალურობაში მიხვედრილობა და სიყვარულის არსი. არა სიტყვებით, სწავლებებითა და ზნეობრივი დარიგებებით, არამედ რეალური შესრულებებით თქვენსა და შენს ცხოვრებაში. ნათელის ძალები, შემოქმედის, საუბრობენ მისი სიყვარულის მეშვეობით. და არა მარტო უბრალოდ საუბრობენ, არამედ ცხადად გვიჩვენებენ, ისე, როგორც აქამდე ჯერ არცერთხელ არ უჩვენებიათ: შეხედეთ, როგორია ქალის ძალა, წმინდა სიყვარულის ძალა. სიკვდილამდე ერთი წამით ადრე მას შეუძლია ახალი სიცოცხლის მიცემა. შეუძლია წამოაყენოს საყვარელი ადამიანი, გამოსტაცოს იგი ბნელი ძალების კლანჭებს და გაიტაცოს ნათელ უსასრუ-

ლობაში, გარსშემოევლოს სიყვარულის სივრცით და მისცეს მეორე სიცოცხლე – მარადიული სიცოცხლე.

მისი სიყვარული, ვლადიმირ, დაგიბრუნებს შენი ცოლის სიყვარულს, ქალიშვილის პატივისცემას. ათასობით ქალი სიყვარულით ანთებული თვალებით შემოგხედავს. გექნება არჩევანის სრული თავისუფლება. და თუ ამ სიყვარულის გარეგნული გამოვლინების ყველა მრავალფეროვნებიდან შენ შეძლებ, იმ ერთის დანახვასა და გაგებას, იგი ბედნიერი იქნება. მაგრამ ნებისმიერ შემთხვევაში, მაინც სახელგანთქმული და მდიდარი იქნები, შეუძლებელი იქნება შენი გაკოტრება. შენს მიერ დაწერილი წიგნი ქვეყნიერებას შემოივლის და შემოსავალის მომტანი იქნება, არა მარტო მატერიალურის, იგი შენც და სხვებსაც მოგცემთ უფრო დიდ ძალას, ვინემ ფიზიკურია, მატერიალური.

– წიგნი, მართლაც, კარგად იწყებს გაყიდვას. მაგრამ ის, მე თავად დავწერე, თუმცა ზოგიერთი ადამიანი ამბობს, რომ ანასტასიაც რაღაცა სახით გეხმარებოდაო. თქვენ, როგორ მიგაჩნიათ, ეს მხოლოდ ჩემი წიგნია თუ მისი მონაწილეობითაა დაწერილი?

– შენ შეასრულე ყველა ქმედება, მწერალისთვის დამახასიათებელი. იღებდი ქაღალდს, ამოძრავებდი კალამს, ახდენდი მომხდარის აღწერას. ზოგიერთი საკუთარი დასკვნა, ჩამოაყალიბე მხოლოდ შენთვის ჩვეული ენით, ორგანიზება გაუკეთე წიგნის გამოცემას. შენი ქმედებები არაფრით არ განსხვავდებოდა მწერლის ჩვეულებრივი ქმედებებისგან.

– გამოდის, წიგნი მხოლოდ ჩემია? ანასტასიას მაგდაგვარი არაფერი გაუკეთებია?

– დიახ, არ გაუკეთებია. კალამი ქაღალდზე არ უტარებია.

– თქვენ ისე ლაპარაკობთ, თითქოს და იგი, მაინც რაღაცნაირად მიწყობდა ხელს. თუ ეს ასეა, უფრო გარკვევით მითხარით. რა გააკეთა მან?

– ანასტასიამ, ვლადიმირ, შენ რომ ამ წიგნის დაწერა შეგძლებოდა, მოგცა თავისი ცხოვრება.

– ესეც ასე. სულ მთლად გაუგებარი გახდა ყველაფერი. რატომ? როგორ შეუძლია მას, ცხოვრობს რა ტყეში, ცხოვრება

მისცეს რაღაც წიგნისთვის? ვინ არის იგი? თვითონ ამბობს: “ადამიანი”-ო. სხვანი უცხოპლანეტელს უწოდებენ, ქალღმერთს. შეიძლება, საბოლოოდ დაიბნეს კაცი. რაღაცნაირად, ჩემთვის მაინც მინდა ჩამოვყალიბდე.

— ყველაფერი ძალიან მარტივია, ვლადიმირ. ადამიანი — ერთადერთი არსებაა სამყაროში, რომელიც ერთბაშად ცხოვრობს ყოფიერების ყველა შრეში. თავის მიწიერ არსში, უმრავლესობა მხოლოდ მიწიერს ხედავს, მატერიალიზებულ გამოვლინებას. არიან ისეთებიც, რომლებიც შეიგრძნობენ არსთ და სხვა რამეებს, უხილავებს. ადამიანები, რომლებიც ანასტასიას უწოდებენ ქალღმერთს, ჭეშმარიტების წინაშე არ სცოდავენ. ადამიანის მთავარი განსხვავება დანარჩენ არსთაგან

იმაშია, რომ მას მინიჭებული აქვს უნარ-ნიჭი, ქმნას აწმყოცა და მომავალიც საკუთარი აზრ-ფიქრებით, შექმნას ფორმები და ხატ-სახეები, რომლებიც შედეგად მატერიალიზდებიან კიდეც. მკაფიოობაზე, ჰარმონიულობაზე, აზრ-ფიქრთა სიჩქარეზეა, ადამიან-შემოქმედის ზრახვათა სიწმინდეზეა, დამოკიდებულია რომაა მომავალი. აი ამ გაგებითაა ანასტასია ღვთაება. რამეთუ მისი აზრ-ფიქრის სიჩქარე, მკაფიოობა და ხატ-სახეების სიწმინდე, ისეა ჩამოყალიბებული, რომ მხოლოდ მას აღმოაჩნდა უნარი, წინ აღდგომოდა მარტო, მთელ ბნელ უზარმაზარ ურთიერთსაპირისპირო ძალებს. ოღონდ უცნობია, რამდენ ხანს შესძლებს იგი, გაუძლოს ყოველივე ამას. სულ ელოდება, სჯერა, რომ გააცნობიერებენ ადამიანები, მიეხმარებიან მას. შეწყვეტენ სიბნელისა და ჯოჯოხეთის წარმოქმნას.

— ვინ ქმნის ბნელსა და ჯოჯოხეთს?

— წინასწარმეტყველები, მორწმუნეები, კატასტროფაზე მქადაგებლები, თავადვე წარმოქმნიან აზრებსა და ფორმებს სამყაროს დასასრულზე. უამრავი სწავლებები, რომლებიც წინასწარმეტყველებენ კაცობრიობის საყოველთაო გადაშენებაზე, თავიანთი აზრებითა და ფიქრებით აახლოებენ მას. ისინი ბევრნი არიან, ძალზედ ბევრნი. და არც კი უწყიან ამ ადამიანებმა, ეძებენ რა თავიანთი თავისათვის გადარჩენას, ეძებენ რა აღთქმულ მიწას, რომ ზუსტად მათთვისაა გამზადებული ჯოჯოხეთი.

— მაგრამ იმ ადამიანებს, რომლებიც განკითხვის დღეზე, კატასტროფებზე ლაპარაკობენ, მათ სჯერათ მისი, ისინი ხომ გულწრფელად ლოცულობენ თავიანთი სულების გადასარჩენად.

— არა რწმენა ნათელისა და სიყვარულის,რომელსაც ღმერთი წარმოადგენს, ამოძრავებთ მათ, არამედ შიში. და ამ საშინელებას ისინი თავადვე იმზადებენ საკუთარი თავისთვის. დაფიქრდი, ვლადიმირ. შეეცადე, წარმოიდგინო. აი ჩვენ ახლა, მე და შენ, ვსხედვართ ამ მერხზე. შენ შენს წინ უამრავ ხალხს ხედავ. მოულოდნელად ზოგი მათგანი,დაიწყებს საშინელი ტკივილებისგან კრუნჩხვას, თითქოსდა ცოდვილნი არიანო, თითქოს ჩვენს გარშემო, მიწაზე, ბევრი ხრწნადი გვამებია, ჩვენ კი ვზივართ ერთად, ხელშეუხებელნი, და თვალ-ყურს გადევნებთ

ჩვენი მერხი თითქოს სამოთხეშია. განა არ შეძრწუნდება შენი სული, მხილველი ასეთი საშინელი სურათის? უმჯობესი არ იქნება, ასეთი რამის ხილვამდე, ერთი წამით ადრე მოკვდე ან დაგეძინოს?

— მაგრამ, თუკი ყველა გადარჩენილი მართალი, აღთქმულ მიწაზე იქნება, სადაც გარეშემო, არც ხრწნადი გვამები და არც საშინელი სურათებია?

— როცა დედამიწის მეორე კიდიდან მოგდის შეტყობინება ვინმე ახლობლის ან ნათესავის გარდაცვალების შესახებ, განა არ გრძნობ შენს სულში მწუხარებას, ტანჯვას?

— ალბათ, ყველას ასეთ შემთხვევაში უფუჭდება გუნება.

— აბა, მაშ, როგორღა შეიძლება შენთვის წარმოიდგინო სამოთხე, გააცნობიერებ რა, რომ უმეტესი ნაწილი შენი თანამემამულეებისა, მეგობრებისა და ნათესავების უკვე დაიღუპნენ, სხვები იღუპებიან საშინელ წამებაში! რა დონემდე უნდა გაგიუხეშდეს კაცს სული, წყვდიადის როგორ მორევში უნდა ჩაეფლო, რომ, გააცნობიერებ, რაც ხდება და მაინც გიხაროდეს? ნათელის სამეფოში ასეთი სულები არ სჭირდებათ. რამეთუ ისინი არიან ბნელეთის წარმომქნელნი.

— კაცობრიობის უდიდესი მასწავლებლები, რომლებმაც დაწერეს და წერენ სხვადასვა სწავლებებს, მაშ რაღასთვის საუბრობენ სამყაროს დასასრულზე და საშინელ სამსჯავროზე?

მაშ ვინ არიან ისინი? საით მიჰყავთ ადამიანები? რატომ ლაპარაკობენ ასე?

— ძნელია, განსაზღვრო მათი ნააზრევის სასრულობა. შესაძლაოა, შეკრებენ რა თავის გარშემო ადამიანთა მასებს, წარმოდგენების მიმზიდველობის ხარჯზე ისინი განახორციელებენ მათი ცნობიერების შემობრუნებას.

— შემობრუნება შეუძლიათ განახორციელონ დღევანდელმა მაცხოვრებლებმა. ხოლო რომლებიც ადრე იყვნენ, თავიანთი სწავლებები დატოვეს?

— მათაც შეეძლოთ შემობრუნების მომზადება იმ იმედით, რომ მათი მიმდევრები განახორციელებენ მას, გახსნიან ჭეშმარიტებას. შესაძლოა, ელიან ისინი, ყოფიერების მოვლენები როდის მიუთითებენ უმრავლესობას გზის ჩიხურობაში, მოვლენები დაეხმარებიან მათ შემობრუნდნენ

მათთან ერთად ნათელში მიმავლებისკენ და მათდამი მორწმუნეებისკენ.

— თუ ეს ყველაფერი იცოდით, მაშ რაღატომ იჯექით ტყეში და დუმდით ამდენი წელიწადი? რატომ არ ცდილობდით, ადრევე აგეხსნათ ეს ვინმესთვის? ანასტასია ამბობდა, რომ თქვენი გვარი თაობიდან თაობამდე, ათასწლეულების მანძილზე ეწევა ასეთ თავისებურ ცხოვრების წესს, ინახავს პირველწყაროთა ჭეშმარიტებებს.

— დედამიწის სხვადასხვა კუთხეებში არიან ადამიანები, რომლებმაც შეინარჩუნეს ტექნოკრატულისგან განსხვავებული ცხოვრების წესი, რომელთაც შემოინახეს მხოლოდ ადამიანისთვის დამახასიათებელი უნარ-ნიჭი. სხვადასხვა დროებში მათ ჰქონდათ მცდელობა, გაეზიარებინათ თავიანთი შემეცნებულობა. მცდელები ყოველთვის ისე იღუპებოდნენ, რომ ვერ ასწრებდნენ, ეთქვათ უმთავრესი. მათ მიერ წარმოქმნილი აზრ-ფიქრითა ფორმები და ხატ-სახეები ძლიერი იყო, მაგრამ მათი მოწინააღმდეგეები უდიდესი უმრავლესობა იყო.

— ესე იგი, ანასტასიასაც მოდრეკენ, გათელავენ?

— ანასტასიამ გაურკვეველი სახით შესძლო, წინ აღსდგომოდა მათ. ყოველ შემთხვევაში, ჯერ-ჯერობით ეწინააღმდეგება. შესაძლოა, თავისი ალოგიკურობის ხარჯზე ან ...

მოხუცი გაჩუმდა, ჩაფიქრებული უსმევდა ჯოხს მიწაზე და გაუგებარ ნიშნებს ხაზავდა.

მე ვფიქრობდი. შემდეგ კი ვკითხე:

— აბა მაშ, იგი, ყოველთვის რატომ მიმტკიცებდა: "მე - ადამიანი ვარ, ქალი"-ო, თუ იგი, როგორც თქვენ ამბობთ, ღვთაებაა,

— მიწიერ, თავის მატერიალიზებულ სიცოცხლეში, იგი უბრალოდ ადამიანია, უბრალოდ ქალი. და თუმცა მისი ცხოვრების წესი ცოტათი უჩვეულოა, მას ისევე, როგორც ყველა ადამიანს, შეუძლია სიხარული და მწუხარება, უყვარს და უნდა, რომ უყვარდეთ. ყველაფერი, რასაც იგი ფლობს, ჩვეულია ადამიანისთვის. ადამიანის პირველქმნილი სახისთვის. უჩვეულოდ რომ გეჩვენებოდა მისი უნარ-ჩვევები, აწი ფანტასტიკურად აღარ მოგეჩვენება, როცა შენ შეიტყვე, თუ რას ამბობს მათზე თქვენი მეცნიერება. და კიდევ მრავალ, გარეგნულად გაუგებარ მის უნარ-ნიჭებს მოეძებნება ახსნა-განმარტებები. და ყველა ისინი დაამტკიცებენ იმას, რომ იგი უბრალოდ ადამიანია, უბრალოდ ქალი. მხოლოდ ერთ მოვლენასთან შეჯახებისას, — რომელიც გელოდება შენ წინ — ვერ შესძლებ შენ მის გაგებას. ვერ შესძლებს მეცნიერება მის ახსნას. მამაჩემმაც არ იცის, რა არის ეს. მსგავს რამეებს თქვენთან "ანომალურ მოვლენებს" უწოდებენ. მაგრამ მე გთხოვ შენ, ვლადიმირ, ნუ გააიგივებ ამ მოვლენას ანასტასიასთან. იგი ხანდახან მის გვერდითაა ხოლმე, მაგრამ იგი მასში არაა. შეეცადე, იპოვო შენში ძალები, რათა დაინახო, იგრძნო მასში უბრალოდ ადამიანი. იგი ცდილობს, იყოს ისეთი, როგორიც ყველაა. მას ეს რაღაცისთვის სჭირდება და მნიშვნელოვანია მისთვის, დაამტკიცოს, რომ იგი ადამიანია. მას ეს ძნელად გამოსდის, იმიტომ რომ ამავდროულად თავისი პრინციპების დარღვევა არ შეუძლია. მაგრამ თითოეულ ადამიანსაც ხომ აქვს თავისი პრინციპები?

— რა მოვლენაა ეს ასეთი, რომელსაც ვერ აძლევთ თქვენ განსაზღვრას და რომელშიც მეცნიერება ვერანაირად ვერ გაერკვეულა?

ანომალიური მოვლენა

როცა ჩვენ ანასტასიას მშობლებს ვკრძალავდით, იგი სულ პატარა იყო. ჯერ კიდევ არც სიარული შეეძლო და არც ლაპარაკი. მე და მამაჩემმა მხეცების დახმარებით გავთხარეთ მიწა. ჩავაფინეთ ორმოს ძირში ტოტები, დავასვენეთ მათზე ანასტასიას მშობლების სხეულები, დავაფარეთ ბალახები და მიწა დავაყარეთ. ჩვენ მდუმარედ ვიდექით საფლავის ბორცვთან. პატარა ანასტასია შორიახლოს, მინდორზე იჯდა, მუმლს ათვალიერებდა, რომელიც მის ხელზე ცოცავდა. "კარგია, რომ მას ჯერ არ ძალუძს იმის გაცნობიერება, თუ რა უბედურება შეემთხვა", – ვფიქრობდით ჩვენ. შემდეგ უჩუმრად წავედით.

– როგორ თუ წახვედით? თქვენ რა, მარტო მიაგდეთ ჯერ კიდევ უგუნური გოგონა?

– არ მივაგდეთ, არამედ დავტოვეთ იგი იმ ადგილზე, სადაც დედამისმა დაბადა. არის თქვენთან ასეთი მცნება – შამბალა, სამშობლო. უფრო და უფრო აბსტრაქტული ხდება ამ ცნებების გაცნობიერება. სამშობლო – ეს "სამ-შობ-ლო"-ა. დედა. მშობლებმა ბავშვის დაბადებამდე უნდა ჩამოუყალიბონ მას სივრცე. სიყვარულისა და კეთილისმსურველების სამყარო. მისცეს სამშობლოს ნაწილი, რომელიც, როგორც დედის წიაღო, სხეულსაც შეუნახავს და სულსაც მოეფერება. მისცემს სამყაროს შექმნის სიბრძნეს და ჭეშმარიტების შეძენაში დაეხმარება. რას აძლევს ქალი თავის ბავშვს, რომელიც ქვის კედლებში ბადებს? რა სამყარო განუმზადა მან პატარას? და საერთოდ, ფიქრობდა კი სამყაროზე, რომელშიც მოუწევს მის პირმშოს ცხოვრება? სამყაროც ასევე ექცევა მას, როგორც თავადვე მოისურვებს. ცდილობს, დაიქვემდებაროს პატარა ადამიანური არსება, გააკეთოს მისგან ჭანჭიკი, მონა. და დედა მხოლოდღა მეთვალყურის როლში დგება, რამეთუ მას არ მოუმზადებია თავისი პირმშოსთვის სიყვარულის სივრცე.

იცი, რა, ვლადიმირ, ანასტასიას დედას, ისევე როგორც ნებისმიერ ადამიანს, რომელიც ცხოვრობს ისე, როგორც იგი ცხოვრობდა, მისი გარემომცველი ბუნება, დიდი და პატარა მხ-

ეცები, ეპყრობოდნენ მას, როგორც მეგობარს, ბრძენსა და კეთილ ღვთაებას, რომელმაც თავის გარეშემო შექმნა სიყვარულის სამყარო. ანასტასიას მშობლები მხიარული და კეთილი ადამიანები იყვნენ, მათ ძალიან უყვარდათ ერთმანეთი, უყვარდათ მიწა და ყოველივე გარშემომყოფი მათ სიყვარულითვე პასუხობდათ. ამ სიყვარულის სივრცეში დაიბადა და მისი ცენტრი გახდა პატარა ანასტასია. უამრავი მხეცია რომელიც არ ვნებს ახალშობილებს. კატას შეუძლია, გამოზარდოს ძაღლის ლეკვი და პირიქით, მრავალ ველურ ცხოველსაც შესწევს უნარი, გამოკვებოს და გამოზარდოს ადამიანის ნაშიერი. მაგრამ ეს ცხოველები თქვენთვისაა რომ გაველურდნენ. ანასტასიას დედისა და მამისთვის ისინი სხვაგვარ თავის დანიშნულებების მქონეთ წარმოადგენდნენ. ცხოველები მათ სხვაგვარად ეპყრობოდნენ. დედამისი ანასტასიას ბადებდა მინდორზე და მრავალი ცხოველი თვალს

ადევნებდა მშობიარობას. ისინი ხედავდნენ, მათთვის საპატივცემულო ადამიანი – ქალი, როგორ ხდებოდა დედად, შობდა კიდევ ერთ ადამიანს. როცა ისინი თვალს ადევნებდნენ მშობიარობას, მათი გრძნობები ადამიან-მეგობრისადმი, მათი სიყვარული მისდამი იხლართებოდა საკუთარ დედობრივ ინსტინქტთან, მათში ბადებდა ახალს, ამაღლებულსა და ნათელს. ყველა, მთელი გარემომცველი სივრცე, უმცირესი მუმლისა და ბალახისგან დაწყებული, გარეგნულად მრისხანე მხეცით დამთავრებული, მზადაა, დაუფიქრებლად მისცეს თავისი სიცოცხლე ამ პატარა არსებისთვის. და არაფერს არ შეუძლია მას დაემუქროს მის გარემომცველ მშობლიურ სივრცეში, დედის მიერ შექმნილსა და ბოძებულში. ამ ადამი-ანურ არსებას ყველა უძიძავებს და გადაეფოფინება.

პატარა მინდორი ანასტასიასათვის – დედის წიაღისავითაა. პატარა მინდორი – მისი *ცოცხალი სამშობლოა.* ყოვლისშემძლე და კეთილი. განუწყვეტლად დაკავშირებული, ცოცხალი ხელთუქმნელი ძაფით მთელ სამყაროსთან ყველა ქმნილებასთან უდიდესი შემოქმედისა.

პატარა მინდორი – მისი ცოცხალი სამშობლოა. დედისგანაა იგი და მამისგან. და *ერთი-მთლიანისგან, პირველი მა-*

მისგან. ჩვენ ვერ შევძლებდით მის მაგივრობას. ამიტომ, როცა დავკრძალეთ ანასტასიას მშობლები, ჩვენ წავედით. სამი დღის შემდეგ მინდვრის მისასვლელთან ჩვენ დაძაბულობა შევიგრძენით ჰაერში, გავიგონეთ მგლების ყმუილი. შემდეგ დავინახეთ...

პატარა ანასტასია წყნარად იჯდა საფლავის ბორცვზე. ცალი ლოყა მიწით ჰქონდა გასვრილი. ჩვენ მივხვდით: მას საფლავზე ეძინა. მისი თვალებიდან ცრემლები მოგორავდნენ და ბორცვზე ეცემოდნენ. იგი უხმოდ ტიროდა, ამოისლუკუნებდა ხოლმე ხანდახან. და უალერსებდა და უალერსებდა თავისი პატარა ხელებით საფლავის ბორცვს.

ჯერ კიდევ, არ იცოდა რა ლაპარაკი, მან ამ ბორცვთან წარმოთქვა თავისი პირველი სიტყვები. ჩვენ გავიგონეთ ისინი. ჯერ მან გამოთქვა დამარცვლით: "დე-და", შემდეგ: "მა-მა". მან გაიმეორა ისინი რამდენიმეჯერ. შემდგომ უფრო რთული სიტყვები წარმოთქვა: "დე-დი-კო, მა-მი-კო, დე-დი-კო, მა-მი-კო. მე ანასტასია ვარ. აწი მე უთქვენოდ ვიქნები. ასეა? მხოლოდ ბაბუებთან ვიქნები, ასეა?".

პირველი მამაჩემი მიხვდა: პატარა ანასტასიას, ჯერ კიდევ მაშინ, როცა ჩვენ მის მშობლებს ვკრძალავდით, როცა იგი მინდორზე იჯდა და მუმლს ათვალიერებდა, თავს დამტყდარი უბედურება მთელი სიღრმით ესმოდა, მაგრამ ნებისყოფის დაძაბვით ცდილობდა, არ ეჩვენებია თავისი გრძნობები, რათა ამით ჩვენთვის განწყობა არ გაეფუჭებინა. დედის რძესთან ერთად შევიდა მასში პირველსაწყისთა სიბრძნე და ძალა. აქვთ ასეთი შესაძლებლობები მეძუძურ დედებს, ვლადიმირ. ახალშობილს ძუძუთი კვების დროს, დედის რძესთან ერთად გადაეცემა შემეცნებულობა და საუკუნეთა სიბრძნე პირველსაწყისამდე.

ანასტასიას დედამ იცოდა, როგორ კეთდებოდა ეს და ისარგებლა ამ ხერხის მთელი სისრულით, პირდაპირ მთელი სისრულით.

რადგან ანასტასიას არ სურდა, რომ იგი მტირალი გვენახა, ჩვენ არც გამოვსულვართ მინდორზე, არც მივახლოვებივართ საფლავს, მაგრამ ადგილიდან დაძვრაც ვერ შევძელით, შორიახლოს ვიდექით და თვალს ვადევნებდით, თუ რა ხდებოდა.

პატარა ანასტასია, ეყრდნობოდა რა საფლავის ბორცვს პაწაწა ხელებით, ცდილობდა ფეხზე წამოდგომას. პირველივე მცდელობით მას ეს არ გამოუვიდა, მაგრამ მან მაინც შესძლო ფეხზე დადგომა. ის იდგა და ქანაობდა, ხელები განზე ჰქონდა გაშლილი, და ბოლოს მშობლების საფლავიდან გააკეთა თავისი პირველი, გაუბედავი ნაბიჯი, შემდეგ კიდევ ერთი. პატარა ფეხები გაიხლართნენ ბალახში, ტანმა წონასწორობა დაკარგა და დაიწყო ვარდნა, მაგრამ დაცემა... იგი ჩვეულებრივი არ იყო.

დაცემის დროს უეცრად ოდნავ შესამჩნევი მოცისფრო ნათება მოეფინა მინდორს, ლოკალურად შეცვალა მიწის გრავიტაციის კანონი. რაღაცნაირი კეთილისმყოფელი სიმსუბუქით შეგვეხო იგი ჩვენც. ანასტასიას სხეული არ წაქცეულა, არამედ ნელა და ნარ-ნარად დაეშვა მიწაზე. როცა იგი ისევ დადგა ფეხზე, მოცისფრო ნათება გაქრა და წინანდელი გრავიტაცია აღსდგა.

ანასტასია ფრთხილად მიაბიჯებდა სვენებ-სვენებით, მივიდა მინდორზე დაგდებულ პატარა ტოტთან, შესძლო მისი აღება. ჩვენ მივხვდით: მან გადაწყვიტა მინდვრის დალაგება, როგორც მისი დედა აკეთებდა. ჯერ კიდევ სრულიად ციცქნა გოგონას მიჰქონდა გამხმარი ტოტი მინდვრის კიდისკენ, მაგრამ ისევ დაკარგა წონასწორობა, დაიწყო ვარდნა და ტოტი გაუვარდა.

მისი ვარდნის დროს ისევ იფეთქა მოცისფრო ნათებამ,რომელმაც მიწის გრავიტაცია შეცვალა, ტოტი კი გადაფრინდა სხვა ხმელ ტოტებთან, რომლებიც გროვად ეყარა მინდვრის კიდეში.

ანასტასია წამოდგა, თვალებით მოიძია ტოტი და ვერ იპოვა იგი. მერე მან გაშალა ხელები და ქანაობით ნელა მიუახლოვდა სხვა ტოტს. ჯერ კიდევ ვერ მოასწრო მისკენ დახრა, რომ ტოტმა დაიწყო აწევა და იგი თითქოს ნიავმა გადააგდო მინდვრის კიდისკენ. მაგრამ ასეთი მოქმედებისთვის გარშემო საკმაო ქარი არ ყოფილა. ვიღაცა უხილავმა შეასრულა პატარა ანასტასიას სურვილი.

მაგრამ ანასტასიას სურდა ყველაფერი თავად ეკეთებია, როგორც დედამისს. და, ალბათ, ეწინააღმდეგებოდა უხილავი მეკავშირის დახმარებას, ასწია თავისი პატარა ხელი, ოდნავ გააქნია იგი.

ჩვენ ავიხედეთ ზემოთ და დავინახეთ ის. მინდვრის თავზე ეკიდა პატარა, სფეროსებრი მოცისფრო ნისლი და მფეთქავი ნათება. უამრავი ცეცხლოვანი ნაპერწკლები, როგორც მრავალფეროვანი ელვები, იხლართებოდნენ მის გამჭვირვალე გარსს შიგნით. ის გავდა დიდ, სფერულ ელვას. მაგრამ იგი გონიერი იყო!

გაუგებარი იყო, რისგან შედგებოდა იგი და მისი გონიერება თავისთავად რას წარმოადგენდა.

მასში იგრძნობოდა რაღაც უხილავი და არნახული ძლიერება. მაგრამ მისი სიძლიერე შიშს არ გვგვრიდა. პირიქით, მისგან სასიამოვნოდ მომთენთავი მადლი გამოსჭვიოდა, განძრევის სურვილიც არ გვქონდა. გვსურდა მხოლოდ ყოფნა...

— რატომ გადაწყვიტეთ, რომ მას არნახული სიძლიერე გააჩნდა?

— მამაჩემმა შეამჩნია. მიუხედავად იმისა, რომ ნათელი დღე იყო და მზე ანათებდა, ხის ფოთლები და ყვავილების ფურცლები მისკენ ტრიალდებოდნენ. მის მოცისფრო ნათებაში უფრო მეტი ძალა იყო, ვიდრე მზის სხივებში. ანასტასიას სხეულის ვარდნის მომენტში, მიწის გრავიტაციას, ლოკალურად და ზუსტად ცვლიდა, იმდენად ზუსტად ცვლიდა, რომ სხეული ნარ-ნარით ეშვებოდა, მაგრამ მიწას არ წყდებოდა.

ანასტასია დიდხანს ალაგებდა ტოტებს, ის ხან დახოხავდა, ხან ნელი ნაბიჯებით დადიოდა მინდორზე, სანამ თავად არ მიალაგა ყველაფერი. ცეცხლოვანი სფერო კი ფეთქავდა და დასრიალებდა პატარა ბავშვის თავზე. მაგრამ ტოტების გადატანაში უკვე აღარ ეხმარებოდა. მძლავრი ცეცხლოვანი სფერო თითქოს მიხვდაო პატარა, ბავშვური ხელის მოძრაობას და დაემორჩილა მას.

ფართოვდებოდა და განქარვდებოდა რა სივრცეში, იკუმშებოდა და თავის შიგნით წარმოქმნიდა ელვებს, ნაპერწკლების მსგავსთ, რომელიღაც უხილავი, საიდანღაც წარმოქმნილი ენერგიიდან და არ ჩანდა თუ რითი ქრებოდა. იგი წამით ქრებოდა და ისევ ჩნდებოდა, თითქოს ღელავდა და ღელვისგან სამყაროს სივრცეში წარმოუდგენელი სიჩქარით წრიალებდა.

მოახლოვდა დრო, როდესაც ანასტასია ჩვეულებრივ იძინებდა. ჩვენ არასდროს არ ვაძალებთ ბავშვებს ძილს, არ ვარწევთ

მათ თავბრუსხვევამდე. ასეთ დროს ანასტასიას დედა უბრალოდ წვებოდა მინდვრის კიდეში ერთსა და იმავე ადგილზე და თითქოს იძინებსო, ხუჭავდა თვალებს, უჩვენებდა მაგალითს. პატარა ანასტასია მიხოხდებოდა მასთან, მიეტმასნებოდა მის თბილ სხეულს და მშვიდად იძინებდა.

ამჯერადაც ანასტასია იმ ადგილას მივიდა, სადაც დღისით, ჩვეულებრივ, დედასთან ერთად იძინებდა. იგი იდგა და შესცქეროდა იმ ადგილს, რომელზეც ამ დროს ყოველთვის დედასთან ერთად ეძინა, მაგრამ ახლა მისი დედა აღარ იყო.

უცნობია, იმ მომენტში რაზე ფიქრობდა, მაგრამ პატარა ანასტასიას ლოყაზე ჩამოგორებული ცრემლი მზის სხივზე აკიაფდა. და მაშინათვე მოცისფრო ნათებამ მინდორზე ფეთქვა და არათანაბარი ციმციმი დაიწყო.

ანასტასიამ პატარა თავი ზემოთ ასწია, დაინახა მფეთქავი ნისლოვანი ნათება. ბალახზე დაჯდა და მას მიაჩერდა. მისი მზერის ქვეშ ნათება გაირინდა. რამდენიმე ხანს ანასტასიაც ასევე გარინდებული მისჩერებოდა მას. მერე გაუწოდა ორივე ხელი ისე, როგორც ამას აკეთებდა რომელიმე ცხოველის მოხმობისას. აი, აქ კი ცეცხლოვანი სფერო გაბრწყინდა უამრავ მძლავრ ელვებად, რომლებიც გამოიჭრნენ ცისფერი გარსის გარეთ და ... ცეცხლოვანი კომეტასავით გაექანა – პაწაწა ხელებისკენ. გეჩვენებოდა, რომ თავის გზაზე ყველაფრის წალეკვის შესაძლებლობა ჰქონდა, იგი ერთ წამში აღმოჩნდა ანასტასიას სახესთან, დაბზრიალდა და მოსწყვიტა თავისი ელვით ანასტასიას ლოყაზე მობრჭყვიალე ცრემლი. მაშინათვე ჩააქრო ყველა მუხტი, და გახდა ცისფერი, ოდნავ მანათობელი სფერო, ბალახზე მჯდომი ბავშვის პატარა ხელებში.

ანასტასიას რამდენიმე ხანი ეჭირა იგი, ათვალიერებდა და ეფერებოდა. შემდეგ ადგა, მაღლა ასწია ცისფერი სფერო, ფრთხილად მიაბიჯებდა, წაიღო და დადო იგი იმ ადგილზე, სადაც დედასთან ერთად იძინებდა. ისევ მიუალერსა მას.

იგი იწვა და თითქოს იძინებდა, როგორც ამას ანასტასიას დედა აკეთებდა. და ანასტასიაც მიუწვა გვერდით. დაიძინა. მას ეძინა ბალახზე, გორგალივით მოხრილს, და ის ხან წამიერად ფრინდებოდა, ქრებოდა ციურ სივრცეში, ხან განქარვდებოდა

დაბლა მინდვრის თავზე, თითქოს საბანივით ეფინებაო მას. მერე ისევ იკუმშებოდა პატარა მფეთქავ სფეროდ, მდელოზე მძინარე ანასტასიას გვერდით აღმოჩნდებოდა და ეალერსებოდა მის თმებს. უცნაური, უჩვეულო იყო ეს თმაზე ალერსი. უწვრილესი მანათობელი და მთრთოლვარე ელვა- სხივებით იღებდა თმის ცალკეულ ღეროს, მაღლა სწევდა და ეალერსებოდა.

შემდგომში ანასტასიასთან მის მინდორზე მისულებმა კიდევ რამოდენიმეჯერ ვნახეთ იგი. ჩვენ გვესმოდა, რომ ანასტასიასათვის იგი იყო რაღაც ბუნებრივი – როგორც მზე, მთვარე, ხეები და ცხოველები, მის გარშემომყოფნი. როგორც ყველაფერს, მის გარშემომყოფს, იგი მასაც ელაპარაკებოდა.

მაგრამ იგი ანსხვავებდა მას ყველა გარშემომყოფთაგან. გარეგნულად ეს განსხვავება უმნიშვნელოდ გამოსჭვიოდა. ისეთი შეგრძნება იყო, რომ იგი მას ოდნავ მეტი პატივისცემით ეპყრობოდა, ვინემ სხვებს, ხანდახან ჭირვეულობდა კიდეც. არავის წინაშე არასდროს არ ჭირვეულობდა, მის წინაშე კი ამის უფლებას აძლევდა თავს. იგი მის განწყობაზე რეაგირებდა და უსრულებდა ჭირვეულობებს.

როცა ანასტასიას ოთხი წელი შეუსრულდა, მის დაბადების დღეს, გამთენიისას, ჩვენ ვიდექით მინდვრის განაპირას და ველოდებოდით, როდის გაიღვიძებდა. გვინდოდა, მშვიდად გვეთვალთვალა, როგორ სიხარულს გამოხატავდა გაზაფხულის დღის დაბადებით.

იგი მის გაღვიძებამდე ერთი წამით ადრე გამოჩნდა. მსუბუქად გაიელვა თავისი მოცისფრო ნათებით და გაიფანტა თუ განქარდა მინდვრის მთელს სივრცეში. და ჩვენ ვიხილეთ ხელთუქმნელი ცოცხალი სურათი, მომაჯადოებელი და მშვენიერი.

გარდაიქმნა მთელი მინდორი, გარშემომყოფი ხეები, ბალახები, მწერები. სხვადასხვანაირი რბილი ფერებით აინთო კედრების ნემსა წიწვები. ტოტებზე მოხტუნავე ციყვები თავიანთ გზებზე გამჭვირვალე, მანათობელ, მქრალ ცისარტყელის ფერებიან შლეიფებს ტოვებდნენ. ნაზი მწვანე ფერის ნათებით ელავდა ბალახი. კიდევ უფრო მკვეთრი, მრავალფეროვანი ნათება გამოსჭვიოდა უამრავ ბალახში მცოცავი მწერებისგანაც და ყველა ისინი შეადგენდნენ არნახული სილამაზის მქონე ცოცხალ

მოლივლივე ხალიჩას, რომელიც თავის უმშვენიერეს უცნაურ მოხატულობას მუდმივად იცვლიდა. გაღვიძებულმა ანასტასიამ გაახილა თვალები, დაინახა არაჩვეულებრივი ცოცხალი სურათი, სრულიად მომაჯადოებელი, წამოხტა, აქეთ-იქით იცქირებოდა.

მან გაიღიმა ისე, როგორც ყოველთვის იღიმებოდა დილაობით, და მის ღიმილს გარემოცვამ უფრო მკაფიო ნათებით და აჩქარებული მოძრაობით უპასუხა. მერე ანასტასია ფრთხილად დაეშვა მუხლებზე და დაუწყო თვალიერება ბალახს და მასში მორბენალ სხვადასხვა ფერებად მოციმციმე მწერებს, როცა მან თავი ასწია, მისი სახის გამომეტყველება დაძაბული და ცოტათი შეშფოთებული იყო, მან აიხედა მაღლა და, მიუხედავად იმისა, რომ იქ არაფერი იყო, ხელები ცისკენ გაიშვირა. გარინდული ჰაერი წამში ამოძრავდა და მის ხელებში წარმოიქმნა მოცისფრო სფერო. მან გააჩერა იგი თავის სახესთან, დადო ბალახზე, ნაზად მოეფერა. და ჩვენ გავიგონეთ მათი დიალოგი. ლაპარაკობდა მხოლოდ ანასტასია, მაგრამ სრული შეგრძნება იყო, რომ მას ესმოდა მისი სიტყვები და უხმოდ პასუხობდა კიდეც. ანასტასია მას ალერსიანად და ცოტათი სევდიანად ესაუბრებოდა:

— შენ კარგი ხარ. ძალიან კარგი ხარ. გინდოდა სილამაზით გაგეხარებინე. მადლობა შენ. მაგრამ, თუ შეიძლება, დააბრუნე, დააბრუნე ყველაფერი ისე, როგორც წინათ იყო. და აღარასოდეს აღარ შეცვალო იგი მეტად.

ცისფერმა სფერომ ფეთქვა დაიწყო, მიწიდან ოდნავ ამაღლდა, აციმციმდნენ მის შიგნით ელვის მუხტები, მაგრამ მანათობელი სურათი არ გამქრალა. ანასტასია ყურადღებით უცქერდა მას და ისევ ალაპარაკდა:

— ყოველ მწერს, ხოჭოს, ჭიანჭველას, ჰყავს დედა. ყველას ჰყავს დედა. დედებს უყვართ თავიანთი შვილები ისეთები, როგორებიც დაიბადნენ ისინი, არა აქვს მნიშვნელობა, რამდენი ფეხი აქვთ და რა ფერისაა სხეული. შენ ყველაფერი შეცვალე. როგორ იცნობენ ახლა დედები თავიანთ შვილებს? დააბრუნე ყველაფერი ისე, როგორც ადრე იყო, თუ შეიძლება.

სფერო მსუბუქად აციმციმდა და მინდორზე ყველაფერმა ძველებური იერი მიიღო. იგი ისევ დაეშვა ანასტასიას ფეხებ-

თან. ბავშვმა მიუალერსა და მადლობა გადაუხადა მას: “მადლობა შენ!” მერე გაყუჩდა, ყურადღებით უცქერდა სფეროს, და როცა ალაპარაკდა, მისმა სიტყვებმა გაგვაოგნა ჩვენ. იგი ეუბნებოდა მას:

— შენ ნუღარ მოხვალ ჩემთან. შენთან მე კარგად ვგრძნობ თავს. შენ ყოველთვის ცდილობ ყველას სიკეთე გაუკეთო, დახმარებას ცდილობ. მაგრამ ჩემთან ნუ მოხვალ. მე მივხვდი, რომ შენ გაქვს შენი ძალიან დიდი მინდორი. მაგრამ შენ ძალიან სწრაფად ფიქრობ, ისე სწრაფად, რომ მე ვერ ვასწრებ მის მაშინვე გაგებას. მხოლოდ მერე, მოგვიანებით ვიგებ ცოტ-ცოტას. შენ ყველაზე სწრაფად მოძრაობ. ჩიტზე და ნიავზე ბევრად სწრაფად. შენ ძალიან სწრაფად და კარგად აკეთებ ყველაფერს, მე მივხვდი, ეს იმიტომაა ასე საჭირო, რომ ყველაფერი მოასწრო, კარგი გააკეთო შენს ძალიან დიდ მინდორზე. მაგრამ, როცა შენ ჩემთან ხარ, გამოდის, შენ იქ არა ხარ. ესე იგი, როცა შენ ჩემთან ხარ, არავინაა კარგის მკეთებელი სხვა მინდორზე. წადი. შენთვის საჭიროა, მიხედო დიდ მინდორს.

ცისფერი სფერო შეიკუმშა პატარა გუნდად, აფრინდა ზეცისკენ. აფარფატდა სივრცეში, აკიაფდა ჩვეულებრივზე უფრო მკაფიოდ და ისევ მიიჭრა აგიზგიზებულ კომეტასავით, მჯდომარე ანასტასიასთან, გაირინდა მისი თავის გვერდით, უამრავი მოცახცახე სხივი გაემართა ანასტასიას გრძელი თმებისკენ და მიეალერსა მისი თმის თითოეულ ღეროს ცალ-ცალკე თმის ბოლო წვერომდე.

— რაღას აყოვნებ შენ? იჩქარე მათკენ, ვინც გელის შენ — წყნარად თქვა ანასტასიამ. — აქ კი მე თავადაც გავაკეთებ კარგად ყველაფერს. და მე მესიამოვნება ვიცოდე, რომ დიდ ველზეც ასევე ყველაფერი კარგადაა. მე შენ შეგიგრძნობ ხოლმე. შენც მე გამიხსენე ხოლმე, მაგრამ მხოლოდ ხანდახან გამიხსენე.

ცისფერი სფერო, როგორც ყოველთვის მსუბუქად არ მიცურავდა ზეცისკენ, იგი შორდებოდა ანასტასიას არათანაბარი ბიძგებით. მაგრამ მან მის გარშემო რაღაც უხილავი დატოვა. და ყოველთვის, როცა რაიმე უარყოფითი ხდება, ანასტასიასთვის არასასურველი, გარეშემო სივრცე ისე ირინდება, თითქოსდა

პარალიზებულიაო. აი, შენც, როცა გინდოდა შეხებოდი მას, მისი ნების წინააღმდეგ, გონება დაკარგე, იგი ხელის ზევით აწევით, აჩერებს ამ მოვლენას, როცა ასწრებს. მას უწინდებურად სურს, ყველაფერი თავად აკეთოს.

ჩვენ ვეკითხებოდით პატარა ანასტასიას: "რა ეშვებოდა მანათობელი მინდორზე, რას უწოდებ შენ მას?' იგი დიდი ხნით არც კი დაფიქრებულა, ისე მოკლედ გვიპასუხა:

— მას შეიძლება ეწოდოს "კარგი", ბაბუკოებო!

მოხუცი გაჩუმდა. მაგრამ მე მსურდა კიდევ, მომესმინა, თუ პატარა ანასტასია ტყეში როგორ ცხოვრობდა და ვკითხე:

— რაღას აკეთებდა იგი მერე, როგორ ცხოვრობდა?

— აი, ასე ცხოვრობდა, — მიპასუხა ბერიკაცმა. — იზრდებოდა, როგორც ყველა ადამიანი. ჩვენ შევთავაზეთ მას, დახმარებოდა მეაგარაკეებს. ექვსი წლიდან უკვე შეეძლო დაენახა მას ადამიანები შორ მანძილზე, ეგრძნო ისინი და დახმარებოდა მათ. გაიტაცა იგი მეაგარაკეებმა. მიაჩნია ახლა, რომ მეაგარაკეების ფენომენი — არის მდორე გადასვლა მიწიერი ყოფიერების არსის შეცნობისაკენ-შეგნებულობისაკენ. და აი, დაუღალავად ანათებდა იგი ოცი წლის განმავლობაში თავისი სხივით მცენარეებს პატარა ნაკვეთებზე, ათბობდა. ადამიანებს კურნავდა. ცდილობდა, თავსმოხვევის გარეშე აეხსნა ხალხისთვის, როგორ უნდა მოქცეოდნენ მცენარეებს. და ეს კარგად გამოსდიოდა მას. შემდეგ ადამიანთა ცხოვრების სხვა ასპექტებზეც დაიწყო დაკვირვება. აი, შენთან ბედმა შეახვედრა. და აი კიდევ ეს აზრი შექმნა: "გადაიტანოს ადამიანები ბნელ ძალთა დროის მონაკვეთს მიღმა".

— და რა, შესაძლოა, რომ მას ეს გამოუვიდეს? — ვკითხე მე.

— ვლადიმირ, ანასტასიამ იცის ადამიან-შემოქმედის აზრფიქრის ძალა და ასე უბრალოდ არ მისცემდა თავს უფლებას, ეს განეცხადებია. გამოდის, არის მასში ასეთი ძალა. ახლა იგი აღარ გადუხვევს ამ გზას, არ დაიხევს უკან. შეუპოვარია იგი, მამისაგან აქვს მას ეს.

— გამოდის, იგი მოქმედებს. თავისი იერ-სახეების წარმოქმნას ცდილობს, ჩვენ კი აქ სულიერებაზე ვმსჯელობთ, ოღონდ,

თითქოს წვინტლებს ვიწმენდთ, როგორც ბავშვები. ზოგიერთები კი საერთოდ მეკითხებიან მე: "ანასტასია არსებობს, თუ ყოველივე მე გამოვიგონე?"

— ადამიანებს არ შეუძლიათ ასეთი რამის შეკითხვა. ადამიანები მას მაშინვე შეიგრძნობენ, წიგნს როგორც კი შეეხებიან. იგი მასშიცაა. ასეთი შეკითხვების დასმა მხოლოდ ილუზორულ ადამიანებს შეუძლიათ, არანამდვილებს.

ილუზორული ადამიანები

— მე ვლაპარაკობ ყველაზე უფრო ნამდვილებზე, აი ისეთებზე, როგორიც ეს ორი გოგონაა. ხედავთ, — მივანიშნე ჩვენი მერხიდან ხუთი-ექვსი მეტრის მოშორებით მდგომ გოგონებზე.

მოხუცი ყურადღებით ჩააკვირდა მათ და თქვა:

— ვფიქრობ, ერთ-ერთი მათგანი, რომელიც ეწევა, არ არის ნამდვილი.

— ეს როგორ, ნამდვილი არ არის? ახლავე მივალ მასთან და ისე ამოვცხებ უკანალზე, აღშფოთებას ან გინებას, ნამდვილზე უფრო მეტს გაიგონებთ.

— იცი რა, ვლადიმირ, ახლა შენ, შენს თვალწინ ხედავ, მხოლოდ იერს. ტექნოკრატული სამყაროს დოგმებით შექმნილ ხატებას, დააკვირდი ყურადღებით. ქალიშვილს აცვია მოუხერხებელი ფეხსაცმელი მაღალ ქუსლებზე. ამასთან, ისინი ცოტას უჭერენ კიდეც. მას ასეთი ფეხსაცმელი იმიტომ აცვია, რომ ვიღაც სხვა კარნახობს, როგორი ფეხსაცმელია ახლა მოდური. აცვია ქვედა ბოლო ტყავის მსგავსი მასალისგან, მაგრამ იგი არ არის ბუნებრივი ტყავი, სხეულისთვის მავნეა, მაგრამ იგი მაინც იცმევს მას, რადგან ემორჩილება დიქტატს და უნდა, რომ შექმნას მისთვის სასურველი სახე. შეხედე, იგი გამომწვევად შეღებილი და ქედმაღალია. გარეგნულად დამოუკიდებელია. მაგრამ მხოლოდ გარეგნულად. მთელი მისი გარეგნობა არ შეესატყვისება ნამდვილს. სხვისი აზრებითა და ფორმებით ნაკარნახევმა სახებამ "დაფარა" მისი ნამდვილი სახე, იგი ილუზორულია,

სული არ გააჩნია, მან გადაფარა ცოცხალი სული. ამ ხატებას მისი სული ტყვეობაში ჰყავს.

— რაც გინდა ყველაფრის თქმაა შესაძლებელი სულზე, ტყვეობასა და დიქტატზე, რომელიღაც ხატებაზე, მაგრამ ასეა ეს თუ არა, გარკვევა ძნელია.

— დავბერდი უკვე მე, ვერ ვუწყობ შენი აზრ-ფიქრების სიჩქარეს. არ გამომდის დამაჯერებელი თქმა, როგორც ანასტასიას. — მოხუცმა ამოიხვნეშა და დაამატა: — შეიძლება, რომ ჩვენებას შევეცადო?

— რის ჩვენებას?

— ახლავე ვეცდები, დროებით მაინც გავანადგურო ილუზორული, უსიცოცხლო ხატება. გოგონას სული გავანთავისუფლო. შენ ყურადღებით ადევნე თვალი.

— სცადეთ.

მწეველი ქალიშვილი რაღაცას მკვახედ, ქედმაღლურად ეუბნებოდა თავის დაქალს. მოხუცი ყურადღებით და დაძაბულად ადევნებდა თვალს. და როცა ქალიშვილი მზერას აშორებდა თავის დაქალს და გადაჰქონდა რომელიმე გამვლელზე, მოხუცი მზერას მის მზერას აყოლებდა. შემდეგ იგი ადგა, ჟესტიკულაციით მიმანიშნა გავყოლოდი მას და გაემართა ქალიშვილებისკენ. მეც მივყევი. მოხუცი მათგან ნახევარ მეტრში გაჩერდა და დაჟინებით დაუწყო ცქერა მწეველს. მან თავი შემოაბრუნა მის მხარეს, მოხუცს სახეში მიაბოლა სიგარეტის კვამლი და გაღიზიანებულმა უთხრა:

— შენ რაღა გინდა, ბერიკაცო? ხომ არ მათხოვრობ?

მოხუცმა პაუზა დაიჭირა, ალბათ, შემობოლებული კვამლისგან გონს რომ მოსულიყო, და წარმოსთქვა ალერსიანი მშვიდი ტონით:

— აიღე, შვილო, სიგარეტი მარჯვენა ხელში. უნდა ეცადო, რომ მარჯვენა ხელში გეჭიროს ხოლმე.

და ქალიშვილმა მორჩილად მარჯვენა ხელში გადაიტანა სიგარეტი. მაგრამ ეს არ იყო მთავარი. მისი სახე უეცრად სრულიად სხვაგვარი გახდა. გაქრა ქედმაღლობა. საერთოდ

ყველაფერი შეიცვალა გოგონაში: სახეც, პოზაც და უკვე სულ სხვა ტონით წარმოსთქვა მან:

— მე შევეცდები, ბაბუა.

— გაჩენაა შენთვის საჭირო, შვილო.

— მე მარტოს გამიჭირდება.

— იგი მოვა შენთან. შენ წადი და იფიქრე საკუთარ ხელზე, იფიქრე საკუთარ ბავშვზე, და იგი მოვა. წადი, შვილო, აჩქარებაა შენთვის საჭირო.

— მე წავალ. — გოგონამ რამდენიმე ნაბიჯი გადადგა, მერე შეჩერდა და მიმართა რა თვის მეგობარს, წყნარი და არა ისეთი, როგორც წელან, გაღიზიანებული ხმით რომ დაუძახა მას, შეცბუნებულს:

— წამოდი, ტანეჩკა, ჩემთან ერთად.

ისინი წავიდნენ.

— წარმოგიდგენია! ასე ხომ თქვენ ნებისმიერი ქალის მოთვინიერებას შესძლებთ, — ვთქვი მე, როცა ჩვენ ისევ მერხზე ჩამოვსხედით. — დიდებულია. პირდაპირ რაღაც სუპერ-ჰიპნოზია. მისტიკაა!

— ეს ჰიპნოზი არაა, ვლადიმირ, აქ არანაირი მისტიკა არაა. ეს მხოლოდ ყურადღებიანი მოქცევაა ადამიანისადმი. სწორედ ადამიანის მიმართ, და არა სახიერების — გამოგონილის, რომელიც ჩრდილავს ნამდვილ ადამიანს. და ადამიანიც მაშინვე გამოგეხმაურება, ძალას იძენს, როცა სწორედ მას მიმართავენ, უვლი ილუზორულს რა გვერდს.

— მაგრამ როგორ შესძელით უხილავი ადამიანის დანახვა ხილული სახიერების მიღმა?

— ეს ყველაფერი ძალზედ მარტივია. გარწმუნებ. მე პატარა ხნით დავაკვირდი. ქალიშვილს სიგარეტი მარცხენა ხელში ეჭირა, თავის ხელჩანთაშიც რაღაცას მარცხენა ხელით ეძებდა. ესე იგი ცაციაა. თუკი პატარა ბავშვი კოვზს მარცხენა ხელში იკავებს ან სხვა რამეს აკეთებს, მშობლები ცდილობენ აუხსნან, რათა მარჯვენათი აკეთოს. მშობლებთან ის კარგად გრძნობდა თავს. ამას მივხვდი, შევნიშნე, როცა მან მზერა გამვლელ მამაკაცზე და ქალზე შეაჩერა, რომლებსაც პატარა გოგონასთვის

ჰქონდათ ხელი ჩაჭიდებული. მეც მას ის ფრაზა ვუთხარი, რომ-ლის თქმაც ბავშვობაში შეეძლოთ მშობლებს. შევეცადე, მეთქვა იმავე ტონით და ხმით, როგორადაც მშობლებს შეეძლოთ რომ მიემართათ მისთვის. როცა იგი პატარა იყო, უშუალო, ჯერ კიდევ სხვისი სახიერებით რომ არ იყო დაფარული, იგი, ის გოგონა, ნამდვილი ადამიანი, გამომეპასუხა კიდეც მაშინვე.

— მშობიარობაზე რომ ლაპარაკობდით, ეს რიღასთვის იყო?

— კი მაგრამ იგი ხომ ორსულადაა. უკვე თვეზე მეტია, ფეხმძიმედაა. უცხო ხატებას ეს ბავშვი არ უნდა. ხოლო გო-გონა-ადამიანს კი ძალიან სურს იგი. ჰო და აი, იბრძვიან ისინი. ახლა გოგონა-ადამიანი გაიმარჯვებს!

რატომ ვერავინ ხედავს ღმერთს

როცა მასთან ტაიგაში ვურთიერთობდი, ანასტასია, მეუბნე-ბოდა, ღმერთს იმიტომ ვერავინ ხედავს, რომ მისი აზრ-ფიქრები დიდი სიჩქარითა და სიმჭიდროვით მუშაობენ, აი, მე კი ვფიქრობ: რატომ არ სურს მას, დაამუხრუჭოს ისინი, რათა ადამიანებმა შესძლონ მისი დანახვა.

მოხუცმა ასწია ჯოხი და მიუთითა მიმავალ ველოსიპედისტზე:

— შეხედე, ვლადიმირ, ბრუნავს ველოსიპედის ბორბალი. ბორბალში გლუვი, ნემსა ჩხირებია, მაგრამ შენ მათ ვერ ხედავ. ისინი არსებობენ, შენ ეს იცი, მაგრამ ბრუნვის სიჩქარე მათი და-ნახვის საშუალებას არ გაძლევს, ანდა სხვანაირადაც შეიძლება ითქვას: შენი აზროვნების სიჩქარე, შენი მხედველობითი აღქმა, მათი დანახვის საშუალებას არ გაძლევს. თუ ველოსიპედისტი უფრო ნელა ივლის, შენ დაინახავ ბორბლის ნემსა ჩხირებს გადღაბნილად. თუკი იგი გაჩერდება, მაშინ შენ მათ მკაფიოდ დაინახავ, მაგრამ თავად ველოსიპედისტი დაეცემა. იგი ვერ მიაღწევს მიზანს, რამეთუ შეწყვიტა მოძრაობა და ეს ყველაფე-რი რის გამო? რათა შენ დაგენახა, რომ ის არის? მაგრამ რას მოგცემს შენ ეს? რა შეიცვლება შენში? შენს გარშემო?

შენ, დაბეჯითებით გეცოდინება მათი არსებობის შესახებ. და მხოლოდ ეს არის და ეს. ველოსიპედისტს შეუძლია, წამოდ-გეს და გააგრძელოს თავისი მოძრაობა, მაგრამ სხვებსაც ასევე

მოუნდებათ ნახვა, და ამის გამო, მას ისევ და ისევ მოუწევს დაცემა. და რის გამო?

— ვთქვათ, თუნდაც, ერთხელ მაინც რომ შევავლო მას თვალი.

— და რას დაინახავ? განა მიწაზე მწოლიარე ველოსიპედისტი უკვე ხომ აღარ იქნება ველოსიპედისტი. შენ იმის წარმოდგენა მოგიწევს, რომ იგი წარმოადგენდა მას.

ღმერთი, საკუთარი აზრ-ფიქრის სიჩქარის შემცვლელი, უკვე აღარ არის ღმერთი. განა უკეთესი არ იქნება, თავად შენ ისწავლო შენი აზრ-ფიქრის დაჩქარება? შენ, როცა ადამიანს ელაპარაკები და თანამოსაუბრე ძალიან ნელა აზროვნებს, განა

არ გაღიზიანებს ეს? განა, მტანჯველი არაა შენი აზრ-ფიქრის სიჩქარის შეჩერება, მის აზრ-ფიქრებთან შეწყობა?

— ხო, მართალია, სულელს რომ მხარი აუბა, შენც სულელად უნდა იქცე.

— აი ღმერთმაც, რათა ჩვენ, მისი დანახვა შევძლოთ, საჭიროა შეაჩეროს თავისი აზრ-ფიქრი ჩვენს დონემდე, გახდეს ისეთი, როგორებიც ჩვენ ვართ. თუმცა როცა იგი ამას აკეთებს, გვიგზავნის თავის ძეთ, მათი შემყურე ხალხის გროვა ამბობს: "შენ, ღმერთი არა ხარ, არა ხარ ძე ღვთისა, შენ თვითმარქვია ხარ. ან სასწაულები ქმენი, ანდა ჯვარცმულ იქნები".

— კი მაგრამ ძე ღვთისამ რატომაც არ უნდა ჩაიდინოს სასწაული?.. თუნდაც იმისთვის, რათა თავი დაანებონ მას ურწმუნოებმა და ჯვარზე არ აცვან.

— სასწაულები ურწმუნოებს კი არ არწმუნებენ, არამედ აცდუნებენ. და სასწაულთა მქმნელებს, კოცონზე წვავენ, ამასთან გაჰყვირიან: "ვწვავთ ბნელ ძალთა გამოვლინებას!" თუმცაღა ღვთის მიერ, მიმოიხედე გარშემო, სასწაული უთვალავი რაოდენობითაა ქმნილი. ამოდის მზე, ღამით — კი მთვარე, ბალახში მწერიც ხომ ასევე სასწაულია, ხეც...

აი, ჩვენ, ხის ძირში ვზივართ... ვინ მოიგონებს უფრო სრულყოფილ მექანიზმს, ვიდრე ეს ხეა? ეს მისი აზრ-ფიქრის ნატამალებია. მატერიალიზებულები, ცოცხლები, ჩვენს ფეხქვეშ მცოცავები, ზემოთ ლაჟვარდში მფრინავები, ჩვენთვის მომღერლები, თბილი სხივებით ეალერსებიან ჩვენს სხეულებს. ისინი მისია,

ისინი გარეშემოა, ჩვენთვისაა ისინი. განა ბევრს აქვს უნარი, არა მარტო დანახვის, არამედ შეგრძნების, გაცნობიერების? დაე, ნუ სრულყოფენ დაე, მხოლოდ ისარგებლონ, მაგრამ ნუ დაჯიჯგნიან, ნუ გაანადგურებენ მშვენიერ ცოცხალ ქმნილებებს. ხოლო რაც მის ძეთ ეხება, მათი ხვედრი ერთია– სიტყვებით აამაღლონ ადამიანთა ცნობიერება თავიანთ აზრ-ფიქრების შენელებით, და ამითი რისკზე წავიდნენ, რათა იყვნენ გაუგებარნი.

– აი, ანასტასია კი ამტკიცებდა: უბრალოდ მხოლოდ სიტყვების თქმა საკმარისი არ არის, რათა ადამიანის ცნობიერება მნიშვნელოვან დონემდე ამაღლდეს. მეც ასევე ვფიქრობ: სიტყვები, კაცობრიობამ უამრავი და სხავადასხვაგვარი

წარმოსთქვა, მაგრამ რა შეღავათი? უბედური ბედის ადამიანები გარშემო უამრავზე უამრავია, და შესაძლოა, კატასტროფაც მოხდეს დედამიწაზე.

– ყველაფერი სწორია. როცა სიტყვები სულიდან არ მოდის, როცა გაწყვეტილია სულთან მათი დამაკავშირებელი ძაფები, სიტყვები ცარიელია, საზიზღარი, უსახური. შვილიშვილში, ნასტენკაში არის უნარ-ნიჭი იმისა, რომ არა მხოლოდ ყოველ სიტყვაში, არამედ ყოველი ასო-ბგერის ჟღერადობაში შექმნას ხატ-სახეები. ამჟამად მიწიერი მასწავ-ლებლები, მისი ძეები, ვინც განსხეულებულნი არიან დღეს, ისეთ ძალას დაეუფლებიან, რომ ხალხთა სულიერება ბნელეთ-ზე გაბრწყინდება.

– ძენი, მასწავლებლები? ისინი, რაღა შუაში არიან აქ? უნარ-ნიჭი ხომ მხოლოდ ანასტასიას აქვს?

– იგი დაურიგებს მათ ყველას და უკვე არიგებს კიდეც. ხომ ხედავ, შენც კი შეძელი წიგნის დაწერა უკვე, მკითხველებმა მსოფლიო თავიანთი ლექსებით მოფინეს, ახალი სიმღერებიც აჟღერდა. შენ გესმის ახალი სიმღერები?

– დიახ, მესმის.

– ასე რომ, სულიერ მოძღვრებში ყველაფერი ეს ბევრად უფრო გამრავლდება, როგორც კი ისინი წიგნს შეეხებიან. და იქ, სადაც უბრალოდ სიტყვებია შენთვის, ისინი იგრძნობენ ცოცხალ ხატ-სახეებსაც და ძალებიც გაუმრავლდებათ მათ.

— ისინი იგრძნობენ, აბა მე? მე რა, მთლად უგრძნობი ვარ? მაშინ რატომაა, რომ მან ჩემთან ილაპარაკა და არა მათთან?

— შენ მოსმენილის გამრუდების, დამახინჯების უნარი არ გაქვს, და შენში არც ის არის, რომ საკუთარი მხრიდან რაიმე შემატო მას. სუფთა ფურცელზე მკაფიოდ იწერება წერილი. ასევე დაიწყებს შენშიც აზრ-ფიქრი აჩქარებას.

— კარგი, დაე, ჩემშიც ასევე აჩქარდეს, რათა სხვებს არ ჩამოვრჩე. საერთოდ, როგორც სჩანს. თქვენ ყველაფერს ზუსტად ამბობთ. აი, ჩვენთან, რუსეთში, არის სასულიერო ერთობის ლიდერი, რომლის წევრებიც მას თავიანთ მოძღვარს უწოდებენ, და აი, მან თავის მიმდევრებს უთხრა: "იკითხეთ, წიგნი ანასტასიას შესახებ, იგი თქვენ აგანთებთ". და ბევრი მისი მიმდევარი ყიდულობს წიგნს.

— გამოდის, გაიგო მან, შეიგრძნო, ამიტომაც დაეხმარა ანასტასიასაც და შენც. შენ მადლობა მაინც თუ გადაუხადე მას დახმარებისთვის?

— მე მას არ შევხვედრივარ.

მადლობის თქმა სულითაცაა შესაძლებელი.

— უხმოდ? განა ვინ გაიგონებს მას?

— სულით მსმენელი გაიგებს.

— აქ, კიდევ, ერთი ნიუანსიცაა. წიგნზე მან ყველაფერი კარგი თქვა, ანასტასიაზეც. მე კი 'არანამდვილი მამაკაცი" მიწოდა... "არ შეხვდა ანასტასიას ნამდვილი მამაკაციო",— თქვა მან. თავად მოვისმინე ტელევიზორით, მერე გაზეთშიც წავიკითხე.

— თავად შენ, როგორად თვლი საკუთარ თავს, სრულყოფილად?

— შესაძლოა, სრულყოფილად არც ვთვლიდე, მაგრამ...

— მაშინ არ ღირს განაწყენება. შენ ესწრაფე, გახდე იგი. შვილიშვილი დაგეხმარება შენ. სიმაღლეში ასვლას ისინი შესძლებენ, ვის სიყვარულსაც აქვს აყვანის უნარი. ყველას არ უწერია ასეთი რამის გაფიქრების უნარი. შემოქმედს აზრ-ფიქრის უჩვეულო სიჩქარე ესაჭიროება.

— თქვენი აზრ-ფიქრი, როგორი სიჩქარით მუშაობს? თქვენთვის დამტანჯველი ხომ არ არის ჩემთან საუბარი?

— ყოველი იმ ადამიანის, როგორსაც ჩვენ, აზროვნების სიჩქარე, რომელიც ცხოვრების ისეთ წესს ეწევა, მნიშვნელოვნად აღემატება ტექნოკრატული ადამიანების სიჩქარეს. ჩვენს აზრ-ფიქრს არ ამუხრუჭებენ მუდმივი პრობლემები ჩაცმისა, კვებისა და უამრავი სხვა რამეებისა. მაგრამ ჩემი შვილიშვილისადმი სიყვარულის წყალობით მე არ მტანჯავს შენთან ლაპარაკი. მან ასე მოისურვა. და მე მიხარია,რომ მისთვის რამე მაინც გავაკეთო.

— ანასტასიას აზროვნების როგორი სიჩქარე აქვს, როგორც თქვენ და მამათქვენს?

— ანასტასიას იგი უფრო მაღალი აქვს.

— რამდენად? როგორი შეფარდებით? აი, იმაზე, რის მოფიქრებასაც მოანდომებს ის ათ წუთს, თქვენ რამდენი წუთი დაგჭირდებათ?

— იმის გასაცნობიერებლად, რასაც იგი წამში წარმოქმნის, ჩვენ რამდენიმე თვე გვჭირდება. ამიტომაც გვეჩვენება ხანდახან ჩვენ იგი ალოგიკური. ამიტომაცაა იგი სრულიად მარტოდმარტო. ამიტომაც არ შეგვიძლია არსებითად მისი დახმარება, რადგან უცებ ვერ ვხვდებით მისი მოქმედების არსს. მამაჩემმა თითქმის შეწყვიტა საუბარი, სულ ცდილობს, მის სიჩქარეს მიაღწიოს, რათა დაეხმაროს მას. მეც მაიძულებს. მაგრამ მე არ ვცდილობ. მამას მიაჩნია, რომ ეს სიზარმაცისგანაა. მე კი ძალიან მიყვარს შვილიშვილი და უბრალოდ დავიჯერე, რომ იგი ყველაფერს სწორად აკეთებს, სიამოვნებით ვუსრულებ, თუკი რამეს მთხოვს. აი, შენთან ჩამოვედი.

— კი მაგრამ, ანასტასია სამი დღის განმავლობაში როგორღა მესაუბრებოდა?

— ჩვენც ასევე კარგა ხანს ვფიქრობდით, თუ როგორ ახერხებდა ამას? ხომ შეიძლებოდა ჭკუიდან გადასვლა. მხოლოდ ახლახან მივხვდით. შენთან საუბრისას იგი კი არ აჩერებდა თავის აზრ-ფიქრს, არამედ პირიქით, კიდევ უფრო აჩქარებდა მას. ააჩქარა და გარდასახა ისინი ხატ-სახეებად. ახლა ისინი, როგორც თქვენი კომპიუტერული პროგრამები, გადაიშლებიან შენს წინაშე და მათ წინაშეც, ვინც წიგნის კითხვას დაიწყებს. წარმოაჩენენ და ააჩქარებენ ნახტომისებურად ადამიანთა აზრო-

ვნების სვლას, მიუახლოვებენ რა მათ ღმერთისას. როცა ჩვენ ამას მივხვდით, დავასკვენით, რომ ასეთი რამის გამოგონებით, მან სამყაროში ახალი კანონი შექმნა. ახლა უკვე ნათელია, მან, უბრალოდ, ისარგებლა აქამდე უხილავი სუფთა და გულწრფელი სიყვარულის შესაძლებლობით. სიყვარული მაინც ისევ ისე დარჩა, შემოქმედის გამოცანად. ჰო და, აი, ახადა მან ფარდა სიყვარულის კიდევ ერთ უდიდეს შესაძლებლობას და ძალას.

— და განა მისი აზროვნების სიჩქარე იძლევა ღმერთის დანახვის საშუალებას?

— ნაკლებ სავარაუდოა, იგი ხომ სხეულშიც ცხოვრობს. ღმერთიც სხეულშია ასევე, მაგრამ მხოლოდ სანახევროდ. და სხეული მისი — ეს დედამიწის ყველა ადამიანია. ანასტასია, როგორც მცირე ნატამალი ამ სხეულის, ხანდახან, ჩასწვდება ხოლმე რაღაცას. შესაძლოა, ხანდახან აღწევს რა აზროვნების წარმოუდგენელ სისწრაფეს, იგი შეიგრძნობს მას უფრო მეტად, ვინემ სხვები, მაგრამ ასეთი რამ მის თავს დროის მოკლე მონაკვეთებში ხდება.

— და, ეს მას რას აძლევს?

— ჭეშმარიტებებს, ყოფიერების არსს, შეგნებულობას-შემეცნებულობას, რომელიც ბრძენთათვის, მთელი ცხოვრების მანძილზე მიიღწევა ერთმანეთისთვის სწავლების გადაცემით და სრულყოფით, მისთვის ერთ წამში მიიღწევა.

— და რა, აღმოსავლეთის ლამათა ცოდნა, ბუდას და ქრისტეს სიბრძნე, იოგა, — იცის მან?

— იცის. იცის იმაზე მეტი, რაც თქვენამდე მოღწეულ ტრაქტატებშია მოცემული. მაგრამ მათ არასაკმარისად თვლის, რადგან დღეს, დედამიწაზე ყველა მცხოვრებთა შორის, არ არის ჰარმონიულობა და გრძელდება კატასტროფისკენ სვლა.

და, ამიტომაც აყალიბებს იგი თავის წარმოუდგენელ კომბინაციებს. ამბობს: "გეყოთ, ადამიანთა დოგმატებით სწავლება, გეყოთ მათი შეცდენა ადამისა და ევას ვაშლით. საჭიროა, მივცეთ მათ შეგრძნების საშუალება, ზუსტადაც, რომ შეიგრძნონ ის, რასაც გრძნობდა ადამიანი ადრე, რა შეეძლო მას და ვინ არის იგი".

— გამოდის, თქვენ გინდათ სთქვათ, რომ მას ნამდვილად შეიძლება გამოუვიდეს თითოეულ ადამიანისთვის რაიმე კარგის გაკეთება? თუ ეს ასეა, მაშინ — როდის დაიწყება ეს კარგი?

— ეს უკვე დაიწყო, ჯერ მხოლოდ პატარა ყლორტებია, მაგრამ ეს მხოლოდ ჯერ-ჯერობით.

— სადაა ისინი? როგორ დავინახოთ და? ვიგრძნოთ?

— ჰკითხე მათ, ვინც წიგნს კითხულობს, ისინი მათშია, ის ხომ ბევრში იწვევს ნათელ გრძნობებს. ამის უარყოფა აღარ შეიძლება უკვე, შენ ამას მრავალი დაგიდასტურებს. გამოუვიდა მას მინიშნებებთან დაკავშირებით. დაუჯერებელია, მაგრამ გამოუვიდა. შენ კი, ვლადიმირ, თავად დაფიქრდი, ვინ იყავი და ვინ გახდი? აი, ვლადიმირ, გაშლა ხდება შენში ხატ-სახების პროგრამის, ადამიანებშიც ხდება გაშლა მისი სულის. სამყარო იწყებს თქვენში შეცვლას, ცვლის რა გარემომცველ ხატ-სახეებს. ჩვენ ვერ ვწვდებით ბოლომდე, თუ, როგორ ახერხებს იგი მას. იმაში გარკვევა, რაც ზედაპირზე დევს და აშკარაა, შესაძლებელია, ხოლო ის, თუ რა ეხმარება მას, განახორციელოს ეს ცხადი, გამოცანად რჩება.

შეიძლება, რა თქმა უნდა, გაძლიერებულად ეცადო მის ამოცნობას, მაგრამ არ გინდა, ყურადღების გადატანა მშვენიერებისგან, დაბადებული სიცხადისგან. საჭიროა ტკბობა აისის სიმშვენიერით. როცა იწყებ დალაგებას, რატომ ხდება ეს, მოხიბლვით ტკბობის ნაცვლად იღებ ტვინის ჭყლეტას — არაფერთან მიმყვანს, არაფრის შემცვლელს.

— წარმოგიდგენია, როგორი უჩვეულო და რთული ყოფილა ყველაფერი. მე მაინც ვიმედოვნებდი, რომ ანასტასია განდეგილია, მხოლოდ უაღრესად კეთილი, ლამაზი და ცოტათი გულუბრყვილო.

— აბა, განა არ გეუბნები შენ, რომ არ არის საჭირო-მეთქი ქექვა, ნუ გამოიტენი თავს; თუ რთულია, დაე, დარჩეს იგი შენთვის ლამაზ, კეთილ განდეგილად, რადგან ასეთად წარსდგა შენს წინაშე. სხვები სხვას დაინახავენ. შენ მოგეცა ის, რაც მოგეცა. სხვაგვარს ეს შენი ცნობიერება ჯერ-ჯერობით ვერც დაიტევს, და ეს კარგიცაა. ეცადე, უბრალოდ დატკბე განთიადით, თუკი შესძლებ. ესაა მთავარი ყველაფერ ამაში.

განთიადი რუსეთში

რუსეთში ყველასათვის დაიწყება გამონათება, როდესაც მატერიალურად უკეთესად იცხოვრებს თითოეული. ეკონომიკა მთლიანად გამოკეთდება და თითოეულს უფრო მეტი შეძლება ექნება.

— მთელი მატერიალური გარემოცვა დამოკიდებულია ადამიანის სულისკვეთებასა და ცნობიერებებზე.

— დაე, ასეც იყოს, აბა რა ხეირია ბრძნული ფილოსოფოსობიდან, როცა გშია ან ჩასაცმელი არ გაქვს.

— გააცნობიერო უნდა, რისგან ხდება ყოველივე ეს. თითოეულმა გაიაზროს. დამოუკიდებლად. და არ ეძიოს დამნაშავეები თავისთავის გარეთ. მხოლოდ საკუთარ თავში ცვლილებები შეცვლიან ყველაფერს გარეშემო, მათ შორის, შეძლებასაც. მე გეთანხმები იმაშიც, ერთბაშად ყველა ადამიანი ვერ შესძლებს ამის დაჯერებას. მაგრამ ანასტასიამ ხომ სთქვა: "ჭკუის სწავლებების გარეშეა საჭირო. საჭიროა, უბრალოდ დაანახო ადამიანებს". და დაანახა. ახლა შენ შეასრულო უნდა მის მიერ დასახული. აი, მაშინ, სამი წლის შემდეგ დიდი, პატარა, დავიწყებული, მიტოვებული ციმბირული დასახლებები, სადაც მხოლოდ მოხუცებია დარჩენილი, რომლებთანაც შვილები არ ესწრაფვიან სტუმრად მისვლას, მდიდრები გახდებიან და ბევრად უფროც. მათში სიცოცხლე წყაროდ ამოხეთქს და ბევრს დაუბრუნდება შვილი. შემდგომშიც ბევრ რამეს მოგვართმევს იგი. გახსნის ბევრ საიდუმლოებებს, დააბრუნებს პირველწყაროთა ცოდნას და ადამიანთა უნარ-ნიჭს. რუსეთი იქნება უმდიდრესი ქვეყანა. და ანასტასია იმისთვის გააკეთებს ამას, რათა დაამტკიცოს: სულიერება, ცოდნა პირველწყაროთა უფრო მნიშვნელოვანია, ვინემ ტექნოკრატიის ჭიფჭვები. რუსეთიდან ამოვა ახალი განთიადი მთელს დედამიწაზე.

— და ასე რომ იყოს, მე რა უნდა გავაკეთო ამისთვის?

— შვილიშვილის მიერ შენთვის გაცხადებული პირველი საიდუმლო გააცხადე. შენს წიგნში მოყევი, როგორაა საჭირო

სამკურნალო ზეთის მიღება კედრის წიპწიპოსაგან და არაფერი დაფარო.

უცებ, აღშფოთებისგან, ჩემში ყველაფერი ისე აიმღვრა, სუნთქვაც კი შემიჩერდა. ჯდომაც არ შემეძლო. წამოვხტი.

— რისთვის? რისთვის უნდა გავაკეთო მე ეს? ყველასთვის. უფასოდ. ნებისმიერი ნორმალური ადამიანი იდიოტად ჩამთვლის.

მე ექსპედიცია შევკარი, უკანასკნელი, რაც კი გამაჩნდა, საქმეში ჩავდევი. ახლა ფირმაც გაკოტრებულია. მთხოვა წიგნის დაწერა ანასტასიამ, მე დავწერე. ახლა ბარი-ბარში ვართ ჩვენ. თქვენი სწრაფვები, ფილოსოფია არც ისე გასაგებია ჩემთვის. მე უბრალოდ ვაყალიბებ მათ, რადგან ასე დავპირდი ანასტასიას. აი, რაც შეეხება ზეთს, ჩემთვის ყველაფერი გარკვეულია. მასში — ახლა უკვე ვიცი — რამდენის აღებაა შესაძლებელი. ზეთის ტექნოლოგიას არავისაც არ მივცემ. წიგნებისგან ცოტა ფულს შევაგროვებ და თავად შევუდგები

მის წარმოებას. ჩემთვის საჭიროა ყველაფრის აღდგენა. თბომავალი უნდა დავიბრუნო, ფირმაც. კომპიუტერ — ნოუთ-ბუქი ვიყიდო, რათა შემდეგი წიგნი ავაწყო.

ახლა უკვე სახლიც აღარ მაქვს. არსად არ მაქვს საცხ-ოვრებელი. მინდა მოძრავი, საცხოვრებელ-მისაბმელი ვიყიდო. ხოლო, როგორც კი გავმდიდრდები, ძეგლი მინდა დავუდგა რუსეთის ოფიცრებს, ჯერ კიდევ ცოცხლებს, ოღონდ სასიკვ-დილოდ დაჭრილი სულის პატრონებს. სხვადასხვა დროებებ-ში მათ სულებს ჩვენ ჩვენი უსულგულობით ვგლეჯდით, მათ ღირსებასა და სინდისს ბღალავდნენ ადამიანები, ის ადამიანები, ვისი გულისთვისაც ბრძოლაში მიდიოდნენ ყველა დროების ოფიცრები.

სანამ თქვენ იქ, ტყეში, მშვიდად ზიხართ, აქ ადამიანები იღუპებიან. გარშემო სავსეა სხვადასხვა 'სასულიერეები". ყვე-ლანი მხოლოდ სულიერებაზე საუბრობენ, რაიმეს კეთება კი ძალიანაც არ სურთ. აი, მე გავაკეთებ მაინც რამეს. აქ კი, მიეცი! ისე, სულ ტყუილად! ყველას! არა, ბატონო! ვერ მივართვი!

— კი მაგრამ ანასტასიამ შემოსავალი შენც ხომ განგიპირობა. მე ვიცი — სამი პროცენტი ზეთის გაყიდვისგან.

— რაა ჩემთვის ეს ქეციანი სამი პროცენტი, როცა ზეთში შეიძლება სამასი მიიღო! მე ახლა უკვე ვიცი მსოფლიოს ფასები. ისინი კი სამკურნალოდ ბევრად სუსტს ყიდიან. მე შევამოწმე. მათ არ იციან, როგორ უნდა მიიღონ სწორად. ახლა, მხოლოდ მე ვიცი მარტო. ყველაფერი დადასტურდა, რაც მან სთქვა. მკურნალობის თვალსაზრისით მსოფლიოში მისი ანალოგი არ არსებობს, ოღონდ, თუკი ყველაფერს სწორად გააკეთებ, მეცნიერებაც კი ამას ადასტურებს. პალლასმა სთქვა, რომ მას აქვს ახალგაზრდობის დაბრუნების უნარი. ყველაფერი მიეცი ისე, არაფერში. მნახეს სულელი. იმდენი ლიტერატურა გადავქექე, არქივში ვაგზავნიდი ადამიანებს, რათა დაედასტურებინათ, რაც მან სთქვა. დაადასტურეს კიდეც. ამაშიც უამრავი სახსრები წავიდა.

— სულ ამოწმებდი, ანასტასიასათვის მაშინვე რომ დაგეჯერებია, ვერ შეძელი, ფულები დახარჯე, ურწმუნობის გამო დრო დაკარგე.

— დიახ, ვამოწმებდი. ესე იგი, ასე იყო, საჭირო. მაგრამ ახლა აღარ ვიქნები სულელი. "გამონათება ყველასთვის", აბა რა, — "გამონათება", მე ამ გამონათებაში სულელად დავრჩები. მე წიგნი დავწერე. ყველაფერი ისე, როგორც მან მთხოვა. მახსოვს, იგი როგორც მიმტკიცებდა: "შენ არაფერი დამალო — არც ცუდი, არც კარგი. მოთოკე შენი ამპარტავნება, ნუ შეგეშინდება, იყო სასაცილო, გაუგებარი". მე არ დამიმალავს და რა გამოვიდა? იდიოტად გამოვიყურები. ამის შესახებ პირშიც კი მეუბნებიან, რომ არა სულიერი ვარ, რომ ბევრი რამ არ მესმის. უკულტუროც ვარ, უხეში. კოლომნიდან ერთმა ცამეტი წლის გოგონამაც კი მომწერა: არ შეიძლებაო ასე. ერთმა ქალმა, პერმიდან ჩამოვიდა და პირდაპირ ზღურბლიდან მითხრა: "მინდა შევხედო, რა იპოვა მასში ანასტასიამ". "არაფერი არ დამალო არც ცუდი, არც კარგი. მოთოკე შენი ამპარტავნება. ნუ შეგეშინდება, იყო სასაცილო, გაუგებარი". მან ხომ იცოდა ყველაფერი! თავად კარგი გამოვიდა წიგნში, — ასე ამბობს ხალხი, — მე კი

როგორი? და ყველაფერი ეს მის გამოა! ბავშვი რომ არა, ასეთი საქმეებისთვის კარგ რამესაც "გამომრჩებოდა"... ამას დამიხედეთ! მე გულწრფელად, როგორც მთხოვა, ყველაფერს ვწერდი და მევე მეუბნებიან: "უგრძნობი და ლაჩარი ხარო". რა თქმა უნდა, სრული იდიოტი ვარ, ასეთი რამ თავად მე მოვუწყვე საკუთარ თავს. დავემორჩილე მას. საკუთარ თავზე თავად დავწერე ასეთი რამეები, ახლა კი ამ თავისმოჭრას ვერ ჩამოვირეცხავ სიცოცხლის ბოლომდე. და მერე, როცა მოვკვდები, ყველანი მე დამცინოდეს იქნება. ეს წიგნი სიცოცხლისუნარიანი აღმოჩნდა. ჩემზე მეტს იცოც-ხლებს. ის კი არა დაბეჭდვაც რომ შევწყვიტო, მერე რა ხეირი? იატაკქვეშეთში "შტამპავენ" უკვე ტირაჟებს. ქსეროქ-სით ცდილობენ გამრავლებას.

როცა მოხუცს შევხედე, უცებ, გავხევდი. მისი თვალებიდან ნელ-ნელა მოგორავდა ცრემლი. მე გვერდით ჩამოვუჯექი. იგი მდუმარედ იცქირებოდა ქვემოთ, შემდეგ ალაპარაკდა:

— გაიგე, ვლადიმირ, ჩემს შვილიშვილ ნასტენკას ბევრი რამის განჭვრეტა შეუძლია. თავისთვის არც არაფერი მოუსურვებია. არც დიდება, არც შემოსავალი. დიდების ნაწილი თავისთავზე აიღო, განსაცდელში ჩავარდა, მაგრამ შენ გადაგარჩინა. და ისიც, რომ შენ ასეთად გამოიყურები წიგნში, როგორც არის, მისი დამსახურებაა. ეს ზუსტია. მაგრამ ამით შენი დამცირება კი არა, გადარჩენა შესძლო. აიღო რა თავის თავზე ბნელ ძალთა უზარმაზარი ხროვა. მარტომ. შენ კი პასუხობ მას გაუგებრობის ტკივილით, გაღიზიანებით. დაფიქრდი, ადვილია კი ქალისთვის გაძლება, რომელიც მხოლოდ სიყვარულის გამო ქმნის.

— რა სიყვარულია ასეთი ეს, როცა საყვარელი ადამიანი სულელად გამოიყურება?

— *ის კი არ არის სულელი, ვისაც ასე უწოდებენ. არამედ იგი, ვინაც მლიქვნელურ სიტყვებს ისე აღიქვამს, როგორც ჭეშმარიტებას.* დაფიქრდი, ადამიანების წინაშე, როგორი გსურდა, წარმდგარიყავი? ყველაზე ამაღლებულად? ძალზედ ჭკვიანი? და ყოველივე ამის გაკეთება შესაძლებელი იყო პირველ წიგნშივე. მაგრამ მაშინ... ამპარტავნება, თვითდაჯერებულობა გაგანადგურებდა შენ. ბრძენთაგანაც კი, ცოტამ თუ შესძლო, ასეთ

ცოდვებს წინ აღსდგომოდა. ამპარტავნება ქმნის ადამიანის ხატ-სახებას არანატურალურს და იგი ცოცხალ სულს აბნელებს. აი ამიტომაცაა, რომ წარსულის ფილოსოფოსებმა და დღევანდელმა გენიოსებმა ცოტა რამის შექმნა რომ შესძლეს. ასე ვთქვათ, შექმნიან თუ არა პირველ შტრიხს, მაშინვე კარგავენ, თვითკმარობით გარემოცულნი, იმას, რაც მათ მიცემული ჰქონდათ დასაწყისშივე. მაგრამ ჩემმა შვილიშვილმა ნასტენკამ მლიქვნელობის, თაყვანისცემის წინაშე, რომელიც ამპარტავნებას ბადებს, სიბრძნე ეყო და ზღუდე აღუმართა. შენ, ახლა ისინი, უკვე ველარ მოგწვდებიან. კიდევ ბევრი განსაცდელისგან გფარავს იგი შენ. შენს სულსაც და სხეულსაც უფრთხილდება, დაწერ შენ გულწრფელ ცხრა წიგნს. დედამიწა სიყვარულის სივრცით გაბრწყინდება! *და მაშინ, წერტილს დასვამ რა მეცხრე წიგნზე, შესძლებ მიხვედრას, ვინა ხარ შენ.*

— განა, რა? ახლა არ შეიძლება ამისი თქმა?

— ახლა ვინცა ხარ, არა არის თქმა ძნელი. შენ ხარ ის, ვინც ახლა ხარ. შენ ხარ ის, როგორადაც შეიგრძნობ თავს. ვინ გახდები, შესაძლოა, იცის ანასტასიამ. და დაიცდის, იცხოვრებს რა სიყვარულით ყოველ წამს. ხოლო, ლაჩარი ხარო, რომ გეუბნებიან ბინებში მსხდომნი, ეს არაფერია. შენ იუმორით შეგეხედა მისთვის. ურჩიე მათ აღჭურვილობის გარეშე სამი დღით ტაიგაში წასვლა, დათვთან ბუნაგში გამოძინება... შეგრძნებების სისრულისათვის თან წაიყოლიან ჭკუანაკლული, — განა ზუსტად ასეთად არ მოგეჩვენა ანასტასია თავიდან?

— ხო, დაახლოებით.

— დაე, განმკითხავმა, სცადოს დაძინება თავის ჭკუანაკლულ ქალთანამგზავრთან უღრან ტყეში, მგლების ყმუილის ქვეშ. შესძლებს? როგორ ფიქრობ? — რაღაცნაირი სიეშმაკით მითხრა მოხუცმა.

მე კი უცებ, მის მიერ აღწერილი სურათი რომ წარმოვიდგინე, ისე გადავიხარხარე... და ჩვენ, მე და ბერიკაცი ერთად ავხარხარდით. შემდეგ მას ვკითხე:

— ანასტასიას შეუძლია იმის მოსმენა, რასაც ჩვენ ვლაპარაკობდით?

— იგი გაიგებს ყველა შენს ქმედებას.

— მაშინ უთხარი მას, დაე, ნუ ინაღვლებს. მე მოვყვები ყველასთვის, თუ როგორ უნდა სამკურნალო ზეთის მიღება კედარისაგან.

— კარგი, ვეტყვი,— დამპირდა მოხუცი. — შენ კი, ყველაფერი გახსოვს ზეთის შესახებ, რაც ანასტასიასაგან მოისმინე?

— ჰო, ვფიქრობ, რომ ყველაფერი.

— მაშ, აბა გაიმეორე.

როგორ მივიღოთ სამკურნალო ზეთი კედრისაგან

საერთოდ რთული არ არის მისი მიღება. თანამედროვე ტექნოლოგიაც ცნობილია. მას აღარ ჩამოვაყალიბებ. მაგრამ არის ნიუანსები, არც ისე ჩვეულებრივი, მათზე ვიტყვი.

გირჩების შეგროვებისას არ შეიძლება კედარს ხის ჭოკებითა და მორებით ურტყათ, როგორც დღეს აკეთებენ შემგროვებლები. ასეთ შემთხვევაში ზეთის სამკურნალო თვისებები მკვეთრად იკლებს. მხოლოდ იმ გირჩებით უნდა ვისარგებლოთ, რომლებსაც კედარი თავად იძლევა. გირჩები ქარის დროს ცვივა, მაგრამ ხმითაც შეიძლება მათი ჩამოგდება ისე, როგორც ამას ანასტასია აკეთებს. მიწიდანაც ისინი უბოროტო ადამიანებმა უნდა აკრიფონ. და კარგია, როცა გირჩას ბავშვის ხელი კრეფს. საერთოდ, საჭიროა, ყოველივე მომდევნოს კეთება, კეთილი და ნათელი ზრახვებით.

“ასეთი ხალხი ციმბირულ სოფლებში დღესაც მოიძებნებიან”,— ამტკიცებდა ანასტასია. ამას რა მნიშვნელობა აქვს, ძნელი სათქმელია. მაგრამ ბიბლიაშიცაა ნათქვამი, რომ მეფე სოლომონი ეძებდა ადამიანებს, რომლებმაც ხის ჭრის წესები იცოდნენ. მხოლოდ ნათქვამი არ არის, ჩვეულებრივი ადამიანებისგან რითი განსხვავდებოდნენ ისინი.

გირჩების ჩერჩნის შედეგად მიღებული თხილი, ზეთის გამოსაყვანად, აუცილებლად გამოყენებულ უნდა იქნას, არა უგვიანეს სამი თვისა, შემდგომში ხარისხი მკვეთრ გაუარე-

სებას დაიწყებს. გამოწურვისას არ შეიძლება, რომ წიპწიპოს გული ლითონს შეეხოს. საერთოდაც, ზეთი ლითონს არ უნდა ეხებოდეს.

დაავადებას იგი, ნებისმიერს კურნავს – დიაგნოზის დასმა არ არის საჭირო, მისი მოხმარება შეიძლება, როგორც საკვები პროდუქტის, სალათებზე მოსხმით. შესაძლოა დღეში თითო კოვზის მიღება. უკეთესია მზის ამოსვლისას. შეიძლება დღისით, დღის შუქზე, და არა ღამე, ესაა მთავარი.

– "ოღონდ ფალსიფიცირებულიც შეუძლიათ შესთავაზონ ხალხს", – ვუთხარი ბერიკაცს.

ის კი, რაღაც მხიარული სიეშმაკით და იუმორით მპასუხობს:

– ჩვენ ახლა ერთად აღვმართავთ გაყალბების საწინააღმდეგო ზღუდეს. და გამოვიმუშავებთ შენს პროცენტებს.

– როგორ აღვმართავთ?

– ფიქრია საჭირო, შენ ხომ მეწარმე ხარ.

– ვიყავი, მაგრამ ახლა გაურკვეველია, ვინ ვარ.

– მოდი, ერთად გავიაზროთ, შენ შემისწორე, თუკი რამე ისე არ იქნება.

– მოდით.

– დაე, საბოლოო პროდუქტი ხელსაწყოებით მათ შეამოწმონ, ვისაც კვალიფიციურად შეუძლია შემოწმება – ექიმებმა, მეცნიერებმა, საერთოდ სპეციალისტებმა.

– კი, სწორია, ისინი სერთიფიკატს მოგვცემენ.

– მაგრამ ყველაფრის დაფიქსირებას ხელსაწყო ვერ შესძლებს, კიდევ, საჭიროა დაგემოვნებაც.

– შესაძლოა. ღვინის ხარისხს დეგუსტატორები ადგენენ. ვერაფერი შეცვლის მათ. მაგრამ დეგუსტატორებმა ღვინის გემო ბრწყინვალედ იციან. მათ უბადლო ყნოსვა აქვთ. ზეთს კი, ვინ გაუკეთებს დეგუსტირებას?

– შენ შეამოწმებ.

– აბა, მე ამას როგორ ვიზამ? მე მხოლოდ ჩვეულებრივ ზეთს ვღებულობ, როცა ჩვენ კედარის ზეთს ვამზადებდით, იმ ტექნოლოგიას არ ვიცავდით, ისეთს, როგორსაც ანასტასია ამბობდა. ამასთან მე ვეწევი,

— ზეთის დეგუსტაციის წინ სამი დღე არ უნდა მოსწიო და სპირტიანი სასმელი არ უნდა დალიო, ხორცი და ცხიმი არ უნდა მიიღო. სამი დღის განმავლობაში არავის არ უნდა დაელაპარაკო. შემდეგ გასინჯავ და შესძლებ, გემოთი განსაზღვრო, ნორმალურია ის თუ ფალსიფიცირებული.

— რასთან შევადაროთ?

— აი ამასთან. — მოხუცმა ტილოს ჩანთიდან დაახლოებით ორი თითის სიმსხო ხის ჯოხი ამოიღო. მასში ერთი მხრიდან ამოშვერილი იყო სხვა ჯოხი, როგორც საცობი, — აქ ნამდვილი ზეთია. გასინჯე, მისი გემო არაფერში არ აგერევა. მაგრამ, მოდი, ჯერ მე ვცდი, განვდევნო შენგან ის, რაც დაგიგროვდა მოწევისა და თქვენი სხვადასხვანაირი რაღაცეებისიგან.

— როგორ "განდევნო"? როგორც ანასტასია აკეთებდა?

— ხო, დაახლოებით ისე.

— მაგრამ, იგი ხომ ამბობდა, რომ მხოლოდ სიყვარულის მქონეს აქვს უნარი, სიყვარულის სხივით ტკივილები მოაშოროს საყვარელ ადამიანს. მისი სხეულიც გაათბოს ისე, რომ ფეხებიც გაუოფლიანდეს.

— სიყვარულის სხივით. ყველაფერი სწორია.

— მაგრამ თქვენ ხომ არ შეგიძლიათ, მე გიყვარდეთ ისე, როგორც მას.

— მაგრამ, მე შვილიშვილი მიყვარს. მოდი, ვცადოთ.

— მოდით.

მოხუცმა თვალები მოჭუტა და დაჟინებით ჩამაცქერდა, თვალდაუხამხამებლად. სხეულში სითბომ დამიარა, მაგრამ ბევრად უფრო სუსტმა, ვინემ ანასტასიას ცქერისას. არ გამოსდიოდა მას. მაგრამ იგი მაინც ცდილობდა ისე, რომ ხელებიც კი უკანკალებდა. ოდნავ კიდევ შემიხურდა სხეული, ეს იყო და ეს. მოხუცი მაინც არ ნებდებოდა, მეც ვიცდიდი. და უეცრად ფეხები გამიოფლიანდა, შემდეგ თავი გამონათდა, სურნელი... მე სურნელი შევიგრძენი ჰაერში.

— ოჰ, გამოვიდა, — სთქვა დაღლილად, მერხზე ზურგით მიყრდნობილმა მოხუცმა. — ახლა ხელი მომეცი.

მან მოხსნა საცობი-ჯოხი და უფრო მსხვილი ჯოხიდან გადმომისხა ხელისგულზე კედარის ზეთი. მე იგი ხელიდან ავლოკე, – სასაზე და პირის ღრუში სასიამოვნო სითბომ დამიარა. და უცებ კედარის სუნიც შევიგრძენი. მისი არევა კი რაიმესთან, ძნელი იყო.

– ახლა დაიმახსოვრებ? – მკითხა მოხუცმა.

– დავიმახსოვრებ. რა არის აქ რთული? ერთხელ მონასტერში კარტოფილი ვჭამე, დიდხანს მახსოვდა. ოცდაშვიდი წლის მერეც გამახსენდა მისი გემო. მაგრამ როგორ გაიგებს ხალხი, რომ ის შემოწმებულია? რომ ზეთი ნამდვილია? ძალიან ძვირად ყიდიან მას. მე თავად ვნახე, იმპორტული შეფუთვით ერთ გრამ უბრალო ზეთში, რაღაცით განზავებულში, ოცდაათიათასს იღებენ. ამოდენა ფულისთვის, სხვადასხვა ფალსიფიკაციაზეც წავლენ თავისუფლად.

– დიახ, "ახლა, ფული მართავს წვეულებებს..." აქ ფიქრია საჭირო.

– აი, ხომ ხედავთ? ჩიხია!

– ანასტასია ამბობდა, რომ ამ ფულების სასიკეთოდ შემობრუნება შესაძლებელია, მოდი, ვცადოთ და ამ ჭრილში მოვიაზროთ.

– კარგა ხანია, უკვე ფიქრობენ, მაგალითად, როგორ დააზღვიონ არაყი ფალსიფიცირებისგან. მაგრამ... ცვლიან ეტიკეტებს, საცობებს, აქციზური მარკები მოიგონეს, მაგრამ არანაირი ხეირი. სუროგატს როგორც ყიდდნენ, ასევე ყიდიან.

ქსეროქსზე ნებისმიერი მარკის დაბეჭდვაა ახლა შესაძლებელი.

– ფულის დაბეჭდვაც ასევე შეიძლება?

– ფულის – უფრო რთულია.

– მაშ მოდი და, როგორც ეტიკეტები, ბოთლებს უკანა მხრიდან, ფული მივაწებოთ, სასიკეთოდ რომ იმუშაონ მაგ წვინტლიანმა ქაღალდებმა.

– როგორ, ფული დავაწებოთ? ეს რა სისულელეა?

– მომეცი, თუ შეიძლება რომელიმე ქაღალდის ფული.

მე მას ათასმანეთიანი კუპიური მივაწოდე.

— აი ასე, ყველაფერი ნათელია. აიღებ კუპიურებს, შუაზე გახევ, ერთი ნახევარი დააწებონ კოლოფზე ან კიდევ სხვა რამეზე. მეორე შეინახე. თავად მოიფიქრე, სად. თუ გინდა, თქვენს ბანკში დადე შესანახად. ორივე ნახევარზე აი, ხომ ხედავ, ერთნაირი ნომრებია, და ყოველი, ვინც მოისურვებს ზეთის ნატურალობაში დარწმუნებას, თავისი ნომრის შედარებას შესძლებს.

"ოჰო ბაბუ, — გავიფიქრე. — აი, ესეც თავი!" ხმამაღლა კი ვუთხარი:

— გაყალბებისგან უკეთესი დაცვა არ არსებობს. ყოჩაღ თქვენ!

მან გაიცინა და სიცილით თქვა:

— მაშ, მეც მომეცი პროცენტი, მიდი, მოხსენი!

— პროცენტი? როგორ? და რამდენი გსურთ?

— მსურს, რომ ყველაფერი კარგად იყოს, — თქვა უცებ დასერიოზულებულმა მოხუცმა. მერე დაამატა: — იმ სამი პროცენტის გარდა, გაყიდვისგან კიდევ ერთი პროცენტი წაიღე მზა შეფუთული ზეთისგან შენთვის. და უფასოდ დაურიგე მათ, ვისთვისაც შენ ჩათვლი საჭიროდ. დაე, ეს ჩემგან და შენგან საჩუქრად იყოს ხალხისთვის.

— კარგი, ავიღებ. ბრწყინვალედ მოიფიქრეთ ყველაფერი. თქვენ ყოჩაღი ხართ!

— ბრწყინვალეა! ესე იგი გაიხარებს ნასტენკა ჩვენს გამო, თორემ მამაჩემი სულ ზარმაცად მთვლის. შენ კი, ესე იგი თვლი, რომ ყოჩაღი ვარ?

— დიახ, ყოჩაღი! — და ისევ ხელახლა ვიცინეთ. დავუმატე:

— ანასტასიას გადაეცით, რომ თქვენ შეგეძლოთ ყოფილიყავით ბრწყინვალე მეწარმე.

— ნამდვილად?

— ნამდვილად. შეგეძლოთ "ახალი რუსი" გამხდარიყავით... მერე და როგორი!

— ასეც გადავცემ ანასტასია, და იმასაც მოვუყვები, რომ შენ, ზეთის შესახებ, ყველა ადამიანს ამცნე, არ ნანობ, რომ ყველას შეატყობინე?

— რა მაქვს დასანანი? ბევრი წვალება სჭირდება მას. უფრო დავაჩქარებ მესამე წიგნის დაწერას, როგორც დავპირდი, და ისევ ბიზნესით დავკავდები, ვაჭრობით ან კიდევ რაიმე ნორმალურით.

სათაური

(არ ვიცი, ამას რა დავარქვა,
სათაური, თავად მოიფიქრეთ, ვისაც შეგიძლიათ).

გადავწყვიტე, ანასტასიას ბაბუასთვის ჩემს ახალ თანაშემწეებზე მომეთხრო და ვუთხარი:

— ახლა ანასტასიაზე ბევრ სტატიას წერენ. მეცნიერებიც და სასულიერო გაერთიანებებიც მასზე ლაპარაკობენ. მის შესახებ ცოტათი სხვადასხვანაირად მსჯელობენ. ერთმა შემოქმედებითმა კოლექტივმა, ძალზედ მორწმუნე და ტაქტიანმა ხალხმა, შემომთავაზა, მათთან ხელშეკრულება დამედო მათთვის გასამრჯელოს საფასურად, ანასტასიას გამონათქვამების მასობრივი საინფორმაციო საშუალებებით გაშუქებისა და კომენტირების ექსკლუზიური უფლება გადამეცა. მე დავთანხმდი.

— მერე და, რა თანხაზე დათანხმდი შენ, ვლადიმირ, ანასტასია რომ მათთვის მიგეყიდა?

თავად კითხვის ტონმა და მისმა არსმა, რაღაცნაირად არასასიამოვნოდ იმოქმედა ჩემზე. და მე მოხუცს ვუპასუხე:

— რას ნიშნავს — მიყიდვა? მე მათ მოვუყევი ანასტასიას შესახებ უფრო მეტი, ვიდრე წიგნშია დაწერილი. მოვუყევი სასულიერო ადამიანებს, რათა მათ შესძლონ ერთპიროვნული კომენტირება, ახსნან მისი გამონათქვამები. მათ შეხვედრა სურთ მასთან. მზად არიან, ექსპედიციაც კი თავად

დააფინანსონ. მე დავთანხმდი. რა არის ამაში ცუდი?

მოხუცი დუმდა. მის პასუხს არ დაველოდე, ისე დავამატე:

— და, თუკი მე ექსკლუზიური უფლებისათვის ფული შემომთავაზეს, ჩვენში ეს ასეცაა მიღებული — მომსახურებას თანხაში გამოხატავენ. ისინი თავიანთი პუბლიკაციებით მეტს მიიღებენ.

მოხუცი, თავჩაქინდრული, კიდევ რამდენიმე ხანს დუმდა, შემდეგ თითქოს ხმამაღლა მსჯელობსო, ალაპარაკდა:

— ესე იგი, შენ, ყაირათიანმა, გაყიდე ანასტასია, მათ კი გადაწყვიტეს, რომ მსოფლიოში, მხოლოდ ისინი არიან ყველაზე სულიერნი და კომპეტენტურნი, იყიდეს იგი.

— თქვენ რაღაც უცნაურად ლაპარაკობთ. რა გავაკეთე ბოლოს და ბოლოს, ცუდი?

— მითხარი, ვლადიმირ, შენ ან იმათ, "სულიერებს", თავში აზრად არ მოგსვლიათ, გეკითხათ, გაგეგოთ, მიხვედრილიყავით, ვისთან, როდის და როგორ მოინდომებდა საუბარს თავად ანასტასია? და დადიან კი თქვენთან მასპინძლის თანხმობის გარეშე სტუმრად? მას ხომ არც ერთი მათგანი სტუმრად არ მიუწვევია?

— თუკი იგი მათთან ურთიერთობას არ მოინდომებს, ნურც იურთიერთებს. მას არ მოუწერია ხელშეკრულებაზე ხელი.

— მაგრამ მასზე ხელი მოაწერე შენ! *იგი მზადაა, ყველას ამცნოს ის, რაც იცის, მაგრამ თავად აქვს უფლება საურთიერთობო წესის არჩევისა. ხოლო, თუკი მან წიგნი აირჩია და შენი მეტყველება, ვის აქვს უფლება, უკარნახოს ან მოსთხოვოს სხვა რამე? მან თავისი არჩევანი გააკეთა, მაგრამ ვიღაცას უნდა, რომ შეცვალოს იგი და მსგავსი სწრაფვის მიზანიც ნათელია. იგი არ დაელაპარაკება ადამიანებს, რომლებმაც თავიანთი თავი ყველაზე მაღლა დააყენეს, არ დაელაპარაკება მათ, იცის რა, რომ იმათი თვითკმარობა დაამახინჯებს, გადააბრუნებს და მიუსადაგებს თავიანთ თავს ჭეშმარიტებებს, რომელნიც მისთვის წამიდათა წმიდას წარმოადგენენ.*

— წინასწარვე, ყველაფერს ასეთ მუქ ფერებში რატომ აყალიბებთ? ეს ხალხი მრავალი სწავლებებით ინტერესდებიან. ძალზედ სულიერნი არიან.

— მათ გადაწყვიტეს, რომ ყველათა შორის *ისინი არიან ყველაზე სულიერები. სულიერი თვითკმარობა სწორედაც რომ არის მწვერვალი ყველაზე მომაკვდინებელი ცოდვისა — ამპარტავნებისა.*

რაღაცნაირი გაურკვეველი წყენის გრძნობა დამეუფლა საკუთარი თავის მიმართ. ხელშეკრულებით ფული ჯერ კიდევ არ მქონდა აღებული და ამიტომ შევძელი მისი დარღვევა, მაგრამ

რამდენიმე ხნის შემდეგ, ისევ მოვაწერე ხელი ხელშეკრულებას ერთ-ერთ სასულიერო ცენტრთან, ჩემს საკუთარ ინტერვიუებზე ექსკლუზიური უფლებების გადაცემის შესახებ, რადგან ამაში ვერაფერს საგანგაშოს ვერ ვხედავდი. ისევ მომხიბლეს ტაქტიანობითა და სასულიერო ცოდნით. მიუხედავად იმისა, რომ ხელშეკრულება მხოლოდ მე მეხებოდა და მაქვს უფლება საკუთარი თავი განვკარგო, ისინიც და მეც ისევ ხაფანგში გავებით, ისევ გამოდიოდა, რომ თითქოსდა რაღაცნაირად მე ვყიდიდი ანასტასიას, ისინი კი მას ყიდულობდნენ.

და უკვე არა ანასტასიას ბაბუამ, არამედ მოსკოველმა ჟურნალისტმა ქალმა, რომელმაც ეს ხელშეკრულება წაიკითხა, აღშფოთებულმა სთქვა: "ფუ, რა იდიოტობაა, რა იაფად ყიდი ანასტასიას. ჩაწვდი და ჩაუფიქრდი ხელშეკრულების სტრიქონებს. შენ გადასცემ უფლებას სხვებს – ერთპიროვნულად – ყველაზე ძლიერ საიფორმაციო არხს, ანასტასიასთან დაკავშირებული ყველაფერი განმარტონ და გამოიყენონ ისე, როგორც მათ მოეპრიანებათ. ამასთან საკუთარ თავს, მათი შეხედულებების, როგორიც არ უნდა იყოს ისინი, გაპროტესტების უფლებასაც კი ართმევ.

რამდენად მართალია ეს, ძნელი სათქმელია, უკეთესია, აქვე მოვიყვან ზოგიერთ პუნქტს ამ ხელშეკრულებიდან:

1. ხელშეკრულების საგანი:

1.1. **ავტორი** გადასცემს თავის ვიდეოგადაღებების ექსკლუზიურ უფლებებს, ასევე სხვა ვიდეომასალებით სარგებლობის, დაკავშირებულთ პირდაპირ და ირიბად სატელევიზიო ვიდეოპროგრამების წარმოებიდან "ანასტასია" (შემდგომში ტექსტის მიხედვით – პროგრამა). ხსენებული უფლებების გადაცემა **შემსრულებელზე** ვრცელდება მსოფლიოს ყველა ქვეყანაში.

1.2. **შემსრულებელი** ვალდებულია, თავისი ფულადი სახსრების გამოყენებით დაამზადოს სამი პროგრამა – თითო 30-40 წუთიანი ქრონომეტრაჟით პროფესიონალურ გადასაადგილებელ "ბეტაკამ"-ზე თითო 1 (ერთი) ცალის ოდენობით.

1.3. ავტორისა და შემსრულებლის თანხმობითა და სიტუაციის გაგებით, ყოველგვარი ურთიერთობა ვიდეოსთან და

კინოსტუდიებთან, ტელევიზიასთან, მათ შორის საკაბელოსთან, აგრეთვე ნებისმიერი სხვა ვიდეო-გადაღებები, ნებისმიერი აღჭურვილობით, აგრეთვე მოცემული თემატიკის ვიდეომასალების გამოყენება ხორციელდება მხოლოდ და მხოლოდ შემსრულებლის მიერ.

ავტორს არა აქვს უფლება, ხელშეკრულების მოქმედების დროს მისცეს ვიდეოინტერვიუ და დაამზადოს ნებისმიერი ვიდეომასალა, რომელშიც პირდაპირ ან ირიბად გამოიყენება ისეთივე ცნებები და ტერმინები, როგორიც ამ პროგრამებშია.

საერთოდ, როცა ვაანალიზებდი მოვლენებს, დაკავშირებულს წიგნ "ანასტასიას" დაწერასთან, გამოცემასა და გავრცელებასთან, მე გავაკეთე ჩემთვის ასეთი დასკვნა: ადამიანებს, რომლებიც თავის თავს "ძალზედ სულიერებს" უწოდებენ, აქვთ მეორე მხარეც, რომლისაც თავადვე ეშინიათ, იმიტომაც ირწმუნებიან დღენიადაგ და სხვებსაც უმტიკიცებენ თავიანთი სულიერების შესახებ. ალბათ ეშინიათ, რომ დაინახავენ მათ მეორე მხარეს.

მეწარმეებთან უფრო მარტივადაა საქმე. მათი მოქმედებები და სწრაფვები უფრო გამჭვირვალეა, ნაკლებად შენიღბული და შედეგად უფრო პატიოსნები არიან, როგორც საკუთარი თავის, ისე გარშემომყოფთა და საზოგადოების წინაშე. შესაძლოა, ჩემი აზრი მცდარია, მაგრამ ფაქტებს ვერსად გაექცევი.

"ანასტასიას" წიგნების ტექსტებს სამი მოსკოველი სტუდენტი აწყობდა. თავიანთი შრომის სწრაფი ანაზღაურების იმედი მათ არ ჰქონდათ. სულიერებაზე კი საერთოდ არასდროს უსაუბრიათ.

წიგნი თავისი ხარჯით მოსკოვის №11 სტამბის დირექტორმა, გადამდგარმა ოფიცერმა გ.ვ. გრუციამ გამოსცა,

ტირაჟი მცირე იყო და მხოლოდ წაგებას გვიქადდა. გრუცია მეწარმეა, სულიერებაზე არც მას უსაუბრია ოდესმე. შემდეგი ტირაჟის ღირებულება გადაიხადა მოსკოვის კომერციული ფირმის დირექტორმა ნიკიტინმა, შემდეგ კი გაირკვა, რომ იგი წიგნებით არ ვაჭრობს. მან გასაყიდად მომცა ტირაჟის უმეტესი

ნაწილი. დახარჯული თანხის დაბრუნების ვადაში არც კი შე-ვუზღუდივარ. სულიერებაზე მასაც არ უსაუბრია.

მერე ჩაგვერთნენ "სასულიეროები" და "არალეგალურად" ჩაშვებულ იქნა ორმოცდახუთათასიანი ტირაჟი. როცა ეს "სა-სულიერო" ფირმა აღმოაჩინეს, მათ საუბარი დაიწყეს თავიანთ სულიერებაზე და ნათელის შექმნის სურვილზე, შეგვპირდნენ საავტორო ჰონორარის გადახდას და აი ასე, დღემდე გვპირდ-ებიან. ეს არაა ერთეული შემთხვევა. საერთოდ, "სულიერებს" ანგარიშთან დიდად დაუდევარი დამოკიდებულება აქვთ, განსა-კუთრებით როცა ისინი ვალში არიან.

რაც შეეხება ექსკლუზიური უფლებების გადაცემას, გა-დავწყვიტე, განვაცხადო ამ წიგნის ფურცლებზე: ანასტასიას გამონათქვამების თვითნებური ინტერპრეტაციით გადმოცემის ექსკლუზიურ უფლებას მეტს არავის და არასდროს არ გა-დავცემ. და თუ ვინმე განაცხადებს თავის პრივილეგირობაზე, ხალხმა იცოდეს: ნებაყოფლობით მე იგი არ გადამიცია!

რატომ ვამბობ "ნებაყოფლობით"-თქო? მოსკოველი ჟურნალისტი ქალის მისამართით, რომელიც მეხმარებოდა ხელშეკრულების დარღვევაში, უცნობი პირებისგან მუქარა გა-ისმა. ვინ არიან ისინი? რა უნდათ? ესეც ასე, "სასულიეროები"! თავის სულიერებას რეკეტით იცავენ. მერე რა, მე ვიცნობ დამყაჩაღებლებს, იქაც არიან ადამიანები. და ყველას მინდა ვუთხრა: "სასულიეროებთან" ცოტა ფრთხილად იყავით, და ვი-დრე რაიმეზე გადაწყვეტილებას მიიღებდეთ, დაფიქრდით, მშვი-დად გაარკვიეთ, რაში გიპირებენ ჩაგდებას "სასულიეროები"...

და კიდევ. პირველ წიგნში ვწერდი, რომ ანასტასიას შევთავაზე ჩამოსვლა და ტელევიზიაში თავად გამოსვლა, მაგრამ მან უარი სთქვა. ჩემთვის მაშინ, გაუგებარი იყო, რატომ სთქვა უარი. ახლა ჩემთვის ნათელია, რაც გათვალა მან წინასწარ. წიგნის გამოსვლის შემდეგაც კი, გაჩნდა მისი გამონათქვამების უამრავი ტრაქტატები. სხვადასხვაგვარია ისინი. არის საინ-ტერესო, არის საკამათო, მაგრამ სხვა რამეებს შორის, თვალ-ნათლივ იკითხება ცალკეულ პირთა სურვილი, განმარტონ იგი თავიანთი პირადი ინტერესების სასარგებლოდ. იყო პირდაპირი

განცხადებებიც: “რა, მარტო შენ გაქვს უფლება, ელაპარაკო მას?” “შენ ყველაფერს ვერ გაიგებ, მიეცი საშუალება, სხვებიც გაესაუბრონ, მეტი სარგებელი იქნება”. კი მაგრამ, ნივთი ხომ არ არის, რომ ვიღაცას გადავცე. იგი – ადამიანია! და თავისი უფლებაა, გადაწყვიტოს, როგორ მოიქცეს, ვის და რა ესაუბროს. ახლა უფრო ნათელი ხდება, რომ ანასტასიას ნამდვილად თავს ატყდება ვეება ხილული და უხილავი ბნელი ძალები – ფანატებისა და ანგარებიანების სახით.

“მე ვიცი, როგორი ვეება ბნელი ძალები დამატყდებიან თავს. მაგრამ მე მათი არ მეშინია, მე მოვასწრებ ვაჟიშვილის გაჩენასა და მის აღზრდას. მოვასწრებ, დავინახო ის, რაზეც ვიოცნებე. და გადატანილ იქნებიან ადამიანები ბნელ ძალთა დროის მონაკვეთს მიღმა” – თქვა ანასტასიამ, ჯერ კიდევ პირველ წიგნში.

ისინი ბავშვებს აღზრდიან თერთმეტ წლამდე. ესე იგი, უკიდურეს შემთხვევაში მას, კიდევ ათი წელი შეუძლია გაუძლოს.

– და შემდეგ რა? – ვეკითხებოდი ბაბუას. – იგი უეჭველად დაიღუპება?

– ძნელი სათქმელია, – მიპასუხა მოხუცმა. – მნიშვნელოვნად ადრე იღუპებოდნენ ყველანი, ისიც არაერთხელ დამდგარა იმ გზაზე, რომელიც ფიზიკურ დაღუპვას უქადდა, მაგრამ ყოველთვის, ბოლო წამში, მკაფიოდ იფეთქებდა დავიწყებული, მაგრამ თავისი პრიორიტეტით უფრო ძლიერი კანონი. ააშკარავებდა მიწიერი ყოფის ჭეშმარიტ არსს. ტოვებდა სიცოცხლეს მის მიწიერ სხეულში.

მოხუცი გაჩუმდა და ისევ ფიქრში წასულმა დაიწყო თავისი ჯოხით რაღაც ნიშნების ხაზვა. მეც ჩავფიქრდი: “მჭირდებოდა კი მე ასეთ ისტორიაში გახვევა! და რაც მთავარია, ახლა ყველაფრის მიტოვება უკვე შეუძლებელია. ისე

კი, შესაძლო იყო,, მიმეტოვებია, მაგრამ ახლა შეუძლებელია, რადგან ბავშვია უკვე. ანასტასიამ ვაჟიშვილი დაბადა, სჯობს, ბავშვით იყოს დაკავებული, აღზარდოს იგი, მაგრამ იგი არ თმობს თავის ოცნებას – გადაიტანოს ადამიანები ბნელ ძალთა დროის მონაკვეთს მიღმა. არც დათმობს. იმიტომ რომ ძალზედ

შეუპოვარია. ასეთი არ დათმობს. მერედა მას ვინ დაეხმარება, გულუბრყვილოს? მე თუ იმის კეთება შევწყვიტე, რასაც დავპირდი, სულ აღარავინ დარჩება. მაშინ მას ეწყინება. მეძუძური დედების წყენინება კი არ შეიძლება. დაე, ჯერ, ბავშვი მაინც გამოკვებოს ძუძუთი". და მე ვკითხე მოხუცს:

— მე შემიძლია ანასტასიასათვის რაიმეს გაკეთება?

— სცადე,გააცნობიერო,რას ამბობს იგი და რა სურს მას. მაშინ წუხილის სანაცვლოდ — ურთიერთგაგება, გაათბობს გულს სითბოს ნაკადი, ამოსხივდება ქვეყნის თავზე ახალი განთიადი.

— უფრო კონკრეტულად შეგიძლიათ მითხრათ?

— მე მიჭირს უფრო კონკრეტულად თქმა. გულწრფელობაა ბევრ რამეში მნიშვნელოვანი. ასე რომ, გააკეთე ისე, როგორც შენი გული და სული ინებებს.

— იგი რუსეთის ერთ პატარა განაპირა ქალაქზე მელაპარაკებოდა. თითქოს მას შეუძლია იერუსალიმსა და რომზე უფრო მდიდარი გახდეს, იმიტომ, რომ ჩვენი წინაპრების სიწმინდეები ბევრია მის მიდამოებში. და უფრო მნიშვნელოვანნია ისინი, ვინემ იერუსალიმის ტაძრები. მხოლოდ ადგილობრივი მაცხოვრებლების შეუგნებლობა-უმეცრება არ იძლევა მათი დანახვის საშუალებას. მინდა ჩავიდე იქ, შევცვალო ცნობიერება.

— ამისი სწრაფად გაკეთება შეუძლებელია, ვლადიმირ.

— კი მაგრამ, მე ხომ არ ვიცოდი, რომ შეუძლებელი იყო და დავპირდი ანასტასიას. ახლა, როგორღაც შეცვლაა საჭირო.

— რაკიღა, შეუძლებლობის შესახებ არ იცი, მაშინ შეცვლი. წარმატებას გისურვებ!.. ჩემთვის კი წასვლის დროა!

— გაგაცილებთ.

— ნუ დახარჯავ დროს. არ ღირს ჩემი გაცილება, საკუთარზე იფიქრე.

მოხუცი წამოდგა და ხელი გამომიწოდა.

მე გავცქეროდი ხეივანში ნელ-ნელა მიმავალ ანასტასიას ბაბუას და ვფიქრობდი მომავალ გამგზავრებაზე ქალაქ გელენჯიკში, ვიხსენებდი, თუ რას ამბობდა მის შესახებ ანასტასია. საუბარი კი მასზე აი, რის გამო ჩამოვარდა:

შენი სიწმინდეები, რუსეთო

მე ვკითხე ანასტასიას:

— ხშირად გვხვდება მოგუგუნე კედრები?

— ძალიან, ძალიან იშვიათად, — მიპასუხა მან, — შესაძლოა ათასწლეულის მანძილზე ორი-სამი, ამჟამად, ამ გადარჩენილის გარდა, არის კიდევ ერთი, მისი მოხერხვაცაა შესაძლებელი, გამოყენება დანიშნულებისამებრ.

— რას ნიშნავს "დანიშნულებისამებრ გამოყენება", რაში მდგომარეობს იგი?

— სამყაროს უდიდესმა ინტელექტმა — ღმერთმა, რომელმაც შექმნა ადამიანი და ყოველივე, რაც მის გარშემოა, ალბათ, გაითვალისწინა, მიეცა ხალხისთვის შესაძლებლობა, დაიბრუნოს დაკარგული უნარ-ნიჭი, ისარგებლოს სიბრძნით, რომელიც არამატერიალურ სამყაროშია დაგროვილი. ის დასაბამიდან არსებობდა, მაგრამ ცოდვის გამო ადამიანმა მისი აღქმის უნარი დაკარგა.

ჩემმა ბაბუამ და დიდმა ბაბუამ გიამბეს შენ მოგუგუნე კედარზე, მის არაჩვეულებრივ სამკურნალო თვისებებზე. მაგრამ მათ არ დაიწყეს იმის განმარტება, რომ მისი რითმები, პულსაცია ახლოა უდიდეს ინტელექტთან. თუკი მათ შევაერთებთ, გავამრავლებთ, ასე ვთქვათ, რითმებზე, რომელიც ბევრ ადამიანში არის, ასეთი ადამიანი, დაადებს რა ხელისგულს მოგუგუნე კედარის თბილ ტანს, გადაატარებს მასზე ხელისგულს, თითქოსდა ალერსით, იღებს თავისთვის შესაძლებლობას, იურთიერთოს უსასრულო მოცულობის სიბრძნესთან. მას აქვს უნარი, ბევრი რამე გააცნობიეროს იმ მიმართულებით, რაზეც შეხების მომენტში ფიქრობდა და რაზეც შემდგომში იფიქრებს. თითოეულ მათგანში ეს სხვადასხვა ხარისხით მოხდება. მე გიყვები შენ უმაღლესის გამოვლინებაზე.

— რატომ მოქმედებს იგი სხვადასხვაგვარად? ირჩევს განა?

— იგი მოქმედებს ერთნაირად. მისი რითმი, ვიბრაცია ყოველთვის უცვლელია. მაგრამ ადამიანების ერთ ნაწილს შეუძლი-

ათ, მათ შეეწყონ, და შეიგრძნონ სრულად ყველაფერი, მეორენი მხოლოდ მსუბუქად შეიგრძნობენ. ბევრი ადამიანი საერთოდ ვერ შეიგრძნობს ვერაფერს მაშინვე. მაგრამ ვერშემგრძნობებისთვისაც თანდათანობით მოვა ცნობიერება, ყოველშემთხვევაში, შესაძლებლობა გაიზრდება.

— როგორღაც გაუგებარია, რას ირჩევს იგი?

— ვლადიმირ, მე ხომ გეუბნები შენ, — მასში კი არა არის საქმე, არამედ ადამიანში... აი. ვიპოვე. მაგალითი: მუსიკა! გესმის, მუსიკა როცა ჟღერს... მუსიკა — ეს ხომ ვიბრაციაა, რითმი. მაგრამ ადამიანთა ერთი ნაწილი მას ყურადღებით უსმენს, მათ გრძნობები უჩნდებათ, ხანდახან სიხარულის ცრემლებიც კი ცვივათ, ფაქიზდებიან. სხვები კი იმავე მუსიკას უგრძნობლად, თანამონაწილეობის გარეშე, უსმენენ, ანდა საერთოდ არ სურთ მოსმენა.

ასეა კედარიც. მხოლოდ იგი, ვისაც შეგრძნების და გაგების უნარი აქვს, ბევრს გაიგებს. და ეს ბევრი, მასში თანდათან გაიფურჩქნება იმ მომენტებში, როცა ჩაფიქრებას მოისურვებს ადამიანი.

ქალებს შეუძლიათ, შეიძინონ სიბრძნე პირველსაწყისთა, შეასრულონ თავიანთი დანიშნულება, გააბედნიერონ თავისი რჩეული—მამაკაცი, თავისი თავი, სიყვარულში შობილი ბავშვი. და აქ, კედარში კი არა არის სასწაული, არამედ ადამიანთა სწრაფვებში, კედარი მათ მხოლოდღა ეხმარება, და **იგი** მთავარი არ არის კეთილდღეობის აღსრულებაში.

— დაუჯერებელია! ეს რომელიღაც ლამაზ, მაცდუნებელ ლეგენდას ჰგავს.

— არ გჯერა? შენ ჩემს მიერ ნათქვამი ლეგენდად მიგაჩნია? მაშ რაღატომ მოისწრაფოდი ამ ადგილებში და ასე რატომ გსურდა, მეჩვენებია შენთვის მოგუგუნე კედარი?

— არა, ყველაფერი არ მიმაჩნია ლეგენდად. კედარის შესახებ ბაბუაშენისა და დიდი ბაბუის მონათხრობი, თავიდან, მეც არ დავიჯერე. მერე, როცა ექსპედიციიდან სახლში დავბრუნდი, წავიკითხე სამეცნიერო-პოპულარული ლიტერატურა, გავეცანი მეცნიერების გამონათქვამებს კედარის სამკურნალო თვისებების

შესახებ, სახტად დავრჩი იმით, რომ მეცნიერებისა და ბიბ-ლიის აზრი ერთმანეთს ემთხვეოდა, მაგრამ, არსად არ არის მინიშნებაც კი გაკეთებული იმის შესახებ, რომ შესაძლებელია, კედარის მეშვეობით კავშირი იგრძნო ინტელექტთან თუ ღმერ-თთან, როგორც შენ ამბობ.

— შენ უყურადღებოდ კითხულობდი მეცნიერთა გამონათ-ქვამებსაც და ბიბლიასაც, ანკი, მთავარს არ მიანიჭე მნიშვნე-ლობა, თუ არა და, სხვაგვარად არ დაეჭვდებოდი ჩემს სი-ტყვებში.

— კი მაგრამ, რა შეიძლება, რომ გამომრჩენოდა? ბიბლიაში, მაგალითად, მხოლოდ ორ ადგილასაა კედარზე საუბარი: როცა ღმერთი ასწავლის, როგორ უნდა განკურნონ ადამიანები მისი მეშვეობით და მერე საცხოვრისი როგორ გააუვნებელყონ.

— მაგრამ ბიბლიაში კიდევ მეფე სოლომონზე მოთხრო-ბილია, როგორც ერთ-ერთ ყველაზე ბრძენ მმართველზე, თავისი ხალხის მიერ პატივცემული მეფე სოლომონი ხომ ისტორიული პირია, იგი არ არის ლეგენდა.

— მერე და რა?

— და ბიბლიაში ნათქვამია, რომ ამ მეფემ აუშენა ტაძარი ღმერთს კეადრისაგან და, მის გვერდით თავისთვისაც სახლი კე-დარისგან ასევე. იმისათვის, რათა კედარი მოეპოვებია, მან დაი-ქირავა ოცდაათიათასზე მეტი მუშახელი, რომლებიც მას სხვა ქვეყნიდან აწვდიდნენ კედარს. რათა კედარის ხეები მოეჭრათ, სოლომონმა მიმართა სხვა მეფეს — ხირანს — თხოვნით, მიეცა მისთვის ადამიანები, "რომლებმაც ხეების ჭრა იცოდნენ". ამ კედრისთვის სოლომონმა თავისი სამეფოს ოცი ქალაქი გასცა. დაფიქრდი, რისთვის დასჭირდა უბრძნეს მმართველს, წასულიყო ასეთ ხარჯებზე და აეშენებია ტაძარი და სახლი ნაკლებად მყარი მასალისაგან, ვინემ მას ხელთ ქონდა?

— რისთვის?

— პასუხის პოვნა ბიბლიაში შენც შეგეძლო:"როცა მღვდლები გამოვიდნენ, წმიდათა წმიდიდან, ღრუბელმა აავსო ღვთის სახლი: ვეღარ დადგნენ სამსახურისთვის იქ მღვდლები ამ ღრუბლის გამო, რადგან უფლის სიტყვამ შეავსო ღვთის სახლი" (მე-3

მეფეთა. 8,10-11). ირიბი მტკიცებულებები შენ შესძლებ, იპოვო თქვენი თვალსაჩინო მეცნიერების გამონათქვამებშიც.

— რა მაგარია. როგორც სჩანს, შეიძლება რომ ირწმუნო. იგი, გამოდის დაფარული, ბევრ რამეს ახდის ფარდას ხალხისთვის. მაჩვენე მე მოგუგუნე კედარი, რომლის მოჭრაც შესაძლებელი იქნება. მე ჩავიტან მას რომელიმე ქალაქში, სადაც მოსახერხებელი იქნება ხელისშეხებისთვის მასთან მთელი მსოფლიოდან მსურველთა ჩამოსვლა.

— სადღა იპოვი დღეს დედამიწაზე ისეთ ქალაქს, რომ მისმა მცხოვრებლებმა არ შებილწონ ეს სიწმინდე, უზრუნველყონ დაცვა, შექმნან მსურველთათვის მასთან შეხების პირობები.

— შევეცდები, ვიპოვო. შენ რატომ გადაწყვიტე, რომ ძნელი იქნება ამის გაკეთება?

— ტექნოკრატული სამყაროს პროგრამებით ძალზედ შეზღუდულია დღევანდელი ადამიანების ცნობიერება. ისინი ბიოროობოტებს ემსგავსებიან.

— როგორ თუ ბიოროობოტებს?

— ტექნოკრატული სამყარო ისეა მოწყობილი, რომ ადამიანი ყოველნაირ მექანიზმებს იგონებს, საზოგადოებრივ პოსტულატებს, თითქოსდა საკუთარი ცხოვრების გასაიოლებლად. სინამდვილეში ეს გაიოლება ილუზორულია.

ადამიანი თავად ხდება ტექნოკრატული მსოფლიოს რობოტი. მას მუდმივად არ ყოფნის დრო, დაფიქრდეს ყოფიერების არსზე, და თავის საკუთარ ბედზე, მოუსმინოს სხვას დრო არ აქვს დასაფიქრებლად. თითქოს დაპროგრამებული რობოტია. აი, შენ ახლა საკუთარი თვალებით ხედავ ყველაფერს, საკუთარი ყურებით გესმის, დაჯერება კი შენთვისაც ძნელია.

— ანასტასია, ჩემთვის სხვაგვარი ისტორიაა. მე ვერ ვიტყვი, რომ ძალიან მორწმუნე ვარ. საერთოდ მწამს, მაგრამ, ალბათ, არა ისე, როგორც სხვებს. ახლა ბევრია ჭეშმარიტად მორწმუნე ადამიანი. ბიბლიას ბევრი კითხულობს. ისინი მაშინვე ჩაებღაუჭებიან, როგორც კი დაინახავენ, თუ ბიბლიაში რამდენჯერაა ნათქვამი კედარზე, დაიჯერებენ და ფაქიზად მოეპყრობიან შენი კედარის ნაჭერს.

— რწმენა, ვლადიმირ, სხვადასხვაგვარი არსებობს. ხშირად უჭირავს ადამიანს ხელში ყურანი, ბიბლია, სიბძნის წყაროთა სხვა წიგნი, ამბობს, რომ სწამს, ცდილობს, სხვასაც ასწავლოს, სინამდვილეში კი, იგი მარტივად რომ ვთქვათ, ევაჭრება ღმერთს.

“ხედავ,მე შენი მწამს. შენ ჩამითვალე მე ეს,რამე რომ იყოს”.

— მაშ რაღა არის რწმენა? რაში უნდა გამოიხატებოდეს იგი?

— ცხოვრების წესში, სამყაროსეულ შეგრძნებაში, თავისი არსისა და დანიშნულების გაგებაში, შესაბამის მოქმედებებში და გარემოცვასთან დამოკიდებულებაში, ზრახვებში.

— გამოდის, უბრალოდ გწამდეს, არ არის საკმარისი?

— უბრალოდ გწამდეს, არ არის საკმარისი. წარმოიდგინე ჯარი. ყველას, უკანასკნელ ჯარისკაცამდე, თავისი მხედართმთავრის სწამთ. ბრძოლაში კი არ მიდიან. მათ ისე ძლიერ სჯერად მისი, რომ მიაჩნიათ — იგი თავადაც გაიმარჯვებსო. ჰოდა, სხედან ჯარისკაცები, თვალყურს ადევნებენ, მათი მხედართმთავარი როგორ მიდის მარტოდ მარტო უზარმაზარ მოწინააღმდეგესთან შესახვედრად. უკიჟინებენ მას გაშმაგებით: “მიდი! მიდი! ჩვენ შენი ძალიან გვწამს!”

— ოჰო, აბა უყურე, როგორი შედარება მოიტანე. ასეთი აბსურდი არ არსებობს.

— ასეთი აბსურდია, რეალურ ცხოვრებაში რომ ხდება.

— მაშინ, შენ მოიყვანე მაგალითი ჩვენი კონკრეტული, რეალური ცხოვრებიდან, და არა გამოგონილიდან.

— კარგი. არის რუსეთში ქალაქი. მისი სახელია გელენჯიკი. მისი დანიშნულებაა, რათა ადამიანებმა დაისვენონ ყოველდღიური ამაოებისგან, ჩაფიქრდნენ, სიწმინდეებს შეეხონ.

ამ ქალაქის შემოგარენსა და შიგ ქალაქში, მრავალი სხვადასხვა სიწმინდეებია. ამ სიწმინდეების მნიშვნელოვნება უფრო დიდია, ვიდრე იერუსალიმში არსებულების, უფრო დიდია, ვიდრე ეგვიპტური პირამიდები.

ამ ქალაქს შეეძლო, ყოფილიყო მსოფლიოს ერთ- ერთი უმდიდრესი ქალაქი. იერუსალიმზე და რომზე მდიდარი. მაგრამ ქალაქი კვდება. ის საკურორტო ქალაქია. მისი სახლები,

სხვადასხვა სასტუმროები ცარიელია, ინგრევა. ადგილობრივი მმართველების ზემატერიალიზებული აზროვნება არ აძლევს საშუალებას მათ, დაინახონ ფასეულობები, რომლებსაც შეუძლიათ, გახადონ ქალაქი წარმატებულად და ააყვავონ იგი. ყვებიან რა თავის ქალაქზე, ისინი საუბრობენ ზღვაზე, მკურნალობის ხელოვნურ მეთოდებზე, იმაზე, რომ მათი სასტუმროების ნომრებში არის ტუმბოები და მაცივრები. სიწმინდეებს საერთოდ არც კი ახსენებენ. მათ თავადაც ცოტა რამ იციან მათ შესახებ და სურვილიც არ გააჩნიათ, რომ იცოდნენ. უპირატესობას სხვა რამეს ანიჭებენ. ამ ქალაქში ბევრი ადამიანია, რომელიც თავის თავს მორწმუნეს უწოდებს. მრავალი სხვადასხვა კონფესიაა. ზოგიერთი მათგანი აქტიურად ასწავლის რწმენას სხვას. რომელ რწმენას? თავისი დამოკიდებულებით გარემოცვასთან მათ დაარღვიეს და არღვევენ იმ მცნებებსაც კი, რომლებიც მათ საპატივცემულო წიგნებში არის, მაგალითად ბიბლიაში: "გიყვარდეს მოყვასი შენი".

მაგრამ სანამ გიყვარდეს, უნდა იცოდე შენი მოყვასის შესახებ. არ შეიძლება გიყვარდეს ის, ვისაც არ იცნობ. ისინი კი, თვლიან რა თავის თავს მორწმუნეებად, არ იცნობენ თავიანთ ახლობლებს, თავიანთ მშობლებს, რომლებიც ცხოვრობდნენ წმინდა მიწაზე და დაუტოვეს მათ მემკვიდრეობად ამოუწურავი განძი – სიწმინდეები. ათასწლეულებში გამოატარეს სიბრძნეთა აღმაფრენები და საკუთარი სულის ნათელი. ბევრნი უწოდებენ თავიანთ თავს მორწმუნეებს, სიწმინდეებს კი თავის გარშემო ვერ ამჩნევენ. სიწმინდეებს, მშობლებისგან მათთვის დატოვებულთ, დასახმარებლად.

– კი მაგრამ, რა სიწმინდეებია ასეთი ამ ქალაქში?

– იცი რა, ვლადიმირ, ქალაქ გელენჯიკის გვერდითაა, რომ ის ლიბანური კედარი იზრდება, რომლის შესახებაც ასე მრავლადაა მოხსენიებული ბიბლიაში. და ეს ცოცხალი, პირდაპირი ქმნილებაა ღვთისა, რომელზეც ასე ბევრი რამ ითქვა ჯერ კიდევ იესო ქრისტეს დედამიწაზე მოვლინებამდე, მდებარეობს ამ ქალაქის გვერდით. ის სულ ასი წლისაა. ის ჯერ კიდევ მოზარდია, მაგრამ უკვე ძალზედ ლამაზი და ძლიერია. ის იქ

იმიტომ გაიზარდა, რომ ღირსეული ადამიანის მიერ იქნა დარგული. იყო ასეთი მწერალი – კოროლენკო. იმის წყალობით, რომ მას რაღაცა დროის მანძილზე პატივს მიაგებდნენ, კედარს გარშემო ღობე შემოარტყეს, მაგრამ ახლა სახლიც, სადაც ეს ადამიანი ცხოვრობდა, ინგრევა და ხესაც ყურადღებას აღარავინ აქცევს.

– მორწმუნენიც?

– ამ ქალაქის მრავალი ადამიანი, ვინც თავის თავს მორწმუნედ მიიჩნევს, არც ამ კედარს, არც სხვა, თავიანთი წინაპრების დიდ სიწმინდეებს, ყურადღებას არ აქცევს, ანადგურებს მათ... და ქალაქი კვდება.

– გამოდის, ღმერთი შურს ძიობს, სჯის მათ.

– ღმერთი კეთილია. იგი არავიზე არ ძიობს შურს. თუმცაღა, განა რისი გაკეთება შეუძლია მას, როცა მის ქმნილებებს ვერ ამჩნევენ?

– დაუჯერებელია! ნუთუ მართლა არსებობს ასეთი ხე? ამის შემოწმებაა საჭირო.

– არსებობს. და მრავალი სხვა სიწმინდეებიც არის ამ ქალაქის მიდამოებში. მაგრამ მათაც ტექნოკრატული მსოფლმხედველობის პოზიციიდან ისე ეპყრობიან, როგორც მაგალითად, ბრძენი ფარაონების პირამიდებს.

– რაა?! საიდანაა შენთვის ცნობილი ეგვიპტის პირამიდების არსებობის შესახებ?

– ჩემს წინაპართა შთამომავლების წყალობით, ჩემში შენარჩუნებულია უნარი, ურთიერთობა დავამყარო განზომილებასთან, სადაც ცხოვრობენ აზრ-ფიქრები, სიბრძნე. მათთან ურთიერთობისას შესაძლებელია ყველაფრის გაგება, რაზეც იფიქრებ, რაც საინტერესოს წარმოადგენს.

– მოიცა, მოიცა. ახლავე შევამოწმებ. მიპასუხე, განა შენთვის ცნობილია ეგვიპტური პირამიდების საიდუმლოებანი?

– ცნობილია. როგორც ცნობილია ისიც, რომ მკვლევარები ამ პირამიდებისა, ყოველთვის მატერიალურობიდან ამოდიოდნენ. მათ ძირითადად აინტერესებდათ, როგორ შენდებოდნენ ისინი, რა ზომისაა. გვერდების ურთიერთშეფარდებები, რა არის დაფარ-

ული შიგნით, როგორი ნივთები მდებარეობენ იქ. პირამიდების მშენებლობის დროს მცხოვრებ ადამიანებს ისინი ცრუმორწმუნეებად თვლიდნენ. პირამიდებს განიხილავდნენ მხოლოდ როგორც ფარაონთა საგანძურის შენახვის საშუალებას, ფარაონთა ნივთების, სხეულებისა და დიდების შესალაგს. იმიტომაც სცილდებოდნენ ძირითადს, გააზრებულობას.

– მე შენი არ მესმის, ანასტასია. რომელ გააზრებულობას ცილდებოდნენ?

ანასტასია გაჩუმდა რამდენიმე ხანს, თითქოს უსასრულობაში იხედებოდა, და დაიწყო თავისი განსაცვიფრებელი თხრობა:

– გესმის, ვლადიმირ, შორეულ წარსულში, დედამიწაზე მცხოვრები ადამიანები ფლობდნენ თვისებებს, რომლებიც აძლევდა მათ საშუალებას, ყოფილიყვნენ დღევანდელ ადამიანზე უფრო ჭკვიანები. პირველსაწყისთა ადამიანებს შესაძლებლობა ჰქონდათ, იოლად ესარგებლად მთელი საინფორმაციო ბაზის მოცემულობით, რომლითაცაა შევსებული მთელი სამყარო. სამყაროს ეს ინფორმაცია შექმნილია უდიდესი ინტელექტის – ღმერთის მიერ. შევსებული მისით და თავად ადამიანებით, მათი აზრ-ფიქრებით, იგი იმდენად გრანდიოზულია, რომ უნარი აქვს ნებისმიერ შეკითხვაზე გასცეს პასუხი. იგი თავს არაფერს მოგახვევს. პასუხი წარმოიქმნებოდა წამსვე ქვეცნობიერში იმ შეკითხვაზე, რომელზეც ეძებდა პასუხს ადამიანი.

– მერე და, რას აძლევდა ეს მათ?

– იმ ადამიანებს არ სჭირდებოდათ კოსმოსური ხომალდი სხვა პლანეტებზე გასაფრენად, რამეთუ, თუ მოისურვებდნენ, მათ ისედაც შეეძლოთ დაენახათ, თუ რა ხდებოდა მათზე.

იმ ხალხს არ სჭირდებოდათ ტელევიზორი, ტელეფონი, რომლითაც დაქსელილია მთელი დედამიწა კავშირგაბმულობის ხაზებით, არც დამწერლობა, რამეთუ ინფორმაციის, რომელსაც თქვენ წიგნებიდან ღებულობთ, მათ შეეძლოთ წამში მიღება, გამოიყენებდნენ რა სხვა შესაძლებლობებს.

იმ ადამიანებს არ სჭირდებოდათ სამკურნალო პრეპარატების მწარმოებელი ინდუსტრია. მათ აუცილებლობის შემთხვე-

ვაში, შეეძლოთ მიეღოთ ყველა საუკეთესო წამალი მხოლოდ ხელის მსუბუქი მოძრაობით იმიტომ, რომ ისინი ბუნებაში არიან.

იმ ადამიანებს არ ესაჭიროებოდათ გადაადგილების ახლანდელი საშუალებები. არ ესაჭიროებოდათ მანქანები და საკვების მწარმოებელი კომპლექსები, რამეთუ მათ ყველაფერი ისედაც ჰქონდათ წარმოდგენილი.

მათ ესმოდათ, რომ დედამიწის ერთ მონაკვეთზე კლიმატური პირობების შეცვლა, იყო სიგნალი მეორეზე გადასახლების, რათა წინა მიწას დასვენება შესძლებოდა. მათ ესმოდათ კოსმოსის და თავისი პლანეტის. ისინი იყვნენ მოაზროვნენი და ესმოდათ თავიანთი დანიშნულების. ისინი სრულყოფდნენ პლანეტა დედამიწას. მათ ტოლი არ ჰყავდათ მთელს სამყაროში. ინტელექტით მაღლა იდგა მხოლოდ თავად უდიდესი ინტელექტი სამყაროსი – ღმერთი.

დაახლოებით ათი ათასი წლის წინ, ადამიანთა ცივილიზაციაში, იმ დროისათვის დღევანდელ ევროპაში, აზიაში, აფრიკის ჩრდილოეთ ნაწილში, კავკასიაში, დასახლებულთა შორის გამოჩენა იწყეს ინდივიდებმა, რომლებსაც აკვშირი სამყაროს ინტელექტთან ნაწილობრივ ან სრულიად უჩლუნგდებოდათ. აი, ამ მომენტიდან იღებს თავის საწყისს კაცობრიობის სვლა პლანეტარული მასშტაბის კატასტროფისკენ, სულ ერთია რომელი კატასტროფისკენ: ეკოლოგიური, ბირთვული, ბაქტერიოლოგიური, როგორ პროგნოზსაც იძლევიან მეცნიერები, როგორც ჰყვებიან უძველესი რელიგიები, როცა აღწერენ მას ალეგორიულად.

– მოიცა, ანასტასია, სრულიად გაუგებარია, როგორ შეიძლება, იმ "ინვალიდთა" გამოჩენა დააკავშირო პლანეტარულ კატასტროფასთან?

– შენ ძალზედ სწორად შეარჩიე მათთვის თანამედროვე სიტყვა "ინვალიდები". დიახ, ისინი იყვნენ ინვალიდები, არასრულფასოვანი ადამიანები. რა ესაჭიროება ადამიანს, როცა თვალისჩინი არ აქვს?

– რომ იგი ვინმემ ატაროს.

– სმენადობის არ მქონეს?

– სპეციალური აპარატი.

– უხელოს ან უფეხოს?

– პროთეზები.

– მაგრამ მათ გაცილებით მეტი არ ჰქონდათ. მათ არ ჰქონდათ კავშირი სამყაროს ინტელექტთან. აქედანაა ცოდნის დაკარგვა, რისი მეშვეობითაცაა შესაძლებელი დედამიწის სრულყოფა, მისი მართვა... წარმოიდგინე შენთვის სუპერთანამედროვე კოსმოსური ხომალდის ეკიპაჟი, უეცრად თავისი ჭკუის ოთხმოცდაათი პროცენტი რომ დაკარგა. ისინი, ვერაფერს ვერ აზროვნებენ რა, იწყებენ ხომალდის კედლის საფარის აგლეჯას, კაბინაში კოცონის დანთებას, პულტიდან ხელსაწყოების მომტვრევას და მათგან თავისთვის სათამაშოების, სამკაულების დამზადებას. სწორედ რომ, ასეთ შეურაცხად ეკიპაჟს შეიძლება მიუსადაგო ის ადამიანები. და ზუსტად მათ, იმათმა, როგორც შენ ამბობ, "არასრულფასოვანმა ინვალიდებმა", გამოიგონეს, ჯერ ქვის ნაჯახი, შუბი, შემდეგ... მათი აზრ-ფიქრი, განვითარებისას, მივიდა ბირთვულ იარაღამდე. დღემდე მათი აზრ-ფიქრი არნახული სიჯიუტით აგრძელებს სრულყოფილი ქმნილებების მსხვრევას, ცვლიან რა მათ, თავიანთი პრიმიტიული ქმნილებებით.

მათმა თაობებმა დაიწყეს გამოგონებები სულ მეტის და მეტის, ამავდროულად ჯიჯგნიან დედამიწის სუპერთანამედროვე ბუნებრივ მექანიზმს, ქმნიან რა ყოველგვარ ხელოვნურ სოციალურ მოწყობილებებს. შემდეგ ადამიანებმა დაიწყეს ერთმანეთთან ჩხუბი.

ამ მექნიზმებს, მანქანებს თავის თავად არსებობა არ შეეძლოთ, როგორც ბუნებრივებს. მათ არ შეეძლოთ არა მარტო თავისი თვითწარმოება, არამედ დაზიანებისას თვითაღდგენაც, მაგალითად, როგორც ხეს. და მაშინ მათ – ტექნოკრატებს დასჭირდათ, ბევრი ადამიანი გადაექცია მექანიზმების მოსამსახურე პერსონალად, ფაქტიურად, კი ადამიანების ნაწილი გადაექციათ საერთოდ ბიორობოტებად. ამ ბიორობოტების მართვა, რადგან ისინი მოკლებულნი არიან ჭეშმარიტების შეცნობის ინდივიდუალურ უნარს, ძალზედ ადვილია. აი, მაგალითად, ხელოვნური საინფორმაციო საშუალებების დახმარებით ჩაიდება მათში პროგრამა: "საჭიროა კომუნიზმის აშენება", შეიქმნას

მათთვის სიმბოლოები, სამკერდე ნიშნები, დროშები განსაზღვრული ფერებით, შემდეგ, ამავე საშუალებებით, ჩაიდება ადამიანების უკვე სხვა ჯგუფში სხვა პროგრამა: "კომუნიზმი – ცუდია", მიეწოდება სხვა სიმბოლოები, ფერები. და მაშინ, ორი ჯგუფი, სხვადასხვა პროგრამით, შეიძულებენ ერთმანეთს ფიზიკურ განადგურებამდეც კი. ყველაფერი ათიათასი წლის წინათ დაიწყო, როცა ადამიანები ინტელექტთან კავშირდაკარგულები ხდებოდნენ სულ უფრო და უფრო მეტნი. ფაქტიურად მათ შესაძლოა ჭკუაშეცდენილებიც ვუწოდოთ, იმიტომ რომ არც ერთი ცოცხალი არსება დედამიწას ისე არ ბილწავდა, როგორც ისინი.

იმ შორეულ დროებებში ცოტანიღა რჩებოდნენ, ვისაც ჯერ კიდევ შეეძლოთ თავისუფლად ესარგებლათ სამყაროსეული სიბრძნით. ისინი იმედოვნებდნენ, რომ კაცობრიობა, როცა მივა იქამდე, რომ მას, დაბინძურებული ჰაერით გაუჭირდება სუნთქვა, გაჭუჭყიანებული წყლის დალევა საშიში გახდება, ხოლო მის მიერ შექმნილი სიცოცხლის უზრუნველყოფის ხელოვნური სისტემები – ტექნიკური და სოციალური, აღმოჩნდებიან გრანდიოზულნი და სულ უფრო ხშირად, ავარიულ დაზიანებებს გამოიწვევენ, ჩაფიქრდებიან...

ჩაფიქრდებიან, უფსკრულის პირას მდგარი ადამიანები, ყოფიერების არსზე, საკუთარი ცხოვრების არსზე და დანიშნულებაზე. მაშინ ბევრი მათგანი მოინდომებს, ჩაწვდეს ჭეშმარიტებას პირველწყაროთა, ეს კი შესაძლებელია სასწრაფოდ, პირველსაწყისთა უნარ-ნიჭისთვის პირობების დაბრუნებით,.... ათიათასი წლის წინათ მცხოვრები ცოტა ადამიანი ჯერ კიდევ ფლობდა ამ უნარ-ნიჭს. ძირითადად ესენი იყვნენ, ერთობის სათავეში მყოფი – ტომთა ბელადები. მათ, უფრო სწორად, მათი მითითებებით, დაიწყეს სპეციალური ნაგებობების მშენებლობა, მძიმე ქვის ფილებისგან. შიგნით კეთდებოდა საკანი, ოთახი, ზომით დაახლოებით ერთნახევარი ორ მეტრზე და სიმაღლით დაახლოებით ორ მეტრამდე, ზოგჯერ მეტი, ზოგჯერ ნაკლები. ფილები შიგნით ოდნავ დახრილი კუთხით იდგმებოდა. ხანდახან ასეთ საკნებს მონოლითურ ქვაში გამოკვეთავდნენ ხოლმე,

ხანდახან მიწის ქვეშ მალავდნენ, აყრიდნენ ყორღანს. საკნის ერთ-ერთ კედელში, ფილაში, კეთდებოდა კონუსისებრი ხვრელი, დაახლოებით ოცდაათსანტიმეტრიანი დიამეტრით. იგი იდეალურად მორგებული ქვის საცობით ილუქებოდა.

მათში, ამ საკან-სამარხებში, შედიოდნენ ადამიანები, რომელთაც არ ჰქონდათ დაკარგული სამყაროს სიბრძნით სარგებლობის უნარი.

ცოცხლად დარჩენილებს და თუნდაც ათასი წლის შემდეგ დაბადებულებს, შეეძლოთ მისულიყვნენ მათთან და მიეღოთ პასუხი იმ შეკითხვაზე, რომელიც აინტერესებდა ადამიანს. ამისთვის საჭირო იყო საკანთან დაჯდომა, დაფიქრება. ხანდახან პასუხი მაშინვე მოდიოდა, ხან გვიან, მაგრამ აუცილებლად მოდიოდა, იმიტომ რომ ეს ნაგებობები და მათში სამუდამოდ წასულები, ასრულებდნენ საინფორმაციო მიმღების როლს. მათი მეშვეობით ადვილი იყო სამყაროს ინტელექტთან დაკავშირება.

ეს ქვის ნაგებობები ეგვიპტური პირამიდების წინამორბედები არიან. ოღონდ პირამიდები - უფრო სუსტი მიმღებები არიან - თუმცაღა მათი ზომები გაცილებით დიდია, არსი დანიშნულება კი — იგივე.

ეგვიპტის პირამიდებში დასვენებული ფარაონები ასევე წარმოადგენდნენ მოაზროვნეებს და მათშიც იყო ნაწილობრივ შემონახული პირველსაწყისთა უნარ-ნიჭი.

მაგრამ პირამიდების მეშვეობით ამა თუ იმ შეკითხვაზე პასუხი რომ მიეღოთ, ცოცხლად დარჩენილთათვის აუცილებელი იყო პირამიდასთან არა ცალ-ცალკე, არამედ ერთდროულად ბევრი რაოდენობით ერთად მისვლა. დადგომა ოთხივე კედლის გასწვრივ, თვალთ მზერა და აზრ-ფიქრისეული მზერა უნდა მიემართათ, ასე ვთქვათ, აეცურებინათ პირამიდის დახრილი წახნაგის ფუძიდან, მწვერვალისაკენ.

იქ, მწვერვალთან, ადამიანებთა მზერა და ფიქრი ერთ წერტილში ფოკუსირდებოდა და წარმოქმნიდა არხს, რომლის მეშვეობითაც ხორციელდებოდა კონტაქტი სამყაროს გონთან.

ახლაცაა შესაძლებელი იგივეს გაკეთება და სასურველის მიღება. აზრ-ფიქრისეული მზერის ერთდროული ფოკუსირებისას წარმოიქმნება რადიაციის მსგავსი ენერგია. თუკი მოვათავსებთ

პირამიდის მწვერვალზე, ფოკუსირების ადგილას ხელსაწყოს, მაშინ იგი ამ ენერგიის არსებობას დააფიქსირებს. უჩვეულო შეგრძნებები გაუჩნდებათ ქვემოთ მდგომ ადამიანებსაც.

ო, რომ არა, თანამედროვე ადამიანების ცოდვილიანი ამპარტავნება, დამკვიდრებული საზოგადოებრივი აზრი, მცდარი წარმოდგენა იმის შესახებ, რომ წარსულის ცივილიზაციები უფრო უგუნურნი იყვნენ... თანამედროვე ადამიანები შესძლებდნენ, ამოეცნოთ პირამიდების ჭეშმარიტი დანიშნულება. თანამედროვე მკვლევარები დიდ ყურადღებას უთმობდნენ მათი მშენებლობის ხერხებს, თუმცაღა მაინც ვერ შესძლეს მისი ამოცნობა. ყველაფერი კი მარტივია. მშენებლობისას ფიზიკური ძალის გამოყენებასთან ერთად და სხვადასხვა ხელსაწყოებთან ერთად, ყოველთვის გამოიყენებოდა გრავიტაციის შემამცირებელი აზრ-ფიქრის ენერგია. მთელი რიგი ადამიანებისა, რომელნიც ასეთ თვისებებს ფლობდნენ, ეხმარებოდნენ პირამიდების მშენებლებს. დღეს მაცხოვრებელთა შორისაც არიან ადამიანები, რომელთაც შეუძლიათ, აზრ-ფიქრით მცირე საგნები გადაადგილონ. პირამიდებზე ეფექტურობის თვალსაზრისით სამყაროს გონთან კონტაქტში განუზომლად უფრო მნიშვნელოვანნი უმცირესი ზომის ქვის ნაგებობებია, — პირამიდების წინამორბედნი.

— რატომ, ანასტასია? თავისი კონსტრუქციით, ფორმით?

— იმიტომ, ვლადიმირ, რომ მათში შედიოდნენ გარდასაცვლელად ცოცხალი ადამიანები. მათი გარდაცვალებაც უჩვეულო იყო. ისინი სამუდამო მედიტაციაში გადადიოდნენ.

— როგორ თუ „ცოცხალი ადამიანები“? რისთვის?

— იმისთვის, რათა შეექმნათ შთამომავლობისთვის პირველწყაროთა ძალის დაბრუნების შესაძლებლობა. ხანდაზ-მული ადამიანი, როგორც წესი, ერთ-ერთი ყველაზე უბრძნესი ბელადი ან ტომის უხუცესი (მახვში), როცა იგრძნობდა სიკვდილის მოახლოებას, სთხოვდა თავის ახლობლებს, ნათესავებს, იგი ამ ქვის საკანში მოეთავსებიათ. თუ კი მას ღირსეულად თვლიდნენ, მაშინ — მოათავსებდნენ. ადგილობრივმა მცხოვრებლებმაც იციან, მაგრამ მნიშვნელობას არ ანიჭებენ. მრავალი დოლმენი (ყორღანი) უკვე გაძარცულია. ხალხს არ ესმის მათი ჭეშმარიტი

დანიშნულების. არ იციან, რომ მათი მეშვეობით, შესაძლებელია სამყაროსეულ სიბრძნესთან კონტაქტზე გასვლა. მარადიულ მედიტაციაში წასულებს უკვე აღარასოდეს აღარ შეუძლიათ რაიმე მატერიალურში განხორციელება. მარადიულობა გაწირეს თავიანთი შთამომავლობის გამო. მათი ცოდნა და შესაძლებლობანი კი არასაჭირონი აღმოჩნდნენ. ამაშია მათი უზომო ურვა და სევდა.

იმის დამამტკიცებლად,რომ წარსულში,იქ გარდასაცვლელად ცოცხალი ადამიანები შედიოდნენ,დოლმენებში აღმოჩენილ ჩონჩხთა ძვლების განლაგებაა. ზოგი დაწოლილი მიიცვლებოდა,ზოგი — კუთხეში მჯდომარე,ქვის ფილაზე მიყრდნობილი,ან წამოწოლილი.

დღევანდელი ადამიანები ადასტურებენ ამ ფაქტს. იგი აღწერილია თქვენი მეცნიერების მიერ, მაგრამ მას მნიშვნელობა ისევ არ მიანიჭეს. დოლმენებს (ყორღანებს) სერიოზულად არ იკვლევენ. დოლმენებს ადგილობრივი მცხოვრებლები ანადგურებენ. ისინი, ქვის ფილებს სამშენებლოდ იყენებენ.

ანასტასიამ სევდიანად დახარა თავი და გაჩუმდა. მე შევპირდი მას:

— მათ ავუხსნი. ყველაფერს ავუხსნი მათ. ისინი აღარ გაძარცვავენ, აღარ გატეხენ, აღარ შებილწავენ. უბრალოდ მათ ხომ არ იცოდნენ ეს...

— ფიქრობ, გამოგივა შენ მათთვის ახსნა?

— ვეცდები. იმ ადგილებში გავემგზავრები და ვეცდები ავუხსნა. ჯერ კიდევ არ ვიცი, როგორ. ვიპოვი ამ დოლმენებს (ყორღანებს), თაყვანს ვცემ მათ, ადამიანებს კი ყველაფერს ავუხსნი.

— კარგი იქნებოდა. მაშინ, როცა იმ ადგილებში გაემგზავრები, თუ შეიძლება, თაყვანი ეცი დოლმენსაც, რომელშიც ჩემი წინაპარი დედაა გარდაცვლილი.

— წარმოუდგენელია! შენ საიდან შეგიძლია იცოდე, რომ შენი წინაპარი მშობელი იმ ადგილებში ცხოვრობდა ან როგორ გარდაიცვალა იგი?

ანასტასიამ მიპასუხა:

— ვლადიმირ, როგორ შეიძლება, არ იცოდე, როგორ ცხოვრობდნენ,რას აკეთებდნენ შენი წინაპრები? რა სურდათ მათ,რი-

სკენ ესწრაფოდნენ? ჩემი შორეული დედიკო კია ხსოვნის ღირსი. ყველა ჩემმა დედამ შეიცნო მისი სიბრძნე. მეც მეხმარება დღეს იგი.

ჩემი შორეული წინაპარი დედა იყო ის ქალი, რომელმაც სრულყოფილად იცოდა, ჩვილი ბავშვისთვის ძუძუთი კვების დროს როგორ ეწილადა სამყაროს გონით სარგებლობის უნარ-ნიჭი. უკვე მაშინ, იმ ცივილიზაციის ადამიანებმა, რომელშიც იგი ცხოვრობდა, შეწყვიტეს მისთვის მნიშვნელობის მინიჭება, როგორც დღევანდელებმა. ბავშვის ძუძუთი კვების დროს არ შეიძლება არანაირ გარეშე მოვლენაზე ყურადღების გადატანა, საჭიროა ფიქრი მხოლოდ ბავშვზე. მან იცოდა, რაზე და როგორ იყო საჭირო ფიქრი, ამიტომაც სურდა, თავისი ცოდნა ყველა ადამიანისთვის გადაეცა.

წინაპარი დედა ჯერ კიდევ არ იყო ძალიან მოხუცი, მაგრამ მან ბელადს სთხოვა, რათა დოლმენში მოეთავსებინათ, რადგან ბელადი მოხუცი იყო და ახალი კი მის თხოვნას არასდროს არ შეასრულებდა. ქალებს დოლმენებში ძალიან იშვიათად უშვებდ-ნენ. მოხუცი ბელადი პატივს სცემდა ჩემს წინაპარ დედას, მისი ცოდნის დამფასებელი იყო და მან დართო ნება. ოღონდ იგი მამაკაცებს ვერ აიძულებდა, დოლმენის მძიმე ფილა გადაეწიათ და მერე დაეხურათ წინაპარი დედის თავზე. და მაშინ ქალები, მხოლოდ მარტოღა ქალები გაუმკლავდნენ ამ სამუშაოს.

მაგრამ ჩემი წინაპარ-დედის დოლმენთან, უკვე დიდი ხანია, აღარავინ მიდის. არ ინტერესდებიან მისი ცოდნით. მას კი ისე უნდოდა ყველასათვის გადაეცა ცოდნა. მას სურდა, ბავშვები ყოფილიყვნენ ბედნიერნი და ეხარებინათ თავიანთი მშობლები.

— ანასტასია, თუ გინდა, მე მივალ იმ დოლმენთან და ვკითხ-ავ, თუ როგორ არის საჭირო ჩვილ ბავშვთა ძუძუთი კვება, ამ დროს რაზე და როგორი ფიქრია საჭირო. შენ მომიყევი, სად იმყოფება იგი?

— კარგი, მოგიყვები. მაგრამ შენ ვერ შესძლებ მის გაგებას. შენ ხომ მეძუძური დედა არ ხარ. შენთვის უცნობია დედის შეგრძნებები, რომელიც ჩვილ ბავშვს კვებავს. მისი გაგება მხ-ოლოდ ქალებს, მეძუძურ ქალებს შეუძლიათ. შენ უბრალოდ

მიდი იმ დოლმენთან, შეეხე მას. რაიმე კარგი იფიქრე ჩემს წინაპარ დედაზე, მას ეს ძალიან ესიამოვნება.

რამდენიმე ხანს ჩვენ ვდუმდით. გაოგნებულს დოლმენების ადგილსამყოფელის ზუსტი მითითებებით, რომ შესაძლებელი იყო მისი შემდგომში შემოწმება, მე აღარ დამიწყია ეჭვის გამოთქმა მისი არსებობის შესახებ, თუმცაღა ვთხოვე წარმოედგინა კონტაქტის შესაძლებლობაზე მტკიცებებულები უხილავ და ჩემთვის გაუგებარ სამყაროს სიბრძნესთან. რაზეც ანასტასიამ მიპასუხა:

— ვლადიმირ, შენ თუ ჩემს მიერ ნათქვამს მუდმივად ეჭვის ქვეშ დააყენებ, მაშინ ჩემი მტკიცებულებებიც გაუგებარი და არადამაჯერებელი იქნება შენთვის. მათზე კი უამრავი დროის დაკარგვა მომიწევს.

— ნუ გწყინს, ანასტასია, მაგრამ, შენი უჩვეულოდ განდეგილი ცხოვრების წესი...

— რაღა განდეგილურია იგი, თუ მე მაქვს შესაძლებლობა ურთიერთობა მქონდეს არა მარტო ყველაფერთან, რაც დედამიწაზე არის, არამედ მნიშვნელოვნად უფრო დიდთან. დედამიწაზე ისე ბევრი ადამიანია გარემოცული თავიანთი მსგავსით და სრულიად მარტოსულნით, ჩაკეტილი განდეგილებით. სულაც არ არის საშიში, როცა ადამიანი მარტოა, გაცილებით საშინელია, როცა იგი მარტოსულია ადამიანებს შორისა.

— და მაინც სულერთია, თუ იმ განზომილებაზე, აი, სადაც, როგორც შენ ამბობ, ცხოვრობენ აზრ-ფიქრები, წარმოქმნილნი ადამიანთა ცივილიზაციების მიერ, იტყვის კიდევ, რომელიმე ჩვენი სახელმოხვეჭილი მეცნიერთაგანი, მაშინ ადამიანები მათ უფრო მეტად დაუჯერებდნენ, ვინემ შენ. ასეა მოწყობილი თანამედროვე ადამიანი, მისთვის ოფიციალური მეცნიერება — ავტორიტეტია.

— ასეთი ადამიანები არიან, მე მინახავს მათი აზრ-ფიქრები.

არ შემიძლია მათი გვარების დასახელება. მაგრამ, ისინი თქვენი საზომით შესაძლოა, დიდი მეცნიერებიც არიან. მათ აქვთ, ბევრი ფიქრის საშუალება. შენ თავად მოიძიე მტკიცებულებები, როცა დაბრუნდები, და ყველაფერ ჩემს ნათქვამს შეადარე...

* * *

კავკასიაში ჩასულმა, მთებში, გელენჯიკთან მოშორებით, დოლმენები ვიპოვე. ისინი ფერად ფოტო-ფირზე გადავიღე. დოლმენების შესახებ ადგილობრივი მხარეთმცოდნეობის მუზეუმშიც იცოდნენ, მხოლოდ დიდ მნიშვნელობას არ ანიჭებდნენ.

კიდევ, ვიპოვე დოლმენი, რომელშიც ანასტასიას წინაპარი დედა იყო დაკრძალული, თაყვანი ვეცი, ხავსმოდებულ ქვის პორტალზე ყვავილები დავაწყვე.

ვუცქერდი დოლმენებს — ანასტასიას სიტყვების ხილულ და ხელშესახებ დადასტურებებს. იმ პერიოდში ბიბლიის მეფეთა მესამე წიგნში გადავიკითხე მეფე სოლომონის კედართან დამოკიდებულებაზე. მე, მეცნიერებისგან საკამოდ შორს მყოფი ადამიანი, არ ვაპირებდი, გადამექექა უამრავი სამეცნიერო ნაშრომი, რათა მომეძია ანასტასიას ნათქვამის მტკიცებულებები. მაგრამ თითქოს ეს ახალგაზრდა განდეგილი ქალი, ყრუ ციმბირული ტაიგიდან, წარმოუდგენელი ფორმით, მაგრამ უკვე თანამედროვე მეცნიერების ენით, შორი მანძილიდან ადასტურებდა თავის სიმართლეს. ხალხს თავად მოჰქონდათ და მიგზავნიდნენ სამეცნიერო ნაშრომებს, რომლებიც სამყაროს გონის არსებობას ამტკიცებდნენ.

დასაწყისში, მე, უკვე მოვიყვანე აკადემიკოსის, რუსეთის სამედიცინო მეცნიერებათა აკადემიის წევრის, კლინიკური და ექსპერიმენტული სამედიცინო ინსტიტუტის დირექტორის ვ.კაზნაჩეევისა და რუსეთის საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა აკადემიის თეორიული და გამოყენებითი ფიზიკის საერთაშორისო ინსტიტუტის აკადემიკოსის ა.აკიმოვის გამონათქვამები, რომლებიც 1996 წლის მაისის ჟურნალ "ჩუდესა ი პრიკლიუჩენია" - ში იყო გამოქვეყნებული.

* * *

ამ თავს, გელენჯიკის სიწმინდეებზე, ამ ქალაქში ყოფნისას ვწერდი. მის ტექსტს კომპიუტერზე სანატორიუმ "დრუჟბას" თანამშრომელი მარინა დავითის ასული სლაბკინა აწყობდა. წიგნი გამოქვეყნებამდე სანატორიუმის თანამშრომლებმა წაიკითხეს. და იცით, რა მოხდა...

1996 წლის 26 ნოემბერს, მოსკოვის დროით 10 საათსა და 30 წუთზე, მოხდა მოვლენა, რომელსაც გარეგნულად სენსაციურობაზე ან არაჩვეულებრიობაზე პრეტენზია არ აქვს. და მაინც... დარწმუნებული ვარ, რომ ეს პლანეტარული მასშტაბის მოვლენა იყო.

დოლმენისკენ, რომელიც მთებშია განლაგებული, გელენჯიკთან ახლო რაიონის დაბა პშადასთან, ქალების ჯგუფი მიდიოდა. ისინი, სანატორიუმ "დრუჟბას" თანამშრომლები: ვ.ტ. ლარიონოვა, ნ.მ. გრიბანოვა, ლ.ს. ზვიაგინცევა, ტ.ნ. ზაიცევა, ტ.ნ. კუროვსკაია, ა.გ. ტარასოვა, ლ.ნ. რომანოვა და მ.დ. სლაბკინა იყვნენ.

ტურისტებისგან განსხვავებით, ეს ადამიანები, რომლებიც ხანდახან მოინახულებდნენ ხოლმე ამ ადგილებს, რათა ბუნების სილამაზით დამტკბარიყვნენ და უინტერესოდ უცქერდნენ მთაში მარტოდ მდგარ დოლმენს, შესაძლოა, ამ ათასწლეულში პირველად, მიემართებოდნენ დოლმენისაკენ, რათა პატივი მიეგოთ თავისი შორეული წინაპრისთვის, პატივი მიეგოთ თავისი ტომის ბრძენი ბელადისათვის, რომელიც ათი ათასი წლის წინათ ცხოვრობდა. ქვის აკლდამაში თავისი ნებით ცოცხლად რომ ამოაქოლინა საკუთარი თავი. ცოცხლად იმიტომ, რომ ათასწლეულების შემდეგ თავისი შთამომავლებისთვის სამყაროსეული სიბრძნე გადაეცა.

ძნელი სათქმელია, მისი ძალისხმევა რამდენი ათასწლეულის მანძილზე იყო გამოუყენებელი. უძველეს ფილებს, ჩვენი ასწლეულის მიერ წაბილწვის ნაკვალევი უკვე ამჩნევია, თანამედროვე წარწერებისა და დოლმენის პორტალის ღიობის სარქველის არქონის სახით. დოლმენთან მისული ადამიანები, ყოველშემთხვევაში ბოლო ასწლეულის მანძილზე, შიგ დაფლულ ადამიანზე, მის სურვილსა და სწრაფვაზე, რათა მაცხოვრებელთათვის მიეძღვნა თავისი თავი და სიბრძნე – არც კი ფიქრობდნენ. მის შესახებ, სამწუხაროდ, მჭერმეტყველურად ადასტურებენ რევოლუციამდელი და მეტადრე თანამედროვე მონოგრაფიები, რომლებსაც მე გავეცანი.

მეცნიერები, მკვლევარები, არქეოლოგები, უფრო ინტერესდებოდნენ თავად დოლმენის ზომებით, უკვირდათ და ცდილობდნენ

განესაზღვრათ ეს მრავალტონიანი ფილები როგორ იყო დამუშავებული და აღმართული.

და აი... ვუყურებდი დოლმენთან მდგარ ქალებს, მათ მიერ მიტანილ და პორტალზე დაფენილ ყვავილებს და ვფიქრობდი: "რამდენი ასწლეულის თუ ათასწლეულის შემდეგ მიიღე შენ, პირველი ყვავილები, ჩვენო უბრძნესო წინაპარო? რას გრძნობს ახლა შენი სული? რა შეიძლება ხდებოდეს ამ წამებში ასტრალურ სამყაროში? მიიღეთ თუ არა თქვენ, ჩვენო შორეულო და ასე ახლობელო წინაპარო მშობლებო, ეს ყვავილები, როგორც პირველ ნიშნად იმისა, რომ თქვენი ძალისხმევა არ დაკარგულა? თქვენს შთამომავალთა თანამედროვე ადამიანებს შორისაც არის სწრაფვა, უფრო გაცნობიერებული არსებობისკენ. ეს მხოლოდ პირველი ყვავილებია. იქნებიან, ალბათ, კიდევ და კიდევ. მაგრამ ეს პირველი, ყველაზე სასურველია, და თქვენ დაეხმარებით ახლანდელ მაცხოვრებლებს, რათა მიაღწიონ სამყაროს სიბრძნის შეცნობის, ყოფიერების არსის გაცნობიერებას. თქვენ ჩვენი შორეული წინაპრები ხართ".

დოლმენის მოსანახულებელ მგზავრობაში გელენჯიკის სანეპიდსადგურის სანიტარული ექიმი ე.ი. პოკროვსკი მონაწილეობდა. იგი მხარეთმცოდნე-ექსკურსიამძღოლმა ვ.ტ. ლარიონოვამ დოლმენის რადიაციული ფონის გაზომვის მიზნით მიიწვია.

მან მიამბო, რომ ერთხელ, ექსკურსიის დროს დოლმენთან, ერთ-ერთ ტურისტს ჰეიგერის საზომი აღმოაჩნდა და ხელსაწყო ამოქმედდა, რადიაციის მაღალი დონე უჩვენა. ამ ტურისტმა განზე გაიყვანა ვ.ტ. ლარიონოვა, რათა სხვა ტურისტები არ დაეშინებია, ხელსაწყო აჩვენა და დოლმენთან რადიაციის არსებობის შესახებ ამცნო.

ადგილობრივი სანეპიდსადგურის სპეციალურ პატარა ჩემოდანში საკმაოდ ზუსტი ხელსაწყო იდო. მან რადიაციული ფონის გაზომვა ჯერ კიდევ დოლმენთან მიახლოებამდე დაიწყო და აგრძელებდა ამის ჩვენებას მიახლოების დროსაც, შემდეგ უშუალოდ დოლმენთან და შიგნითაც კი.

სანამ ქალთა ჯგუფი ვ.ტ. ლარიონოვას უსმენდა, მე უფრო დიდმა მღელვარებამ შემიპყრო, რომ აი ახლა ეს სანექიმი,

რომელიც გაზომვის შედეგებს იწერს, შედეგს ყველას გასაგონად გამოაცხადებს და ეს ტურისტის შენიშვნა კი აღარ იქნება, არამედ ოფიციალური დასკვნა და ხალხი საერთოდ შეწყვეტდა დოლმენებთან მისვლას, შეიტყობდა რა მომატებული რადიაციის შესახებ. ანასტასია მიამბობდა, რომ ამ ენერგიას, რომელიც რადიაციას ჰგავს, შეუძლია, ხან გამოვლინდეს და ხან გაქრეს. იგი მართვადია და ადამიანზე კეთილისმყოფლად მოქმედებს. მაგრამ რას ნიშნავს ჩვენთვის თანამედროვე ადამიანისთვის, ანასტასიას, თუნდაც არც ისე ჩვეულებრივი ქალის, გამონათქვამი, თანამედროვე მეცნიერთა მტკიცებულობებთან, ფაქტთან, თანამედროვე ხელსაწყოთი დაფიქსირებულთან და ისიც, რადიაციასთან მიმართებაში, რომლისაც ასე ეშინია თანამედროვე ადამიანს...

“ო, ღმერთო, – ვფიქრობდი, – საწყალი ანასტასია! მას ხომ ასე ძალიან სურდა, რათა ადამიანები სხვაგვარად, უფრო სათუთად მოპყრობოდნენ ჩვენი წინაპრების ამ უძველეს, უჩვეულო სამარხებს. ახლა კი გამოცხადდება ოფიციალური დასკვნა, და მათ, უკეთეს შემთხვევაში, არავინ აღარ მიუახლოვდება, უარეს შემთხვევაში კი – გაანადგურებენ. მშენებლობისთვისაც კი აღარ გამოიყენებენ, როგორც აქამდე იყენებდნენ. მაგრამ, თუკი დანამდვილებით არის ის სამყაროსეული გონი, თუკი ანასტასია მისით ნამდვილად ასე იოლად სარგებლობს, დაე, თავად მათვე მოიფიქრონ რამე”.

ე.ი. პოკროვსკი დოლმენთან მდგომ სანატორიუმ “დრუჟბას” თანამშრომელთა ჯგუფთან მივიდა და ჩაიკითხა ხელსაწყოს მონაცემები. ისინი დაუჯერებელნი იყვნენ. ხელსაწყოთა მონაცემების მიხედვით, გაოცებამ, მერე კი სიხარულმა შემიპყრო. მიწისა და გარემოს რადიაციული ფონი დოლმენთან მიახლოებისას თანდათან... მცირდებოდა.

ეს იმიტომაც იყო კიდევ დაუჯერებელი, რომ დოლმენთან მიახლოებისას ადამიანთა ჯგუფი უფრო მაღალი ფონის მონაკვეთებს გადიოდა. ტანსაცმელს, თავად მათ, როცა ისინი დოლმენთან იდგნენ, რადიაცია თავისი ტანსაცმლით, ფეხსაცმლით უნდა მიეტანათ, მაგრამ ხელსაწყომ, მიუხედავად ამისა, რადიაციული ფონის შემცირება უჩვენა. თითქოს ვინმე უხილავი გვეუბნებოდა ამ სახით: “ნუ გეშინიათ ჩვენი, ადამიანებო.

ჩვენ თქვენი შორეული მშობლები ვართ. ჩვენ სიკეთე გვინდა თქვენთვის. მიიღეთ ჩვენი ცოდნა, შვილებო!"

და მე, მოულოდნელად გავაცნობიერე, – ანასტასია! ეს მოვლენა სწორედ მისი წყალობით მოხდა. სწორედ მან, მყოფმა დოლმენისგან ათასობით კილომეტრის მოშორებით, გაავლო უხილავი ხაზი ათასწლეულებს მიღმა, ამითი შეაერთა დღევანდელი მაცხოვრებელნი უძველეს ცივილიზაციასთან, მოახდინა გარღვევა ცნობიერებაში სიკეთის სწრაფვისკენ. დაე, ჯერ-ჯერობით თუნდაც ადამიანების მცირე ჯგუფში, მაგრამ ეს მხოლოდ დასაწყისია. და იგი აბსოლუტურად რეალურია, რადგან ჩემს წინ რეალური დოლმენი იყო, რეალური და ხელშესახები ქალები, მათგან მიძღვნილი ყვავილები.

სამეცნიერო ლიტერატურაში ნათქვამია, რომ დოლმენები გვხვდებიან ტუაფსეს, სოჭის, ნოვოროსიისკის მახლობლად, ინგლისში, თურქეთში, ჩრდილოეთ აფრიკასა და ინდოეთში. ეს ადასტურებს უძველესი ცივილიზაციის არსებობას,ერთიან კულტურას, ერთმანეთს შორის ურთიერთობების შესაძლებლობას, მიუხედავად მანძილის სიშორისა. ეჭვგარეშეა, ანასტასიას ინფორმაციის საჭიროებისამებრ გავრცელებით, სხვა დოლმენების მიმართაც, თუ ისინი კიდევ შენარჩუნებულნი არიან, შეიცვლება დამოკიდებულება.

გელენჯიკელების რეაქცია ემსახურება ამის დასტურს. სწორედაც რომ, მსოფლიოში პირველად, ექსკურსია, დოლმენების შესახებ ახალი გასაოცარი ინფორმაციით, გელენჯიკში ჩაატარა "ყველაზე იღბლიანმა და ბედნიერმა ქალმა", როგორც თავად სთქვა თავის თავზე მხარეთმცოდნე-ექსკურსიამძღოლმა, ოცდაათწლიანი სტაჟის მქონე ადგილობრივი საბჭოს დეპუტატმა, ვალენტინა ტერენტის ასულმა ლარიონოვამ.

მაგრამ ეს არ არის ყველაფერი. გელენჯიკელ მხარეთმცოდნეთა ჯგუფმა ლარიონოვას მეთაურობით, უკვე ცნობილი ფაქტები შეაჯამა, ესაუბრა ძველ მცხოვრებლებს, შეისწავლა წმინდანთა ცხოვრება და გელენჯიკის შემოგარენში სიწმინდეების არსებობა დაადასტურა, რომლებზეც ანასტასია საუბრობდა, – რუსეთის უნიკალურ სიწმინდეებზე, რომელთა უმრავლესობა არც ერთ საინფორმაციო ბუკლეტში არ არის მოხსე-

ნიებული. ესენი ლიბანის კედარია, წმინდა ნინოს მთაა, სავანეა, სამკურნალო წყარო "წმინდა წყარო"-ა. იქ, ის ადამიანებია, ვინც იქ განიკურნა, ხეზე ნაჭრის ნაკუწებს ნასკვავენ. გელენჯიკის რაიონში, ახლა რესტავრაციას უკეთებენ ეკლესიას. შენდება სამება-სერგიევოს ლავრის მეტოქი (ფუნდუკი). მე შევცქეროდი ამას ყველაფერს და ვფიქრობდი: "რუსეთის მხოლოდ ერთ პატარა ადგილზე ამდენი სიწმინდეებია, სამკურნალო წყაროა, რუსები კი ცხრა მთას იქით მიემგზავრებიან უცხო ღმერთების სათაყვანებლად. რამდენი დავიწყებული სიწმინდეებია შენს სხვა ადგილებში, რუსეთო? და ვინ აღმოაჩენს მათ?"

მე, რაც შემეძლო გავაკეთე, რა თქმა უნდა, ეს მცირედზე მცირეა, მაგრამ რაღაცნაირი იმედი გაჩნდა, რომ ანასტასია ვაჟიშვილს მაჩვენებს. ვიყიდე ჩვილი ბავშვის ჩასაცმელები, სათამაშოები, "ბავშვის კვება" და ციმბირული ტაიგის მხარეში გავემგზავრე, რათა ისევ მენახა ანასტასია და ჩემი ვაჟი.

გაგრძელება იქნება

ISBN 978-9941-0-2273-9

9 789941 022739

დაიბეჭდა "ეროვნული მწერლობის" სტამბაში. მხატვრის ქ. №4
317 047; 327 362; litandart@yahoo.com; vaja.otarashvili@yahoo.com